ბაზიკი

კვირა, 25 ნოემბერი 1928 წ. № 180
ფელიეტონი მეხუთე ფასი 15 კაპ.

უეგარი წამალი

„საშეფო კომისიების მუშაობა ამ ბოლო ხანებში ძალზე მიძინებულია“.
გაზეთებიდან.

ნახ. ნადარეიშვილის.



—ეჭიმო, უძილობა მაქვს... თვალს ძილის რული არ ეკარება!
— შეეცადეთ საშეფო კომისიაში აგირჩიონ და შემდეგ ძილის რული კი არა, საღათაც ძილიც შეგიყრობს.

„ᲨᲔᲣᲓᲠᲔᲙᲔᲚᲘ“

ნახ. ნადარეიშვილის.

ᲙᲝᲡᲢᲘᲣᲛᲘ ᲓᲐ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐ

ᲩᲔᲣᲑᲜᲔᲓᲘ ᲛᲔ ᲛᲐᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲑᲐᲦᲨᲘ.

იგი „ნარკომპროსის“ სტიპენდიანტივით ჩამომხმარიყო და კოვერკოტის კოსტიუმი არც ისე რიგიანად ედგა მხრებში.

მისალმების შემდეგ ერთმანეთისათვის ჯანმრთელობის შესახებ არაფერი გაპოგვიკითხავს, რადგან ეს — უკანასკნელი საკითხია. უკანასკნელ საკითხის ბედი კი საზოგადოთ ყველა თქვენგანმა იცით, თუ როდისმე დაჩრჩენილხართ საერთო კრებაზე ბოლომდის.

— მმ... გამდიდრებულხარ... ვუთხარი მცირე პაუზის შემდეგ უსიამოვნოდ და უკვე დამორეზას ვაპირებდი, რადგან რაც უფრო მდიდარია ადამიანი, მით უფრო ძნელად უნდა ელოდე მისგან ხეირს.

— ისე გაგამდიდრა შენმა სალოკავმა... სწორედ ეხლა ვარ ცეცხლში ჩავარდნილი.. მე შენი იმედი მაქვს.. დამეხმარები... გახსოვს, ოთხი წლის უკან მე შენ რომ....

თავდაცვისათვის მოვემზადე; მე კარგად ვიცი, რომ ადამიანს მხოლოდ ორი ტეტრი ყავს დედამიწაზე: ერთი —საკუთარი თავი, და მეორე— ნაცნობი, რომელიც დახმარებას სთხოვს

— არა, ძმაო!... შენ, შენი გზა... მე—ჩემი!.

(მისი არ ვიცი, ჩემი გზა კი მაშინ სწორედ შრომის ბირჟისკენ მიდიოდა)

ᲗᲐᲜ ᲛᲙᲚᲐᲕᲨᲘ ᲩᲐᲛᲐᲕᲚᲝ ᲮᲔᲚᲘ.

— მაშინ მირჩიე მაინც რამე... წინდახედული კაცი ხარ... ცხოვრებაში გამოცდილი.::

(ისე აშენდა მისი ოჯახი).

უარი ვეღარ მოვახერხე. რჩევა ისეთი რამეა, რომლის ფასი არც ისე მაღლა დგას, თუმცა ექიმებს და ადვოკატებს რომ კითხოთ, ფასი კურსი ხუთ მანეთსა და ხუთ თუმანს შორის უნდა ქანაობდეს.

იქეთ სკამზე ჩამოვსხედით.

და აი აქ, დიდ ხის ძირში, როდესაც ზემოდან შრიალით ცვიოდენ ყვითელი ფოთლები და ნოემბრის ქარი უგზო-უკვლოდ დააქანებდა მათ იქით-აქეთ, ჩემი მეგობარი მწუხარე ხმით თავის უბედურების ეპოპეას შეუდგა:

ყველაფერი მარჯვენით გადახრისაგან დაიწყო, რომ ეს არა, დღესაც ბედნიერი ადამიანი ვიქნებოდი... სხვათა შორის, ჩემს ყოფილ თანამდებობაზე დღეს გაორკეცებულ ჯამაგირს აძლევენ. ვიქნებოდი ჩემთვის.. ვქამდი... ვსამდი::: ვიცლიდი კინოში. ოპერაში. ოჯახში კიდევ სხვებზე ნაკლებ არ გადავიხდიდი დღეობებს.. სხვებზე ნაკლებ არ შემოვძახებდით „მრავალჟამიერს“, „მადლობელი ვარ“ და სხვას. მაგრამ, ხომ იცი, უბედურება ისეთ უთვალთვალებს ადამიანს, როგორც გამგე ვაკანსიას თავის ნაცნობ ქალისათვის.. წვრილ-ბურჟუაზიულ მეზობელმა დამლუპა... გახსოვს როგორ აკრძალათ პარტიულებს კონტრაბანდულ ტანისამოსის ტარება?... აი ეს იყო პირველი ფიზეზი... ხომ იცი, სულელს მუდამ უბარია.:: მეც ძალიან გამახარა მაშინ ამ გარემოებამ. ვთქვი, ერთი უპირატესობა ჩვენც გვექნება— უპარტიოებსაც-თქო... ცოლი ხომ ფეხზე ადარ იდგა ერთ ჩვენს მეზობლის უბედურებით.

— ეტირათ ყოფა... იარონ აწი!..

ეს მეზობელი კი ისეთი ᲞᲚᲙᲕᲘᲐᲜᲘ ᲑᲘᲭᲘ იყო, რომ რამდენჯერაც მოუხდებოდა შავი ზღვისაკენ გამგზავრება, იმდენ ახალ კოსტიუმს ჩამოიტანდა.

ამის შემდეგ გადის ერთი კვირა... გადის ორი.. მეზობელი ცხვირჩამოშვებული დადის.. ჩვენ კიდევ ცხვირ-აწეული.

მესამე კვირაზე ეზოში ხმა გავარდა, მეზობელი ისევ პროლეტარულ ტანსაცმელს უბრუნდება და წვრილ ბურჟუაზიულ კოსტიუმებს ყიდისო.

— კარგი... ვთქვი ჩემთვის, ყიდის... გაყიდის. ხეირი ნახოს. ერთი უბედურებაც ეყოფა... ჩვენ რა?. ჩვენ შემდეგშიაც ვიყიდით, როცა გაიაფდება....

ავიღე ავანსი, ავანსს ჯამაგირი დავადე... ჯამაგირს ნასესხები და ეხლა უკვე, მეზობლის თვალის დასავსებად, ჩვენ დავდიოდით კოვერკოტებში... ბედნიერი დრო იყო... სამსახურში ყველა შურით შემომჩერებოდა. ადგილკომი ხომ გულზე სკდებოდა.. რამდენჯერ ჩამოვიდოდა, იმდენჯერ ახედ-დახედავდა ჩემს კოსტიუმს, იმავე

დროს კი სრულებით ყურადღებას არ აქცევდა თავის ყოველკოტის შარვალს... იმდენად ყურადღებას არ აქცევდა,— როცა დაჯდებოდა, ისე ამოიგრეხდა ფეხებს სკამს ქვეშ, რომ შემდეგ მუხლების თავზე შარვალი პუშტივით ქონდა ამობერილი... ის კი არ იცოდა, რომ მუხლებზე აბრეშუმის სარჩულის დადებაა საჭირო...

— მართლა?... ეს არც მე ვიცოდი!.. გამოვტყდი ულაზად.

— სირცხვილია. თუმცა მეც რომ არ მცოდნოდა, უკეთესი იქნებოდა... და ერთი თვის შემდეგ შემცირებაში მომაყოლეს....

აქ ჩემმა მეგობარმა ისე ამოიხვნეშა, თითქოს მთელი შიგნეულობა თან სურს ამოიტანოსო.*)

— ამის შედეგ ბევრი ვეცადე გამეყიდა ეს წყეული კოსტიუმი, მაგრამ არავინ ხელს არ კიდებს., ძველიაო...

ვატარებ დღესაც ძალაუნებურად...

— შენ გეცინება... აქ სიცილი კი არა, ტირილია საჭირო... შენ შეიძლება არც კი გამოგიცდია, რას ნიშნავს ასეთ კოსტუმში როგორ დგომა ბირჟის წინ, როცა ყველა ისე მოგჩერებია, როგორც ეგზისკოპოზს... მე კი გამომიცდია. და კაგადაც გამომიცდია!..

გუშინ ბირჟიდანაც კი გამომიძახეს, როგორც საეჭვო ელემენტი... და აი დაგდივარ ეხლა ასე...

— ამის შემდეგ ბევრი ვეცადე გამეყიდა ეს წყეული კოსტიუმი, მაგრამ არავინ ხელს არ კიდებს. ძველიაო..

მეგობარი დაჩუმდა. მძიმე დუმილი ჩამოვარდა. ზევიდან მწუხარე-შრიალით განაგრძობდენ ცვენას ყვითელი ფოთლები და ნოემბრის ცივი ქარი უგზო-უკვლოდ დააქანებდა მათ იქით-აქეთ.

*) საეჭვოა, რომ ასეთი სურვილი ჰქონოდა.

მე ზეზე წამოვდექი.

— მმ.. აბა რა გირჩია..

ისევ დუმილი ჩამოვარდა.

მეგობარმა ხელი ჩააჭნია.

ასე დავშორდით ერთმანეთს.

სინემატო.

ნეტარეგის მწერვალზე ასული გამგე
ანუ
ოცნება საკუთარ სურათზე

ნახ. ტანატაძის



— რა ამაყი გამოხედვაა!.. მართალია, წალლიდან ეფ დაჰყურებს, მაგრამ ეს ხომ ისევ და ისევ ჩემი „დიდებულებაა“!..

ზოგი მიღწევა

მე სიხარულს მგვრის ჩვენი მიღწევა,
მე ჩვენს მიღწევებს ვეთაყვანები,
რადგან საბჭოთა მეცნიერები გვქვია,
და კომუნიზმის ხელოვანები.

ამიტომ, როცა მესმის, რომ მუშა
ამ თუ იმ ქარხნის გვყავს დირექტორად,
გული უბეში ძალუმად მიხტის
და სიხარულს მგვრის ის ერთი-ორად,

რადგან მომიჩანს ეს ჩემი კლასის
სასიქადულო მაღალ მოვლენად,
და თვალს ვუსწორებ მტკიცედ მომავალს,
გადაქცეული იმედად, რწმენად,

რომ პროლეტარიებს, ჩვენ შეგვიძლებია
ქარხნების მართვა თუ ქვეყნის მოვლა,
რომ, მაშ კომუნის გებაც ვით საქმე,
ნაღდი ყოფილა, ნათელი ყოვლად!

ნათელი, როგორც მზე არის ცაში,
მისებრ ცხოველი, მისებრ საქმები,
თუმცა ცნობილი არის, რომ მზეზეც
მოსჩანს მცირედი შავი ლაქები.

და მე ლაქების არ მეშინია!
და მე ლაქების არ მერიდება!
რაც ლაქებს იქით ნათელი არის,
ისიც მეყოფა, როგორც დიდება!

მაგრამ დიდება საერთო ფონზე
ხშირად მცირდება ცალკე საგანში
და მაშინ წუთით სჩანს ჩემშიც რწმენა,
ვით დამწყვდეული ხოლმე საკანში!

თუმცა რას ვამბობ? უიმედობას
ამ შემთხვევაშიც კი არ გრძნობს გული
და კვლავ იმედით გავყურებ მერმისს,
ეარ მიღწევებით აღტაცებული!..

გავყურებ იქით, გავყურებ აქეთ,
ვიდგევარ რუსთაველის ფართო პროსპექტზე,
და აღარ ვფიქრობ, მიღწევების თუ
დირექტორების მეტზე, არც ერთზე!

რომ უცბათ... ჰოი, ოპერის თეატრს
იქვე შევავლებ შორიდან თვალებს:
— „აი მიღწევა სად იმარხვის“-თქვა!..
და ვეჭვრეტ მიღწევის ყველა მწვერვალებს!..

მე „იმარხვის-თქვა“ ვამბობ იმ აზრით,
რომ მართლაც აქ სჩანს, თუ სჩანს მიღწევა,
თორემ სხვა ადგილს, მესმის, თუ ზოგჯერ
მოვლილი საქმეც როგორ იქცევა!

მე, მაგალითად, ვიცი ქარხანა
თუ, ქარხნის გარდაც,—ზოგი ორგანო,
სადაც მყოლია, ვსთქვათ, დირექტორად
წარსულში მუშა, კაცი—ბოგანო.

მახსოვს, თუ როგორ შეცვლილა იგი
ჯეთილს ყოფაში, ვით დირექტორი:
უჩნდა სალარო, ვით თავის ჯიბე,
და ურევია იმაში ტორი...

ტორი რა ტორი? იყო ნიჩაფი,
და თითქოს გემით ზღვას მისცურავდა,
ისე უსობდა ტორს სალაროში,
რომ ხშირად სიმწრის ოფლს იწურავდა...

და სიმწრის ოფლშიც გასწურეს მართლაც
ისეთი ორა ერთი—ორია,
ნახეთ გამსახლი, სადაც ყოფილი
ახლაც რამდენი დირექტორია!..

და მე დირექტორს სულ არ ვემდური,
ვინც გამსახლს არჩევს ხოლმე ქარხანას,
მე მხიბლავს ის, ვინც დირექტორებზე
გადაჭარბებით ზრუნავს ამ ხანად!

მეც, ამ გაგებით, ოპერის თეატრს
დიდ მოწიწებით ვსცემ შორით თაყვანს,
რადგან უზომოთ აქ დარწევია
დირექტორების მრავლების აკვანს!..

იყო თქმულება ამ სახლზე ძველად,
რომ კლასობრივად იგი სუსტია,
თუმც არშიყობა იქ, კლასიკური,
ჩვენში ბევრს ვისმე გამოუცდია...

ითხოვენ მისთვის ქანქრის მიკლებას,
იმავ მიზეზით და იმ გაგებით,
ამავ სახსართა, უფრო ნაღდ მიზნით,
სული ჩაედგმის—მითქვამს—ამ ფულით!..

აზრი კეთილი იყო და საღი,
და მის ახდენას ველოდი გულით:
— ეჰ, რამდენს ხალას კულტურულ საქმეს
სული ჩაუდგამს—მითქვამს—ამ ფულით!..

მებრალებოდა მხოლოთ თეატრის
მე დირექტორი ნაკლების თანხით,
გარს შემორტყმული ძველი ვალებით
და მოთეატრე იმავე ხალხით!

მაგრამ რას ვხედავ? იგი კი არა,
მე თვით ვყოფილვარ შეესაბრალისი:
თურმე ოპერის თეატრში არის,
დირექტორობის თუა ხალისი!

და სანდრო ეულს, სჩანს, მიუქარაქს,
როცა ამ თეატრს დაწვა უსურვა,
ოოს დირექტორი თურმე არტისტკებს
ყელზე იხვევდა, როგორც უსურ ვაზს!

აქ არ იცოდენ „ნოტი“, „რეჟიმი“
თუ დაზოგვაში უდიერება,
აქ სათნოება სუფევდა ქალთა
და კაცთა შორის ბედნიერება!

და თუ წარსულში არ აკლდა თანხა,
აძლევდენ ფულებს თავზე საყარად,
ერთს სჯერდებოდა მაინც დირექტორს,
თუნდ არტისტკებიც ხვეოდა ჯარათ!

აქ ეს დაზოგვაც ცის წყალობაა,
მიუხედავათ ბედოვლათობის
და რომ არ მუშურ იდეოლოგი
იყო საგანი უცხო გართობის!

და მაინც ფიქრი მე ამ თეატრზე
ახლაც არ მტოვებს: არც ღიით, არც ლამით:
მებრალვის ხალხი იქ დატვირთული
არშიყობით თუ გართობით, ჭამით!

იდეოლოგათ რომც არ შევზომო,
მე ფიქრით თავზე ვეულევი ამას.
თუ დღეს, როდესაც ქანქარს მიუკლენ,
არ მოიკლებენ როგორ-ღა ჭამას?!

თუ პირობებში ერთ დირექტორის
გაართვეს თეატრს იქ სალავათი,
დღეს რა მოუვა, ოოს დირექტორი
შას გააჩნია, მგონია, ათი?!

ბაზირა.

„პატარა“ უსიამოვნება

ნახ. დონის.

წყლის ფულზე ერთი კაპიკის დაკლების გამო.

მოგზაურობა ტრამვაით

(მგზავრის შთაბეჭდილება)

იქნებოდა დილის 7 საათი, როცა ნაძალადევის ერთ-ერთი ქუჩიდან გამოვედი და სამსახურისაკენ გავეშურე.

ის პოპულიარული გადასაზიდი საშუალება, რომელსაც ტრამვაის ეძახიან, ნაძალადევშიაც მოიპოება და ფართოდ ემსახურება ლენინის რაიონის ფართო მასებს. აქაური მცხოვრებლები დღეში რამოდენიმეჯერ დაინახავენ ხოლმე ტრამვაის და ზოგი გული სიხარულით ივსება. სწვანაირად არც შეიძლება იყოს, რადგანაც ტრამვაის ვაგონების რიცხვი იმდენად მცირეა, რომ მოსახლეობა ხშირად საათობით მოელის ვაგონებს.

დილის 7 საათზე, ცხადია, არ არის იმედი, რომ თავის დროზე მოგივა ვაგონი და სამუშაოზე წაგიყვანს, მაგრამ წესი მაინც დავიცავი და დავიცადე.

ვიცადე ოცი წუთი. ვაგონი არ სჩანს.

ვიცადე ოცი წუთი.

ვიცადე ნახევარი საათი.

ვაგონის ჭაჭანებაც არ არის.

ვიცადე საათი.

თითქოს ტრამვაიმ დღეს მუშაობა შეაჩერა.

8 საათი შეიქნა. დამაგვიანდა.

— ისევ საკუთარი ღრთქლმავლით ვკოპავ! — ვიფიქრე და გაუდექი გზას.

არ გამივლია ოცი ნაბიჯი, რომ ვაგონი დამეწია. დამეწია, მაგრამ რა! მგზავრები ერთი - მეორეზე ისხდენ და ისე ბიდიოდენ. მიმატებაზე ფიქრიც დროს დაკარგვა იყო.

8 ნახევარ საათზე რკინისგზის სადგურთან ვიყავი.

— სრული ნახევარი საათია სამსახურის დაწყებამდე. ამდენივე დრო უნდა თავისუფლების მოედანზე მისვლას, სადაც ვმსახურობ! — გავიფიქრე მე და ტრამვაის დაველოდე.

ჩემთან ერთად ვაგონებს ელოდებოდა 200-მდე მგზავრი.

ჭოვიჯა ერთი ვაგონი, მაგრამ როგორც იტყვიან, სულს ძლივს ითქვამდა, ისე იყო მგზავრებით დატვირთული.

როგორც იქნა, შეეედი. ჩემთან ერთად, მგზავრებით დატვირთულ ვაგონში ოცოდე მგზავრი შემოვიდა. მართალია, შემოსასვლელი ადგილი აღარ იყო, მაგრამ, წინ მდგომი ხალხი მექანიკურად მიიტკეპნა.

40—50 მგზავრის ნაცვლად ვაგონში ისამდე კაცი იქნებოდა. ვაგონი დაიძრა.

— აბა ბილეთები! — სადღაც ვაგონის თავში გაისმა კონდუქტორის ხმა.

ხუთი წუთის შემდეგ ისევ იმ ადგილიდან ისმოდა იმავე კონდუქტორის ბრაზმორეული ხმა.

— ბილეთები-თქო, ბილეთები!

— მაცალე, ძმაო, მოგვეცი, ეამჩატკიდან რაკამ იძახი!

— რაგვარ მოვიდე გზა რომ არ არის? — სასოწარკვეთილებით გვიპასუხა კონდუქტორმა.

მართლაც მისი მდგომარეობა ფანტასტიკურიყო: ვაგონი ისე იყო ხალხით გაჭედილი, რომ ჩვეულებრივი კონდუქტორი კი არა, გორეიც ვერ გაძვრებოდა შიგ.

— იუვინაუს... გაბიშვილი ჰაკალუსტა, ბილეთები გამაყიდვინეთ! — ეხვეწებოდა კონდუქტორი ხან ერთ მგზავრს და ხან მეორეს.

— საიდან გაგიშვა, შე კაცო, ლა-

„უურძნის“ მოუვარულნი კვირფასეულოგის „ლოგის“ პირას

ნახ. მარიაშინ.



თვალს—ხილვით ტკბობა, გულს—ნეტარება,
მხოლოდ მათ „კბილი“ ვერ ეკარება.

მის არას მეც გამჭყლიტონ?! —უპასუხებდენ სულშეხუთული მოქალაქენი.

კარგა მანძილი გავიარეთ.

კონდუქტორს ხმა ჩაუწყდა და ხრიწიანი ხმით გაიძახოდა:

— ხალხნო, გამიშვით, ბილეთი უნდა გავყიდო! კონტროლმა რომ ჩამოიაროს რას პასუხი უნდა გავცე?

— რის კონტროლი, კაცო, რომელი ვანტროლი შესძლებს აქ თავის შემოყოფას, ვერ ხედავ ადგილიდან ვერ იძვრები?

— გასაჩერებელ ადგილებთან, ეგონის დაძვრისას, ხშირად ისმოდა მგზავრების ხმა:

— კონდუქტორ, გააჩერეთ, მე აქ უნდა ჩამოვსტე!

— ჩამოხტი, ამხანაგო, მე ხომ არ გიშლი?

— კი, მაგრამ როგორ ჩავიდე — შეკრული ვარ?

— რა ვქნა, მე თქვენ შეკრულობას როგორ მოვეშველო? ხომ ხედავთ ბილეთიც ვერ გაყიდვინეთ! — ეხმაურებოდა თითონაც შეკრული კონდუქტორი მას.

— პარდონ... იზვინიაუს... უკაცრავად! გამიშვით თუ შეიძლება! — იხვეწებოდენ ჩამომსვლელები, მაგრამ ამაოდ: ისინი იძულებული იყვენ დაეცადათ ვაგონის შეთხელებამდე, რის გამოც მრავალი მათგანი კირკის კუთხემდე ამოვიდა (რასაკვირველია, უბილეთოდ).

მიუხედავად იმისა, რომ ვაგონი გაჭედილი იყო, ხალხი მაინც გვემატებოდა. ზოგი საფეხურებზე ეკიდა, ზოგი ვაგონის უკან სალტეებზე იყო შემომდგარი.

— ნულარ მოდიხართ... ნეუჟელი ვერ ხედავთ: ვაგონ ბიტკამი ნაბიტო! უყვიროდა არაჭათ გამოლეული კონდუქტორი.

კირკის ქუჩის და პლეხანოვის პროსპექტის კუთხეში რომ მივედით, ათიოდე მგზავრი კიდევ მოგვემატა რაღაც მანქანებით და გავსწიეთ.

კონდუქტორი თითქოს მიყუჩდა. ალბად ძალა გამოელია ყვირილით.

ელბაქიძის აღმართი ავიარეთ.

— უ კაკო დო ზემელია ბილეთ! —გაისმა კონდუქტორის ხმა. ალბად თავის დასამშვიდებლად თუ იძახოდა, თორემ კარგად იცოდა, რომ მგზავრების 90 პროცენტს ბილეთები სულ არ ქონდა შეძენილი.

„ზემელთან“ ვაგონი თითქმის დაიცალა.

— ეს არის მოძრაობა? — ამბობდა ბრაზმორეული კონდუქტორი.— სადგურიდან აქამდე ათი ბილეთი არ გამიყიდია.

— რატომ უშვებთ ამოდენა ხალხს?

— რატომ უშვებთ? ჩვენ ვინ ვგეკითხება? მოდიან, თავისით მოდიან.

— კი, მაგრამ ხომ არის დადგენილება მგზავრების რიცხვის შეზღუდვის შესახებ?

— არის, მაგრამ...

იქნებოდა დაახლოებით 10 საათი, თავისუფლების მოედანზე რომ მივედით. ნახევარი საათის ნაცვლად ვაგონს საათნახევარი დააგვიანდა.

— დიდი მასაჟისტები არიან ეს მგზავრები! — ხუმრობდა კონდუქტორი და დაზელილ გვერდებს ისწორებდა.

ალლარ-ალლარსან.

კონკურსი

ნახ. დონინ.



გამოუნაჯეთ ამ ოთხს სურათს სათაური და ისეთი წარწერები (ტექსტი), რომ მიიღოთ ერთი მთლიანი ამბავი (მოთხრობა). თვითეულ სურათს ტექსტი უნდა ჰქონდეს დაახლოვებით 1-10 სტრიქონი. (შეიძლება ლექსადაც), ავტორს უფლება აქვს სურათები გადანაცვლოს, ე. ი. ადგილები შეუცვალოს.

ორ მოწონებულ ავტორს ჯილდოთ უფასოდ გაეწერება გაზ. „მუშა" და ჟურ. „ტარტაროზი" მთელი 1929 წლის განმავლობაში.

კონკურსის შედეგი გამოცხადებული იქნება 23 დეკემბერს „ტარტაროზი"-ს 184 ნომერში. ამოსჭერით სურათები, დააწებეთ ქაღალდზე და გაუკეთეთ წარწერა. კონვერტზე დააწერეთ: „კონკურსისათვის".

წერილზე უნდა იყოს სწორი მისამართი და ავტორის პროფესია.

ძირულა

ვხედავ ძირულას გორაკებს შორის
მორთულს, მოკაზმულს, აყვავებულსა.
სად ჩხერიმელა მიჰქუხს, მიშხუის
ახალ ხიდს ვხედავ ზედ აგებულსა.
წყალში არავინ აღარ ვარდება,
ფეხს არ იტეხენ, მისრიალობენ;
წინედ თუ კაცი ვერ გადიოდა,
ეხლა ურმები მიჭრიალობენ.
ლაშესკენ გზები გაკეთებულა
ასრულდა ხალხის დიდი ხნის ნატვრა.
(სიხარულისგან სამაყარიჩოდ,
ოი, რამდენი გახსნის დღეს დათვრა?!)
შროშამდე ეტლი და ავტო დაჰქრის,
ერთმანეთს აღარ ეჯახებიან.
ისე ფართეა გზა, რომ რვა კაცი
ერთი მეორეს არ ეხებიან.
აგებულია ახალი ჰიდრო
(გადაუგდიათ „დინამო" ძველი).
ქარხნის მუშები მადლიერია
ჰყავთ საყვარელი ქარხნის მმართველი:
შვიდწლედში საქმე მოგვარებულა,
აქ რევიზიას კბილი გაუკრავს.
წყვილად ცოლ-ქმარი რომ მსახურებდა,
აი, იმათთვის ბარგი აუკრავს.
წარმოდგენები იდგმება ხშირად,
სხვა დაბებს ვსჯობნით ყველას ამაში.
კულტმუშაობა ღვივდება კიდევ,
არის: სიმღერა, ცეკვა, თამაში...
ამას რომ ვხედავ გული ხალისობს,
მეც გადავედი, დავიწყე ცეკვა...
მაგრამ, ვაიმე! რა ამბავია
ცემენტის პოლზე ვადინე ბრეგვა.
გამომეღვიძა. თვალები ვეკიტე.
სადგურში ვიყავ... და იყო დილა.
ფუი, დასწყევლოს ღმერთმა ეშმაკი,
ეს ყველაფერი ძილში ყოფილა.
ისმის კასასთან გლეხის ჩივილი:
„ხურდას დამაკელ, დაო, შაური!
ქუდმოგლეჯილი გავარდი გარედ
და მივატოვე აური-ბაური.

ალექსი ალექსაშვილი

ᲯᲔᲠ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ „ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲨᲘ“

ნახ. ნადარეიშვილის.



„ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐᲛᲘᲜᲘᲚᲘ“ ᲓᲐᲬᲘᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ

„მარკის ფული“

პოეტებმა და სტუდენტობამ გამაძვრეს ტყავი, რუსთაველის პროსპექტი ჩემთვის ეშაფოტათ გადაიქცა. თავისუფლად ველარ გამოვლია.

კაცო მე ვარ დამნაშავე, რომ ისინი პოეტები არიან! არა, გეკითხებით მე რა დავუშავე პროვინციელ მამებს, რომლებიც თავიანთ შვილებს უნივერსიტეტში აგზავნიან!?

გავიხედავ მოდის თმა-გაწეწილი, თითქო ბოდლერი იყოს ან რემბო (მილიარდი რომ მისცე ქუდს მაინც არ დაიხურავს) შეგხედავს და გაეხარდება.

— წუხელის დავსწერე ეს ლექსი მეტყვის ჯერ და დაიწყებს შუა ქუჩაში დიდის პათოსით კითხვას. უკანასკნელ სტრიქონებს ორ-ჯერ გავამეორებინებ, (ვითომც ძალიან მომეწონა) და შევსძახებ: „დიდებულია, ნამდვილი პოეტური განცდით დაწერილი“.

მაშ რა გეგონა.. ეს კიდეე რა არის ერთი პოემა დავსწერე ამ დილაზე. ღმერთიეთ, გინდა წაგიკითხო?

— არა შენი ჭირიმე, თუ ძმა ხარ ნუ წაიკითხავ, გენდობი კაცო, შენ ცუდს არ დაწერდი (თავის სიცოცხლეში არაფერი — დაუწერია კარგი). სად გინდა დაბეჭდო, ვხლა ეგ პოემა? — „თითქმის ვედრებით ვეუბნები მე.

— ბევრი მეხვეწება მაგრამ არ ვაძლევ დასაბეჭდათ, სახელგამი წინდაწინ ავანსათ მაძლევს 300 მანეთს.

დავიღუპე აშკარად. სულ იმას ვსცდილობდი, რომ საუბარში ფულზე არ ყოფილიყო ლაპარაკი, ვიცი არ გამიშვებს თუ „მარკის“ ფული არ გამომართვა. მერე თქვენ გგონიათ, უბრალო „წერილებს“ აგზავნის ასეთი ხალხი? 18 კაპეიკიანი „მარკა“ თუ არ დააკრეს ისე არ იზამენ.

— კაცო, ქუთაისში წერილის გაგზავნა მინდა, ხომ იცი ეხლა ფოსტა რა მამაძაღლობას ეწევა, დაზღვეული თუ არ გავგზავნე, ისე არ მიუვა.. კონვერტის და ქაღალდის ფული ქე მაქვს, ახლა ერთი 18 კაპეიკი უნდა მასესხო შენ.. ხვალ დაგიბრუნებ, — ასე თავდება ყოველთვის ჩვენი საუბარი რუსთაველის პროსპექტის პოეტებთან და სტუდენტებთან. მიხარია, რომ მეტს არ მთხოვენ, ვიღებ, 18 კაპეიკის ნაცვლად ვაძლევ აბაზიანს (კარგად ვიცი, რა წერილის გაგზავნაც უნდათ, მაგრამ პირში მხილებას ვერიდები ჯერ-ჯერობით).

დიპლომატიურად იქცევიან. სწორედ იმდენს გთხოვენ, რომ უარს ვერ ეტყვი. კაცს წერილის გასაგზავნათ 18 კ. უნდა, რა პირით ეუბნები უარს... უბედურობა იმაშია, რომ დღეში 20-ჯერ მაინც მიხდება „მარკებისათვის“ ფულის გაცემა.

— კაცო, ეს სახელგამი პირდაპირ დასაწვავია, — ასეთია ყოველთვის მისი პირველი სიტყვები მოსალმებისა და ხელის მაგრად ჩამორთმევის შემდეგ.

— როგორ ბიქო.

— გელაპარაკები დასაწვავია... რაღაც 600 მანეთი გერგება. კაცი პიესას ვფარგმნი, სამი თვეა მაწვალებენ და ფულს ვერ ვეღირსე. სინდისს გეფიცები (**რომელ სინდისზე ლაპარაკობს არ ვიცი**) დღეს წერილის გაგზავნა მინდოდა და მარკის ფული ვერ სად ვიშოვე.

ამ სიტყვებს ისეთი კილოთი ლაპარაკობს ჩემი მოსაუბრე, თითქოს მართლაც სახელგამზე გაჯავრებულიყოს, ნამდვილად კი მაგრძნობინებს, რომ მას „მარკის“ ფული ესაჭიროება“ ვიცი თავს ვერ დავაღწევ, მაგრამ მაინც ვეუბნები:

— ეჰ, არ ღირს ცხოვრება ჩემო ძმაო, მართლაც, რომ დასაწვავია ეგ სახელგამი... სხვა როგორაა შენი საქმე, წიგნს აღარ სკვმ კაცო? ამას წინად წავიკითხე შენი ლექსი, მალადეც, ნამდვილი განცდით იყო დაწერილი, — სიტყვას ბანზე უგდებ, მაგრამ არ შეგეპამოთ ტარაკანამ!

გავცდი ერთი საათი. არაფერი გამოვიდა, ვაძლევ აბაზს „მარკისათვის“.

კიდეც რომ ტყუილებით მბრეავს! ვიცი რა შვილიც არის და რა 600 მანეთიც ერგება სახელგამიდან. პიესა ვთარგმნეო, საიდან უნდა გადმოეთარგმნა, როდესაც სხვა ენაზე რომ დადა შეაგინო, გამარჯობას გეტყვის*).

ჯამაგირის აღებას ხომ სუნით გაიგებენ. რუსთაველის პროსპექტზე გავლის შიშით ხშირად შორი გზა მოგვივლია, რომ შინ მშვიდობით მივსულიყავი.

— გაბაშვილის ქ. ვცხოვრობ, ზეგელთან ახლოს არის, მაგრამ თავისუფლების მოედნიდან ვორონცოვის ხიდზე გავსულვარ. შემდეგ ვერის ღორმართი ამივლია და ისე მივსულვარ სახლში. კარებზე აუცილებლად დამხვდებოდა ბარათების მთელი გროვა.

— „**დღეს ვიყავი შენთან და არ დამხვდი, გამოდი რუსთაველის პროსპექტზე**“. ასეთი შინაარსისაა ყველა წერილები.

ერთხელ ასეთი ბარათი დამხვდა:

— „**ერთ დაერთვი კაცო დღედალაბე. დღეს სამჯერ ვიყავი შენთან... გამოდი რუსთაველის პროსპექტზე**“.

რაშ გააჯავრა ამ ბარათის ავტორი, მაგრამ არ ვიცი, შეიძლება „მარკის“ ფული უნდოდა.

როგორც ზედავთ ყველა წერილების დაბოლოვება ასეთია: „**გამოდი რუსთაველის პროსპექტზე**“. დროს არ მინიშნავენ და ეს გასაგებია, **რადგან** ისინი ყოველთვის რუსთაველის პროსპექტზე **არიან**.

ოა ჩემი ბრალია, რომ ისინი „პოეტებად“ დაიბადენ **და** არა წესიერ ადამიანებად.

თავქარიანი.

*) ეს კი ცოტა მეტი მომივიდა; დედამის გინება მათ ყველა ენაზე მშვენივრად ეხერხებათ.

ლევარსის გამოგონება

ნახ. დონის.

ლევარსიმ გამოიგონა ავტომატი, რომლითაც დაძინებული მდგმური გაიგებს ოთახში ქურდის შემოსვლას. (კარზე მიმაგრებულია ხუთ ფუთიანი გირი, რომელიც კარის გაღებისას ეშვება დაძინებულის თავზე და აღვიძებს მას).

საჩინჯანის თეატრი

„აპრუწუწუნ შენს საქმეს“ —პიესა ესტატე ბურძღალიანის.

დადგმა:— ს. ბრუტიანის, გადმოდგმა— ი. ხუხიანის, გადახალისება— ვ. კუხიანის, შესწორება— ა. გვიზიანის, მონტაჟი— პამპალუკ - პამპალიანის, მუსიკა — ა. გიტარიანის, ბალეტი — ი. კისრიტეხიაშვილის, განათება — ხლაფორთიანის, გაჩაღება — ჩაქრობიანის, კოსტიუმები — თავხურიანის, დეკორაციები — მხ. დადღლაბიანის.

ვინ არ იცის, რომ პიესა ჩვენი ცნობილ მწერლის ესტატე ბურძღლიანისაა. იგი გამოცემულია სახელგამის მიერ, რამაც დიდათ ასიამოვნა, როგორც ავტორი, ისე დამსწრე საზოგადოებაც. ამ პიესაში მოცემულია ხალხის რევოლიუციონურ - ემაციონალური და ინტერნაციონალურ - სპეციალურ - სპეციფიური სულისკვეთების გათვითცნობიერების დინამიკა. ამიტომაცაა, რომ ამ პიესის დადგმა აპრიორულად დიდ ინტერპრეტაციას მოითხოვს და მისი ინსცენიროვკის მთავარი კონცენტრაცია ანტისიმპატიურ სიმპატიების ცენტრში გროვდება. სწორედ ეს ცენტრი არის ამ პიესის გმირების სულის-კლაპიტონის კოოპერაცია, სადაც ნათლად გამოსჭვივის სიმუნლიაცია და მამაკაცთა ემანსიპაცია. სწორედ კარგად შეუთვისებია ეს გარემოება მსახიობ სოსო ხვანცარიას, რომელიც შვენიერია ყველაფრით და უნაკლო აგებულობის მხრივ. მისი ხმა იმდენად ძლიერია და ნაზი სიყვარულის სცენაში, რომ ძალაუნებურად თითს გაირჭობთ ყურებში.

მშვენიერია, აგრეთვე, ცუცუნია კატუნიძის ქალი (კუხარკა), რომელსაც მშვენიერი სახე და განსაკუთრებით ლამაზი თვალები აქვს. მან თავისი პრუწვა-თამაშით სრულიად დაიპყრო აუდიტორია და განსაკუთრებით მამაკაცები. მისი ხმა ოტელოს ხმასავით ნაზია, ისეთი ნაზი, რომ პირველ რიგშიც კი არ ისმის. ეტყობა, რომ ძლიერ განვითარებული აქვს ხმის ტეხნიკა. კარგია პაპუნა ბუშტაძე ჩინელ ოფიცერის ხარა-ხურას როლში. მისი არაჩვეულებრივი ტანი ინგლისელ მამლაყინწასავით მშვენიერი და მომხიბლავია.

ლამაზად ასრულებს მეზღვაურის როლს გაბო ბუთქაძე. მისი ხმა ნამდვილი ურაგანია და გამოხედვა ციკლონი. ტანის მიხვრა-მოხვრა და მიმიკა ფსიქოლოგიურად გამართლებულია. კარგი იქნებოდა ჩერკესკა სცმოდა ტანზე, რომ ამით განსვენებულ მენშევიკების დრეიდნოუტ „ტარიელას“ მეზღვაურს დაემგვანებოდა და ზოგიერთებს გულს გაუხარებდა.

კარგი იყო ჭიჭიკო ბზიკაძეც. არა უშავდა ვანჩკა ბუაძეს. ლამაზი იყო ნინუცა კოხტიაშვილის ქალი. უნაკლო — ნატაშა კვატაშაძე. თავის ადგილს იყო ლიზიკო პემპულია.

კარგები იყვნენ აგრეთვე დანარჩენებიც და დანარჩენების მიმყოლნიც.

ლამაზად შესრულებულია დეკორაციები მხატვარ დადღლაბიანის მიერ. ნახატები კარგი ხარისხის ფერებითაა დახატული. დადღლაბიანის ხატვის სტილი პიფაგორეს თეორემას წააგავს და არხიმედის ფანტაზიითაა შესრულებული. კარგი იქნებოდა, რომ მე-3-ე მოქმედებაში ტყის ილუზია მოცემული ყოფილიყო არა ბურთის მსგავს ფიგურებით, არამედ ხეოფსის პირამიდის მზგავსად.

ალფეზა გიტარიანის მუსიკა ერთობ კარგადაა დაწერილი. ა. გიტარიანი კარგი ლოტბარიცაა. მისი ხელების ქნევა არწივის ფრთების ფრიალს მოგაგონებთ და მსი მუსიკა ორბის წივილს (ალაგ-ალაგ ხბოს ბღავილს). კარგადაა შეზავებული მეორე მოქმედებაში არლნის მელოდია და ბალეტ „მომაკვდავ ბატის“ მუსიკა, რომელიც ხელოვნურად ამოღებულია სპარსულ კომპოზიტორ ჰერბარტ ჰაუპტმანის ნაწარმოებიდან.

მშვენიერია ბალეტი. დედაკაცების დავლური მთავარიან ლამეში კარგადაა დადგმული. კარგია აგრეთვე ცეკვა კრეისერზე, სადაც მოცეკვავენი ცალი ფეხით ასრულებენ ცეკვას. ასეთი ლეკური პირველად იდგმება სცენაზე, რაც ამხ. კისრიტეხიაშვილის დიდი ნიჭის შემწეობითაა პოეტემული ფუტურ - ექსპრესიონისტული სტილით გადაკვარახჭინებული.

კარგი განათებულია სცენა. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამხ. ხლაფორთიანს დიდი უნარი და მიღწევა გამოუჩენია სინათლის ეფექტების მოცემაში. ელექტრონის სინათლის ტეხნიკა იმდენად გაუმჯობესებულია ხლაფორთიანის მიერ, რომ ის რამოდენიმე ელექტროლამპას ერთბაშად აქრობს და ერთბაშად ანათებს.

დაბოლოს, უდიდესი და უსაზღვრო მადლობა სუფლიორ ამხ. ლრიალიძეს, რომელიც შესანიშნავი იყო თავის როლში, მისი ხმა იმდენად მშვენივრად და მკაფიოდ ისმოდა, რომ თვით ქანდარამდეც კი აღწევდა. განსაკუთრებით მადლობელი დარჩენ ამხ. ლრიალიძის მსახიობები, რომლებიც ამხანაგური ვახშამით გაუმასპინძლდენ მას სპექტაკლის შემდეგ.

დაბოლოს საზოგადოებამ დიდი ოვაციები გაუმართა დამდგმელს და მონაწილეთ.

წარმოდგენა გათავდა დილის 4 საათზე. სასურველია ასე ადრე თავდებოდეს წარმოდგენები ყველგან.

გამოცდილი რეცენზენტი.

ნახ. კ. მიქაბერიძის.

ალხაზიშვილი:

— **შემდეგი ჩემი ოცნება კინო-რეჟისორობაა!**

ხუნჭულოური

ბოროტებას ველარ დავეფარები,
უნდა ენახო ეკლესიის კარები.
იცი, ძმაო, საქმე არის ამაში—
მუდამ არის იქ კარტისა თამაში.
ამ საქმესა უჭდა ჩემგან მხილება...
ხშირად არის მათში განხეთქილება;
მასთან არის: ჩხუბი, აურ-ზაური
და ჰყვირიან: „შენ დამაკელ შაური!“
სანიტკომსა მსურს ვუმღერო ნანაო;
აქ არ არის აღარც ერთი კანაო,
არხი არ გვაქვს და ვცურაობთ წყალშია
ტბები არის ყველგან გზების კვალშია
ველარ გახვალ, თუ არ გექნა ნავია
თქვენ კითხულობთ: „ეს აქ რა ამბავია?“
ალექსანდრეს სერაპიონ სჯობია.
(თუმც ორივე არის სოფლის ობია).
მევახშეა და ვერ სძლევენ ერთმანეთს,
რომ თუმანზე ღებულობენ ერთ მანეთს.
ორივეს ჰყავს უსტაბაშათ კოლია,
ამ საქმეში რომელს არ ჰყავს ტოლია.
აღმასკომო, სჯობს ალაგმო ყველაო,
რომ მიეცეს სოფელს მათგან შველაო.

„ცხრათვალა“.

კითხვა-პასუხი

ს. ოგბჩისათვის.

კითხვა:—რა უფრო გრძელია ქვეყანაზე?

პასუხი:—მიხ. ბურჯანაძის გალსტუკი და ჩვენი კედლის გაზეთის წერილები.

— მასწავლებელ ვარდანიძემ რა ახალი აღმოჩენა მოახდინა საქართველოს გეოგრაფიაში?

— მან მოწაფეებს აუხსნა და შეასწავლა, რომ მტკვარი გამოდის კასპიის ზღვიდან და ჩადის შავ ზღვაშიო.

კითხვა: — ვის არ მოსწონს ობჩაში თვითკრიტიკა?

პასუხი:—მანაველ ურჩაძეს. სხვამ რომ „უშნოდ დააცხინკოს“, მაშინვე კედლის-გაზეთში გასწერს. თვითონ მან კი მოწაფეებს წელი მოსწყვიტა ნალიაში სიმინდის „ჩანთვრით“ (უცხო სიტყვაა და ნიშნავს ზიდვას).

სვირისათვის

კითხვა:—რას უჩნდება ქაფი?

პასუხი:—თუ კაცი მოინდომებს — ყველაფერს. მაგალითად: წელს „ეამსა სურსათვის კრიზისისა“ კოოპერატივის გამგემ ჩიტორელიძემ ქაფი გაადინა 40 ფუთ სიმინდს.

— რა უფრო ხშირად იცვლება ჩვენს რაიონში?

— მილიციის უფროსები, რის მიზეზიც არის: „ღვინო, დუდუკი... ქრთამები“. (თუმცაღა, უკანასკნელად, ვაჭარაძეს აჯამეთის მუხეზიც კი გაეჩხირა ყელში).

„ოგბჩინსკი“

ს. მატანი (კახეთი)

ძნელია მოსვლა მატანში,
კისერ-სატეხი გზებია.
მაგრამ შენ, ჩვენო ტარტაროზ,
უფრო უარესიც მრგებია.
მოგვინახულე... საკბილოს
აქაც გიშოვით ბლომათა.
კოოპერატივი გეყოფა
საუზმედ, გასაძღომათა.
ფრთხილად იყავი მხოლოდ კი,
გაბრიელ შიგ ნოქარია.
თუ „სხვანაირად“ შეგხედა,
თავში დაჰბერავს ქარია...
ისეთს გიყვირებს, რომ კედლებს
გაჰქონდეს სულ ზანზარია.
მაგრამ შენ თავსა უშველე,
ლია იქნება კარია.
გაიქეც, გადაირბინე,
გადაიარე ტყენია.
იქ მოგესმება ცულის ხმა,
იჭრება ბევრი ხენია.
ტყის მცველი კოტე არ უშლის,
მადლიერი ჰყავს ყველანი.
(რა ვუყოთ, მერე, თუ კოტემ
ტყეები შეათხელაო!).

წვერმწვეტი.

ოზურგეთი

„ეპოქ“

გალოგრესთან თუ საქმე გაქვთ
დაპირება იცის ბრტყელი,—
მაგრამ საქმის კეთებაზე,
არ ინძრევა მისი ხელი.
ილარიონს, თურმე ჩოთქზე
დაჰბნევია სადღაც „რუბლი“.
ვაცს დავთრები არევია,
მოღუშული აქვს მას შუბლი.
ჩხაიძეს კი ლაპარაკი
„ურჩევნია სულსა, გულსა“
ერთ დღეს ძალუძს ქვეყნის შექმნა
სიტყვით ენა მოქარგულსა.

„ბლავბუხს“ თურმე (მეც ქე ვნახე)
ჭეშვია მაღლა ცხვირი
და ფეხებზე არ ჰკიდია
მოვხმარებელთ გასაჭირი.
ვასაძე კი გამგე არის,
კაცი არის ის მართალი,—
მაგრამ ზამთარს რად ვერ ხედავს?
რად არ მოაქვს მას ფართალი?
ვინ იყიდის ოდეკოლონს?
ვის რად უნდა: პუდრი, დუხი?
ამას სჯობს, რომ—მოიტანოს:
ფანელი და ნარმა რუხი.

იუმორტარკორი.

სოფ. შუხუთი (ოს. მაზ.)

აღმასკომში ანარიცხ ფულს
გაადინა ვიღაც ქაფი,
შემყლაპველის შესაპყრობად
უკვე მზად აქვთ კოქის ძაფი.
ბენო ბრალს სდებს დავითაძეს
და ბრალდებას თავით არ იდებს;
დავითა კი ფულის შეჭმას
თვით ბენოზე მიუთითებს.
ბენომ—დათას, დათამ— ბენოს...
მეტი არსად მინახია....
(ალბად ეს თუ „დედა-ენის“
„თხამ შეჭამა ვენახია“!).

—:—

ეხლა ვნახოთ, ტარტაროზო,
ჩვენი სოფლის სამკითხველო.
ბარაქალა კი გეკუთვნის
შიგ გაზეთის, წამკითხველო.
მიკვირს, მაინც, როგორ შეჭმნეს
იქ წესრიგი ასეთია:
მაგიდაზე დაფლეთილი
შარშანდელი გაზეთია.

„ზიკა“.

ღვაბზუ

(ოზურგეთის მაზრა)

მინადორა ეკიმბაში

ჩვენი თემის „ქირურგია“.
ზოგს დაულპო თეძო-წელი,
ზოგს—გვერდები და ზურგია.
ხუთიოდე დააკოკლა,
სამს გაუხმო ცალი ხელი.
(ვერ უშველა მას წამალმა,
თუმც წამალი იყო ცხელი).
სხვა წამლობაც იცის ბევრი...
მუცლის მოშლა ხომ ხშირია,—
(ამ საქმეში სპეცი არის)
წამალი კი—ნახშირია...
დააფრქვევს და გასძრავს წყალში,
შიგ ჩაურთავს ბალახ-ბულახს.
შეასმევს და მუცელს მოსწყვეტს,
ქალს კი არა, მგონი ულაყს.
აღმასკომის თავმჯდომარეს,
მის მეზობელს და ჩვენს ვანოს
დავავალოთ, რომ ეს ქალი
მოგვაშოროს... წაიყვანოს.

ყაჟი.

ქუთაისი

ქუთაისის რკინის გზის
ქსენონს ბედი არ სწყალობს.
გეგმა გეგმით იცვლება
ავადმყოფობს და წვალობს.
ბიუჯეტი კლოზეტის
მიმოწერამ დაჰფარა.
ვერ იშოვეს ამდენხანს
საამისო აქ ფარა.
ვეჩე-პეჩე ქაღალდებს
სწერენ წარა-მარადა.
ეს ამბავი გადიქცა
გამოუცნობ შარადათ.

რიგ.

მუშკოოპში

„ფართო მასებისათვის წიგნების მიწოდების მიზნით, განზრახულია მუშკოოპმა აწარმოოს წიგნებით ვაჭრობა“
(ქრონიკიდან).

ნახ. დონის.

— დედი, საჭირო წიგნია, წაიღე!
— არა, შვილო, მაგ წიგნი არმინდა, საჩივრის წიგნი მომეცი...

ივანეს სიძე, ანუ ღლაგუცაძეს „თვითკრიტიკა“

ნაწაბლარი ძლიერ ჩამორჩენილი სოფელია, არც ქალაქიდან ჩადიოდა აქ ვინმე. მართალია, ივანე დევიძეს ყავდა ტფილისელი სიძე, მაგრამ სოფელს მაინცდამაინც არც კი ეკადრებოდა.

კვირა დღე იყო, ნაწაბლარის გლეხებს კრება ჰქონდათ. ის იყო თავმჯდომარეს კრება უნდა გაეხსნა, რომ ივანემ წამოიძახა:

— აი, ჩემი სიძე მოდის, აწი რა გვიჭირს, სოფელს დაგვეხმარება და ხელი მიაშვირა მომავალ ალექსი ღლაბუცაძისაკენ, რომელიც ინდიურივით იბერებოდა და კისერზე ბანტს ხმირად ისწორებდა.

თავმჯდომარეს ძლიერ გაეხარდა ეს, ისარგებლა ამ შემთხვევით და დღის წესრიგში შეიტანა „თვითკრიტიკის ლოზუნგის მნიშვნელობა“.

— ღლაბუცაძეზე უკეთეს მომხსენებელს ვის ვიშოვი?!—სთქვა მან და სთხოვა ღლაბუცაძეს მოხსენება გაეკეთებია.

თავმჯდომარეს კი გაეხარდა ღლაბუცაძის ჩამოსვლა ტფილისიდან, მაგრამ ერთი თვით ღლაბუცაძის ჭდგომარეობა გეკითხათ?

— რა უნდა ვსთქვა, რაც არაფერი ვიცი, მაგრამ „მოვალე ვართ ქალაქიდან ჩამოსული სოფელს უნდა დავეხმაროთ“ — გაახსენდა ოდესლაც გაზეთში წაკითხული. მეტი რა ღონე იყო, კრება თვალებში შეუყურებოდა ღლაბუცაძეს და უნდა ეთქვა რამე, მანაც დაიწყო:

— ტაბილო მეზობლებო, მე მოკლეთ ვიტყვი, რადგან ლა ვინაიდან თვითკრიტიკა მოითხოვს დროს არ დაკარგვას და ვალაკიტასთან, ბიუროკრატიზმთან ბრძოლას. თვითკრიტიკა, ეს ის თვითკრიტიკაა, რომელიც თვითკრიტიკაც, რომა უნდა გაეყოთ ორ სიტყვათ თვით და კრიტიკა .თვით არის — მე, კრიტიკა მოგეხსენებათ, ალბათ, წაგიკითხავთ აკაკი წერეთელზე, კრიტიკა, თვითკრიტიკა, რადგან ორად იყოფა, ამიტომ ის ორნაირია: თვითკრიტიკა — ზევიდან და თვით კრიტიკა ქვევიდან.

უკეთ რომ გაიგოთ, მოვიყვან მაგალითს ჩემი ცხოვრებიდან. მე, მე თვით გაუკეთე ჩემს თავს კრიტიკა. ესე იგი, მოვახდინე თვითკრიტიკა, ზევიდან გასაგებია თუ არა, ტაბილო მეზობლებო.

— გასაგებია, გასაგები — შესძახეს ერთხმად. განსაკუთრებით კი სიმამრმა ივანემ.

მეორე, ეს არის თვითკრიტიკა ქვევიდან. აქაც ჩემი ცხოვრებიდან მოვიყვან მაგალითს:

„მე ტფილისში ამას წინად ჩავედი ქვევით, „პადვალში“, სამეკიტნოში. როცა ღვინო დავლიე, და გამოვძეხი, მერე ზევით ამოველი, რომ ფული არ მქონდა. მეც ავდექი და ქვევიდან ზევით ამოველი, არაფერი არ გადამხდია, ისე. ამას ქვია თვითკრიტიკა, ქვევიდან ზევით.

ზნაჩიტ თვითკრიტიკა არის ისეთი თვითკრიტიკა, რომელი თვითკრიტიკაც ებრძვის პროტექციას, იცავს ნაცნობობას და უკეთებს აბლომაკენიას, მართალია, არა ჩემს სიმამრს— დაათავა ღლაბუცაძემ და კმაყოფილი დაჯდა.

— პეტრე, რა თქვა ღლაბუცაძემ, კაკო, თუ იცი.

— მე ვერაფერი გავიგე, — ასეთი საუბრით დაიშალა კრება.

— დიდებული მოხსენება გააკეთე ამხანაგო ღლაბუცაძე,— აქედან საღეგრძელოში კრების თავმჯდომარე ალექსას სიმამრისას მეორე დღეს,

სიმამრ ივანეს არაფერი გაეშვა სახლში დაუკლავი და ღლაბუცაძეც მადა გახსნილი ხეთქავდა სიმამრის დოვლათს. ვინ იცის, სანამ არ იქეიფებდა „ნასწავლი“ ტფილისელი ალექსა, რომ ამხანაგისაგან დეპეშა არ მიეღო — ალექსა მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოიძია შენი საქმე და ხამსახურიდან მოგხსნა, ასე რომ, შეგიძლია შვებულება განაგრძო.

ალექსამ წაიკითხა დეპეშა და სტუმრების გასაგონათ ხმა - ამაღლა სთქვა: „ჩორტ ემუ ზნაეტ. მუშათა და გლეხთა ინსპექცია უჩემოთ ვერ ნუშაობს. დეპეშა მივიღე: ჩამოდი, თორემ უშენოთ საქმე ფუჭდებაო“. ‘ბიშით კი გული საგულიდან უვარდებოდა და გულის დასამშვიდებლათ, გავიდა მეორე ოთახში.

ივანიკა.

ქანდარაზე

გათოლმის თეატრში

ნახ. დონის.



მოხუცი (ახალგაზრდას): —უმაწვილო, არ გადავარდე, თორემ ქვემოდ ბილეთი სამი მანეთი ღირს!..

ლაგოდეხი (კახეთი)

დაბა ლაგოდეხს ვეწვიოთ,
ვნახოთ სხვადასხვა დარგია.
მით შეგვეძლება გავიგოთ,
ვათი ავი და კარგია.
პირველად „ეპო"-ს მივმართოთ
და ვკითხოთ რაც ნამდვილია.
(წარმოებისა უფროსი
გიორგი ყანჩაშვილია):
— ასე ამბობენ, გეთაყვა:
„ბუხჰალტერია ბრალშია,
დაეთრგებში ჩუმად ეშმაკობს,
მიეცეს სამართალშია.
როგორც შენ გამგე ამათი,
დროზე მოიღე ზომები,
გშართებს შენ მეტი სიფრთხილე,
ნურავის ეთვისტომები.
საკრედიტოში შევიდეთ,
არ დაგვიჯდება ძვირია.
იქაც შეგვხვდება საკბილო,
არ არის გასაკვირია.
სმათი გამგე გავიცნოთ,
იოსებ ბეჟაშვილია,
ბიუროკრატობს ბოლო დროს,
არ ახსოვს ვისი შვილია.
არც მილიცია დავტოვოთ,
იქაც მივიდეთ ფრთხილადა,
რაც ნაკლი ვნახოთ, ვამხილოდ
აშკარად, გულახდილადა.
ტელეფონით სდევს ყაჩაღებს:
—„თუ დაინახეთ მანდაო?
ტანისამოსი რა ეცვა?
ან საბით ვისა ჰგვანდაო?".
სამი დღის შემდეგ გადასწყვეტს
წასვლას შემთხვევის ადგილზე,
გასწევენ ნელი ნაბიჯით,
დრკებიან ტურის კნაილზე.
ტარტაროზ, უფროსს უჩხვლიტე,
გააზრიალე ტან'შია;
ხელი წააელე ფეხებში,
ისროლე ალაზანშია.
შაბათ, ან კვირა საღამოს
იხსნება ჩვენი კლუბია, —
მაგრამ დარბაზში ვერ შეხვალ,
კარებში დიდი ჩხუბია.

ფალანგა.

კინჩხას თემი

სინდის ვფიცავ, ტარტაროზო,
არავის ვაქვს შური, ჟინა,
(უტეხია იასონი
მან თუ რამე დაიჟინა).

ის გლეხკომის თავმჯდომარედ
სოფელ კინჩხას მოეელინა,
სამიკიტნო გაგვიხსნა და...
სამკითხველოს არ აქვს ბინა.

ორი თვის წინ სოფელ კინჩხას
სასადილო გაგვიფინა,
ღვინო წინედ კარგი ჰქონდა,
ეხლა კი აქვს, როგორც ქინა.

თანხა თვითონ გამონახა,
სასადილოს გამგისთვინა,
სამოცდაათ პროცენტს აძლევს
(ყველა ყბედობს ამისთვინა).

ორი თვეა, რაც აქ ვაჭრობს
უპატრონოთ, და იწყინა
როცა ჰკითხეს, თუ პატენტმა
ამდენ ხანს რათ მიიძინა.

სად გლეხკომის სასადილო,
სად სიმღერა და ყიჟინა,
თერამეტ თუმანს (მოსაგები),
დახლში მისცა მყუდრო ბინა.

ვის უნახავს მოგებანი
მცირე ხანში ეგზომ დიდი...
ან განაგე სამკითხველო,
ან აქედან მალე მიდი.

შიხლინსკი ბომბ.

პატარა ჯიხაიში

ათეული წელი გადის
სოფელს წინსელა არ ეტყობა,
მინგრეული ძველი სკოლა
აგერ-აგერ დაემხობა.

შუადამ არის: ჩხუბი, დავა,—
გაიტანონ უნდათ ლელო.
ყველას უნდა —მის ჟიშკართან
დადგას სკოლა - სამკითხველო.

საპატიმროს მოგაგონებთ
სამკითხველო დაკეტილი.
კაცი სოფელს აღარა ჰყავს
საქმიანი და კეთილი.

კოოპერატივს რა უშავს
თუ არ გაწყრა აწი „ლშერთი"
და სიფრთხილით უნდა ყოფნა,
აქაც არის ნაკლი ერთი.

აღვასკომო, მოგვეხმარე,
ცოტა მაინც აწიაო,
რა იჭნება, რომ არ გვაკლდეს
ყურაღღება პაწიაო.

უზრდელ სიტყვებს ხალხში ამბობს
ქეიფის დროს ჰეჟიკია.
ამ სენს თუ კი მოიშორებს
სხვაფრივ კარგი ბიჭი კია.

ლამაზ ქალებს ხელზე კოცნის
ასისთავი ლადიაო,
ვარტს და ღვინოს ეტანება,
სხვა არარა სწადიაო.

სანო.

ჭნობილის ფოლგა

ილია მიხ... ყველაფერი ბეკრია ამ თქვენს წერილში: **„ქინძი, ოხრახუში, ნიახური, სტაფილო, ბოლოკი, ლობიო“**... მაგრამ შიგ არ ურევია მარილი და პილპილი. ამიტომ არის ასე უგემური.

„ვაი, შენ დეიდუპე“-ს (სვირი): — თქვენს წერილსაც სწორედ ასე შეემთხვა. გადარჩა მხოლოდ ეს ოთხი სტრიქონი:

საკრედიტოში შებრძანდი,
იქ ინახულე ჯუღელი.
მისგან ვართ ყველა ტანჯული,
კისერზე გვადგას უღელი.

მარანჭალელს (საქილაო):—პირველად როცა წაიკითხეთ:

თემის თავმჯდომარედ
არის პარმენ ნინუა.
ხშირად უყვარს დასალევად
არაყი და „ნუნუა“,—ჩვენ ვიფიქრეთ რიტმისათვის სდებდით ბრალს. მაგრამ, როცა ქვემოდ წაიკითხეთ:

ღამ-ღამობით სოფელში
დაძვრება ვით მელია,
არშიყობას ქალებში
პარმენ გადაელია,—დაარწმუნდით თქვენს სიმართლეში. (თუმცა-ღა პარმენ თავს იმართლებს: „მე იმიტომ დავდივარ ღამ-ღამობით, რომ—ღამითაც კი თავს დავსტრიალებ და ვეარაულობ ჩემს თემს“-ო).

ქვიტირელ კერკეტს (ქალე-კუთხე):—ტყვილად საყვედურობთ სამკითხველოზე:

როდესაც ვხედავთ ასეთსა
გული მწუხარედ ლონდება.
შიგ სიმღერაა ისეთი,
ოპერა მოგაგონდება.

თქვენ გგონიათ ოპერა (თეატრი) სამკითხველოზე ნაკლები კულტურული დაწესებულებაა?!

ეკალს (ხონი):—თქვენი მესტვირული ასე თავდება:

ტარტაროზ, აქ შევაჩერებ
დროებით ლექსის წერასა.
მომავლიზა, ვეცდები
და მოგაწვდი ახალსა.

ჩვენ კი გირჩევდით—დროებით კი არა, სულ შეაჩეროთ ლექსის წერა.

ხოტხოტაზას (ყულევი):—თქვენ გგონიათ, რომ მილიციამ არ იცის:

ძაძუ, დათიკო ქურდულად
დუქანში არაყს ჭყიდიან.
დავთარში თაფლს ნახულობენ,
როცა „ობისკზე“ მიდიან...

მოხერხებულნი არიან ძაძუ და დათიკო: დავთარში არაყის მაგიერ თაფლს სწერენ. ეჰ! ამას ადვილად მიხვდებოდა მილიცია, რომ მასაც არ უყვარდეს არაყის ხუხვა.

„ზურ-ნას“ (საწირე):—აბა, რა ჩვენი (და მით უფრო რა შენი) საქმე, თუ:

ქმრიან ქალსა და ცოლიანს
შეუყვარდათ ერთმანეთი.
მოსე მაროს ეფიცება
შეგირთავო, თუ მწამს ღმერთი.

ბაბაჩოს (ქუთაისი):—თუ თქვენ ამ წერილზე გაგეცინა,—ავად ყოფილხართ და მიმართეთ ფსიქიატრ ექიმს.

ბ. მ. ფ.-ს:—სტუდენტი კაცი ყოფილხართ, და ამაზე უკეთესი წერა არ იცით?! ასეთ ლექსს ვარდენ ღვინკითელიც კი დასწერს!

აბა, ეს რა ლექსია?:

შუშების მტვრევა, გინება
მოვლენა ერთობ ხშირია.
ჩვენს სტუდენტობას აკლია
დღეს მხოლოდ მუშტი-კრივია.

(ამ ბედნიერებას ტარტაროზი თქვენ აღარ მოგაკლებ. დათ ამ ლექსის დაწერისათვის, რომ ეხლა მის ახლოს ეყოთ).

„შურა-ტარაკანა“-ს:—თქვენი გოდება: „თავო ჩემო ბედი არ გიწერია“, მართალია. ხოლო თუ თქვენ გგონიათ, რომ ამ ლექსის „ტარტაროზში“ დაბეჭდვა გაგაბედნიერებს, ვბეჭდავთ ამ სტრიქონებს:

ეჰ, ფულებო, რა დროს მიწიეთ ყინი?!
სახლში ვზივარ ,ლამის შემერყეს ტვინი.

ეს არ მოხდება: ტვინის შერყევიდან უზრუნველყოფილი ხართ თქვენ. მოიგონეთ (თუ თქვენ არ იცით, სხვებს ჰკითხეთ მოლას ჰასუხი, როცა მას უთხრეს შვილის ჭკუიდან შეშლის შესახებ).

ნარს: ახირებული პრეტენზიები გქონებიათ. მაშ როდის უნდა დაისვენონ? კვირაში ერთი დღე ყველას ეკუთვნის დასასვენებლად. ღმერთი ხომ ყოველად ძლიერი კაცია, მაგრამ როცა იგი ქვეყანას ქმნიდა, ისე დაიღალა, რომ მეშვიდე დღეს დაისვენა... დაისვენა და მას შემდეგ სულ ისვენებს, რადგან სამუშაო აღარაფერი აქვს. (მეორე ქვეყანა რომ შექმნას, სულ ერთია, იმსაც ჩამოარომეენ). ასე და ამგვარად პროფინციელ მუშაკებსაც ეკუთვნის დასასვენებელი დღე.

მტირალს:—გვწერთ—გავუშვათ განცხადება, რომ თქვენ ჭკუა დაკარგეთ და ჩაითვალოს გაუქმებულად. ლევარსიმ ეჭვი შეიტანა ამ თქვენს განცხადებაში: „რაც არ ჰქონდა, რას დაკარგავდა... ანდა რაღა გაუქმება უნდა: არაფერიც რომ არ დაჰკარგოდა. მაინც გაუქმებულად ითვლებოდეო“.

მაიმუნს (სვირი):—თქვენი ლექსი სავსებით თქვენი ასლია:

ეხლა გთხოვ ყური დამიგდო,
გითხრა ჩვენი გასაჭირი.
ფეხადგილების გაზით
არ გვივარგა, ძმაო, ცხვირი.

და უსაყვედურებთ სანიტკომისიას, რომ ის ფეხისაღიგს არ ეკარებაო. თუ ასეთ ანტისანიტარულ მდგომარეობაშია, როგორ უნდა გაეკაროს?! ცხვირი სანიტკომისიის წევრებსაც აქვთ.

ვალპახს (ქოლობანი და მარან-ჭალა): თუ:

დალაქი სანდრო მიქაძე
ტაკვს აძრობს ყარტით მუშტრებსა.
ამ ნიადაგზე იქ ხშირად
ფრიალი გააქვთ მუშტებსა,—ნამდვილი დალაქი ყოფილა: პარსავს როგორც წვერს, ისე ჯიბეს. და მუშტარი ყოველმხრივ გაწმენდილი ბრუნდება სახლში

ხოლო, რაც შეეხება მეჩექმე ჩოჩიას, რომ ის:

არ გამოდგება აღმზრდელად
ვინც თითონ აღსაზრდელია, — ამაში ჩვენ გეთანხმებით... აღბად კავშირიც დაგვეთანხმება და შეგირდს დაიცავს.

[illegible] ტარტაროზის [illegible] ტარტაროზ.კაბინეტ [illegible]

მთავარი ესაა?

ნახ. ნადარეიშვილის

— ჰა, გამოსაკვნილი ცხვირსახოცი, და არ დაგავიწყდეს გაზ. „მუშა“-ს და „ტარტაროზი“-ს გამოწერა

კვირა. 2 დეკემბერი 1928 წ. № 181 ფელიეტონი მეხუთე ფასი 15 კაპ.

ბაზიანური

ი ბ ე ლ ი

ნახ. ნადარეიშვილის

„ზოგ რაიონებს არა ჰყავთ შრომის ინსპექტორები და მიწერილი არიან შორეულ ქალაქების შრომის ინსპექტორებზე".

— მადლობა ღმერთს, ახალი მთვარე გამოჩნდა, — ალბად, შრომის ინსპექტორი ჩვენს ქარხანასაც ესტუმრებაო!

ქუდის სიმძიმე და თავის გამოჩენა

მეფე ბორის გადუნოვმა ერთხელ წამოიძახა: „მძიმე ხარ შენ, „ვონომახის“ ქუდო“-ო. მე მეფის ქუდს ფეხსახვევადაც არ ვიხმარ, მაგრამ რედაქტორის ქუდის სიმძიმეს კი სწორედ ჩემი კეთილის ნსურველს, თუ ყველას არა, ბევრს მაინც არ ეუსურვებდი.

მართალია, ჩემი რედაქტორობა ბორის გოდუნოვის მეფობას ძალიან ჰგავს შორეული ანალოგიით მაინც, მაგრამ თუ გოდუნოვმა თავი ისახელა ამ ცნობილი აფორიზმით მეფობის შესახებ, ვე, სულ რომ ძაღლი ყუდით მიმათრევდეს, მაინც რედაქტორი ვარ, კაცი გონება - გახსნილი, ენალმისა და სიტყვის ოსტატი, ასე გასინჯეთ — მწერალთა ფედერაციის წევრიც და მე თუ ქვეყნად კიდევ ერთი კუდა - აფორიზმი მაინც ვერ დავტოვე, ცხადია, ჩემი საქმე ხელიდან წარსულა ყოფილა, და რაღა სხვებმა მაყენონ რედაქტორობიდან, ვოდი, თვითონ მე ვიტყვი მაზედ უარს, ერთი გურულის არ იყვეს, რომელზეც თურმე სასამართლოში ამ უკანასკნელის ჭკვევით აღშფოთებულმა ერთმა მოსამართლემ განრისხებით ბრძანა: „გაიყვანეთ აქედან“-ო; ამაზე გურულმა მოსწრებულად ვუთხრა: „დედავ, ღმერთო, ეი მომკალი, გამიყვანონ, რავა, ეუტი ვარ თუ ჩემით ვერ გავალო“-ო. სთქვა და იმავ წამსვე მიატოვა სასამართლოს დარბაზი.

ჰო და მე რისთვის უნდა გამიძნელდეს სარედაქციო კალათის გვერდით პიფიასსავით ყუნცული, ვედარ გამიგია. ერთ მშვენიერ დღეს ავდგები და ეივატოვებ ამ ადგილს. მე შენ გეტყვი და დარდი წამყვება-...

იდარდონ მწერლებმა და შემდეგ — მკითხველებმა!

თუმცა, მე რომ დღევანდელ „მწერლებს“ ვარ გაცნობილი, არა მგონია, რომ ჩემმა წასვლამ მათში რაიმე წყენა და დარდი გამოიწვიოს.

— როგორ, შენ, თანამედროვე რედაქტორი, საბჭოთა უერთგულესი მუშაკი თანამედროვე მწერლების წინააღმდეგი ხარ — შეშეკითხება ერთ-ერთ მკითხველი.

ზოგი მკითხველის გულუბრყვილობითა და გამოუცდელობით ბევრი მწერალი სარგებლობს დღეს. და რომ რედაქტორი არ იყვეს მწერალსა და მკითხველს შუა, ბევრი ასეთი გულუბრყვილო დაიწყეველდა თავებედს. ახლა კი, ჩემის მეოხებით აგერ ჩვენი სარედაქციო კალათი ინაწილებს მათს მწუხარებას. თუმცა ამ კალათის სიუტიფრე იმდენად აღემატება ზოგი მწერლის სიუტიფრეს, რომ თითქმის არავითარ ანგარიშს არ უწევს დღეს ეგრედწოდებულ ინდუსტრიალიზაციის საქმეში. წამოყენებულ „ტემპის“ საკითხს, და ავტორთა მიერ დასაბეჭდათ განზრახულ „სალიტერატურო მასალას“, იმავე მიზნით ჩვენსკენ სასწრაფოდ ფრენილს, ის ყოვლად აღუშფოთებლად იტევს და ითავსებს თავის საკმაოდ გამობერილსა და უძირო მუცელში.

სწორეთ დედამიწის სამძიმო რამეა ჩვენი სარედაქციო კალათი. თანამედროვე ჩვენი ფოსტა ხოვ სისწრაფის რეკორდს ამყარებს დღეს ეგრედწოდებულ საფოსტო ამანათების ყლაპვის საქმეში; ჩვენი სარედაქციო კალათი ამ ყლაპვის საქმეში თვით ფოსტასაც კი წინ უსწრებს და აფასებს.

კიდევ მეტი.

ფოსტა ვერც კი ასდის ჩვენი სარედაქციო კალათის მოთხოვნილებას. ზოგი შემაფერხებელი მიზეზებით ჩამოვარდნილი დროებითი პაუზის კრიზისიც კი თითქმის მიქარვაა ჩვენი სარედაქციო კალათის, მოთხოვნილებასა და ფოსტის მიწოდებას შორის არსებულ დისპროპორციასთან შედარებით, ეიუხედავათ სამწერლო პროდუქციის საწარმოო ტემპის სისწრაფისა.

დიახ, ტემპერამენტიანი ხალხია ჩვენი მწერლები. უწინ მწერალს თავის ნაწერების ბეჭდვასა და ამ გზით თავის გამოჩენაში დიდათ უშლიდა ხელს ქუდის სიმძიმე, ანუ ბეჭდვა იმისა, რასაც დასწერდა. ზოგ დღევანდელ მწერალს კი ჯერ კარგად მოაზრებულიც არ აქვს, თუ რა უნდა დასწეროს, რომ რედაქციას ელვის უსწრაფეს ცნობას უგზავნის მისი დაბეჭდვის შესახებ. და, განა, ერთ ცნობას? ორს, სამს. ოთხს, ხშირად— ათსაც. ამაში მას არც ჩვენი ფოსტის ჰიპოპოტამური სინაზე უშლის ხელს და არც ჩვენი გოდრის მუცლის სიმძიმე.

— მოჭალაქე რედაქტორო ეურნალ „ტარტაროზისა“, იწერება ერთ-ერთ თვით მოპერსპექტივე თანამშრომელი — ვე ვითვლები ჩვენი ოთხწლედის მესამე ჯგუფის სანიტარული სექციის ხელმძღვანელ ცენტრის მომავალ კანდიდატთ, რადგან ამ არჩევნებზე მხოლოდ ერთი ხმით ვიყავი დასაჯელებული, რომელი მიზეზის გამო, სექციის ცენტრის შემადგენლობაში ვერ გავედი. ეიუხედავათ ამისა, მე მაინც ვიმედოვნებ, რომ მომავალ არჩევნებში უეჭველად გავიმარჯვებ. ჯერ-ჯერობით კი განზრახული მაქვს ვითანამშრომლო თქვენს ეურნალში და ამ მიზართულებით გამოვიჩინო თავი...

— ჰმ. — ეკითხება ჩვენ სარედაქციო კალათს: მოიტა მეათედ ეგ კვეხნია - სეხნია სანიტარი აქეთ...

— მიჭალაქე!... ჩვენი ეურნალიც სწორედ სანიტარული არის ნაწილობრივ მაინც... ვაშოშინებ მე ჯიუტ კალათს.

— ნაწილობრივ არა, ასი პროცენტით, ისე, როგორც მე, მაგრამ მაინც ეიტა ეგ „სანიტარი“ აქეთ...

და მეც იძულებული ვარ დავუთმო გაუმაძღარ სანიტარს.

— მოწყალეო ხელმწიფეო, მოწყალე სანიტსექციის მოწყალე ცენტრის მომავალი წევრობის მოწყალე პრეტენდენტო,—მივუბრუნდები მე ჩვენს თვით ეპიპერსპექტივე თანამშრომელს, როცა ის უკვე მეცამეტეჯერ გვაწუხებს ასო-ასო იმავე შინაარსისა და ფორმის მომართვით და ბოლოს დასძენს: „თუ არ დაგვიბეჭდავთ, ცნობათა მიღებაში მაინც მოგვათავსეო“ (ისევ თავის. გამოჩენის უსაზღვრო სურვილი!) — განა, ყველა თავის გამოჩენა სახარბიელოა? ეს რომ ასე იყვეს, ხოხობი თავს არ ჩამალავდა ჩირგვში, ხოლო კუდს არ ასწევდა ზევით, თავის მაგივრად. და თუ თქვენ მაინცა და მაინც, დაჟინებით მოითხოვთ ჩვენგან, რათა ჩვენ თავი გამოგაჩენინოთ, მზად ვართ გემსახუროთ, რითაც კი შეგვიძლია, ესე იგი, მოგცეთ შემდეგი ყოვლად ავტორიტეტული დარიგება, სახელდობრ: „თქვენი თავის გამოჩენა შეგიძლია თქვენვე. მხოლოთ აბისათვის ცოტა ის უნდა ქნათ, ლენინი რომ ამბობდა ხოლმე: „სწავლა, სწავლა და კიდევ სწავლაო“. ხოლო, თუ კიდევ უფრო იოლად გინდათ თავის გამოჩენა, იმ შემთხვევაში აიღეთ, მოიხადეთ ქუდი და მიზანსაც მიაღწევთ. ამ შემთხვევაში თქვენი ქუდი არც იმდენად მძიმე იქნება, თუ, რა თქმა უნდა, იგი სავსებით და უმეტნაკლებოთ შეეფერება თქვენსავე ჯატიეცემულ თავს.

ოგნისიმეს.

თანამშრომელთა საყურადღებოდ!

მასალა უნდა იწერებოდეს ქაღალდის ცალ გვერდზე გარკვეული ხელით და მელნით. დაწუნებულ მასალას რედაქცია არ ინახავს და მის შესახებ არც არავითარ მიწერ - მოწერას არ აწარმოებს.

გამოგზავნილ კარიკატურებს იხილავს მხატვართა კოლეგია. რედაქცია უფლებას იტოვებს კარიკატურაში შეიტანოს შესწორება. მაგ. თუ კარიკატურა თავისი შინაარსით მისაღებია, მაგრამ ვერ არის თხტატურად შესრულებული, რედაქცია იმ კარიკატურას აძლევს შესასრულებლად თავის მხატვარს.

„ტარტაროზი“-ს რედაქცია.

ᲪᲘᲕᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

„ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, ჩემბერლენი
ასევ შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას“.

ნახ. ბარბარონ.



ᲩᲔᲛᲑᲔᲠᲚᲔᲜᲘ (ინგლისის ლომს): — მოვედი ახალი ჯანით და ენერგიით, რათა გემსახურო!
— ერთი ჩემი ამბავი იკითხე! შენს შემდეგ, მთლად წავედი ხელიდან!

მე და ზამთარი

ზამთარი მოვიდა, მოვიდა ზამთარი;
საქმე ცუდათა მაქვს უნდა ვსთქვა შართალი...
ცოლშვილს რა ჩავაცვა — ვერ ვიყიდე ფართალი!
სახლში არ გამაჩნია, ღერი შეშის ნათალი.

ცოლის ლანძღვა, მუქარა გადასცილდა ნაპირებს
მეუბნება: „პირშავო, მოთოვას რომ აპირებს,
რას უშვრები შენს სიტყვებს და ან შენს დანაპირებს;
იქნებ შარშანდელივით მოტყუილებას აპირებ“!?.

ვეუბნები: არა, ქალო, გეფიცები ჩემს გამჩენს,
ამ ორ დღეში, ალბად ,რამეს უსათუოდ გავაჩენ;
(ვფიქრობ: ასე რომ არა ვსთქვა — განა, ცოცხალს დამარჩენს?!..
განა, თავის ქაჯის ბრეყალებს ჩემს სახეს არ დაჩენს?)

ერთი ქალიშვილი მყავს, ის მიწა გასახეთქი,
ყოველ დილას მაჩვენებს ტუფლებს, ორად გახეთქილს;
მეუბნება: მიყიდე. თუ არ ყიდულობ, ქე თქვი,
არ გეგონოს გავთხოვდე, გავყვე მაზალ დაფერთხილს...

შენი კვიდრი შვილი ვარ და შენ უნდა მარჩინო:
თუ არ შეგეძლო ჩემი რჩენა, მითხარ: რათ გამაჩინე?
„პუდრიმუდრი“ მიყიდე, ხალხში გამომაჩინე
თავს დავიხრჩობ, ამ წელსაც თუ უყმროდ დამარჩინე,

ვეუბნები: იმდენს გცემ, ცხვირს გაგიხდი ბუკივით!..
ტირილს იწყებს, საშველად დედას უხმობს, უკივის;
დამესივნენ ორნივ ერთად, დამარბილეს ბულკივით.
გავექეცი... თავდალმართში, დავეშვი ქარბუქივით.

ჰო და ასეთ ცეცხლში ვარ ვიწვი მე ასეთ ალში;
(პალტო აღარ მაქვს, იგი წინად გავყიდე ვალში)
უნდა ვიარო ასე ქუდმოგლეჯილი ქარში,
რადგან მომიწევს შეხლა ცოლთან და შვილთან სახლში.

თავქარიანი.

მოხსენება ტარტაროზს

(გურიის სააგენტოსაგან)

მინამ შევეხებოდეთ საშინაო მდგომარეობას, საჭიროა თვალი გადავავლოთ ჩვენს საგარეო მდგომარეობას, ანუ ჩვენს ურთიერთობას მეზობლებთან.

ჩვენ ვიცით, რომ აჭარისტანთან თავიდანვე არსებობდა ძმური კავშირი, რომელიც თანდათან კიდევ უფრო მტკიცდება. ამის დასამტკიცებლად ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ შემდეგი ფაქტი: შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებით გურია შრომის საკითხების მოწესრიგებაში შეუთანხმდა აჭარისტანს. შრომის კანონმდებლობის დაცვა დაევალა აჭარისტანის შრომის კომისარიატს, რომელმაც მოგვივლინა შრომის ინსპექტორი გაბუნია, ხოლო ეს უკანასკნელი ამდენი ხნის განავლობაში მხოლოდ ერთხელ ესტუმრა ოზურგეთს და მეტეორივით გადაირბინა; შემდეგ მისი გზაკვალი არავის უნახავს.

ეხლა გადავიდეთ ჩვენს საშინაო მდგომარეობაზე. აქ, საჭიროა, უპირველეს ყოვლისა კმაყოფილებით აღვნიშნოთ ბუკის-ციხის თემის დამოუკიდებლობის აღდგენა. ჩვენ ვიცით, რომ ჩოხატაურის „იმპერიალიზმი" ლამობდა ამ თემის შემოერთებას, მაგრამ ამხ. ამხ. დ. შარაშიძისა და ი. სიხარულიძის თავგამოდებამ დამოუკიდებლობა მოუპოვა მშობლიურ თემს.

უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს ოზურგეთში ქალაქის ელექტრო-სადგურის დაწვა. ეს სადგური დიდი ხანია შეპყრობილი იყო გულის მანკით; იყო ღრმა მოხუცი და მისი ბეჟუტავი სინათლე ჭრაქზე ნაკლებ ანათებდა. უკანასკნელად დაწვის დროს გაანათა საწყალმა მიდამო ძლიერი სინათლით და იქვე დაიბუგა, ჩაქრა, ფერფლად იქცა.

დამგლოვიარებული და თავზარდაცემული აღმასკომი და კომუნალური მეურნეობა ნიშნად ტრაურისა და დაშწვარის საპატივსაცემოდ ჯერ-ჯერობით არ ფიქრობს ქალაქის განათებაზე. ასე და ამგვარად მთელი ოზურგეთი ჰგლოვობს თავის ელსადგურის დაწვას და შავბნელშია მოცული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სადგურის დაწვამ ხელი შეუწყო ფიზკულტურის გავრცელებას აბრეშუმის ქარხნის მუშებში და მუშა-ქალებში, რომლებიც ორი ცვლით მუშაობენ და უხდებათ სამუშაოზე ღამით სიარული. რა თქმა უნდა, მარტო უსინათლობა დიდად წინ ვერ წასწევდა ფიზკულტურის საქმეს, მაგრამ ჩვენი ქალაქის ოღრო-ჩოღრო ქუჩები ფიზკულტურისათვის პირდაპირ მისწრება ყოფილა, და სწორედ ამ მოსაზრებით არის, ალბად, რომ კომუნხოზი მათ შეკეთებას სიზმარშიაც არ ფიქრობს.

სასოფლო. სამეურნეო დარგში დიდ მიღწევებს აქვს ადგილი.

ამას წინედ ოზურგეთში მოხდა ბონადირე ძაღლების გამოფენა, რომელიც რიცხვი ორჯერ მეტია თვით მონადირეებზე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს ძაღლები ყველა საუკეთესო ჯიშის ყოფილა, რაც სჩანს იქიდან, რომ ყველა მათგანმა მიიღო ჯილდო.

აქვე საჭიროა იმისი თქმა, რომ წელს გურიაში ძალზე გამრავლდენ ტურები, რომლებიც ისე გათამამდენ, რომ თვით ქალაქის გარე უბნებშიაც (ბზვანი, მოიდანახე) მუსრს ავლებენ ქათმებს. რას აკეთებენ ამ დროს მონადირეთა ძაღლები? —მეკადს სკამენ. თვითონ მონადირეები? ესენი ნადირობენ ტყის ქათმებზე, ხოლო შინაური ქათმები ტურებს მიაქვთ.

კულტურული მუშაობა მიძინებული რომ არ ყოფილიყო, უფრო სასარგებლო იქნებოდა და ნაყოფიერი. მიუხედავად ამისა, არის დიდი მიღწევები. აქ სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ ოზურგეთის პროფკლუბიდან მოიპარეს რადიო, რომლის ლაპარაკი (თუ მუსიკა) დღიდან მის იქ დადგმისა არავის სმენია, სასიხარულოა ეს ამბავი მით, რომ მის წარა-მარა შეკეთებაზე უამრავი ფული იხარჯებოდა, ამიერიდან აღარ იქნება საჭიროება მისი შეკეთება, და ფული მოხმარდება კულტმუშაობის სხვა დარგს.

ტოქსინი.

ორი მონადირე

ნახ. დონის



— კაცო შენ ტყეში მიდიხარ სანადიროდ ტყის ქათმებზე,—ტურებმა კი შინაური ქათმები გაგვიწყალეს!

ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲛ გამოაცხადა:

— გაირჩევა საქმე ᲛᲔᲚᲘᲜᲙᲘ ᲧᲐᲑᲣᲚᲐᲫᲘᲡᲐ, რომელიც უჩივის მეწვრილმანე რუბენ სემიჩქაშვილს ალიმენტს. მომჩივანო, გააცანით სასარათლოს—თუ რას თხოულობთ!

— მე, ბატონო, რა მინდა, და ის მინდა, რომ ამ ბავშის გასაზრდელად ფული მომცეს! — ამ დროს აჭყვირდა პატარა ბავშა, რომელიც ხელში ეჭირა მელინკის.—აი, ბატონო, ხომ ხედავ, ასე მტირალაა ეს არ გასაზრდელი; სიცოცხლე გამიმწარა... ჰოდა, რავა, ჩემი შვილი თუ არის, მისი შვილი არ არის თუ, რაშია საქმე? ის ხომ კარგი იყო, როცა მომატყუილა და...—მელინკიმ ველარ მოითმინა და ატირდა.

— ნუ სტირით, დამშვიდდით.. ეხლა რას თხოულობთ? არ გსურთ: რომ ცოლად გაჰყვეთ!

— დავიწეროთ ჯვარი, გამომყვეს ცოლად და, პოჟალუსტა, ვარჩენ! — მოუთმენლად წამოიძახა მოპასუხე სემიჩქაშვილმა.

— მე ვთხოულობ ალიმენტს, სხვა არაფერს. მაგისი ცოლობა არ მინდა.

— ოჰო! ერთი უყურეთ!? ვერ მოგართვი ბადრიჯანი! — გაცხარდა სემიჩქაშვილი. — გაიგონეთ, ბატონო, რა სთქვა? კაი, შე ნუ მომიკვდე —მე თუ რამე ვიშოვე, მიართვი ქალბატონ მელინკის, რომელიც სხვა კაცზე გათხოვდება. მარა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ერთი ვიკითხოთ: ჩემგან შეეძინა ეს შვილი თუ სხვისგან... ჩვენ ხომ ჯერ ჯვარდაწერილები არა ვართ?! ანდა, ჰქონდა თუ არა ჩემგან ძალდატანებას ადგილი?

— უყურეთ ამ უსინდისოს, ქე არ უარობს ახლა! შენ არ იყავი, რომ ძალა იხმარე! ბატონო მოსამართლენო, ერთი ამ ბავშს დახედეთ, თუ ზედგამოჭრილი მამა მისი არ არის! მთლად მისი „კოპია“. ცხვირით და წარბებით მთლად მას არა ჰგავს?

— მე ვამბობ, რომ არავითარ ძალდატანებას ადგილი არ ჰქონია!

— პირველად ხომ ჰქონდა და მერე, რა მექნა, მეც თანახმა ვიყავი: მპირდებოდა — შეგირთავო.

— აბა გვიამბეთ, როგორ მოხდა??

— შენ უთხარი, მე მცხვენია, შენ უკირცხვილო კაცი ხარ და არ შეგრცხვება თქმა!

— როგორ მოხდა, ბატონო, და... მე მაგის ახლოს მაქვს სავაჭრო. შემოვიდოდა დუქანში და დამიწყებდა ღლაპუცს... გამიწყალა კამფეტები... ერთხელ სახლშიც მიმიპატიჟა, როცა არავინ იყო შინ. დავჯექით და ერთმანეთს ვეალერსებოდით... ვეზობლის ოთახიდან ისმოდა გრამაფონის „პესნა“... ასეთი „პესნა“ იყო, რომ ორივეს თავბრუ დაგვესხა და... რაფერ ვსთქვა, ბატონო!

— მერე, მერე! — შეეკითხა აღელვებული მოსამართლე.

— მერე-და, ხელები მოვხვიე. მე მეგონა გამიჯავრდებოდა, მაგრამ მან თავი გულზე მომადვა და... რაფერ ვსთქვა, ბატონო!

— მერე, მერე — ისევ შეეკითხა კიდევ უფრო აღელვებული მოსამართლე....

— მერე-და ერთმანეთ ჩავეკარით და...

— კმარა... კმარა::: თორემ... წყალი!—და მოსამართლემ ერთი ჭიქა წყალი გადაჰკრა. როცა დამშვიდდა, ისევ შეეკითხა სემიჩქაშვილს:—ეხლა რას სთხოვ სასამართლოს და რა არის შენი უკანასკნელი სიტყვა?

— მე გთხოვ: შეხვიდეთ ჩემს მდგომარეობაში და გაითვალისწინოთ ყველა ის გარემოებანი, რომელშიაც იმ-

ჟამად მე ვიმყოფებოდი. სასტიკ განაჩენს ნუ გამოიტანთ. ალიმენტის გადახდა მე არ შემიძლია. აღმასკომმა დიდი „ნალოგი“ შემაწერა, იმის გადასახდელი ფული ვერ მიშოვნია... მუშკოოპმა ცხვიორის წინ გამომიჭიმა ბალახია და ეაჭრობა აღარა მაქვს.

სასამართლო ისევ გამოვიდა განაჩენის გამოსაცხადებლად:

...ბრალდება დამტკიცებულ ითვლება. ამიტომ სასამართლო ადგენს: ბრალდებულ სემიჩქაშვილს მიესაჯოს სოციალური თავდაცვის უმაღლესი ზომა—დახვრეტა...

— ვაიმე, დავიღუპე! — იყვირა სემიჩქაშვილმა და თავში ხელები წაიშინა!

— გიამოს! შეგერგოს! — ნიშნის! მოგებით მიაძახა მელინკიმ.

— მაგრამ, — განაგრძო მოსამართლემ, — მიიღო რა მხედველობაში, რომ ბრალდებული სოციალურად ღარიბია, მეწვირლმანეა; აგრეთვე ის გარემოება, რომ ბრალდებული ჯერ არ ყოფილა პასუხისგებაში და ეს ბოროტმოქმედება მის მიერ ჩადენილია პირველად; ანგარიში გაუწია რა სასამართლომ ჭარემოებას, რომელშიაც ეს მოხდა, — დაადგინა: ბრალდებულს, მეწვირლმანე სემიჩქაშვილის უმაღლესი სასჯელი შეეცვალოს ათი წლით თავისუფლების აღკვეთით სასტიკი იზოლაციით, ხოლო ამნისტიების შეფარდებით სასჯელი ჩაეთვალოს პირობითად და განთავისუფლებულ იქნეს სასჯელისაგან. განაჩენი საბოლოოა და არ შეიძლება ხელახალი გასაჩივრება...

— ეხლა როგორ ხარ ხასიათზე, ქალბატონო! — შეეკითხა ნიშნის მოგებით მელინკის სემიჩქაშვილი.

— ხოლო, — ისევ განაგრძო მოსამართლემ, — თავისი შემოსავალის ერთი მესამედი, უნდა მისცეს ალიმენტად მომჩივანს. — და მოსამართლე გავიდა.

— აბა, ახლა შენ როგორ გუნებაზე დადექი! — შეეკითხა მელინკი.

— ეს არაფერია! პაჟალუსტა!

— ჯხნდაბას შენი თავი, შევრიგდეთ, ცოლად მოგყვები!

— შევრიგდეთ, გენაცვალე... ჰომეცი ხელი!—და ორივემ ერთმანეთს ხელი მისცეს.

— ვაჰ! აი ჩვენი სასამართლო, ნამდვილი „ზაქსია“! — უკვირდა დარაჯს, და უცქერდა მიმავალ ცოლქმარს, რომლებიც მხიარულად ეშვებოდენ კიბეზე და ეალერსებოდენ ატირებულ პატარას.

ᲖᲐᲣᲙᲘ.

უარი და „ფიქსატუარი“

ვხედავ, ხალხი როგორ ცდილობს,
ვხედავ, ხალხი რა რიგ იღწვის!..
მათი შორი თანაგრძნობით
აგერ, მკერდშიც გული იწვის...

აბა, ამ ღვაწლს დავიწყებ
განა, შეფერს, განა, შვენის?
გულს ფართქალი წაიღებდა,
გზა რომ მისცა გადაფრენის...

მევალეთა კომიტეტთან,
მევალკომთან — ჩვენებურად,
უწინ თავს რომ მშვიდათ გრძნობდა,
ვალზე ჩამოსვენებულად,

და რუსეთის მეფისაგან
მისდიოდა ტაბლა-კვერი,
მეთორმეტე წელი არის,
რაც შეურცხვა მეფეს წვერი!

წვერი არა, ულვაშებიც
წაიხდინა მეფემ შავათ:
მევალეთა სახეთქ ტაბლის
გზავნა გახდა უკაცრავად!.

თუმცა მეფის ულვაშები
არ ეტყოდა იმათ უარს,
საქმე რომ არ წაეხდინა
აქ ზედ მოსულ ფიქსატუარს,

როცა ხალხმა არ თუ მარტო
ვარი სტკიცა მეფის ვალებს,
მეფე მთლად გამოასალმა
ქსეშინსკაიას ლამაზ თვალებს!..

ამის შემდეგ, გადის აგერ
ათი წელი თუ თერთმეტი,
რაც მევალეთ მიმართ ხალხი
უარზე სდგას, როგორც კეტი!

— ვალს უარი?! ეს მოვლენა
სათაკილო არის ჩვენში—
ამბობს ფრიცი პარიზიდან,
ღრმად ჩამდგარი ფრანგულს წვენში!

და ეს წვენი, ვიცით, იმან
ვით შეიდგა ასე ოხრათ:
თვით პარიზში მისმა ფირმამ
ხუთჯერ თავი გაიკოტრა!

ესე იგი, მევალეებს
მან ყასიდათ ვარი სტკიცა!
ვალი შერჩა!.. ფრიცს არ შერცხვა!.
ფრიცი დარჩა ისევ ფრიცად!..

და ახლა ზის იგი ფრედთან
მევალკომში, როგორც მტრედი,
და მეფის დროს ვალებს ჩვენგან
ითხოვს ისე, როგორც ფრედი!

ამ ფრედმა კი ბერლინიდან,
მარსელშიც რომ უდგას ფეხი,
სხვადასხვა დროს მევალეებს
შეუბრუნა ათჯერ „კეხი“.

ერთხელ მახსოვს: „კეხს“ კი არა,
ფრედს დაუწყეს გვერდის მტვრევა...
გამოირკვა, რომ მევალეს
არ მოსწონდა მისი ქცევა:

ისიც მისგან ვალს ითხოვდა,
როგორც ახლა ჩვენგან—ფრედი!..

ეჰ, სჩანს, რომ ჩვენ—მევალკომის
სტრუქტურის მხრივ—გვწყალობს ბედი!

მაგალითად, რად ღირს ის, რომ
მევალკომში ვსუფრეტ მარკიზ-ყანს,
კომბოსტოს რომ უგავს თავი
და ხცვირი კი—გრძელ ბადრიჯანს.

ვალებისთვის, მგონი, ხუთხელ
შეიუღლა იმან ცოლი,
თუმცა მათი არ უნახავს
არც სახე და არც საწოლი...

ან და, ვსთქვათ, პოლ-დე-ვანილი,
მწვანილის რომ უყვარს ჭამა,
თქვენ გგონიათ: ვალთა ბრუნდში
ის გახრეკილ თავს გრძნობს ხამად?!

მგონი, ოცჯერ მოკვდა მისთვის,
ოცჯერ ჰქონდა თავი „სტრახში“!
ერთი სიტყვით, ამ გვარ საქმის
თასმა არის ის მათრახში!

მიდით შემდეგ: ჯემსი, სმიტი,
დინგლსტონი თუ დეტერდინგი,
ნავთის ნაგვის ჩუგნიდან რომ
არ გამოჭყვა სუფთად დინგი!

და აი, დღეს მევალკომში
ეს ტიპები სხედან მწკრივად,
და ითხოვენ მეფის ვალებს
ისე მტკიცედ, ისე ცივად,

თითქოს ვინმემ ამოწვდილ ხმლად
გადმომართა ჩვენს კისერზე...
და მალაყებს გადადიან...
და სდგებიან ფეხის ცერზე...

ჩვენ რომ ამ მხრით ამ ჩვენს კისერს
ბუზსაც კი არ გავაკარებთ,
არა თუ მათ თავნითა თუ
ნამთავნით არ გავახარებთ!

თუმცა ჩვენ თვით გვიხარია
ბუზის ხმაც კი მათ კონცერტში
და სიცილის ტალღებს ვაფრქვევთ
მოვლენაში დღესაც ერთში,

როს „იანკი“, ოქრო-ვერცხლის
მოყვარული „იანკიცა“
ისე იგდებს მევალკომს, რომ
შიგ შესვლაზეც ვარი სტკიცა!

ჩვენ „იანკის“ სიფაქიზეს
არ ვსცემდით და არც ვსცემთ თაყვანს,
ამას რომ სთმობს, სხვა მოგებებს
გულში ურწევს, ალბათ, აკვანს!..

მხოლოდ ჩვენ კი, დრო მოგვცემს და,
არც იმაზე ვიტყვით უარს,
თუ, ვით მეფეს, ყველას მოვსცხებთ
ულვაშებზე ფიქსატურას“!

არა პატივსადებლად
ანუ უფრო გასაპრეხად,
არამედ ქვად, რისხვად, თავში
ზარის დამცემ ხალხის მეხად!..

ეაზირა.

ნახ. დონრს

თუ თქვენი გამგე, ან რომელიმე დარგის ხელმძღვანელი იჩენს უთავობას და უუნუარიანობას, მისი სახელი და გვარი წააწერეთ ამ სურათს და მოათავსეთ თქვენს ქედლის გაზეთში.

წერილი

ძვირფასო მამა!

მოგიკითხავ სიყვარულით, იმედია იკითხავ ჩემს ამბავს. მე რომ გეუბნებოდი სოფელში; თუ ტფილისში წავალ, კარგათ მოვეწყობი, ვისწავლი და დიდ სამსახურსაც ვიშოვითქვა, ხომ ავასრულე? შენ მაინც არ დაიჯერებ და კიდევ იმას მეტყვი, როგორც მეუბნებოდი— სოფელში დარჩი და ყანაში მოკეხმარეო. მაგრამ წაიკითხე ეს წერილი და შემდეგ რასაც იტყვი, ენახავ. ჩამოველი თუ არა ქალაქში, ჯერ მატარებლიდან ფეხი არ ჩამომედგა, რომ სამი კაცი მომვარდა და ჩემი ბარგი-ბარხანა სულ ჩინჩილ-ჩინჩილით გადმომიტანეს (ალბად იმიტომ, რომ იცოდენ სოფელში პატივი მცეს (ალბად იმიტომ, რომ იცოდენ სოფელში სამკითხველოს გამგეთ რომ ვიყავი). წამოვედი იქედან მოვნახე ჩემი ამხანაგი და ერთ ღამეს იმასთან დავრჩი, სანამ ბინას ვიშოვიდი, ბინა ხომ მეორე დღესვე ვიშოვე.

ყველაზე მაღლა იმ სახლში მე ვცხოვრობ. ჰაერზე ვარ. განათება ელექტრონის მაქვს. რადიოც აქვე მაქვს მოწყობილი და ეისმენ ყველაფერს. რაც შეხება სამსახურს, ამაზე რათ გინდა ფიქრი. გაგიკვირდება სამსახურიო რომ მეუბნებოდი, — გამიკვირდება კი არა, სულაც არ ვმსახურობ ისე ვიღებ ჯამაგირს (სამი წლის სამსახურა სამკითხველოში დამსახურებათ ჩამითვალეს). სხვა ავტომობილით ხშირად დავდივარ აქეთ-იქეთ. შუა ღღეზე ჩაის გიახლები, (შინ წელიწადში ერთხელ ვერ დავლევდი და იგიც ცივი ჭადით ან ღომით), ტანისამოსს აქაურს როგორ ვიკადრებ! სულ სახლეგარგარეთული მაცვია ამერიკიდან მოტანილი. და ამიტომაცაა, რომ ხალხიც პატივს მცემს. ამას წინად, მაგალითად, როდესაც ღამით ქუჩაში მივდიოდი ვიღაცამ მაწყენია. მოვარდენ მაშინათვე მილიციონერები, გამაცილეს და მთელი ღამე არ მომშორებიან, რომ არავინ აწყენიოს კიდევო. ასეთ კარგ ცხოვრებაში ვარ აქ და ნუ თუ კიდევ მისაყვედურებ და არ დაიჯერებ, რომ ბევრი რამ შემიძლია და გავლენაც მაქ. იყავი კარგათ. მოგწერ შემდეგ კიდევ.

შენი შვილი ეფრემი.

იგივე წერილი მიწერილი სოფელში ამხანაგისადმი

ძმაო შალიკო!

მოგიკითხავ სიყვარულით. იმედია იკითხავ ჩემს ამბავს. რაც მაქედან წამოვედი (ნეტავ არ წამოვსულიყავი!), არაფერი მომიწერია შენთვის. ან და რა ჯანაბა მოგწერო, როცა დარდისაგან წერაც დამავიწყდა. მე რომ გეუბნებოდი სოფელში, რომ თუ ტფილისში წავალ — კარგად მოვეწყობი, ვისწავლი და დიდ სამსახურსაც ვიშოვი თქვა, ვერ ავასრულე. შენ კიდევ არ დაიჯერებ და მეტყვი — არა მაქ სჯობიაო,— მაგრამ იცოდე: წავაგე ქკუა, რომ მამა ჩემს არ დაუჯერე, და თოხი არ ავიღე ხელში.

ჩამოვედი თუ არა, ჯერ მატარებლიდან ფეხი არ ჩამომედგა, რომ სამი კაცი მომვარდა და ჩემი ბარგი-ბარხანა სულ ჩინჩილ-ჩინჩილით გადმომიტანეს. (მეგონა: როგორც სამკითხველოს ყოფილ გამგეს პატივი მცეს — მეთქი). გამეხარდა და მადლობა ვუთხარი. რის მადლობა?! „ფული ჩამოდიო" — მითხრეს. ამოვიღე და მივეცი. მოვიკიდე ზრუგზე ჩემი ავლადიდება და მივადექი პლატონს. ძლივს მოვნახე ამხელა ქალაქში. ვინცხეის სამზარეულოში ცხოვრობს ის გაჭირვებული. გავათენე გაჭირებით ერთი ღამე და მეორე დღეს შეუდექი ბინის ძებნას. როგორც იქნა ვიშოვე ბინა ოთხ სართულიან სახლში და ყველაზე მაღლა მე ვცხოვრობ, ესე, იგი, ჩვენებურად რომ ვთქვათ — სხვენზე ვარ.

მარტო ყვავებმა გამიჭირეს საქმე ჩემ გვერდში იბუდებენ. ელექტრონის სინათლე ქვა ჩემს „ოთახში". (ჩვენ სახლის წინ ელექტრონის ბოძი დგას ილბლად) რადიოც მაქვს. (რა გაკინებს?) ჩემს ქვევით ვინცხა ტეხნიკი ცხოვრობს, იმას უდგას რადიო. ყველაფერი მესმის. რაც შეეხება სამსახურს, ამაზე ზედმეტია ფიქრი. ვერაფერს გავხდი. ბირჟაში ვაღამებ და ვათენებ ყოველ დღე და როგორც უმუშევარი თვეში 14 მანეთს ვიღებ, დავდივარ ამ სიშორიდან ყოველ დღე, მოკკვდი კაცი. კიდევ კაი—ჩვენ ეზოში საბარგო ავტომობილის შოფერი ცხოვრობს და ჩანდიხან სამადლოდ შამომიჯენს ავტომობილზე. შუა ღღე მოაწევს თუ არა, მივრბივარ აქვე მეჩაიე თათართან და ერთი ჭიქა ჩაის პატარა ჰურის ნაჭრით გეახლები; ეს არის ჩემი ყველაფერი; საუზმე სადილი და ვახშამი, რამდენჯერ ვნატრობ, რომ იცოდე, მაქაურ ცივ ჭადს ან ღომს! ტანზე და ფეხზე მთლად შემომესა. ამერიკანსკი ბაზარზე ვიყიდე ძველის ძველი ჩამოტანილი ტანისამოსი.

ამას წინეთ ვიღაცამ მაწყენია ქუჩაში, ღამით მივდიოდი. ვერ მოვითმინე ცხელ გულზე და ვფიქრობე ჩვენებურად. მტაცეს მილიციონერებმა და წამიყვანეს კომისარიატში ჩამაგდეს კუტუსკაში და მთელი ღამე იქ მაყოფეს. გავსკდი კაკალ გულზე, მარა რას ვიზამდი? ასეთ საძაგელ ცხოვრებაში ვარ, ჩემო შალიკო, და არ გაგიწყრეს ღმერთი და შენც არ გაბრიყედე. მშვიდობით... ჯერ ჯერობით.. მოგწერ ალბათ კიდევ ჩემს გაჭირვებას

შენი ძმა ეფრემი.

წ. შ. თუ ძმა ხარ ჩვენ შორის დარჩეს რასაც გწერ.

დათუნა.

ᲕᲐᲭᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲠᲛᲐ

ნახ. დონიკ

— ლორიგან!.. ლორიგან!..
— აბა მოიტა... უი, დაგიდგეს თვალები!..
— რა იყო, რა გეწყინა, ლორიგანი „ᲙᲐᲠᲝᲑᲙᲐ“ ცხრა მანეთი და ჩემი „ᲛᲔᲨᲝᲙᲘ“ ᲗᲘ ექვსი აბაზი!..

ᲡᲐᲛᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ

თქვენ შეიძლება იცნობთ კირილე გეორგიშტიანს, ჰინკილდოქის სამმართველოში რომ მსახურობს; საშუალო ტანის, ქერა, „ბუტილკა“ შარვალს ატარებს და, როგორც გავს, „უპოდტიაჟკოდ“, რადგან ხშირად იწევს მას ხოლმე ზევით საიდანაც ის ისევ მალე ჩამოდის ქვევით, მაგრამ არას დროს იმაზე ქვევით, რომ ამან სკანდალი გამოიწვიოს. განათლებულ საზოგადოებაში. ასეთივე მდგომარეობაში აქვს საყელო და გალუსტიკიც, მხოლოდ შებრუნებულად. თუ შარვალი მუდამ ქვევით მიილტვის, საყელო და გალუსტიკი სულ ზევითკენ მიისწრაფვიან, მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ყურებს ზევით ასულიყვნენ.

შეიძლება თქვენ ისიც იცით, რომ კირილე გეორგიშტიანმა ამ რამდენიმე დღის უკან თავის დღიურების მერვე რვეული დაამთავრა და ეხლა გამომცემელს ეძებს, რომ ცოტა სახარჯო ფული იშოვოს ამ უსაქმობის დროს. ეს თუ იცით, ყოველ შემთხვევაში თქვენ არ იქნებით გაცნობილი უკანასკნელ რვეულის უკანასკნელ გვერდებთან, რადგან ისინი სულ ეხლახანაა დაწერილი და აბიტომ მათი გამოქვეყნება არ იქნება ინტერეს მოკლებული.

აი, ეს ფურცლებიც:

15 აგვ. 18 წელია საზოგადო ასპარეზზე ვმოღვაწეობ, როგორც ჩემი თავის, ისე საზოგადოების სასარგებლოდ და არასოდეს ასეთი გამგე არ ყოლია. არაჩვეულებრივი გამგეა, სამსახურში დილას ყველაზე ადრე მოდის. მთელი დღე თავაუღებლივ მუშაობს და ბიდის ყველაზე გვიან.

ეს კიდევ არაფერი, რომ წასელის წინ არ გვეუბნებოდეს:

— ვისაც გსურთ, მოდით საღამოს, მე აქ ვიქნები...

არავის არ გვსურს, ისედაც მაძღარი ვართ ყელამდის, მაგრამ მაინც მოვდივართ, თქვენ რომ იცით, იმიტომ... გავთავდით პირდაპირ და ესაა...

17 აგვ. დღეს ერთ ჩვენს ამხანაგს ცოლი გახდომოდა ავად, მაგრამ მაინც გამოცხადდა გამგესთან ნებართვისათვის, რომ ავადმყოფის წოსაკლელად გაბრუნებულიყო გაგგემ ოსეთი შეუბღვირა, რომ კალმით აწკარა შეუძლებელია:

— შენი ცოლი და შვილი — საქმეებია!... დაჯექი და იმუშავე!... მეტი არაფერი!...

ისიც დაჯდა. განყოფილებაში ამის შემდეგ ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ სრულიად გარკვევით ისმოდა, როგორ ხრავდა თაგვი საქმეებს შკაფში. (შინაური თაგვია.) არ გასულა სამი საათი, რომ განყოფილებაში იმ ამხანაგის ავადმყოფი ცოლი გამოცხადდა და თმაში წვდა ქმარს, ხომ იცოდი, რომ ავათ ვიყავი და რატომ არ მოხვედი და არ მომიარეო. ძლივს გავაშველეთ... კიდევ კარგი კაბინეტის კარები მიხურული იყო და გამგეს არაფერი გაუგონია.

მიუხედავად ჩვენი ხვეწნა - მუდარისა, ცოლმა ვაინც წაათრია ძალით ქმარი სახლში, წამოდი და მომიარე ავათმყოფსაო!... დაილუპა საწყალი ბიჭი...

2 სექტ. ტყუილად არ არის ნათქვამი: — გაჭირვებული კაცი ყველაფერს მოიგონებსო.

გამონაკლისს მგონი ერთი ჟურის ხალხი შეადგენს, სახელდობრ — გამომგონებლები. ესენი უფრო დალხინებისაგან იგონებენ, ვიდრე გაჭირვებისაგან და ეხოლოდ გამოგონების შემდეგ გებულობენ გაჭირვების გემოს.

უნდა ითქვას მიუდგომლად, პირველად ევტიხი მიხვდა ჩვენი გამგის მუყაითობის მიზეზს. მიზეზის გამორკვევის შემდეგ კი ადვილი იყო საშუალების გამოძებნაც.

— მაგი, აფხანიკებო, — თქვა ევტიხიმ, — უცოლოა და მიტო შობა ასე... ღამეც რო აქ დარჩეს აფერი უშავს... ქე გამუა იოლად... აპა. ერთი ცოლიანი იყოს. მაშინ ვნახავდი, რავა მევიდოდა უთენია და რავა წავიდოდა მაშლის ყიციოლზე!...

საშუალება მართლაც გამოვწახეთ.

3 სექტ. გუშინ-ღამ ევტიხისთან შევიკრიბეთ. არა დროის გასატარებლად, არამედ კომისიის სხდომა გვქონდა... ჰქვია ამ ჩვენს კომისიას: **„გამგისაოვის ქალის შემრთავი კომისია“**. თავმჯდომარე — ევტიხია, შევიმუშავეთ გეგმა, გამოვიმუშავეთ პრაქტიკული ღონისძიებანი და კიდეც შევუდექით გეგმის სისრულეში მოყვანას. მოგვანდეს მე და ევტიხის.

რაზოდენიმე საათი ერთ ნაცნობ გაუთხოვარ ქალიშვილს ვუყურეუტებდით თავის ჭიშკართან, უკვე წასვლას ვაპირებდით, რომ სრულ სამ საათზე, როგორც იქნა, მოაცილა ეს ჩვენი ქალიშვილი ვიღაც ვაჟმა და ჩაგვაბარა. ჩვენ არაფერი გვიკითხ-

ხავს, მაგრამ ეაქმა იმდენი ზრდილობა ვამოიჩინა, რომ თვითონვე გვითხრა: ეს — ეს არის ოპერიდან გამოვედითო. (იყო კი ოპერა მაშინ?).

როცა ვაჟი მიიპალა, ევტიხიმ აუხსნა ქალს ჩვენი მდგომარეობა და ბოლოს ასე დაამთავრა:

— ნუ დაგავიწყდება. რომ გამგეა... ახოვანი... კეთილი გულის პატრონი. იმისთანას ვერ იშოვნი... გარდაწყვეტილი აქვს ქალის შერთვა და არ ღირს მისი ხელიდან გაშვება... ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდეს... მზითევის დარდი ნუ გაქვს... ხუთმეტი კაცი ვართ და ნუ თუ ერთ ქალს ანითვის ვერ გაგიწყობთ?...

მარიკას საუარო რა ჰქონდა. ჩემის აზრით მზითვზე არც კი იყო საჭირო ლაპარაკი. არც ისე იქნებოდა უარს.

18 სექტ. ორი კვირის ამბავია, რაც აქ არის ჩაწერილი, მარიკა მეორე დღესვე მოვიდა გამგესთან ადგილის სათხოვნელად. პირველად ორი წუთიც არ გაჩერებულა კაბინეტში, ისე გაპოვარდა გაანჩხლებული. ძლივს დავიყოლიეთ ხვალ მოსულიყო კიდევ. მოვიდა. ეხლა ცოტა უფრო მეტ ხანს დაჰყო კაბინეტში. მეხუთედ მისვლისას კი მთელი ერთი საათი იჯდა შიგ და რა ხდებოდა იქ ალახმა უწყის. ჩვენ არც კი მოველოდით, რომ მეორე კვირის ბოლოში საქმე უკვე გაჩარხული იყო. მალე მარიკას შეპირებული მზითევი ჩავაბარეთ და ვუსურვეთ ბედნიერება.

ამის შემდეგ „გამგისათვის ქალის შემრთავი კომისია“ დაშლილად გამოვაცხადეთ, რადგან მას უკვე აღარაფერი ჰქონდა გასაკეთებელი.

18 ნოემბ. პირველი თვე ნამდვილი ბედნიერების თვე იყო. მეორე თვესაც არა უშავს. საღამობით მუშაობაზე ლაპარაკი ზედმეტია, დილობით ჩვენს ზიერ გაბედნიერებული გამგე 11 ან 12 საათზე თუ მოდის და ისიც ორი-სამი საათით და ისევ ქრება... ასეთ გამარჯვების შემდეგ ევტიხი ისე გრძნობს თავს, როგორც იუბილიარი.

20 ნოემბ. ეს ორი დღეა გამგე მოღუჩული დადის. მიზეზის თქმა ძნელია... ყოველ შემთხვევაში ეს კარგს არაფერს მოასწავებს. დღეს ბოლომდისინ იჯდა კაბინეტში და წასვლის წინ ნაღელიანად გვითხრა:

— საღამოს, ვისაც გინდათ, მოდით... მე აქ ვიქნები!...

რაღას ვიზამდით, მივედით... ვნახოთ რა იქნება ხვალ..

22 ნოემბ. გამგემ ისევ ძველებურად დაიწყო სიარული. ალბად ოჯახში რაღაც უსიამოვნება აქვს... საჭიროა მარიკასთან მოლაპარაკება... ტყუილად გავათხოვეთ და მივეცით ამდენი მზითევები. ისევ ევტიხისთან შევიკრიბეთ. არა დროის გასატარებლად, არამედ კომისიის სხდომა გვქონდა. ჰქვია ამ ჩვენს კომისიას „გამგის ოჯახურ საქმეების მომგვარებელი კომისია“. მივიღეთ სათანადო გარდაწყვეტილებაც.

23 ნოემბ. დღეს საღამოს, როცა გამგე სამსახურში იყო, ვე და ევტიხი აღარ წავსულვართ სამუშაოდ და პირდაპირ მარიკასთან გავეშურეთ. მაგრამ მარიკამ არც კი გვაცალა ლაპარაკი, მოგვახალა:

— დამღუპეთ!... უმანკო, გამოუცდელი ქალიშვილი ვიღაც უზრდელს მიმათხოვეთ და კიდევ აქ მოდიხართ!... თუ კიდევ კრინტი დაგიძრავსთ, ყველაფერს... ყველაფერს მოვახსენებ თქვენ გამგეს!...

25 ნოემბ. გუშინ-ღამ გაქგე სახლში აღარ წასულა და კაბინეტში დარჩა, აქ მირჩევნიაო. ცოლთან რაც იშვიათად ვიქნები, მით უკეთესია ოჯახურ ბედნიერებისათვისო. ჩვენც ვერი დავუკარით.

გამომშვიდობებისას გამგემ უმანკო სახით გვკითხა:

— ერთი მითხარით, რა სახელი ექნება თქვენს შემდეგ კომისიას?

გავიტრუნეთ.

ეხლა, აი ეუზივარ ამ ჩემს დღიურს და დამწუხრებული ვფიქრობ, მართლაც, თუ მარიკამ გვიღალატა და გაგვცა, რა სახელი ექნება ამ ჩვენს შემდეგს კომისიას?...

ნუ თუ „იმედის დამკრძალავი კომისია“.?...

გადმოწერა სინემატომ.

ყრილოგის დარგაზიდან

ნახ. დონის

— აი ახალქალაქი!

— მერე რით არის ახალი.

— როგორ თუ რით! ამას წინად 15 კაცისაგან შემდგარმა კრებამ აქ 17 კაცი აირჩია ხელმძღვანელ ორგანიზაციაში. განა ეს ახალი არ არის? როგორც მიღწევა?!



— ხელოვნების მუშაკთა კავშირის ერთ-ერთმა ადგილკომმა თავის მორიგ სხდომაზე დღის წესრიგში შვიდი კითხვა დასვა...

— ეს რაა? ერთმა მედსანშრომის კავშირის ადგილკომმა ერთ თავის სხდომაზე კიდეც დასვა და კიდეც „გაარჩია“..

ვაჭრის სიმღერა

მეფის დროში კარგად ვიყავ, სქელი მქონდა მაშინ ჯიბე.
სამი გოგო სახლში მყავდა და ამდენიც მეჯინიბე.
ხალხს ვაძრობდი ტყავსა ზურგზე, მათი ბედი ჩავიჯიბე,
და ქვეყანა სანეტარო ძაან ვჭამე, ძაან ვთიბე.

მენშევიკი გაბატონდა, მენშევიკი ცნობილი
მათ რეჟიმსაც შევეგუე, ვიყავი გამოწრთობილი.
მათი რწმენით ვეზიარე, გავხდი მათი ძმობილი,
ასე გვქონდა შეთანხმება,—საქმე გამოწყობილი.

მე მეგონა ძველებურად გავკარი-თქო რიკი,—
რომ გამოჰხტა საიდლანაც უცებ ბოლშევიკი,
გავიბერე, გავიბლინძე ვით თხის ტყავის ტიკი,
ისე გავხდი—არ ვყოფილვარ ვითომ მენშევიკი.

შევეცოდე ბოლშევიკებს, ჩემებრ დავიგრიხე,
გავძვერი და კანდიდატათ ძლივს ჩავრიცხე,
მაგრამ ბოლოს კი გამიგეს, დამაყენეს სიცხე,
ვაჭრუკანა ყოფილხარო და მიჩვენეს ციხე.

ᲐᲙᲡᲘ.

„თმა გრძელი და ჭკუა თხელი"

თვრამეტი წლის რომ შეიჭნა მარო (გახდა მშვენიერი და სანეტარო) გიშრის თმები კოჭამდე დაეშვა ტალღად. თავს უკვე აღარ სთვლის ბალღად. ტუჩებზე წაისვა წითელი კრასკა, სახეზე თეთრი ზამასკა, ცისარტყელებად გადიხატა წარბები, (ვის არ შეეხარბება?..) ჩაიღამ, ჩაიბნელა წამწამ-თვალები, (გამოჩნდა სიფათი ნაღვლიანი, შესაბრალები), მკერდი ამობურთა ორ მთა-აგარაკად, (ბევრი გამკლელი ვნებიანად ალაპარაკა) დადგა სარკის წინ უცნაური მანჭვით და გრეხით, (ბუდეშურს უგავს ლამაზი ფეხი) მაღალი ყელი მოიღერა იმან გედურად, (წარმოიდგინა თავის თავი ხან ბედნიერად, ხან უბედურად) ხან გაიცინა მხიარულად ვით ჯიოკონდამ. (ამ დროს უთუ ორ მისებრ ნაზი ღიმილი ჰქონდა) ხან კი ატირდა მოიღუშა, როგორც დიანა, (თითქოს დანიშნულ პაემანზე მისმა სატრფომ დაიგვიანა).

და როს საღამო დაეცემა ქალაქის ქუჩებს (მის გულისძგერას ვინ დააყუჩებს) სასეირნოთ ის გარეულ გავა: მაცდურად არხევს გრძელ დალალებს, კუნთებს და გავას.

ერთხელ გაიცნო რუსთაველზე, ჩაკოვერკოტებულ-ჩაკოსტიუმებული ვაჟი. შესცურა უჩვეულო სიყვარულის ზღვაში. დაეკარგა მოსვენება და ძილი, განშორდა მის ბაგეს ღიმილ-სიცილი. დარჩა მარო გულდასერილი, როცა მიიღო საპასუხო ვაჟის წერილი. „მარო! არ შემიძლია, რომ შეგიყვარო. მართალია, ხარ ნაზი, ლამაზი, მაგრამ ისიც მართალია, რომ ხარ სულელი, ბროკე, „თმა **გრძელი** და **ჭკუა** მოკლე"., ეს ანდაზა პირდაპირ შენზე არის ნათქვამი, უსათუოდ ხარ ცოცხალი გვამი".—

ატირდა მარო. (ობოლი სული სად შეიფაროს?) თმაზე და ჭკუაზე იფიქრა დიდხანს (მეტი ტანჯვისგან საღერღელს ითხანს). პირველად ისმის სიტყვა „ჭკუა" მერე, ისიც მოკლე. მას კარგად ესმის რა არის თმა, (გრძელი) პუდრი, დუხი, და პომადა, (ყველა ესენი მას აქვს ბლომადა) მხოლოდ ჭკუა... ჭკუა... რა არის ან როგორია? ეგებ ჩულქია ის „ვიქტორია"? ან ახალმოდის კამბინიზონი? (რას არ იტყვიან ეს ვაჟები უსინდისონი!.) ან ეგებ **„ჭკუა"**.

ოს, ეს ჩემი მოკლე კაბაა, რო ვერ მიფარავს მუხლებს? (ამდენი ფიქრით რა თქმა უნდა ბედი მიმუხთლებს?)

ბევრი იფიქრა საბრალო ქალმა და თავის გრძელ თმას გამოესალმა. მოძებნა იმან სწრაფად დალაქი (შეინძრა ამით მთელი ქალაქი) და სასოებით მას მიაშურა და შეიმოკლა თმები ვაჟურათ; ხოლო ჭკუა კი დარჩა უცვლელი. მას ვერ შეახო ვერავინ ხელი.

ᲖᲝᲠᲑᲐ.

მეგობრული შარჟი

ნახ. ᲕᲐᲜᲘᲡ

— ბატონო მიხეილ, საკენკის იმედი არსაიდან არის?
—ერთად-ერთი იმედი გორისაგან მქონდა და მანაც უარი მტკიცა.

„ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲘ"

(ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ)

სამთო-მადნო კონფერენციაზე ერთხმად ამირჩიეს ტყიბულის მაღაროებიდან. გევიქეცი სახლში. ვახარე ჩემ მინადორას: გაეხარდა:

— ბეჩა, ეგებ რამე გვეშველოსო, — და დამაბარა,— თუ რამეს მოავლო ხელი, ერთი წყვილი ლაქის ტუფლები წამომიღეო.

— რავა, ქალო, იქ ფულის საშოვნელად კი არ მიდვიარ, ტუფლებს რომ მაბარებ?! ათას ხუთასი კაცის საქმე მე მაბარია და იმათი მდგომარეობაზე უნდა ვიზრუნოთ და ვილაპარაკოთ. ამას ქვია დელეგატი ქალო!

აყენდა მინადორა: — დეეგდე შინ. შენი საქმე არ წაახდინო, და სხვისი გაკეთებას ნუ ეძებო. მარა რას დაუჯერებდი. შევინცვი ტანსაცმელი. გაგვიძღვა მოსე თავის ახალი პორთველით და საღამოს ლლეტა მოვადინეთ ქუთაისის სადგურზე.

ჩავედით შორაპანში, მარა რა ყოფილა აქ! თურმე დაბერდები კაცი ჭიათურის მატარებლის ცდაში. ვიყურყუტეთ ერთხანს, ჩამოვგრძელდი ფეხზე დგომით. ვკითხე ერთ მანდილოსანს: დიდი ხანია, ბატონო, აქ ჯდიხართ?. მიპასუხა: არა: ორი დღეა რაც აქა ვარო.

— რა უბედური სადგური ყოფილა:არც იქით წასვლა გეღირსება და არც აქეთ. — ჩევილაპარაკე ჩემთვის და მოსეს პორტფელი შევატრიალე ხელში — ეგები ვინმემ ადგილი დამითმოს მეთქი, მაგრამ შენც არ მომიკვდე —ყველა ექეს ვერშოკიან ლურსმნით იყო დაჭედილი თავიანთ სკამებზე.

მივმართე ბუფეთჩიკს: — ძმაო, მალე იქნება ჭიათურის მატარებელი?

— რა გეჩქარება, შე კაი კაცო! ჯერ სად ხარ. თქვენ წარმოიდგინეთ კაცმა ქუთაისში ქალი ითხოვა, წამეიყვანა და ჭიათურის მატარებლის ცდაში, მორჩა და მშვენიერი გოგო წეიყვანა სახლში.

— დაგიჯერებ ძმაო, ქალი კი არა, ლამის მე მოვრჩე ამ მატარებლის ლოდინში! —

ᲖᲚᲕᲘᲡᲞᲘᲠᲔᲚᲘ.

ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲘ

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲚᲘᲠᲘᲙᲐ

როგორც იქნა, ჰა, მეღირსა
სამკურნალოს დამთავრება, —
მაგრამ მეტად მეზარება
ქალაქიდან გამგზავრება.
ამ ტფილისზე დაჩვეული
სად ამოვყოფ ეხლა თავსა?!
მაგრამ მაინც გულს არ ვიტეხ,
ვენაცვალე „ნარკომზდრავესა“.

პირველ კურსზე როცა ვიყავ,
აწეული მქონდა ცხვირი.
არ ვიცოდი: სხვა თუ ვინმე
დადიოდა ჩემებრ გმირი.
მაგრამ როცა მოსეშვიდმა
„ქიმიურად“ მაზიარა, —
მაშინ დამცხა, და სიცხისგან
ტვინს გაუჩნდა მთლად იარა.
სდუღდა ტვინი, სჩქეფდა აზრი,
„ქიმიურად“ ვყნოსდი ჰავას;
ერთი სიტყვით — ორ კვირაში
დავემსგავსე ყვითელ ქარვას.

მეორეზე, როგორც იქნა
გადავეხოხდი საცოდავად.
(ჩავაბარე გამოცდები
კარგად იყო ის თუ ავად).
თეთრ ხალათში მოვიკაზმე,
და ექიმად თავს ვგრძნობ აქ მე.
ძველებს და ნერვებს დავტრიალებ
და მკვდრებში ვაქვს უკვე საქმე.
წინ მივქრიავარ... ჰეი, გიდი!...

უკვე ვზივარ მესამეზე...
შუა გზაზეა ექიმობა,
და არ ვფიქრობ სხვა რამეზე.
მაგრამ, შესდეგ! აქ სიძნელემ
შემიშალა თოხარიკი,—
მაგრამ ვაინც ამ მძიმე წელს
მე დავაძვრე კუდის რიკი.
ას-ხუთმეტი ფენომენი
შევისწავლე, როგორც ერთი.
შკოლა, ლიტენ, გრიკო - რაუხს
ყველა გახდა ჩემი ღმერთი.

დავასრულე... ექვს წელიწადს
მე ვიბრძოდი, როგორც ლომი...
სახგამოცდა ჩავაბარე—
და ჩავიგდე ხელს დიპლომი.
ექიმი ვარ... ვაგრამ დიპლომს
აღარ აქვს ფასი, ძალა...
და ოცნება სიპაბუკის
გამიქარწყლდა, ჩამეშალა.
ო, დიპლომო უსუსურო,
ასეთი ზნე რატომ გაქვს?...
სახჯანკომო, ნუ გაგვწირავ
დიპლომისგნით განაწირსა.

ირა.

„ᲬᲛᲘᲓᲐ“ ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲘ

Ს. ᲡᲮᲕᲐᲕᲐ (რაჭა-ლეჩხუმის მაზრა)

ნახ. დონინ

რა საკურთხი შემოაკლდა, ქურდობასა მიჰყო ხელი...
და ერთ ღამეს (ღამე იგი, როცა იყო მეტად ბნელი),
გრიგოლ მღვდელმა საღორიდან მოიპარა კოლას ღორი...
ზედ შეაჯდა და მოჰკურცხლა, მიჰფრინავდა როგორც ქორი.

ᲡᲝᲤᲚᲐᲓ

ᲐᲚᲑᲣᲚᲐᲚᲘ (ტფილისის მაზრა)

ტარტაროზ, დიდი ხანია
წერილს ვერ გწერ, როგორც მინ-
და,
ერთხელ მაინც გვინახულე
თუ საჩანგლე რამე გინდა.

სოფელ ჩხიკვმთის სამკითხველოს
გაგგე მეტად კეთილია,
იქ რომ გლეხი არ შეწუხდეს.
ყარი გამოკეტილია.

პაპიტაშვილს ყველა იცნობს,
ცნობილია, როგორც ქალი,
მაგრამ ბალღებს რას ასწავლის,
თუ სხვაგან აქვს მუდამ თვალი.

ჩვენი ხშირი სტუმარია
დიდი ავტო - ჯაბახანა,
მგზავრებს ხშირად ატყუილებს,
მისთვის დადგა დრო და ხანა.

ალბულაღში განთქმულია
დღეს წითელი სასადილო,
აქ რომ გლეხებს ტყავს აძრობენ,
სულ არ არის სასაცილო.

ამ ჩვენს გლეხკომს თუ იკითხავ,
ვერსად იგებს იგი ბინას,
გლეხები არ ენაღვლება,
არხეინად თვისთვის სძინავს.

ალაც დანისის თემ-აღმასკომს
მოვეღინა ცქვიტარია,
რაღაც ძალამ აღმასკომის
საქმეები სულ არია.

ამიტომ გთხოვ გვინახულო.
და გაიცნო ჩვენი მხარე,
ჩანგალიც თან წამოიღე,
წენებურად გაუყარე.

ვ. სორტელი.

ᲕᲐᲜᲘ

სტვირო, აქეთ მომიხედე,
ჭყიპინით ნუ გამაბრაზე,
მოდი, ერთი წავიკითხოთ
რა სწერია ამ აბრაზე.
„უმუშევართ - კოლექტივი“
ღმერთო, მომკალ ამაე წამზე.
ეს ვაჭრები ძველის - ძველი
ვინ მორეკა ამ ბაზარზე?
სახლ - კარობა მოწყობილი,
ტანსაცმელი ბლომად ტანზე,
სურსათი და სანოვაგე
არ ეტევა იმათ ბანზე.
ესეც უმუშევრებია!
ბრაზი მომდის ამ საგანზე.
ბევრგან არის მოწყობილი
საქმე ასეთ „აიდაზე.

ᲙᲕᲘᲜᲢᲐᲫᲔ.

ᲜᲐᲮᲣᲚᲔᲕᲘ

ჩვენს შვიდ-წლედში ეს საქმე მაქვს:
ნესტორს ეკითხო სიტყვა ორი:
— ხომ არ არის მოგონილი,
ხომ არ არის სოფლის ჭორი, —
რომ სკოლაში მასწავლებელს
მოუწამლავს ერთხელ თავი?
რაში იყო, ნეტა, საქმე?
მხოლოდ ეს მაქვს საკითხავი.
ეხლა ანტონს ასე ვეტყვი,
(გზებზე არის მომუშავე):
—გზები როდის გაკეთდება,
თუ მაგ ჭკუით იმუშავე
კარგა გშვენის: ლურჯა ცხენი,
გვერდით — ვერა, ლოლა, კატო!
საქმე ასე არ კეთდება,
მართალს გეტყვი, ძმაო ანტონ!
აქ წისქვილსაც მივაკითხოთ,
ვინახულო უნდა ლუკა.
მასთან მიგვაქვს ჩვენი საზრდო,
თვითეული ჩვენი ლუკმა.
ხალხი ვასზე საყვედურობს;
„ბევრი მიაქვს სახლში მინდი!
წისქვილიდან სახლში მიგვაქვს
დაღერღილი ჩვენ სიმინდი“.

ᲜᲐᲮᲣᲚᲔᲕᲘ.

ოგლიგაცია

(პატარა სურათი სოფლის ცხოვრებიდან)

მოქმედნი:

მათე—შეგნებული გლეხი-მოწინავე.
თებრო—ამისი ცოლი.
ნატო—ამათი ქალი, ცხრაწლედის მოწაფე.
ეგნატე—ამათი მეზობელი გლეხი.

(სცენაზე არიან: მათე და თებრო. ფარდის ახდისთანავე გამოდის ნატო წიგნებით ხელში და მიდის სასწავლებელში).

გამოსვლა 1

მათე, თებრო და შემდეგ ნატო.

მათე—(**მიმავალ ნატოს**) ნატო, რომ მოდიოდე, არ დაგავიწყდეს და გაზეთი წამოიღე.
ნატო—წამოვიღებ, მამა, წამოვიღებ. (**მიდის**).
თებრო—(**ქოქოლას აყრის**) უი, შენ მომიკვდი, შენ! არა, რა შაექვათ გინდა ის გაზეთი?
მათე (**ცოლს**) შე მუდრეგო, რატომ არ უნდა მინდოდეს! წავიკითხავ, ახალ ამბებს გავიგებ. შეიძლება ობლიგაციის მოგებაც ეწეროს შიგა.
თებრო—აი, მიწამ კი გიყოს პირი! ქალაქიდან რამდენი ოხერი ჩამოეთრევა და დაგიწყებს იწილო-ბიწილოს, ყველას უნდა დაუჯერო, შე გულკეთრიშვილო! არა, რა შავჭირათ გინდოდა, ის ქალალდი რომ იყიდე!
მათე—რა ვქნა! რით ვერ გაიგე, დედაკაცო, რომ ის უბრალო ქალალდები კი არ არის, სახემწიფო ობლიგაციებია!
თებრო—(**ტირილით**) მე, დედაკაცს ერთი რიგიანი კაბა ვერ შემიკერია და შენ კი რალაცა ქალალდებშა აბნევ ფულებს! ვაი, ჩემ სიცოცხლეს შენს ხელში!
მათე—შე სახლკარამოსაბუგო, გაიგონე მაგ ვერანა ყურებში, რომ ის ფასიანი ქალალდებია, ფასიანი! როცა მინდა, დავახურდავებ ბანკში. გადასახადში მივცემ ფულის ადგილას, სარგებელი მეძლევა ზედა და შეიძლება გათამაშების დროს კაი თანხაც მერგოს.
თებრო—უი, მეხი კი დაგაყარე! შენ რა გერგება, შე შავ დღეზე გაჩენილო!
მათე—რატომაც არა. ვინ იცის, ეშმაკს თვალი არ უჩანს!
თებრო—ვაი, შენ დაიხრუკე ჩემის ცოდვით! არა, რატომ სხვები არა ყიდულობენ იმ ქალალდებს, რალა შენ გამოხველი პრაფესორი!
მათე—ისინი შეუგნებლები არიან. არ იციან, თუ რა არის მათი სასარგებლო და საზიანო.
თებრო—შენ კი დიდი ადუკანტი მყევხარ შენმა თავის გაფხრეწამ!
მათე—მართალია, დიდი ნასწავლი არა ვარ, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ჩვენი მთავრობა მუშურ-გლეხურია და ჩვენი ვალია, რომ დავეხმაროთ მას. ემოკრატია ფულის გდებასა ის არა სჯობია, რომ მთავრობას ვასესხო! როცა დაგვჭირდება, გადავახურდავებთ. რას ვკარგავთ, ერთი მითხარი?!

(**კულისებიდან მოისმის ეგნატეს ხმა: „თებრო, მათე სახლშია?“**)

არიქა, გაიხედე, ეგნატე იძახის, მგონია.
თებრო (**მიდის კარებთან და დაინახავს ეგნატეს**) მობრძანდით, ბატონო, შინ გახლავთ. (**შემოდის ეგნატე**).

გამოსვლა 2.

(მათე, ეგნატე და თებრო)

ეგნატე—გამარჯობა, მათე! რასა იქ და როგორა ხარ!
მათე—მადლობთ. შენი ქირიმე, გახლავართ. სიმშილით არა მშიან და ისე რაც სხვას, ის მე. დაბრძანდი.
(**ეგნატე ჯდება**). სხვა, ეგნატე, რას შვრები, ობლიგაციებს არ ყიდულობ?
თებრო—ყველა შენსავით ჩერჩეტი კი არ არის, რომ იყიდოს! (**მათე შეუბღვერს თებროს**).
ეგნატე—რას მიედ-მოედები, კაცო! კი არ გავგიჟებულვარ, რომ ქალალდებში ფულები ვაძლიო!
თებრო—აჰა, ესეც მე ვარ, შე ქოფაკიშვილო?!
მათე (**თებროს**) დედაკაცო, შენ ენას მოუკლე, თორემ... (**ეგნატეს**) კაცო, ის უბრალო ქალალდები კი არ არის, ფულია, ძმაო, ფული. ი, მუთაქებში რომა გაქვს ჩატენილი ის ჩერვონცები, ის არ გირჩევნია, რომ ობლიგაციები იყიდო! დაგჭირდება, ფულის ადგილას გამოიყენებ, სარგებელს აიღებ, არაფერს დაკარგავ და ამით მთავრობასა ღა ხალხს დაეხმარები.
ეგნატე—რას როშავ, ეე! გადასაყრელი ფულები რომ მქონდეს, იმაში მივცემ! მე რაში დამეხმარა ის მთავრობა, რომ მე დავეხმარო იმასა!
მათე—ბიჭო, გაახილე ეგ ბრუტიანი თვალები და დაინახავ. ეს ფულები რომ კეთდება, ზკოლა, აფთიაქი, ბალნიცა, დოხტური, ფერშალი... როგორა, ეს ალა-ალა კი არ არის! ფული არა ღირს ესა!..
ეგნატე—მე თუ დამჭირდება, დოხტურსაც მოვიყვან და ფერშალსაც.
მათე—იმას თუ იტყვი, ის მიწები რომ ჩამოგართვეს... რა უყოთ მერე. მეტი გქონდა და ჩამოგართვეს.
ეგნატე—ჩემი ნაწვავ-ნადაგი მიწები რომ ჩამომართვეს, და იქვე ჩემი გულის გასახეთქათ ჩემს მეზობელს რომ მისცეს, კი არ დამვიწყებია!
თებრო—უი. გაუწყდეთ იმათ სახელი.
მათე—ვიცი, შეილოსა, რა ნაწვავ-ნადაგიც იყო. ი, ფულის სარგებელში, რომ დაახრჩო მამაშენმა საწყალი გლეხობა, ის მე კარგათ მახსოვს. შენც, რალაცა, მამაშენის კვალს მისდევ და არ ვარგა, ჩემო ეგნატე. სოფელი უნდა გიყვარდეს: მეზობლები, ამხანაგები... არა, რა გიჭირს, რომ შეიძინო ობლიგაციები! კანონიერ სარგებელს აიღებ,

ალაზნის გაღმა სკოლებში



— რას ერჩი, კაცო, მაგ დარაჯს!
— დღეს შაბათია, და მოწაფეები ბაზარში წავიდენ... ამას მაინც ვასწავლი.

კირცხელი ფერშალი

სოფ. კირცხი (ზუგდ. მაზ.)

ნახ. დონის

პანღურს ამოჰკრავს ავადმყოფს,
თუ კი ნუწუა დალია.
ჰას იშვიათად შეხვდებით,
რომ ის არ იყოს მთვრალია.

(კვიმატი)

— კაცო, თავი გტკივა, და მანდ ხელს რატომ იჭერ?
— ჩვენს ფერშალთან ვიყავი და პანღური ამომკრა!

თანაც შეიძლება მოიგოს შენმა ობლიგაციამ და უცებ გამდიდრდე კაცი!

ეგნატე—ვერაფერსაც ვერ მაიგებ. იმ ფულებს აგატყაევებენ და მეტი არაფერი!

თებრო—მაშ, ეგრეა, ჩემო ბატონო, მაგრამ ამის თავში რომ არა ჩავიდარა!

მათე (თებროს გაჩუმდი მეთქი, დედაკაცო! (ეგნატეს) რატომ ლაპარაკობ ეგრე! განა, მაგალითი (ოტაა! განა, ცოტამ მაიგო!

ეგნატე—არა, მე მაგითანა აწკესზე არ ვეგები. შენ რაც მაიგო მაგ ქაღალდებიდან, მე ნუღარ გამიყოფ. (ისმის ნატოს ხმა: „მამა, მამა!" შემორბის სახლში).

გამოსვლა 3.

(იგინივე და ნატო)

მათე—რა იყო, შვილო?

ნატო—მამა, შენ რომ საგლეხო სესხის ობლიგაცია გაქვს, იმისი გათამაშება მომხდარა და დღეანდელ გაზეთში სწერია. ცხრილი, თუ ვინ რამდენი მოიგო.

მათე—ჰო, ეს ძალიან კარგია, შვილო! (თებროს) თებრო, გამოიტანე ის ობლიგაციები და ვნახოთ, იქნება მოვიგეთ რამე.

თებრო—(მიდის და თან ლაპარაკობს) იი, მეხი კი დაგაყა რე: შენცა და შენს მოგებასაც. დაგიყაპავენ შენმა თავის გაფხრეწამ! (მიდის გამოსატანად).

ეგნატე—(მათეს) შენ ემანდ თავს არ იწუხებდე, ის გირჩევნია!

ნატო—(ეგნატეს) რატომ, ბატონო, რატომ? აქ მოტყუილება კი არ არის.

ეგნატე—ვინც მაგ ლატარიას აკეთებს, ის თავის თავს უფრო ადრე მოაგებინებს.

ნატო—(ეგნატეს) ტყუილია! თქვენ გინდათ, რომ ყოველთვის სხვას აძროთ ტყავი, თქვენი ჯიბე გაისქელოთ და საერთო საქმეს კი მუდამ ზურგს აქცევთ, მაგრამ თქვენი უპასგავსო ბორებით სახალხო საქმეს ჩირქს ვერ მოსცესებთ!

ეგნატე—ნელ-ნელა დათვალეთ მოგება, ჯიბე არ ჩაგაგლეჯოთ!..

ნატო—ჩვენ თუ არ მოვიგებთ, სხვა მოიგებს. ვინმეს შეუმსუბუქდება ძდგომარეობა და ისიც კარგია. ჩვენ ამით არაფერს არ ვაგებთ, პირიქით, საზოგადო საქმეს ვეხმარებით.

თებრო—(შემოაქვს ობლიგაციები და ირონიით მათეს და ნატოს) აჰა, თქვენი ფასიანი ქაღალდები და აბა, ვინძლო, არ დაგაყიწყდეთ და კიდევ იყიდოთ!

ნატო—(თებროს) რატომაც არა. როგორც კი ფულს მოვიგებს ხელში მამაჩემი, მაშინვე ვაყიდვინებ სხვა ობლიგაციებს. (გამოართმევს ობლიგაციებს დედას, სინჯავს და ადარებს გაზეთის ცხრილს. უცებ შეჰკივლებს და შეხტება). ვაშა, ვაშა! ჩვენს ნომერს მოუგია! (ხტის) ვაშა, ვაშა, ვაშა!

მათე—რამდენი მოუგია, შვილო?

ნატო—ვაშა, ვაშა, ვაშა, ვაშა!

თებრო (ნატოს) აღარ იტყვი, ახლა, რაშია საქმე, შე სასიკვდილევ!

ნატო—აბა, ეხლა რაღას იტყვი, დედაჩემო! ვინ ყოფილა მართალი: მე და მამა, თუ შენ?

(ეგნატე გამშრალი სდგას)

თებრო (ნატოს) ხმა გაიქრე და სთქვი რამდენია!

მათე—რამდენიც უნდა იყოს. ხომ მოვიგეთ და თქვენ ურწმუნოებს დაგანახვეთ, რომ აქ საღი საქმეა და არა ეშმაკობა!

ნატო (ხტის) მამა, მამა! ათასი მანეთი, ათასი! გაუმარჯოს ერთობას, გაუმარჯოს ინდუსტრიალიზაციას!

თებრო—(ნატოს) იი, ათასი მანეთი კი არა! მართლა, შვილო?

ნატო—მართლა, დედაჩემო, მართლა! აი, რომელ ნომერსაც ათასი მანეთი მოუგია, სწორეთ იმ ნომრის ობლიგაცია გვაქვს ჩვენ!

თებრო—(გადახედავს მათეს სიცილით) უი, შენ კი გენაცვალე, ჩემო ბეკვიანო ბიჭუნაავ! მოდი ერთი გაკოცო! (მოეხვევა, ჰკოცნის და ხელს უსვამს სახეზე და ულვაშებზე) ჩემი ბიჭუნია, ჩემი ციცუნია, ჩემი ბეკვიანი მათე. უი, შენ გენაცვალოს თებროს ორივე თვალები!

მათე—მაიცა, დედაკაცო, მაიცა!

ნატო—ვაშა, ვაშა! ათასი მანეთი! მამა, რას მიყიდი ახლა?

მათე—რასაც მეტყვი, იმას გიყიდი, შვილო.

ნატო—არა, მამა, პირველყოველისა ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციები შევიძინოთ, ყველაფერს ისა სჯობია! (ხტის) ვაშა, ვაშა, ვაშა! (ცეკვავს) დიფტიპიტომ, დიფტიპიტომ!.. (მიმართავს ეგნატეს) ჩატეხე მუთაქაში ის ჩერვონცები, რომ გაოხრია! (ნიშნის მოგებით) ჰე, ჰე, ჰე!.. დაგიდგეს თვალები! აი, ათასი მანეთი ჩვენ და შენ კი... (თითს გამოიკვლებს პირში და აჩვენებს) ბუპლეუზ! (ეგნატე გამშრალი სდგას უსიტყვოდ შურით ალვსილი).

თებრო—(მოეხვევა მათეს) ჩემო ბეკვიანო, ბიჭო, შენ გენაცვალოს შენი თებრო...

ფარდა

ᲒᲝᲒᲑᲘᲐ

იყო სოფლად მამა ვინმე თალაკვაძე გვარათ...
იყო წინათ, ეხლაც არის და იქნება მარათ,
დიაკვანი იყო სოფლის, შემდეგ გახდა მღვდელი,
„მოსავლელად“ აირჩია მან მსუქანი მრევლი.
„წმინდა მამა წმინდა საქმეს წმინდათ მსახურობდა“.
კურთევას და „მფარველობას“ ყველას ამკურებდა.
დრამის ფული საკურთხები მუდამ ჰქონდა ბლომად,
ტკბილ ცხოვრება-ფუფუნების ის გადაიქცა ნდომათ.
პედაგოგიც თვითონ გახდა ამავ სოფლის-იგი;
(ძველ დროში ხომ ამ ორ დარგის ასეც იყო რიგი),
ან ეშმაკი რას დააკლებს, კაცს თუ სწყალობს ღმერთი,
მღვდელიც ნდობით აღჭურვილი იყო ერთად ერთი.
ფოფოდიაც ჰყავდა ტურფა, სანაქებო ქალი,
მაგრამ მაინც „წმინდა მამას“ სხვისაკენ ქონდა თვალი,
და ხელების ფათურობა თუმც უჯდება ძვირი
მამა სტაქოს ერთხელ კარგად აუწითლეს ცხვირი.
ნიკოლოზის სამეფოში იყო მძლეთა-მძლევი,
ნოეს დროსაც დარჩა ისევ მამა მდევთა-მდევი.
მაგრამ, აბა, დრო რას არ ქმნის. შეუბრუნდა კეხი:
თავს დაატყდა საბრალო მღვდელს კომკავშირელთ მეხი:
ეკლესია დაკეტეს და შიგ გაუსხნეს სკოლა,
საწყალს ასე აუტეხეს გულში შიში, ძრწოლა...
იგი მაინც გულს არ იტეხს, არც თმობს მრევლის ფლობას.
პედაგოგობს და განაგრძობს ამავე დროს მღვდლობას.
ასე დაჰყო წელი სამი, აცანცარა წვერი,
და რა ნახა: მღვდლობამ იმას აღარ მისცა ხელი,
„გაურჯულდა“ მისი მრევლი, გადაგვარდა „ერი“,
დაელია საკურთხები, დარჩა მთლად მშიერი;
მღვდლობას თავი გაანება, დადგა პედაგოგათ,
და ცხოვრება უკუღმართი შეეცვალა ობათ.
(ეშმაკები რას დაგაკლებს, თუ კი გწყალობს ღმერთი);
სჩანს: პედაგოგს აქაც შემწე გამოუჩნდა ერთი.
და პენსიაც გამოსწაპნა ოცდახუთი წლისა,
მისი „ნამოღვაწარი“ და პედაგოგობისა.
ცაციც სწორედ ამას ქვიან, გაიტანოს თავი,
ყველგან შეძვრეს და გამოძვრეს, აიცდინოს ავი.
ჰო-და, დღესაც კაცი ესე, თალაკვაძე გვარად,
სცხოვრობს სოფლად, პედაგოგობს, თუ კი დარჩა მარათ.
დიაკვნობა დაივიწყა, აღარც არის მღვდელი,
მხოლოდ პედაგოგი გახლავთ სტაქო „ძველთა ძველი“.

გო—ცი.

ღერილი ჩუმლაყიდან

მოახლოვდა ზამთარი და, ალბად, სუსხს დაანთხევს,
და ჩუმლაყის მცხოვრებლებს კი მძიმე დარდი აწევს;
არ გვაქვს წყარო, კოოპერატივს თავს ენგრევა ჭერი,
და ამგვარად ჩვენ სოფლისთვის მძიმობს ყველაფერი.
სამკითხველო უსახსრობით კვდება, სულსა ღაფავს,
აღარც სახალხო სახლი გვაქვს (ვიტყვი სიტყვას მართალს).
საყასბოს კი ბინა არ აქვს: ხან აქ, ხან იქ არი,
მისთვის ჯერ არ გაუსსნია არვის ბედის კარი,
ოთხ წელიწადს გვატყუებდა გურჯაანის „ეპო“
გვპირდებოდა: კოოპერატივს სახლს აუშენებო“,
ახლა ველისციხის „ეპო“-ს გადულოცა ესა,
ვაჰ, თუ გურჯაანის „ეპო“-ს ესეც გაჰყვეს წესსა!
ჩვენ სახალხო სახლი არ გვაქვს, მარანს ვხმარობთ მისთვის,
სკოლის საქმეც ცუდათაა, ვხედავ, ამ ზამთრისთვის.
დაწყებული შეკეთება დამთავრდება როდის?
შემოდგომა უკვე მიდის და ზამთარი მოდის.
ცივა. ქარი სამკითხველოს ძალით უღებს კარებს,
შიგნით გამგე მოწყენილი წყნარ-წყნარად ამთქნარებს,
არსაით ხსნა, ჯერ არსად სჩანს, საქმე ცუდათ მიდის
ალექსანდრეც „ჩალაღაჭებს“ მძიმე - მძიმედ ჰყიდის...
ივანეს კი ნაღვლიანად ეძინება დახლში
გიგო, თედო და ჭყეტელა მას დასცინის ხალხში.
მასწავლებლად მოგვევლინა მიქაშვილის ქალი,
საზოგადო საქმეებზე უგუნებოდ არი.
ასე არის ხშირად საქმე ჩამორჩენილ სოფლის:
ფუჭად მიდის ფულის კრეფა და დაღვრილი ოფლიც...

კ—კლი.

„დაიჭირა“

ნახ. დონის

— ხედავთ?! გუშინ ის ეკლესიაში ჩვენ გვლოცულობდა... დღეს აქ ურწმუნოთა კრებაზეა.

ცნობათა მიღება

პატარა ანქესს (ქუთაისი): — გვწერთ:

ფეიქართა კავშირმა
რადიო შეიძინა.
ერთხანს კი ხრიწინებდა,
და შემდეგ დაიძინა.

ალბად: დააძინეს, რომ ხელი არ შეეშალა მათ ძილისათვის. ვაი, შვიდასო მანეთო (რომელიც ეს რადიო დაჯდა), რა უბედურ დღეს ყოფილხარ მოჭრილი.

მილიციას ამკობს
ახობაძე ლექსო.
(ხუთი ბოთლის შემდეგ
კიდევ დალევს ექვსო)... და უსაყვედურებთ, **რომ შუალამეზე მიადგება კარებს და აღვიძებს მდგმურებს;**

— მე ვარ, ლექსო, კარი გამიღეთ, თქვენი სადღეგრძელო უნდა დავლიო...

ზე-ზრდილობიანი კაცი ყოფილა, და განა საყვედურის ღირსია ამისათვის?

კვერს (სამტრედია): — კვერის ჭამასავით ადვილი, რომ იყოს შარადის შეთხზვა, მაშინ კარგი იქნებოდა თქვენი შარადა, რომელსაც ჩვენ დავბეჭდავდით.

დამსწრეს (გოჩა-ჯიხაიში): — თუ კი რაიმე გავლენას მოახდენს თქვენი ლექსი, ვსინჯოთ ჯერ-ჯერობით ამ სტრიქონებით:

უარს არ იტყვიან, დალევენ
ლვინოდ რომ იქცეს რიონი.
თეატრში მთვრალი მოვიდენ,
პარტერს რწყავს ბესარიონი.

სამტრედიელ გვაჯას: — ჯერ გაიგეთ, ვინ არის ავტორი „სამშობლო ხევსურისა“ და შემდეგ მიბაძეთ მას, და არა ილია ჭავჭავაძეს, რომელსაც არ ეკუთვნის ეს ლექსი.

მელაუურელს (სამტრედია): — თქვენი შარადა ასე თავდება:

რიგრიგად ახლა მოაბით
ნაწყვეტნაწყვეტი სიტყვები.
შარადა ახლა გამოსთქვით,
ეს იყო ჩემი ფიქრები....

თქვენ უფლება გაქვთ, რაც გინდათ ის იფიქროთ, მაგრამ თქვენს ფიქრს ჩვენ ნუ გვიზიარებთ. სიტყვა „ლეტარია“ ქართულ ენაზე არ არსებობს; „ლატარია“ — კი.

საცოდავს: — ჩვენ არ ჩავერევით თქვენს ოჯახურ ცხოვრებაში. თუ თქვენ „საცოდავი და უბედური ხართ ასეთი ცოლის გადამკიდე“, არც თქვენი ცოლი არის თქვენი გადამკიდე დალხინებული. ასე, რომ ორივე თანაბარ პირობებში ხართ. და ისევ შინაურულად მორიგდით.

ვაუკაცს: — „ისე მაგრად დავეცი, რომ რამდენჯერმე გადავედი ყირაზე, მაგრამ თავისა და კისრის მეტი არაფერი მომტეხია“-ო. თუ თქვენ ამას ვაჟკაცობას ეძახით, ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ.

იგრეკს: — წერილის ბოლოში გვწერთ:

„ორი ღამე მაქვს გადანათენები
ამ წერილზე, და შენ იცი,
ტარტაროზო თუ არ დაშეკერგავ“-ო.

შევინახეთ საიმედო ალაგას. (ჩვენს გოდორს ძაფარი ძირი აქვს).

კალმის წვერს: — თქვენი მესტეირული ასე თავდება:

ააფრინეს ალალიო,
რაც არ არის, არ არიო!

სწორედ თქვენს წერილზეა ნათქვამი.

გახლაფოტრთეგულს: — წავიკითხეთ თქვენი „იუბილიული შეკითხვა“: „როგორ მოვიქცე — გაუშვა ცოლი თუ არა?

თუ დაასწრებთ, კარგია — თქვენი სახელით, ოღონდ თვითონ მიგატოვებს, როცა კარგად გაგიცნობს.

თოზალოს: — თქვენ გვწერთ, რომ:

„შემოჩნდენ ჩემი ერთგული ამხანაგები და დამაწყებინეს ლექსის წერა“-ო.

არა გვგონია, რომ ისინი თქვენი ერთგული მეგობრები იყვენ, თორემ ამ საქმეს არ გაგიბირდებოდენ. თუ ძმინი სიცილით იხოცებოდენ, რომ ეს წაუკითხავთ:

„პარმენს გადასცდა ხახაში ღომი,
საწყალი ღომი ჩაეფლო კუჭში.
ხამაგიეროდ ის იყო ცხელი,
ვერ დაიჭერდით იმ ცხელ ღომს მუჭში“,—ალბად დაგცინოდენ და ამიტომ ხარხარობდენ. თქვენ კი გგონიათ, რომ კარგი ლექსი დასწერეთ. არ დაუჯერეთ მათ, არ შესცდეთ!

პოეტ ულაპაძეს:—უფსკერო გოდორმა გადაყლაპა თქვენი ლექსი. ძლივს-და გადავარჩინეთ მისი ბოლო. რომელიც ხახადან ამოვსტაცეთ:

გთხოვთ დაგვიბეჭდოთ, რადგანაც
ვატყობ მაქვს დიდი ნიჭია.
მე ვარ პოეტი ულაპაძე.
ზესტაფონელი ბიჭია!

ცდებით... სასტიკად ცდებით!

ბოლოგარგველს (ნიგოითი):—თქვენს წერილში ულოლიკობა არის: ალმასკომის თავმჯდომარე არაუფრს არ აკეთებსო. შემდეგ გაბსნეს სასადილო და იქ ქეიფობსო... განა სასადილის გახსნა და ქეიფი უმოქმედობას ნიშნავს? მერე რა ვუყოთ, თუ:

ერთიმეორეს გაუტეხეს
თავი და პირი ქვებითო;
თავმჯდომარე იქ უყურებს
პაპიროსის წვეთოთო...

მაშ რა უნდა ჰქნას ასეთ შემთხვევაში თავმჯდომარემ? პილსუდსკი ხომ არ არის, რომ ყველას საქმეში ჩაერიოს?! ნეიტრალიტეტს იცავს, არ ერევა სხვების საქმეში, — და ამისათვის არ არის თქვენი თავმჯდომარე საყვედურის ღირსი.

ბორითელ ბეკრს (ძირულა): — ალმასკომი და არც მილიცია არ იქნებიან წინააღმდეგი, თუ გლეხკომის სასადილოს, სადაც:

ვარავინ დათვლის, თუ რამდენი
აქ გლეხები გალახულა,
ჯერ ასეთი სასადილო,
უნდა ითქვას, არ ნახულა, — სახელწოდებას გამოუცვლით და დაარქმევთ შესაფერს: „გლეხის ზურგი“.

[illegible]

„პირიქით“

ნახ. ნადარეიშვილის

— კაცო, რა ვაჟკაცობაა, კედლის გაზეთში გამოგვიმეს, როგორც ხულიგანი!?

— ეგ რა! ვერა ხედავ, ორი კაცი ფეხს ქვეშ ამომიგდია და ვსცემ... აი ვაჟკაცობა!

კვირა, 9 დეკემბერი 1928 წ. № 182 ფოლიფაადი ამეხუთე ფასი 15 კაპ.

ტანტანეზი

იმპერიალისტურ დიპლომატიის „ფონზე“

ნახ. ნადარეიშვილის.



პირველი საცვეთია,—
პოლიტიკა ასეთია

ნახ. მარრაშის.

გიგოჯან! სამი კვირეა რაღა, რაც ამ განათლების სახლში ვზივარ. მედაჩემმა ღმერთმა თავი მენანება ასეთ ფუქსავატ რამეზე რომ ჩავარდი. სამოცი წლის გადაყრუებული ბებერი გავქყლიტე. რა მოხდა?! მითომ მეც თამამშვილის ქარვასლა დამინგრევია აი!

არა, მე ხო ამას აინუნში არ ვიგდებ, მაგრამ მაინც ბრაზი მომდის იცი რაზე? იმ უსიფათო ვირისთავმა (გამომძიებელმა რაღა) ისე გააზვიადა საქმე, თითქოს შახტის ბოროტმოქმედება ჩამედინოს. ჩემი ბრალი რომ ყოფილიყო მაინცა, ვინ შერცხვენილი, კრინტი ამომეღო. მე განა არა ვხედავდი, რო უშნოთ მოფრატუნებდა შუა ქუჩაზე?! ჩემმა მზემ, ისე ბრაზი მომივიდა! ვფიქრობ: ვა, ე ბედასლი ვიღაცაა ალბათ თავი მოსძულებია მეთქი!

ჩემმა მზემ, გიგოჯან, ერთი სამჯერ მაინც მოვასწარი ჩემი „ზორორტოტას" დაყვირება, მაგრამ შენც არ მომიკვდე, იმას ყური არ გაუბერტყია. წერას რო აუტანია კაცი—რაღას გააწყობ, ძმაოჯან! ბაიყუში პროკურორი გაშოსულა და მისაყვედურებს: რატომ არ შეანელეო? როგორ ეტყობა რომ შოფერობის თავფეხისა არაფერი გაეგება. შეანელე რა, ლილაბანობაა!?..

მართლა, გიგოჯან, იცი რა ხოშით მოვქროდი?! რომ დაგენახე, ჩემმა მზემ, გამაჩერებდი და შიგ შუბლში მაკოცებდი. მოვდიოდი, მაგრამ რას მოვდიოდი! სუ ბდღვირს ვაყენებდი არემარესა. მოდი ასე ხოშიანათ კაცი ქოქროდეს და უცებ შეანელო რომელღაც დამბლა მოხუცის წინა! ეე, ბნელა! მა რიღას შოფერი ვარ! ძმაბიჭებში აღარ მინდა პური მეჭმეოდეს?!

გიგოჯან! რაღა გავაგრძელო! ი დამბლას კი ნაქყაპურტები გამოვადინე ,მაგრამ ემ არამკითხე ბირისუფლებმა ლამის სანანებელი გამიხადონ ასეთი ჩემი გათარეშება. ერთი წელიწადი მომისაჯეს. ექვს თვეზე ჩამოიყვანეს. მე კი იშედი მაქვს—ერთი ორი თვის შემდეგ გამოვიდე.

რა გიშაველ ყურუმსალო! მე აქ ბუზებს ვითვლი, შენ კი გიჟურათ დაჭრიხარ ქალაქის ქუჩებში. ეგეც მოსავალია რაღა! ვირისთავო, მე წირვა გამოსულ ბებრისათვის აქ ლამის სამი თვე უნდა ვოჯდე, შენ კი... ვაა! რა კარგი გაძვერი ორჯელვე! ვითომ ორი ბავშის. მაგიერ — ორი ჯიანქველა გაგიქყლეტია რაღა! ეგეც ბედი ყოფილა! მახლას, რა გაეწყობა!

ეხლა ე ჩვენ ანგალზახანზეც მინდა. ერთი-ორი სიტყვა დავხარჯო.

ჩვენი ოხერი შაჭრუა, აი ოჭრუაშვილი (თეთრი დუქნის გმირი, რაღა) ეხლა აქა ბრძანდება. რომ შოიყვანეს, ერთ ისეთი ჩავაფენთხე, მიკვირს ცხვირი პირზე არ მიეყლიტა ახალწლის ბასილასავით. არა, ვირისთავმა ისე ლაზათიანად მილეწ-მოლეწა იმის გზაზე გაგრიელთ ჩაჩხირული ურემი. არც კამეჩებს დააყარა კაი დღე, პატრონს ხომ კიდევ უარესი. მერე იმდენი ბიჭობა იხმარა, რომ მშვიდათა და უმტკივნეულოთ გაასწრო და ეს ჩათლახი მეორე დღეს ჩავარდა! ვაი, სრაბი იყვეს ამაზე ნ თეთრი დუქნის პურ-ღვინო, თუ ამაზე მეტი შნო აღარა ჰქონია.

არა ჰგვანებია ჩვენ კოლეგასა—აი ბოლო კვირას რომ ვარანცოვთან გაუქყლეტია ბავში და მიმალულა უგზოდ-უკვლოდ. ფენაცვალე იმას მარიფათში. ნეტა გამაგებინა, ვინ არის და ვინ შერცხვენილი—ქვეყნის ვალი არ დავიდო და ისე არ ვაქეიფო ერთი თალია ლაზათიანათა.

ჰაა, აგერ ეხლაც ახალ-ახალი რამე წავიკითხე, აი! თავის თავად დიდი არაფერია! ჩვენ ასეთი რაღა უნდა გავიკვირდეს, გიგოჯან! მაგრამ მაინც შახიანი ბიჭი კი ყოფილა ეს კრილენკო ვიღაცაა აი! ვაჰ! ორ ტრამვაის შუაში მოყვე, მაშინა მილეწო, მგზავრები დაიხოცონ და შენ უვნებლად გადარჩე! ჯან, ბიჭოჯან! ჩემმა მზემ ალაა ლია იმაზე ჩოფურაშვილთან ერთი შახიანი ჩაქეიფება.

დღევანდელ გაზეთში კიდევ ერთი ხურდაც არის: ერთი ახალგაზრდა გაუგზავნიათ რაღა დაუბრუნებელ ადგილას. მერე იცი ვისა? ზუმბაროვსა რაღა! იმას ამდენი შნო ვინ მისცა კაცო! აქამდის სულ ლაჩრულათ დადიოდა. ძლივს ერთხელ გამოიჩინა რაღა მარიფათი. ეხლა კი

სამართლიანი საყვედური

ნახ. მარიაშის.

ᲒᲘᲒᲝᲚ ᲠᲝᲑᲐᲥᲘᲫᲔ თავის წერილებში: „ᲢᲝᲚᲡᲢᲝᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ“ („ᲛᲜᲐᲗᲝᲑᲘ“ № № 8—9, 10), ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲜᲡ მხოლოდ თავისთავზე და ᲡᲢ. ᲪᲕᲔᲘᲒᲖᲔ. მკითხველ.

ᲢᲝᲚᲡᲢᲝᲘ (რობაქიძეს): — შე კაი კაცო, ვრთხელ მაინც გეხსენებია ჩემი სახელი!



შეიძლება ჩავწეროთ ჩვენს ამქარში. როგორც იქნა დაიმახსოვრა, რას იზამ, უარი აღარ ეთქმის.

შენა, შე ყურუმსალო! რა მოგვიდა? ერთ-ორჯერ მაინც აღარ გაგივლია ზარხოშათ? ან ისე დაშინდი ვირის თაო, რომ უცოდველივით დაღიხარ შენი „კადილაკითა“? მა როგორ მოხდა, ერთხელ შენც აღარ გაგიწყრა ღმერთი? მაგრამ შენ ხომ სხვა ანგალი რამე ხარ: ვინ იცის იმ ღრ ფაცანას კიდევ რამდენი მიაყოლე და ყველა ხათაბალიდან მშრალათ გამოდიხარ. იხვივითა.

გიგოჯან! ძმაოჯან! შე ყურუმსალო მოდი რაღა! მოდი ერთხელ მაინცა მნახე და პირში ჩამაფურთხე, რომ ეს ბაიყუშად ჩავარდი ერთი დამბლა ბებრუ[illegible]ენასათვინა. კაცი მაინც ყოფილიყო! დაჩლუტულ ტიკეტირასა ჭგავდა!

ეხ, ნეტა ვინმე იყვეს, ერთი კაი სილა გამაწნას და მითხრას: — ვირისთაო, გაჭყლეტა რო გეხერხება, რატომ დამალვა აღარ გეხერხებაო.

გამარტყას! ახია! ჭკუას ვისწავლი!

დედაკაცი ვიყო, თუ გამოსვლის დღესვე კარგ შეზარბოშებულ გუნებაზე ერთი ვისმეს არ გავუგალე თავი. მაგრამ თუ კიდევ ასეთი სია რამე გამოვდეკი და ხელში ჩაუვარდი, მაშინ, თუნდაც დამხვრიტონ—აღალია! ჩათალახი კაცი ღირსია ყველაფრისა!

ვაჰ, გიგოჯან! სადღეგრძელოში დამივიწყე, ოლონდ რუსთაველზე რო 90 კილომეტრის სიჩქარით მიაჭენებდე, მაშინ მომიგონე, ძმაოჯან, მაშინ მომიგონე შენი საწყალი ძმა და პირის ზიარება.

ᲜᲐᲓᲘᲠᲘ.

ᲡᲞᲘᲚᲝ ᲡᲐᲔᲠᲘᲡᲗᲐᲝᲜᲖᲔ

ᲛᲘᲑᲐᲫᲕᲐ ᲙᲠᲘᲚᲝᲕᲘᲡᲐ

„სპილო იჯდა ერისთავად
ერთს უდაბურს ტყეში“..
ზოგი „თავი“ ბევრგან ახლაც
არის „სპილოს“ დღეში!
„სპილოს“, ვიცით, მგელზე ცხვრებმა
რომ მიართვეს არზა,
რამაც „სპილო“, გულკეთილი,
მეტად გააბრაზა.
და მგლის დასჯა მოინდომა
გულკეთილმა სპილომ,
ვით ამას წინ ერთმა „თავმაც“,
სცადა, სასაცილომ,
როცა დაბალ მსახურების
წინ წარუდგა რემა...
დააფიქრა მათმა ქცევამ,
მათმა სიგამხდრემა!..
მოითხოვდენ დასჯას მნისა,
ჯოთის, მუდამ მსმელის,
ზრომის ფასი რომ გაუფცქვნა
და სპეცტანსაცმელის:..
მოითხოვდენ მის დასჯას და
„თავიც“ გასწყრა მნეზე,
მნე კი არა, თითქოს ქურდი
დაიჭირა მთხლეზე:
— მაცათ! მაცათ! მაცათ, აბა,
ვით დავზილო ისა!
მთასაც რომ სწვდეს შიშის ქარი
მი'ი ციცი ხმისა!..
მაგრამ როცა მნეც წარმოსდგა
ჩოთქით, ხელში — დავთრით
და აუხსნა ვითარება
ენის გადშოფართვლით,
მაშინ „თავმაც“ დაბალ მსახურთ
შესწყრა — შეუზახა:
„აკი ეს მნე თქვენთაგანმა
ერთმა ჩემთანც ნახა!
რესტორანში რომ ვისხედით
ერთად, მუსაიფით,
ყანწით არა, ჩვენ იქ ღვინოს
მივირთმევდით ჭიქით!
და სჩანს, რომ მნე მართალია!
ვის უნახავს მთვრალი?!
სპილომც ასე გაამართლა
მგელი, ხახა-მურალი,
საკითხი რომ იხებოდა
საქმეს, უკვე წამხდარს,
სპილოს ნებით მგლისგან ცხვრებზე
თითო ტყავის ახდას:
— თითო ტყავი? მაშ, ეგეც
გშურთ?
მართალია მგელი!
ცხვარიც რომ ალაპარაკდა
აგი საძაგელი!..
ბრძანა სპილომ, ლმობიერმა,
და ცხვრებს გადახედა,
ამ ლმობიერებამ ცხვრებიც
რომ დააიმედა...
დაბალ მოსამსახურეთაც
კვლავ ამოთქმდა რემა:
—სპეც-ტანსაცმელს ვითხოვთ მნისგან.
გახჭირდა მოცემა!

— სპეც-ტანსაცმელს? ჰო, ეს, მგონი,
ავით ლენინმაც ბრძანა
და მნე ამას არ ასრულებს,
აგი სალახანა?!
დამიძახეთ მნეს ამავ წამს!!!
მნეც წარმოსდგა წინა,
ჯერ დავთარი გადაშალა,
შემდეგ „თავს“ შესცინა:
—სპეც-ტანსაცმელს ვინ დაუჭერს?
მბოლოდ ამის ფული
კაბინეტის მოწყობაში
თქვენ გაქვთ გახარჯული!..
— კაბინეტის?.. ესე იგი,
ყეთილმოწყობაში?
სჩანს, აქ ისევ „რემა“ სტყუის,
ქაჯი უზისთ ყბაში!
მნე აქ ცამდის მართალია!..
აქ მოასხით „რემა“,
თუ თავი არ გაიმართლეს,
არ ასცდებათ ცემა!..
სწორედ ისე, როგორც სპილო
გასწყრა პირველ მგელზე,
შემდეგ მან მგელს დაუკვავა
და ცხვრებს დაჭკრა წელზე...
დაჭკრა წელზე.. მაგრამ წელი
როცა ჩაიღუნა,
გახდა სპილო, როგორც მტრედი,
და დაიღუღუნა:
— წელს თუ მოვსწყვეტ, მაშინ, ვაი,
ხომ დავრჩი უცხვაროთ?
მგლებო, გესმით:ერთ ტყავს გარდა,
თმაც არ შეუხაროთ,
თორემ თქვენდა სამწუხაროდ
კვლავ გასწყრება სპილო!!!
მნეზეც ასე დინკიხოტობს
„თავი“, სასაცილო:
— ამის შემდეგ კაბინეტზე
არ გაიღოთ გროში!
ფულებს გასცემთ სპეც-სამოსზე,
თუა სალაროში...
სალაროში თუა, ჰო... კი...
მნეც გაიღებს მაშინ,
რა თქმა უნდა, თუ სხვა აზრმა
„თავს“ არ გაჭკრა თავში,
და ფულები კვლავ სხვა რამეს
მან არ მოახმარა...
ზოგი „თავის“ ასალაგმავად
რა აღვირი კმარა?!.
აქ უეჭვო გარანტია
მნეს ვინ მისცა ჩვენში?
სიღარიბე, თუა ქოხში,
მუჭარტლიც გახლავთ სხვენში!
იქ დაბალი წვრილ ფეხობაც,
როგორც ცხვრების ფარა,
თვის შელახულ უფლებებს თუ
სჩივის წარა-მარა,
აქ ხომ „თავიც“ მართალია
და მნეც — თავის დროზე..
მგელი მგლობს და სპილო კი ზის..
საერისთაოზე!..

ᲞᲐᲖᲘᲠᲐ.

„ᲐᲓᲐᲛ“

იშვიათად ნახავთ სოფლად ისეთ ადგილს, სადაც შარა-გზების გზაჯვარედინზე კოოპერატივი არ იყოს.

ეს კოოპერატივები უმეტესად მოთავსებული არიან დუქნებში, რომლებიც უწინ სოფლის ჩარჩებს ეკუთვნოდათ.

— აქ ძალიან სავაჭრო სენთია! *) —გაიფიქრებდა შეძლებული სოფლელი და აწყობდა სავაჭროს.

უნდა ითქვას, რომ ამჟამად ასეთ ადგილას არის სასოფლო დაწესებულებები: აღმასკომი, სკოლა, საექიმო პუნქტი. კოოპერატივი, საკრედიტო ამხანაგობა, სამკითხველო და სხვა.

ალბად ამიტომ წუწუნებდა კოოპერატივის წინ თავმოყრილ სოფლელებში ერთი შეჭაღარებული, კარგად შენახული და გვარიანად ჩაცმული სოფლელი:

— რა გიჭირთ რა! ამ ოცი წლის წინედ ამ ალაგს „ტურის საქორწილოს“ ეძახდენ,— ტურები აქ სჭამდენ სოფელში მოტაცებულ ქათმებსა და ბატებს. ახლა კი ნამდვილი ქალაქია, ნამდვილი ბაზარი. ეს სულ ჩემი წყალობით არის... პირველად მე გავხსენი აქ დუქანი და აი თქვენი კოოპერატივის შენობა მე ავაგე...

— სამაგიეროდ, სოფრომ, შენი სახელი უნდა დავარქვათ ამ ჩვენს ქალაქს: „სოფრომგრადი“! — დაცინვით წამოიძახა ერთმა, რომელმაც ჩიბუხი პირიდან გამოიღო და განზე გააფურთხა.

— ქეყანა წახდა, თორემ შენ ასე არ უნდა მკადრებდე. არ გახსოვს — ყოველთვის გაძლეოდი ნისიას და...

—... და ტყავს მაძრობდი!

— ბიჭო, ვის რად უნდა შენი ტყავი? ტყავი კი არა, შენი თავი არ ვაოგა არაფრად!

— არა-და შენი სჯობია, შენმა სიცოცხლემ! შენი თავისანა ასი თავი რომ გადაადულო, ერთ ჩემი თავისთანა თავს მაინც ვერ მიიღებ!

— სოფრომ, რა გადარდებს, კაცო?! მართალია: ამ ჩვენს „ქალაქს“ შენი სახელი არ ვუწოდეთ, მაგრამ ერთ ძეგლს მაინც კი ღაგიდგმით...

— აი, იმის თავზე ე!—დაუმატა პირველმა და ხელი გაუშვირა ფეხსალაგისაკენ, რომლის სახურავზე უკვე მოსჩანდა ნახშირით დანახატი სოფრომის სურათი და ამ საპატიო შენობის კარებზე დიდი ასოებით სოფრომის სახელი.

— რა გიჭირთ, ბიძია, რა! დამცინეთ. ბურთი და მოედანი თქვენ დაგრჩათ!—ბრაზს იმაგრებდა და თავს ისე იჭერდა, თითქოს არ გრძნობდა თავს შეურაცყოფილად ამ „ხუმრობის“ გეო.—ვიღაცეებს რომ უდგამთ ძეგლებს, რაკა, მე მათზე ნაკლები საქმე გავაკეთე ამ სოფლისათვის თუ? პირველად მე გავხსენი აქ დუქანი. ეზლა კი ასეთი ქალაქია. მაგრამ თქვენ ძეგლს დამიდგამთ კი არა, ხმის უფლებაც არ მომეცით არჩევნებში...

წვიმა ისევ მოდიოდა.

კოოპერატივის წინ ხალხი თანდათან მატულობდა.

— ნეტა გაზეთი თუ მოიტანეს? — იკითხა ერთმა.

— რა დროს გაზეთია! ახლა ძველი მთვარეა. გაზეთი კი ახალ მთვარეზე მოაქვს ჩვენს გერასიმეს *).

— კი, შარა ავდარია და ეგებ მოიტანა-მეთქი!

— ავდარში კერასთან ზის და ცეცხლს ითბობს!

— ტყვილად გონია. გერასიმემ ავდარში იცის ფოსტის მოტანა, თორემ დარში არ სცალია—სახლში მუშაობს.

— ამას წინედ გერასიმე ტალახში ჩავარდნილიყო და ჩურჩხელასავით ამოსვრილიყო. ჯავრობდა: „თუ გზები არ გააკეთეთ, ფოსტას ალარ მოვიტან“-ო.

—მართლაც: საძაგელი გზები ყოფილა თქვენში... რატომ არ აკეთებთ?

— კი გავაკეთებთ, ბატონო, მარა ასეთ ავდარში როგორ შეიძლება მუშაობა!

— როცა კარგი დარია, მაშინ გააკეთეთ!!

— კი, ბატონო, მარა კარგ დარში სახლში გვაქვს სამუშაო და გზებისათვის ველარ მოვიცალეთ!..

სწორედ ამ დროს გერასიმემ ცხენი მოაგდო კოოპერატივთან და ფოსტა მოიტანა.

— აკი ვამბობდი, რომ გერასიმე ყოჩაღია-მეთქი, და თქვენ არ გჯეროდათ. აი, ხომ ხედავთ ახლა?!

— შშშენ მმმასხრობის ხხხხასიათზე ხარ, მე კი მთლად დავსველდი! — ირაყვედურა გერასიმემ, რომელსაც სიცივისაგან ენა მთლად დამბოდა.

— ნუ გეშინია, შაქარი არა ხარ რომ დადნე!

— აბა, წაგვიკითხე, გერონტი! — მიმართეს სოფლელებმა სოფლის სტუდენტს.

ძველი გაზეთი იყო, ხუთმეტი დღის წინანდელი, რომლის ნომერი ქალაქში მჭონდა წაკითხული.

სტუდენტმა დაიწყო დეპეშების კითხვა.

ყოველი დეპეშის დასრულების შემდეგ ის აყოლებდა სიტყვა „ადს“, რომელიც სწერია ყოველ დეპეშის დასასრულს.

— ვინ არის, ნეტა, ეს ვიღაც „ადს“-ია, რომ ყველა ქეყნის ამბები ასე კარგად იცის?!—ჰკითხა ჩუმად ერთმა მეორეს.

—... არ ვიცი, ვინ არის, ალბად ვიწმე ნასწავლი პროფესორია!

„სტუდენტი“ (ამიერიდან ნება გვიბოძეთ სტუდენტი ბრჭყალებში მოვაქთავსოთ) ისევ განაგრძობდა დეპეშების კითხვას ბოლოში „ადს“-ის დატანებით.

— არ ძინდა თავი ეცოცხალი, თუ არ გაეგე მაგ ვიღაც „ადს“-ია! — სთქვა ერთმა და „სტუდენტს“ შეეკითხა: — გერონტი, თუ კაცი ხარ მითხარი: ვინ არის მაგ ვიღაც „ადს“-ია, რომ ყველა ქეყნის ამბები ისე იცის, როგორც ჩვენმა ხუცესმა „მამაო ჩვენ“?!

მოულოდნელი (და თანაც გაუგებარი) იყო „სტუდენტისათვის“ ეს შეკითხვა, მაგრამ ის მაინც არ დაიბნა:

— „ადს“ არის დიდი ნასწავლი კაცი, რომელიც გაზეთის კოოსპონდენტია და იცის.

— პროფესორი ყოფილა!

— კი, რატომ!.. პროფესორია! — დაუდასტურა „სტუდენტმა“ და ისევ განაგრძო კითხვა.

— მეც ასე ეფიქრობდი! — კმაყოფილებით სთქვა შემკითხველმა.

— კაცი ვარ-ო, იმან უნდა სთქვას! კი ყოფილა რომ უნდა ისეთი! — უკვირდათ ზოგიერთებს.

ქვეშ-ქვეშ გამეცინა და ვიფიქრე: — ავუხსნი ამ სიტყვის მნიშვნელობას... მაგრამ „სტუდენტს“ უჭერხულ მდგომარეობაში ჩავაყენებ... არა-და, რატომ არ უწდა იცოდენ სოფლელებმა (და მით უფრო „სტუდენტმა“) ამ სამი ასოს მნიშვნელობა?!—დავაპირე თქმა, მაგრამ უცბად თავში გამიელვა:—„ტარტაროზში“ დავსწერ ამ ამბავს, წაიკითხავენ და გაიგებენ, რომ „ადს“ ნიშნავს: ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო.

ᲘᲡᲔᲚᲘ.

*) მოხერხებული ადგილი.

*) ფოსტის შიკრიკი



ᲐᲙᲐᲪᲘ ᲤᲐᲪᲐᲕᲐ:

ᲩᲔᲛᲘ ᲡᲢᲣᲓᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲖᲠᲓᲘᲚᲘ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲔᲑᲘ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲮᲓᲔᲜ, ᲛᲔ ᲙᲘ...

ᲐᲮ. ᲡᲕᲐᲜᲘᲡ.

ᲓᲐᲢᲕᲘᲠᲗᲣᲚᲘ „ᲖᲐᲕᲘ“

ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ჩვენში „ერთგულ“ კაცის
არ აგდებენ ამაგს არად,
უბად იღებენ, წუნს დასდებენ,
აცხადებენ აბეზარად.
თუ ეჭვი გაქვთ და თუ ფიქრობთ,
რომ გიყვებით რამე ჭორებს,—
ყური მიგდეთ: ეს ამბავი
ყველა იქვეს აგაშორებს.

იყო ერთი დინჯი კაცი,
(ეხლაც ცოცხლობს იგი, მგონი),
ზედმიწევნით ერთგული და
ხასიათის მტკიცის მქონი.
დიდი ჰქონდა მორიდება
კანონის და დეკრეტების;
(თან უყვარდა გამრავლება
საათების „ზედმეტების“).
ინსტრუქციებს ასრულებდა
ზედმიწევნით ზუსტად, სწორად.
(შემოკლების ნაცვლად შტატებს
ადიდებადა ერთი-ორად),
ქაღალდების შესრულება
უკეთესად ვინ იცოდა.
უფროსობაც მტკიცე ჰქონდა:
მის წინაშე ყველა ძრწოდა.
„უდოკლადოთ“ მასთან შესვლა
იქ ვერავის გაებედა.
ყარს დარაჯი ედგა მუდამ
და ეწერა კარებზედა:
გამგე იღებს: საქმეთ მმართველს
„ თერმეტიდან თორმეტამდე“
საქმმართველის მოადგილეს —
„თორმეტიდან პირველამდე“...
პირველიდან — „ნაჩკანცია“,
ორზე „ზამის“ არის რიგი;
სამზე გამგე დაღლილია
და სახლისკენ მიდის იგი.

— მოსდებია საწყობს ალი.

კერძო მთხოვნელს თუ საქმე აქვს.
ნუ ღელავს და ნუ ცხარდება,
მისცეს მთავარ რეგისტრატორს
წერილობით განცხადება.
ის გადასცემს „ურნალისტკას“,
ის კი საქმის-მწარმოებელს,
ის „ნაჩკანცის“ მოადგილეს,
(„ვოლოკიტის“ დიდათ მგმობელს“);
იგი ნაჩკანცს მოახსენებს,
„ნაჩკანცი“ კი (ახე მჯერა)
საქმმართველის „მოადგილეს“
მოახსენებს, სხვას თუ ვერა.
მოადგილე — საქმეთ-მმართველს
თავის დასკვნებს მოახსენებს.
საქმმართველი იმ ქაღალდებს
მაგიდაში მოასვენებს.
შემდეგ იგი პირველ „ზამზავს“
ორიოდეს ეტყვის სიტყვას;
გამგესთანაც მივა საქმე,
(ზლიერ „ჩქარა“ უნდა ითქვას),
გამგე ქაღალდს განიხილავს
შენ რა იცი წესი, რიგი?
ხვალ მიგიღებს გამგე, ხვალე,
დღეს „უპრავდელს“ უსმენს იგი“.
— ხანძარია, მოეკიდა,
გეუბნებით, ცეცხლი საწყობს!
— ბევრს ნუ ყბედობ, რა როგორ სჯობს
გამგის უკეთ შენ შეატყობ?!
ხვალ შემოდი, არ სცალიან,
საქმითაა დატვირთული.
— კაცო, ცეცხლმა მოსპო უკვე
იმ საწყობის ზესართული!
— არ გესმის, რომ არ სცალია?!

— ხანძარია, მოეკიდა!
— შემოიტა განცხადება.

გაუკეთებს ზედ წარწერას
(წითელ მელნით ცრემლით ნაწერს
ირიბულად გადასერავს)
დააბრუნებს შემდეგ უკან
იმავე რიგით, იმავ წესით;
ცმაყოფილი უნდა დარჩეს
ყველა ამგვარ ხვნათ და თესვით.
ამნაირი თადარიგი
მუყაითმა შექმნა კაცმა:
ერთგულმა და საქმის მცოდნემ,
საბმუშაკმა „მოსატაცმა“,
მაგრამ არვინ აფასებდა
ამ იშვიათ ერთგულ მუშაკს:
— უკეთესი რადგან არ გვყავს, —
ამბობდენ: — ჰე, არა უშავს!“
ერთხელ ამ კაცს, სულ შემთხვევით
მოენახა საშვალება,
ნათელ იყო წესისადმი
ერთგულება, მორჩილება.
უწყებაში ცეცხლი გაჩნდა:
მოეკიდა საწყობს ალი,
სულ შემთხვევით მოჰკრა მგზავრმა.
კატასტროფას ამ გვარს თვალი.
გაეშურა სირბილით და
კანტორაში შეჰყო თავი,
იქ დაუხვდა დიდი საქმით
დატვირთული ჩვენი „ზავი“.
— ცეცხლი გაჩნდა. — დაიყვირა. —
მოსდებია საწყობს ალი,
მიაშველეთ მეხანძრენი,
მიაშველეთ ჩქარა წყალი!
— რას ღრიალებ? — შეუძახეს, —
ნახე კარზე რა სწერია!!
კერძო მთხოვნელს დღეს არ იღებს,
(ერთი ნახეთ, რა შტერია!)
— სახლი იწვის, შე ურჯულო,
ხედავ, ცეცხლი მთლად ედება!
არ იქნება ამ გვარ საქმის
თუნდაც წუთით გადადება.
— არ იქნება, ჰო, მაშ, კარგი.
შემოიტა განცხადება,
არ გამოგრჩეს იმ თხოვნაზე
ღერბის მარკის დაწებება“.
ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ჩვენში, ერთგულ კაცის
არ აგდებენ ამაგს არად,
მე ვიცი, რომ ის „მუშაკი“
თქვენც გალანძღეთ ათასგვარად.
რატომ? რისთვის? ჩემის აზრით,
გინებაა უმართებლო.
იმ მუშაკმა ჩაიდინა
საქმე ფრიად სასარგებლო.
მართალია: ის საწყობი
გადაიქცა ნაცარ-ტუტად,
მაგრამ გამგის „ერთგულება“
არ ჩატარდა მაინც ფუჭად.
აწი ყველა დაისწავლის:
თავის დრო აქვს საქმეს ყველას,
უდროო დროს, თუნდ იწოდეს,
ნუ მოელი მისგან შველას.
აწი ყველა დაისწავლის,
რომ უტვინო ზოგი თავი,
ხანძარს უნდა მივსცეთ ლუკმად,
რაც უნდ დიდი იყოს „ზავი“.

ᲮᲣᲜᲖᲘᲙᲐ

ᲬᲘᲜᲓᲐᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲗ ᲬᲘᲜ ᲓᲐᲮᲔᲓᲕᲐ

ნახ. ტაბატაძის.

— ვა, ეს ვინაა, ჩვენი აღგილი რომ დაუკერია და ისიც ასე ზორბათ?!..
— სუ, კაცო, რასა ყვირი, ხომ იცი, ჩვენი გამგის ცოლია!...

ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲡ ᲬᲘᲐᲚᲨᲘ

საწარმოო თათბირების დადგენილება ხშირად კანცელარიებში იკარგება.

სინამდვილიდან.

...„ ამიტომ საწარმოო თათბირი აუცილებელ საჭიროდ სცნობს შეძენილ იქნას ორი ახალი დაზგა, გადაკეთდეს ჩამომსხმელი საამქრო და მოიწოს ვენტილაცია, ურომლოდ ძნელი ხდება ქარხნის შენობაში მუშაობა".

ასე თავდებოდა საწარმოო თათბირის დადგენილება, რომელიც ერთხმად მიიღო რათბირმა.

ეს იყო 1925 წლის დასაწყისში.

დადგენილება საწარმოო თათბირის მდივანმა წაიღო და რაღაც სამიოდე თვეში „ჩამოაყალიბა", შეუთანხმა თავმჯდომარეს და ქარხნის ადმინისტრაციას გადასცა. ამ უკანასკნელმა სათანადო დაწესებულებაში გადაგზავნა, სადაც იგი პირველად რეგისტრატორის მზრუნველ კალათში მოექცა.

ჩვენ ვიცით, რომ კანცელარიაში მოხვედრილი ქაღალდი, რეგისტრატორს და საქმეთა-მმართველს ადვილათ ვერ დაუძვრება ხელიდან განსაზღვრული ვადის განვალობაში.

მართლაც, საწარმოო თათბირის დადგენილება წყეულ რკალში მოექცა. იგი ერთი მაგიდიდან მეორეზე დასეირნობდა და ახალი რეზოლიუციებით ივსებოდა ისი სიგრძე და განი.

ეს ამბავი, როგორც ვიცით, 1925 წლის დასაწყისში მოხდა.

1926 წლის დასაწყისში ჩვენ ვკითხულობთ იმავე ქარხნის იმავე საწარმოო თათბირის დადგენილებაში:

...„განმეორებით იქნა საჭიროდ ცნობილი ახალ დაზგების შეძენა, ვენტილიაციის მოწყობა და საამქროს გადახალისება".

ვდივანმა ეს დადგენილებაც ჩამოაყალიბა, იურიდიულათ გააფორმა (როგორც იტყვიან ხოლმე ჩვენი რეცენზიებში), შეათანხმა, დაამუშავა და ადმინისტრაციას გადასცა. იქიდან დადგენილებამ იმავე კანცელარიაში ამოჰყო თავი და კიდევ უფრო დატვირთა ისედაც ვადატვირთული რეგისტრატორები. ახალი დადგენილებაც იმავე „საქმეში" ჩაკერდა, რომელშიაც 1925 წლის დადგენილება განისვენებდა.

გავიდა კიდევ ერთი წელი. 1927-ში წელმა ახალი დადგენილებით გაამდიდრა კანცელარია და კიდევ უფრო გადატვირთა შრომის ოფლში მცურავი კანცელარიის მუშაკნი. ეს იყო იმავე საწარმოო თათბირის დადგენილება, რომელიც ძველ რეზოლიუციებთან ერთად საქმეში ჩაკერეს, საქმისთვის მსელელობის მიცემაშად.

1928 წლის ვიწურულში საწარმოო თათბირმა დაადგინა შემოწმებინა თავისი დადგენილების შესრულების მსელელობა.

საწარმოო თათბირის მდივანი, თათბირის დავალებით შეუდგა თათბირის წინანდელ დადგენილებების ძებნას და ჩვენთვის უკვე ნაცნობ კანცელარიის დარბაზში ამოჰყო თავი.

— აქ ჩვენი თათბირის რამოდენიმე დადგენილებაა ერთი და იმავე საკითხის შესახებ — მიმართა მან დაწესებულების გამგეს.

— მე არაფერი მიმიღია, მიმართეთ ჩემს მოადგილეს! — იყო პასუხი.

მდივანი მოადგილესთან შეეიდა.

— ხომ არ გახსოვთ ჩვენი საწარმოო თათბირის დადგენილებები?

— არაფერიც არ ვიცი, ალბათ საქმეთა-მმართველს ექნება! — უპასუხა ცივად მოადგილემ.

მდივანი საქმეთა-მმართველს მიადგა.

— ერთი თუ კაცი ხარ, აქ ჩვენი თათბირის დადგენილებებია და მომინახეთ!

საქმეთა-მმართველმა თავი მოიქექა:

— შეიძლება იურის კონსულტს ეკითხეთ!

— საიდან, ძმაო?—აღშფოთდა იურისკონსულტი, — საწარმოო თათბირის დადგენილებებთან მე რა მესაქმება? ალბათ საქმისმწარმოებელს თუ აქვს.

საქმისმწარმოებელს კბილი სტკიოდა და სრულებით არ იყო განწყობილი საქმეების მოსაძებნათ. მან ერთა შეუღრინა საწარმოო თათბირის მდივანს და რეგისტრატორებისაკენ გადაუქნია თავი.

— ისედაც გადატვირთული ვართ საქმეებით, აქ კიდევ ეს კაცი მოგვადგა, — აბუზღუნდენ რეგისტრატორები მდივნის თხოვნაზე და შეუდგენ დადგენილებების ძებნას.

ძებნა სრულ 3 საათს გაგრძელდა, მაგრამ უშედეგოთ.

— დაიკარგა ალბათ, დაწერეთ ახალი!

— რის ახალი, რას ამბობთ!— აყვირდა მოთმინებიდან გამოსული მდივანი, — ახლავე დადგენილებები მომიძებნეთ. თორემ...

უცებ ერთ რეგისტრატორს სახე გაუბრწყინდა და ოთახიდან გავარდა.

რეგისტრატორი გამარჯვებული სახით დაბრუნდა და შეკრული ბოლჩა შეგოიტანა.

— ვიცოდი აქ იქნებოდა... კიდევ კარგი რომ გამახსენდა! — გასარეკიული ამბობდა იგი.

— სად იყო, ყმაწვილო, სად?

— არქივში ბატონო, არქივში, აბა სად იქნებოდა სხვაგან...

კანცელარიაში მთელი კვირა რეგისტრატორის მეხსიერებაზე ლაპარაკობდენ და იმასაც დაეინებით ამბობდენ, რომ მას დაწინაურება მოელის-ო.

ᲐᲚᲚᲐᲠ-ᲐᲚᲚᲐᲠᲡᲐᲜ.

ისევ ნიკოლ

ნახ. დერნის.

„კახეთში უქმად იდგა ოცამდე ტრაქტორი მხოლოდ იმიტომ, რომ არ იყო სათბობი მასალა. ეს ხდება საქართველოში, ნავთის ქვეყნის — აზერბეიჯანის მეზობლად“... (გაზეთებიდან)



დ ე პ ე შ ა

თარგმანი რუსულიდან

ნეკტაროვმა დაწესებულებაში, სადაც ის მოანგარიშედ მახურობდა, მოსკოვიდან მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა:

თანახმა ვარ, ჩამოდით
კალინინი

საზოგადოდ, დაწესებულებების თანამშრომლები არა თუ დეპეშას, წერილებსაც კი არ ღებულობდენ დაწესებულებების მისამართით. ამიტომ „დიდი ამბავი“ იყო ნეკტაროვის სახელზე დაწესებულებაში დეპეშის მიღება. ცნობისმოყვარე მდივანმა დეპეშა გახსნა და წაკითხვისთანავე გამგესთან შევარდა და მოახსენა:

— ამას ხედავთ?!

— ვინ არის ეს ნეკტაროვი?—იკითხა გამგემ, როცა დეპეშა წაიკითხა.

— ჩვენი მოანგარიშეა! აი, ის დასათხოვ სიაში რომ გვყავს შეტანილი!

—ჰაა!—შეშმუშვნით სთქვა გამგემ,—დამიძახეთ აქ!

— ან წუთში!

—არა, დაიცადე,—შეაჩერა გამგემ მდივანი.—გადაეცი ეს დეპეშა და თანაც უთხარი, რომ მე მასთან მოსალაპარაკებელი მაქვს.

ნეკტაროვმა წაიკითხა დეპეშა და მხიარულად წამოიძახა:

— ყუოუმსაღს როგორც იქნა, შოვაგონდი!

— შაშ თქვენ მიდიხართ ჩვენგან?

ცოტა ხნის შემდეგ გამგის კაბინეტში ასეთი ლაპარაკი იყო:

— რა გაეწყობა... მივდივარ!—იყო დაბეჯითებითი პასუხი ნეკტაროვისგან.

— შაშ ასე... რომელ დარგში აპირებთ მუშაობას?

— კომუნალურ მეურნეობის დარგში, მხოლოდ და მხოლოდ ამ დარგში... პირველ ყოვლისაგადაწყვეტილი მაქვს ცენტრალური აპარატი გავაძლიერო ადგილებზე მომუშავე ამხანაგებით.

— სწორია. მაგრეც უნდა.—მოუწონა გამგემ.—როდის აპირებთ გამგზავრებას?

— დღეს პარასკევია ხომ? მაშასადამე, კვირას ჩქარრ მატარებლით.

ამ საუცხოვო დეპეშის შესახებ ერთი საათის განმავლობაში თითქმის მთელმა ქალაქმა გაიგო.

ნეკტაროვთან შემოვარდა აღტაცებული ეგრივცევი, სასაკლაოს გაბგე და მიულოცა:

— მომილოცავს , მომილოცავს, ძმაო!—თანაც მხრებზე ხელებს სცემდა.—საინტერესოა, რომელ დარგში აპირებთ მუშაობას ცენტრში?

— მხოლოდ და ხოლოდ სასაკლაოს საქმეში. მე დიდი ხანია მაინტერესებდა ეს დარგი. და ბგონია, რომ... ყოველ შემთხვევაში მე მოვითხოვ, რომ ცენტრალური აპარატი შეივსოს ადგილებზე მომუშავე მუშაკებით, რომლებიც პროვინციებიდან გადაყვანილ უნდა იქნან ცენტრში...

კალბასის ქარხნის დირექტორს ნეკტაროვმა უთხრა, რომ მუშაობას აპირებს მხოლოდ კალბასის დამზადების საქმეში... და ცენტრალურ აპარტში გადმოიყვანს ადგილებზე მომუშავეებს, რომლებიც თავისი ინიციატივით“. და სხვ.

გემოკვების კავშირის სასადილოს გამგე, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის გამგე და ბრანდმაიორი ყველანი დარწმუნებული იყვენ, რომ ნეკტაროვი ცენტრში იმუშავებდა აუცილებლად მათ სპეციალობაში.

შაბათ საღამოს ნეკტაროვის პატარა ოთახი სავსე იყო სტუმრებით.

პირველად ნეკტაროვს სიტყვით მიმართა კოლმეურნეობის განყოფილების გაშგემ:

— ამხანაგებო, მართალია იუბილე და ყოველგვარი ასეთი ამბები გაუქმებულია, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ პატივცემით აღვნიშნავთ დაბალ მომუშავის—მოანგარიშის დანიშნულებასა და ღვაწლს. ჩვენ გვიხარია, რომ ჩვენს დაწესებულებაში ნეკტაროვები ბევრი არიან... სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ ცენტრი გვართმევს საუკეთესო მუშაკებს, როგორიც არის ამხანაგი ნეკტაროვი, რომელმაც მოკლე ხნის განმავლობაში მოანგარიშის საქმე მიუწვდომელ სიმაღლემდე აიყვანა... მიიღე ჩვენგან ეს მცირედი ძღვენი, ჩვენო ძვირფასო მუშაკო... სხვა რა

ს ჩიკვილი

ატირდა ხარი ნიკოლოზ მარგალიტისა ცრემლითა;
გვაბამენ რკინის ტრაქტორში, გვერეკებიან ცემითა.

გითხრა, გარდა იმისა, რომ გთხოვო:—დარჩი ჩვენთან... ნუ მიდიხარ... ნუ მიდიხარ!—და გამგემ მაგიდაზე დასდო ვერცხლის საათი.

ასეთივე პათეტიური სიტყვით მიმართა ნეკტაროვს სასაკლაოს გამგემაც, რომელმაც სიტყვა ასე დაასრულა:—შენი წასვლით ჩვენ გვაკლდება საუკეთესო სპეციმუშაკი... ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ეს გთხოვოთ: — დარჩი ჩვენთან და სასაკლაოს საქმეს სათავეში ჩაუდექი!—და სასაკლაოს გამგემ მაგიდაზე დასდო ფანერის ჩემოდანი.

კალბასის ქარხნის დირექტორმა მიართვა ერთი ყუთი კალბასი. სასადილოს გამგემ—პორტფელი, კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარემაც—პორტფელი. ხოლო ბრანდმაიორმა—თუჯის მუზარადი.

ამის შემდეგ სიტყვა ისევ კოლმეურნეობის განყოფილების გამგემ წარმოსთქვა:

— ამხანაგებო, როგორც ყველამ აღვნიშნეთ, ნეკტაროვი საუკეთესო მუშაკი ყოფილა და მისი აქედან წასვლა დიდ ზარალს მიაყენებს ჩვენს ქალაქს. ამიტომ, ერთხმად, ვსთხოვოთ ყველამ, რომ დარჩეს...

— გთხოვთ... გთხოვთ დარჩეთ... ნუ მიდიხართ! — ტაშს უკრავდენ ყველანი და სთხოვდენ დარჩენას

ნეკტაროვმა ძალიანე მოიკრიფა და ძლივს-ღა წარმოსთქვა, ისიც არეულად.

—ძვირფასო ამხანაგებო... თქვენი ასეთი თბილი მოპყრობა... თქვენი გულწრფელი თხოვნა... თუ თქვენ მართლაც ასე გინდათ, რომ მე დავრჩე,—თანახმა ვარ: მე დავრჩები... არ მივდივარ... ახლა რა მინდა იქ?! ეგებ არც კი გამართლდეს იმედი. წავიდე, და ვაი თუ უადგილოდ დავრჩი! ის ფედკა კალინინი, რომლიდანაც დეპეშა მივიღე ენით არის მაოჯვე ბიპი, თორემ საქმეზე თხლეა. არა მგონია, მან მე სამსახურში მომაწყოს... მე ვრჩები... მართლაც, პროვინციას უფრო ესაჭიროება კარგი მუშაკები, ვიდრე ცენტრს. ამიტომ, ამხანაგებო, მე ვასრულებ თქვენს სურვილს და ვრჩები... ფედკა კალინინის დეპეშას უყურადღებოდ ვსტოვებ... ამხანაგებო, რა მოგვივიდათ? რატომ ასე დაჩუმდით? სად მიდიხართ? დაიცადეთ, ჩაის გამოვიტან ამ წუთში! დაიცადეთ! მე არ მივდივარ... თანახმა ვარ დავრჩე...

სტუმრები ყურჩამოყრილი მიიპარებოდენ კარებში.

ხელოვნების ქრონიკა

სახელმწიფო ოპერა.

ჩამოვიდნენ სხვადასხვა ქალაქებიდან ახალი მომღერლები: 4 ტენორი, 3 ბარიტონი, 2 კოლორატურნი სოპრანო და სამი მეცო სოპრანო. ბასები არ არიან კამოწერილი, რადგანაც ამით პარტიას ასრულებენ ორთონ ოპერის დირექტორები. ამ დღეებში იდგმება ახალი ოპერა:

„ფინსახკომის ცუდი სიზმარი"

მთავარ როლებს შეასრულებენ ლელი ჯაფარიძე და იტალიელი მომღერალი ქალი სახხაზინა.

თბილისის მუშათა თეატრი. „ემიგრანტების" დადგმასთან დაკავშირებით სრულებით გამოიცვალა თეატრის აუდიტორიის შემადგენლობა. დამსწრეთა შორის ბევრია ყოფილი პოლკოვნიკები, გაკოტრებული ვაჭრები, გაქცეული მემამულეები და სხვადასხვა „ყოფილი ხალხი". გუშინდელ წარმოდგენაზე აღელვებულმა მაყურებლებმა ძოახდინეს ნამდვილი ცრემლების წარღვნა.

სახკინმრეწვი. ახალ ატელიეში შესდგა გრანდიოზული კრება იმ თავად-აზნაურებისა და საქართველოს სხვა ყოფილ ბატონ-პატრონებისა, რომლებმაც მონაწილეობა ვერ მიიღეს სახკინმრეწვის უკანასკნელ „ბოევიკში". კრებამ ერთხმად აღნიშნა სახკინმრეწვის ადმინისტრაციის ახალ შემადგენლობის არა სასურველი „უკლონი" და მოითხოვს იმნაირ ახალი „ბოევიკის" დადგმას, რომელიც ჩაიბამს საქმეში არა ნაკლებ ექვსი ათას უმუშევარ „ინტელიგენციას".

სახკინმრეწვის გამგეობის გამოანგარიშებით, ეს სურვილი დაჯდება 400.000 მანეთი. რადგანაც სახკინმრეწვის მთელი თანხა არის ჩაყრილი ორ „ბოევიკში" და სახელმწიფო ბანკიც ახალ სესხებზე უარს იძახის, გამგეობა ვერ აკმაყოფილებს მათი ბრწყინვალეებების სურვილს.

ამის შემდეგ შეურაცყოფილ კეთილშობილებს გადაწყვეტილათ მოსკოვში გამგზავრება „მეურაბპრომის" დადგმებში მონაწილეობის მისაღებათ.

•ჯანყებული.

„წმინდანების“ კრივი

ერთხელ თურმე „ზეციდან“
დაბლა ჩამოსულიყო
„ღვთის მშობელი“ მარიამ—
(„მამა ღმერთის“ სულიკო).
მოკლე კაბა ჩაეცვა,
პირს წაეცხო პამადა,
ალარ ახლდა „ექს მადამს“
ანგელოსთა „კამანდა“.
უპატრონოდ დარჩენილს
„ქალწულს! გული სტკიოდა
და საბჭოთა კანონით
ალიმენტებს სჩიოდა.
„ნარსუდის“ წინ გაჩერდა
ხელთ სამივრის ქაღალდით,
(რომ გაგეგლო, ტარტაროზ
შენი თვალით ნახავდი).
ამ დროს ცის კამარაზე
შეიკრიბენ „მამები“,
(ჩვენი „ბივში“ ღმერთები
და ჩვენი წმინდანები).
აქ იყო იეგოვა,—
„შემოქმედი“ ცნობილი;
თხას რომ უგავს წვერები,
„მამა-ღმერთად“ ხმობილი.
საიდანღაც ეთერში
„სულიწმინდაც“ გამოჩნდა
და ღრუბელის ქულაზე
„მამის“ გვერდით ჩამოჯდა.
ანგელოზიც მოვიდა
გაბრიელი ჩანჩალით, —
„კომენდანტი“ ზეცისა —
გალესილი ხანჯალით).
იქვე კუჭგამომხმარი, —
ვით მშიერი მწევარი —
იოსები—დურგალიც
დაჯდა უმუშევარი.
მოიგონეს წარსული,
ძველი ბედნიერება,
როცა ჰყავდათ მორჩილი
ცა და ქვეყნიერება.
და შემდეგ საუბარი
გააგრძელეს ტკბილადა:
თუ ქრისტე-მაცხოვარი
ვის ეკუთვნის შვილადა.
—„გაგიტყდებით, წმიდანნო, —
სთქვა პირველად „მამამ“
და ტკბილი მოგონებით
თვალები გადანამა:—
— თუმცა ახლა შტაინახიც
ველარაფერს მიშველის,—
მაგრამ დამეთანხმება
ახგელოზი მიშელი,
რომ მარიამ თავიდან
იყო ჩემი მხევალი
და ვით მხევალს ეკუთვნის,
მომიხადა მე ვალი.
მაცხოვარი ამრიგად
ჩემი გაჩენილია,
ჩემი მხევლის ნაშობი,
ჩემი ღვიძლი შვილია“.
ამ დროს გაბრაზებული
წამოხტა სული წმინდა,
გადმოქაჩა თვალები
და დორბლი მოიწმინდა;
დაიძახა: — ჩერჩეტო,
რა სიცრუეს ყრანტალობ?!
აბა შენ რას იზამდი,
როცა ძლივს დაბადდალობ?
ყეყეჩი ხარ და მუდამ
ჭკუამოკლე იყავი;
ბებრუხუნა, ქალთან რას
უნდა გამხდარიყავი?
ან ქრისტეზე ვინ დავობს,
ყველამ იცის თავიდან:
მარიამზე, ქალწულზე
სული რომ გადავიდა;
შენი სჯულიც მას ამბობს
ბიბლიაში სწერია;
დაგავიწყდა, არ იცი,
აზრები აგერია.
მოიხრუკე, მოდუნდი,
გაგილაყდა ტვინია;
მაცხოვარი—ვაცხადებ—
ჩემი ღვიძლი შვილია.
წამოვარდა ამ სიტყვებზე
გულმოსული გაბრიელი,
„ღვთის მშობლის“ პურ-მარილი
ნაცნობი და მადლიერი.
თქვა:—„რას მიედ-მოედები?!
ვისი შვილი? რასი მამა?
შენ კი არა, ერთ ღამეს მე
დამპატიჟა მარიამმა;
ფეხ-აკრეფით შევიპარე,
ჩამეკონა გულში კოხტა,
და შემდეგ კი... ჰო.. საერთოდ
როგორც ხდება, ისე მოხდა.
ქრისტე ჩემი შვილი არის,
მართალია, არა ჭორი,
ეს დღეების ანგარიშით
ვიცი, როგორც ორჯერ ორი.
„მე კი გეტყვით,—იოსების
ხმა მოისმა დაბლა ციდან:
ახალგაზრდა ქორფა ქალთან
რას გახდება სული წმინდა„
უსხეულო ანგელოზი,
ანდა ჩვენი ღმერთი „მამა“,
რომელიც სულ ცაში არის,
არც უნახავს ჯერ ქვეყანა.
გაბრიელი ურცხვად ლაყბობს
„ქრისტე არის ჩემი შვილი,
ჩემი ცოლის პირმშო ვაჟი,
ჩემი ოფლით გამოზრდილი“.
ამ სიტყვებზე კი კრებული
წმინდანების ღვთაებრივი
გადირია და ერთმანეთს
დაერიენ მუშტი-კრივით:
— დასცხე მაგას!..
— ჩემი არის!..
— ჰ,ა თუ შენი!
— ხეპრე!... შტერი...—
გაისმა და წმინდანების
აირია მონასტერი.
სად იყავი ნეტავ მაშინ
ტარტაროზო, შენი ჯოხით
და ჩანგლით, რომ გენახა
„წმინდანების“ ცაში დოღი?!
ავლაბარშიც ვერ ნახავდით
კვრივს, — ამბობდენ,— სადაოსო;
შენი შვილიც ხომ არ არის
ქრისტე-ღმერთი, ტარტაროზო?!

— მედუზა.

თავი „მოკითავდაგლა“

ნახ. ტაბატაძის.

— ეს რაა, ივან პეტროვიჩ, ქვევითად.
— მა როგორ, დოროგოი ონისიმიჩ, ვერ უყურებ ამდენ ყატასტროფას? ერთიც კენკოს... თავს ვარიდებ, რაღა: სული ტკბილია!..

შვებულებაში

ავიღე თუ არა ერთი თვის შვებულება, ჩემი ბარგი-ბარხანითა და შტატში მყოფ ცოლშვილით, სამტრედიის ვატარებელში მოვთავსდი და სად. საჯევახოსაკენ მოუსვი, საჯევოხოდან ჩემ სოფლამდე ურმით წავედით და საღამო ხანს ჩემს სახლის წინ გავჩერდით.

სოფელი ყოველთვის კარგია, მაგრამ შემოდგომაზე ხომ სულ ცხვრის დუმასავითაა მსუქანი.

თუ ბათომში ფრთებ დამტვრეულ ბატივით დავჩანჩალებ, სოფელში მამალ ინდაურივით ვიბერები და ბრძენის პოზას ვლებულობ.

— აფერუმ ბიკო, რა შვილი მოგესწრო! — ეუბნებიან მამაჩემს მეზობლები.

მეც ვეწვიე პირველად, რასაკვირველია, ჩემს მამულს (სადაც ათი ძირი ხე მიდგას შიგ); შემდეგ სკოლას, კოოპერატივს, ბლეხკომს, თემკომს და, ერთი სიტყვით, ყველა კულტურულ თუ ადმინისტრატიულ დაწესებულებებს. თითქმის ყველა მათ მუშაობას ვიწუნებ ინსტრუქტორივით ახალ-ახალ დავალებებს ვაძლევ და გამოვდივარ.



სკოლაში რომ შევედი, მასწავლებელი მაგიდის ქვეშ შემძვრალიყო და იქიდან ასწავლიდა პარტებ ქვეშ შეძვრალ მოწაფეებს, ჭერიდან წვიმა ისე ჩამოდიოდა, როგორც მინდორში. ქოლგა, რომელიც კარებში შესვლის დროს დავხურე, შიგ გავშალე და ერთ აგურზე შევდექი, რომელიც იატაკზე მდგარ წყალში მოსჩანდა.

— ეს რა ამბავია? — გავიკვირვე მე.

— წვიმაა, ბატონო, ჩვეულებრივი!— მითხრა მასწავლებელმა, რომელიც მაგიდის ქვეშიდან გამოძვრა და ჩემს ქოლგის ქვეშ შემოიყუდრა. ბავშვებმა პარტების ქვეშიდან კუსავით გამოყვეს თავები და დამიწყეს ცქერა.

— კი, მაგრამ აქ როგორ შეიძლება სწავლის წარმოება? — შევეკითხე მე.

— ეს, რაა, ჩემო ბატონო, შარშან უნდა გენახათ, მინებიც რომ არ იყო ჩადგმული და ქარიც ქროდა, თორემ წელს მადლობა გამჩენს, არა გვიშავს! — სთქვა მან და სველი ხმა გადაივარცხნა თითებით.

— მერე და რას შვება სოფელი ან საბჭო რას უყურებს?

— თქვენ არ იცით, ბატონო, სოფელ ქვაყუდის ამბავი, თორემ ასე არ იტყოდით. საბჭო რას გააკეთებს! ერთხელ ამოვიდა თავმჯდომარე და მაშინაც ზთვრალი და გალეშილი იყო; სკოლა კი არა, კაცის ცნობა არ შეეძლო.

—:—

მეორე ვიზიტი კოოპერატივში გავაკეთეთ. დაკეტილი დამიხვდა და გარედან თოკები ჰქონდა შემოვლებული.



— ეს რას ნიშნავს? — ვიკითხე მე.

— დღეს ამხანაგო, კოოპერატივის რევიზია აქვთ და ამიტომ დაკეტილია!— მიპასუხა ერთმა გლეხმა. მეორე დღისათვის გადავდე მისი დათვალიერება და იქავე აფთიაქში შევბარე.

პროვიზორი გლეხებს ახსნა-განმარტებას აძლევდა. ქალები ეკითხებოდნენ: — აქ წამლის დალევის შემდეგ, რა ვაჭამო? ლობიო თუ ეჭმევა? ხაჭიხომ არ აწყენს? ნიგვზიანი თუ ვაჭამო? და სხვ.

პროვიზორი თავისებურად უხსნიდა:

— აკაჭეთ რძე, წიწილი, ქათამი და თევზი პური, ცხლათ არ შეიძლება, სუფრათ გაუხმეთ!... და სხვ. თითქმის ყოველივე ამას იქვე ურიგებდა მათ.

—:—

პროვიზორს ხალხი ძალიან ეშალლიერებოდა, უფრო ახალგაზრდობა აქებდა: „კარგი ქეიფი იცისო“. მეორე დღეს ისევ კოოპერატივში მივედი, მაგრამ მაშინაც დაკეტილი დამიხვდა, მხოლოდ თოკები არ ქონდა შემოვლებული.

— ღღეს რაღად დაუკეტავთ? — ვიკითხე მე.

— დღეს ორშაბათია, ბატონო, და ისვენებენ! — სთქვა ერთმა ქალმა, რომელიც ნავთს ყიდულობდა იქვე კერძო დუქანში.

—დასვენებაც საჭიროა! — ვსთქვი მე და წავედი.

მიდიოდა დღეები და სულ ახალ-ახალი სიამოვნებას ვლებულობდი: აგერ ვიღაცას ვიღაცა მოკვდომია და სატირალს წამყოლად მპატიჟობს, აქეთ ვიღაცა შვილს ნათლავს; იქით სტუმრები მოუვიდათ და მიწვევენ, როგორც „განათლებულ კაცს“ და სხვა. ამასობაში გავიდენ „დღენი საენეტარონი“ და დავიწყე აბარგება წასმასასვლელად. თქვენ უნდა თქვათ რა ღღეში ჩავარდი. გაიგეს თუ არა ვეზობლებმა, მიდისო, დაიწყეს ძღვენის ზიდვა.

— აი, ნენა, ოცი კაკალი ვაშლი მოგიტანე ნახელავად, შენთვის მქონდა შენახული! — მითხრა ერთმა მოხუცმა და ერთი კალათა ვაშლი წინ დამიდგა.

— ამის მეტი ვერაფერი შეგკადრე! მითხრა მეორემ და ორი ვეებერთელა გოგრა დამიგორა წინ.

— ჩემს ნახელავად წაიღე ეს ოცადოდ ბია! — მომიტანა მესამემ. მაწ მოყვა სხვებიც და ჩემი სახლი სახლი დუქანს დაემსგავსა. ძღვნის მეტანის შემდეგ, უკვე იწყებოდა დავალებები:

— ერთი თავშალი ჩემს თავს ნუ გირჩენია! — ამბობდა პირველი.

— კოვერკოტის საკაბე მიყიდოო იქნება და, თუ შევიძელი, სამაგიეროს გადაგიხდი! — მთხოვდა მეორე.

— ვიქტორიეს ჩულქი გამომიგზავნე ერთი - ორი წყვილი და, რომ ამოხვალ, შენი პატივისცემა ჩემზე იყოს! — მავალებს ვესამე.

ვის ადგილზე დადგომა უნდა და ჩამოსვლას მპირდება, ვინ საბანაოდ მოდის ზღვაზე და, ჩემი პატივისცემის გამო, ჩემს იქით არსად ჩამოხტება, ვის არტისტობა მოსურვებია, და ვასო ურუშაძესთან მთხოვს შუამდგომლობას, ვის მწერლად უნდა გახდეს და უნდა ვასწავლო გაზეთში წერა, ლექსების გამოთქმა და სხვა.

შესრულება, თორემ შეპირებით ყველას შევპირდი და ჩემი ბარგი-ბარხანით ძლივს დავაძვრინე თავი სოფელს.

ბ. ობოლი.

„საშუალო ცოდნა"

ამას წინად სრულიად შემთხვევით შევიარე ოზურგეთის აბრეშუმის ძაფსაღებ ქარხანაში, სადაც ქარხნის გამგესთან შემოდიოდენ მთხოვნელები და გამგეს თხოვნას აძლევდენ საშანურში მიღების შესახებ.

ჩვენ სანიმუშოდ გადმოვსწერეთ და აქვე ვათავსებთ ზოგიერთ განცხადებებს:

ოზურგეთის ქარხნის გამგეს

განცხადება

როგორც ვატყობ, ოქვენი ქარხნის მეტაბელე რ. დოლიძე მოხუცებული უნდა იყოს, რის გამოც, ცხადია, გაგზავნენსიაში (ან ეგებ სჯა რამე შეემთვევა). ამიტომ გთხოვთ, მის შემდეგ, მის ადგილზე მე დანიშნოთ, დამთავრებული მაქვს ოზურგეთის ცხრა-წლედი.

პეტრე ჭიჭლაყაძე.

ქარხნის გამგეს ამხ. კალანდაძეს

განცხადება

მოგახსენებთ, რომ მე მაქვს დამთავრებული ცხრა-წლედი ოზურგეთში, აგრეთვე გავიარე საბუჰალტერიო კურსები. როგორც გავიგე (ამხანაგმა მითხრა) თქვენდამი რწმუნებულ ქარხანაში საჭიროა სტატისტიკოსი, რომლის თანამდებობაზედაც, ღმერთსა და დედმამას ვფიცავარ, ამ ოზურგეთში ჩემზე უკეთეს ვერ იშოვით. ამიტომ გთხოვთ აუცილებლად უნდა მიმღოთ.

ვერა კუდაბზიკა.

ოზურგეთის ქარხნის გამგეს

განცხადება

ვინაიდან მამაჩემი იყო რევოლიუციონერი (ალბად, ბაბუაჩემიც იქნებოდა), ვარ კავშირის წევრი, რემედასის, ურთიერთ დამხმარე სალაროს, ავიაქიმის და სხვა, აგრეთვე კედლკრი, — ამისათვის გთხოვთ შავ სამუშაოდან გადმომიყვანოთ შესაფერ თანამდებობაზე, თუ გინდ მეტაბელ რ. ჯინჭარაძის ადგილზე, რომელიც ვერ ასრულებს თავის მოვალეობას, ან სხვა რამეზე. დაბოლოს გაცნობებთ, რომ მე წელს დავამთავრე ოზურგეთის ცხრა-წლედი.

კალენიკე ხინკილაშვილი.

გამგის კაბინეტიდან შეევედი ამხ. თოიძესთან, რომელიც გამოცდას უშვებოდა სტატისტიკაში ერთ მთხოვნელს.

— კარგი! ეს უბრალო ამოცანა ნაწევრებზე მაინც გამოიყვანეთ!

— უი, ბატონო, მასეთები ახლა საღლა მახსოვს? ზაფხულზე დავასრულე ჩვენი ცხრა-წლედი და მას შემდეგ ქე დამავიწყდა!

სიცილი შემსკდა და გარედ გამოვედი.

ალი.

ნახ. ტაბატაძის.

— სასადილო კი წითელია, მხოლოდ მუშებს აყენებს შავ დღეს.

— როგორ?

— როგორ და თუ კერძო დუქანში ბევრად უკეთესი. ვერძია 70 კაპ. ღირს, აქ კი უარესი—1 მანეთი.

ორი იასონი

ხაშური

ორი იასონ ერთმანეთს
გადაეკიდენ ძალზედა;
თუ კი შემთხვევა მისცემდათ,
ხელი მზად ჰქონდათ ხმალზედ.
ამბობდენ: — ვაი იმის ტყავს.
თუ კი მივუხტი კარზედ,
თავს მოვაცილებ ქათმივით
და ჩამოვკიდებ სარზედ.

თანამდებობა იმათი
მსხვილი იყო და მსუქანი;
ყველაფერს სთვლიდენ თავისთვის,
როგორც თავისი დუქანი.

მუშების საკეთილდღეოდ
არც ერთი არა ფიქრობდა;;
ჯაბაგირს იჩხრიალებდენ,
დრო კი უსაქმოდ მიჰქონდა.

მაგრამ მუშკორმა თვის კალმით
მათ მიაყენა ქრილობა..:
აქ ჩამოშორდენ ერთმანეთს,
აღარა ჰქონდათ ცილობა

გამომზეურდა გაზეთში
იასონების გმირობა;
ეხლა არავინ აქებდა,
ისმოდა მათი ძვირობა.

დაითხოვეს, მიაბრძანეს,
წაუკითხეს პარაკლისი;
თუ უთქმელი კიდევ დაგვრჩა,
შემდეგ იყოს დანაკლისი.

ჩახრუხაძე.

ყოფილი გამგის

საზამთრო ღიღინი

ვხედავ, ვხედავ დაგვიზამრთდა.
მომაგონდა მე ზამთარი!
მომაგონდა გამგედ ყოფნა,
პორტფელი და ავტო ჩქარი.

მახსოვს, როცა გამგედ ვიყავ,
კაბინეტი მქონდა თბილი,
ლამაზებთან დროს ტარება,
ოხუნჯობა და სიცილი.

თავს ვიყრიდით ჩემს ბინაზე,
ვქეიფობდით ერთად ყველა,
გადაბრუნდა ჩემი საქმე:
კოტრიალა... კოტრიალა...

მახსოვს ბოლოს ისე, „ცოტა"
აღმომაჩდა გაქაფული
და ეხლა კი რუსთაველზე
დავალ პანღურ, ამოკრული...

ირგვლივ მთები შემოთოვა
და მწყრალად ქრის ცივი ქარი,
წინად ორი პალტო მქონდა,
ეხლა ერთიც არსად არი.

გულში თითქო ყინვა დნება,
ახი არის ჩემზედ, ახი...
რა მიჭირდა, რომ ვქაფავდი,
ცოტა მქონდეს შენანახი!

იანო.

ტრაღიკული შემთხვევა

(„ნამდვილი ამბავი“)

დიახ, ნამდვილ ამბავს მოგახსენებთ... ჩემი საკუთარი ყურადღებით დავინახე და თვალებით მოვისმინე ის ამბავი, რომელსაც ეხლა მოგახსენებთ ჩემო საყვარელო მკითხველო. „ახ, ნეტავ ნეტავ მე ეს ამბავი არ მენახა და თუნდ ზეცით ჩემს ძოსისხლე მტერს შევყროდი“.

რა გაცინებთ, მოჭალაქენო! ნუ თუ ყველაფერზე უნდა იცინოთ?.. ან შეიძლება თქვენ გგონიათ „ტარტაროზი“ ყოველწუთში სიცილის გუნებაზეა... ეს ამბავი სრულებით არ არის სასაცილო. აქ ტირილია საჭირო, ტირილი. ხუმრობა ხომ არ არის ოჯახის დაღუპვა, მერე როგორი ოჯახის?..

დიანოს სეფერთელაძის ამბავზე ვლაპარაკობთ. შეიძლება არაფერი იცით ამ საქმის შესახებ? ამიტომ უნდა გო არ იქნება გაგაცნოთ იმ ტრაღიკულ შემთხვევას, რომელმაც დაღუპა დიანოსას ოჯახი. დიდი ხანი არ არის, რაც ამ შემთხვევას ადგილი ქონდა ტფილისში.

სეფერთელაძე მაშინ სტამბის გამგეთ ირიცხებოდა და მშვენივრად სცხოვრობდა თავის ბედნიერ ცოლ-შვილით.

180 მანეთი ჯამაგირი თამამად ყოფნიდა დიანოსას ცოლს და მის სამ პატარა ბავშვს.

ამ ზამთრისათვის დიანოსამ ერთი საყენი შეშა წინ და წინ მოიმარაგა, ბავშვებს თბილი ტანისამოსი შეუკერა და ცოლს თავშალი უყიდა... თავის თავისთვისაც არ დაუკლია პატივისცემა. კარგი გამგე იყო სეფერთელაძე, მუშები სულ მის მზეს ფიცულობდნენ და დიდ პატივს სცემდნენ. თავის მხრივ დიანოსიც ენერგიულად შეუდგა მუშაობას და მალე საერთო მადლობაც დაიმსახურა.

ამას წინათ თვის პირველ რიცხვში მუშები გარე შემოეხვნიენ მზრუნველ გამგეს.

— ამხანაგო დიანოს, დღეს ჯამაგირი ხომ იქნება?..

— სპეკტანისამოსი დაგვეხა, ამხ. დიანოს!

— შეშის ფულს როდის მოგვცემთ? ასეთ შეკითხვებს ზედი-ზედ აყრიან მუშები გამგეს.

— ნუ გეშინიათ, ამხანაგებო, ყველაფერი იქნება, ყველაფერი დაგირიგდებათ, მე ეხლა ხაზინაში წავალ და ფულს მოვიტან ჯამაგირების დასარიგებლად.—ეს თქვა დიანოსმა, პორტფელი ხელთა აიღო და წავიდა ხაზინაში.

უკვე დაგვიანებული იყო, როდესაც იგი ხაზინაში მივიდა. უზარმაზარი რიგი იყო სალაროს წინ... რა უნდა ექნა დიანოსას, ჩადგა იგიც რიგში. საღამოს 5 საათი იქნებოდა, როცა მან ფული მიიღო, ჩააწყო პორტფელში და ჩქარი ნაბიჯით გამოსწია სტამბისაკენ.

საკმაოდ დაღამებული იყო, როდესაც შევიდა სტამბაში. აქ მას არავინ დახვდა. რადგან მუშებს სამუშაო გაეთავებიათ და სახლში წასულიყვნენ. დაღონდა გამგე... ძალიან უნდოდა იმ დღეს ჯამაგირის დარიგება, მაგრამ რაღას იზამდა, წავიდა სახლში

და რადგან სტამბის კანტორა დაკეტილი დახვდა, მიღებული ფული თან წაიღო.

გარეთ ცივი ქარი უბერავდა. წვიმდა და ხან თოვდა კიდეც. დაღლილ დაქანცული დიანოსი მიადგა სახლს და შევიდა ოთახში, სადაც მცირეწლოვანი ქალ-ვაჟი ერთმანეთს ეთამაშებოდნენ და ხტუნავდნენ.

— ბაბა მოვიდა, ბაბა მოვიდა.— ერთხმად შეიძახეს ბავშვებმა და დიანოსს ყელზე ჩამოეკიდნენ.

— კარგი, ბავშვებო, გეყოფათ, გერიტებოო. ამბობდა დიანოსი და ინთავისუფლებდა თავს სვეენა-კოცნისაგან.

გაიხადა მან პალტო, პორტფელი თავის ადგილას დასდო და გავიდა მეორე ოთახში, სადაც დიანოსას ახალგაზრდა ცოლი პატარა ბავშს ტანსა ბანდა.

იქვე რკინის ღუმელი საამურად გუგუნებდა და ირგელივ ცხოველ მყოფელ სითბოს აბნევდა. უზარმაზარ ქვაბში წყალი დუღდა.

რა მშვენიერი იყო ის წუთები დიანოსისათვის. ცოლიც რაღაც ლამაზად ეჩვენა მას. კედლებს თითქო საღღესასწაულო ფიჭრი ედო.

— ქალო ბავშვი არ გაგიციოდეს, თბილად მოახვიე საბანი, ტანი რომ დაბანო. მიმართა დიანოსამ ცოლს, მიუახლოვდა მას და ლოყაზე აკოცა.

— კაცო, რატომ ხარ მოუთმენელი, რა დროის კოცნაა, ხომ ხედავ საქმეს ვაკეთებ... შენ ეხლა მოშვებული იქნები, გადი მეორე ოთახში, ჭამე სადილი, დღეს მშვენიერი საცივი გავაკეთე, შენ რომ გიყვარს, ისეთი...

— უჰ, შენ გენაცვალე მატრონე მაგ სახლში, ჩემი მოვლა რომ გიყვარს, ამიტომ მირჩევნიხარ ყველას, მე შენ არასოდეს არ გილალატებ, დღეს ჯამაგირი მთლიანად შენ მოგიტანე.—აღტაცებით წარმოსთქვა დიანოსამ და ისევ მაგრამ ჩაკოცნა ცოლი, რომელიც ეხლა უკვე აღარ ეწინააღმდეგებოდა.

დიანოსა გავიდა მეორე ოთახში სასადილოთ, მაგრამ...

ჰო, საშინელებაე!!!

ეს რა უბედურება დატრიალებულა მის თავზე!.. ხომ დაიღუპა საწყალი სამუდამ!.. ხომ დააპატიმრებენ ეხლა მას!?.

ბავშვებს ჩამოულიათ პორტფელი კედლიდგან და ჩერვონცების კორიანტელი დაუყენებიათ ოთახში. 50 ათი ათასი მანეთი სულ დაუხვევიათ, დაუფხრეწიათ და ნაკუწნაკუწად უქცევიათ... ბუხარში ჩერვონცების ცეცხლის ალი მაღლა ადიოდა.

— დავიღუპე, მიშველეთ!—საჭარლად დაიღმუვლა დიანოსამ, სწრაფად გაითვალისწინა მომავალი უბედურება ციხე. საბრალდებულო სკამი...

დიანოსას ღმუილმა მიიქცია მიიქცია ქალის ყურადღება. დასვა მან ბავშვი ფანჯარაზე და გამოვარდა მეორე ოთახში, სადაც საჭაბელი სურათი წარმოუდგა თვალწინ: ორი ბავშვი მკვდარი ეგდო იატაკზე, მხოლოდ დიანოსა დაფოთხავდა მიწაზე და ჩერვონცების ნაკუწებს ერთმანეთს აწებებდა.

— უუუუმე, უუმე!—ცივი ხმით იკივლა ქალმა და გულშეწუხებით შეიჭრა თავის ოთახში, სადაც კიდევ უარესი საშინელება წარმოუდგა თვალწინ: პატარა ბავშვი ფანჯრიდან პირდაპირ მდუღარე ქვაბში ჩავარდნილიყო და მოხარშულიყო.

შეშლილი ქალი შეიჭრა ისევ ქმართან და დაუწყო მას წიხლების ცემა. თავის მხრივ დიანოსი კიდევ უფრო შეშლილივით ისროდა წიხლებს, რომელიც საბრალო ქალს, (რომელსაც ღრმა ძილით ეძინა) მუცელში ხვდებოდა.

— რა ეშმაკი და უხილავი შეგიძვრა მაგ თავში, კაცო, რა სიხმარი ნახე ასეთი, რომ ვერიერთ ღრიალებ? წყრომის კილოთი მიმართა ცოლმა დიანოსას, რომელსაც საბანი სულ გადაეხადა, ისროდა წიხლებს და ყვიროდა: „ფულები, ციხე, სამსახური“.

მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა, როდესაც ცოლმა ხელი ჰკრა. თვალები მოიფშვნიტა დიანოსამ და დაინახა თავისი დაღვრემილი ბინა. სადაც თბილი ოთახები, ჩერვონცები...—კიდევ კარგი რომ, სიზმარი იყო.

ღილის 9 საათი იქნებოდა, როდესაც დიანოსი ადგა, თავისი დაფხრეწილი პალტო ჩაიცვა და შრომის ბირჟის კარებს მიადგა.

— კარგი სიზმარი იყო, დღეს უსათუოდ გამაგზავნიან სამუშაოზე!— ეუბნებოდა ცოლს წასვლის წინ.

თავქარიანი.

ცნობები მკითხველებს

ყვავილს. თქვენს კორესპონდენციაში: „დიდი მილწევები ბათომის რკინის გზაზე“, თქვენ სწერთ:

„შევდივარ კლუბში მეშლება დავთარი
იძინებს კლუბი ზამთრის სეზონში
გაზეთის კითხვა მსურს, გაზეთი სად არის
დაკეტილია, ვერ შეხვალ სამკითხველოში“-ო.

ცნობილია, რომ ლექსებს ყვავილები კი არ სწერენ, ან მღერიან, არამედ ყვავილთა მოტრფიალე არსებანი. ამ შემთხვევაში კი ხდება წინააღმდეგ. ეს ერთი სიძნელე. მეორე სიძნელეა თვითონ დრო. როგორც თქვენსავე ლექსშია მოხსენებული, ამბავი ხდება ზამთრის სეზონში .ცხადია, დრო მეტად არახელსაყრელია ყვავილისათვის, ესე იგი, თქვენთვის. ამას არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიოს ჩვენმა სარედაქციო გიდორმა.

ზეგარდელს. თქვენს „აჯაბსანდალში“ თქვენ სწერთ:

„ბორჯომსკზე მივალ დღეს ვაშლისათვის
მე ქალაქ გორში,
შენ, ჩემო ლექსო, თუ არ ჩავარდი
წყეულ გოდორში“-ო

რაც მართალია, მართალია: თქვენი ექვი გამართლდა!..

ბრ. ევგენიძეს. თქვენ გვწერთ სილაურის შესახებ ლექსად ასე:

„ტარტაროზს შინდა ვაცნობო
ჩვენი ოთხწლედის ამბავი,
ჩამოვიარე, ტარტაროზ,
ოთხწლედში არის ზღაპარი“-ო

ჩვენ ვფიქრობთ—და ეს ასეც არის—ოთხწლედში შეეძლება ზოგჯერ ზღაპარს ისმენდენ მოწაფეები. ამრიგად ზღაპარი არ არის იმდენად მაკნებელი, რამდენადაც ის სინამდვილე, როცა მასწავლებელი დამთვრალი მოდის სასწავლებელში. თუ ეს მართალია, მაშინ ბედნიერად ჩასთვალეთ თავი, თუ „ოთხწლედში მხოლოთ ზღაპარია“.

ლადო სიკინჩილაძეს: თქვენ გვწერთ ლექსად ასე:

„ერთხელ თურმე ოქროს ქედში
ცხვარი, ბგელი ერთად სძოვდა
და მართალი რომ გითხრათ
ხალხისთვისაც ასე სჯობდა“-ო.

ოღონდაც! ოქროს ქედიც, ალბათ, იმიტომ რქმევია თქვენს სოფელს.

დათ. ხუნელს. თუ მებაყლე კოლა

„დამპალ ხილებში ის ფულს აიღებს
თავს აძლევს სრული ნებასა“,

ეს იმას ნიშნავს, რომ, როგორც კერძო ვაჭარს, ასეთ კაცს უნდა ერიდოთ ხელში. „ტარტაროზმა“ ეს ზედმიწევნით იცის და ამიტომ არც დამპალს ხილს აყიდებს გარეშთაგან არც ასეთსავე ლიტერატურულ ნაწარმოებს. იცავს რაღა ფაც სისუფთავეს, რაც კოლას ჰკლებია, როგორც თქვენ სწერეთ.

ოუენს: თქვენ ასე იწყებთ თქვენს კორესპონდენციას:

„სერგო ზიფერტი გახლავს
სახელოვანი ბიჭი
სხვა საქმეებთან ერთად
აქვს მოტყუების ნიჭი“-ო.

სულ არაობას, რასაკვირველია, ისევ ეს ნიჭი სჯობია. ეი, ზოგი მოლექსე ჩვენს მოტყუებასა ცდილობს, უნდათ დაგვაბეზღინონ თავიანთი ნაწარმოებები, მხოლოთ საამისო ნიჭი, ეტყობა, რომ მათ მაინც არ შესწევთ. რომ შესწევდეთ, ჩვენც ვიტყოდით, რომ „აქვს მოტყუების ნიჭი“-თქვა.

ბახურებულ შამფურს. მართალია, გახურებულ ფურნესთან ხდება ეს ამბავი, მაგრამ, თქვენ რომ „შამფურს“ უღერთ, ის „წერო“ ჯერ ისევ ცაშია.

პარდომს. თუ თქვენი პალტო ახლაც დადის და ილანძღება, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი არა არქეოლოგიური ეკზემპლიარია, როგორც თქვენ იწერებით, არამედ არქიხულიგანური. ამ მხრივ შესაძლოა სწორებელია თქვენი კორესპონდენცია. სხვა მხრივი კი... სხვა საქმეა.

დათილი პუსკი-ს. მივიღეთ თქვენი ვრცელი ნაწარმოები „პაროდიები მწერლებზე“. კარგია შიგ განყოფილება „ყანწელთა“ შესახებ. აქედან ვსტოვებთ ადგილს ტიციანის შესახებ:

„მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე“
..„და დამპატიჟეს შემდეგ არაყზე“-ო.

ვსტოვებთ მხოლოთ იმიტომ, რომ ასეთი აქტის შესრულება ასი პროცენტით მხოლოთ „ყანწელს“ შეუძლია.

მელა-კუდას. (ვინაიდან ჩვენ ნამდვილი „მელა-კუდა“ სხვა გვყავს თანამშრომელი ,ეს ახალი „მელა-კუდა“ გახლავთ და პირველიდან იმითი განსხვავდება, რომ ნიგოითელია) თქვენს კორესპონდენციაში: „საკუთარი რევიზია“ საინტერესოა ცნობა ესტატეს შესახებ, რომელიც, ქვიანის მაგივრად, საჯავახოს ბილეთს იძლევა, ხოლო ხურდას ამ შემთხვევაშიც კი არ აბრუნებს, რათა ტრადიციას არ ულალატოს.

ჰაი-ჰაი, ესტატე, ესტატე, როგორ გეშართებათ ეს ასთე, ა?!

ბიჭას. თქვენ სწერთ თქვენს იუმორისტულ ამბავში: „შეშუიას და სხვების მეცნიერება“-ში, რომ

„რაშია საქმე და ტიხონიამ სთქვ ა:„ძველმა სტუდენტებმა მითხრეს: უნივერსიტეტში მიღებაზე უფრო ძნელია შიგ გაძლებაო“. ამაზე ჩვენ სულ სხვა აზრისა ვართ. ყველასათვის არც მიღებაა ძნელი და არც გაძლება ამ დაბლოცვილ დაწესებულებაში. თუ თქვენ ისეთი ყინმე გყავთ „შიგ“ ან „გარეთ“ ,ვისი მეოხებითაც სტიპენდია გენიშნებათ, მაშინ „გაძლებაც“ ისევე ადვილია, როგორც თქვენი იქ მიღება იყო.

ხუნის კაინტერის ამბავის ავტორს. რასაც თქვენ სწერთ, შრომის ინსპექტორის საქმეა. ჩვენ მოგვმართავ: „ტარტაროზო შეეკითხე, თუ გამოიტან სწორ აზროვნებას“-ო. თქვენი ნაწერიდან სწორი აზროვნების გამოტანა მართლაც ძნელია. „ბაზეინი“ ,ვაცის „სწორი აზროვნება“ კი მიუღებელია საბჭოთა სინამდვილეში.

თავაზიანი მგზავრი

ნახ. დონის.

— აბა, გამატარეთ, ბილეთი უნდა გავყიდო!
— მიბრძანდით, ამხანაგო!

განიგანს. დიდი კუხის შესახებ კორესპონდენციაში თქვენ გვწერთ:

„მე ამ ლექსის სტრიქონები
მსურს ავაგო სიმართლეზე
და ეს ტყვილი თუ გაშოდგა
მსჯავრს დადებენ ალბათ ჩემზე"-ო და შემდეგ:
„კომკავშირის წევრებიდან
კარტს თამაშობს თითქმის ბევრი
ალბათ მათ-სურთ განაახლონ
ჩვეულება ძველის ძველი"-ო

—„ტყუილის მთქმელს რომ ყური უგდოთ, დღეში ასჯერ გატყდება"-ო, ამბობს ხალხური სიბრძნე. კომკავშირი თუ კარტს თამაშობს, ძველი ჩვეულება კი არ არის, არამედ სრულიად ახალი მოვლენაა; იმაზედ კიდევ უფრო ახალი, ვიდრე თვით კომკავშირია. ცხადია, ტყუილად არ რქმევია თქვენ სოფელს „კუხი" და ისიც — „დიდი კუხი", რაც გურულ კილოკავზე ნიშნავს „მკვახე"-ს!...

კულუმგურს. გომის თემის შესახებ გვწერთ და ასე იწყებთ:

„ნუ მძრახავ, თუ ვერ ვსწერ სრულად
მას, რაც რომ დასაწერია
მიზეზი მე არ ვიქნები
მიზეზი კალმის წვერია"-ო.

საოცარია: მთელი წერილი ფანქრით არის ნაწერი და კალამი რაღა შუაშია!.. თუ ვერც ერთი თემაც კომის თავმჯდომარე ვერ გამოადგა სოფელს, აქაც კალამი არაფერ შუაში არ გახლავთ. წარმოიდგინეთ, მდივნის უვარგისობაც არ არის კალამის ბრალი. კარგია თქვენს ლექსში შემდეგი ტაეპი, რომელსაც აქვე ვათავსებთ:

„დამტარებელი ერთი გვყავს,
სახელად ჰქვია ბენია,
სიმართლე გითხრათ, ეს თემი
მას ბევრჯერ მოურბენია"-ო

აოც ისე უმოქმედო ყოფილა თქვენი თემი. კარგი დამტარებელიც კარგია.

ქუთაისელს. შარადა კარგათ აგიწყვიათ, მხოლოდ შიგ სატარტაროზო ვერა ეცხადეთ-რა. არც თუ შარადის საგანს (ზამთარი) უჩანს ჯერ-ჯერობით საამისო პირი. ვნახოთ, შემდეგ რა იქნება. ხალხის სიბრძნე ამის შესახებ ასე ამბობს: „მარტი რომ წინ გედოს, ზამთარს ნურც აქებ და ნურც აძაგებ"-ო.

ლიტოგრაფიული ... ტარტაროზის ...

იმპერიალისტურ დიპლომატიის „ფონზე“

ნახ. ნადარეიშვილის.

ᲞᲘᲠᲝᲜᲑᲔᲑᲘ ᲜᲐᲪᲕᲔᲗᲘᲐ —
ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲐᲡᲔᲗᲘᲐᲨᲘ.

ბაზმაანიზი

ᲧᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲤᲐᲡᲘ 15 ᲙᲞ.

ᲙᲕᲘᲠᲐ. 16 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ 1928 Წ. № 183

ნახ. ნადარეიშვილის

„სადაც ჰუნნების ცხენი ფეხს დადგამს, იქ ბალახი ვერ იხეირებს“.ო,— ამბობდა ხალხი ძველს დროში.

„სადაც „მსუბუქი კავალერია“ ფეხს დადგამს, იქ ბიუროკრატი თუ სხვა სიწყამხდრე ვეღარ ხეიროობს“—ვამბობთ ჩვენ ამჟამად.

ლაბირინთი

ქიშვარდის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა როცა ის დელეგატად აირჩიეს. ყრილობაზე გასაგზავნად.

არა მარტო ქიშვარდი და მისი ცოლი ამაყობდენ ამ ამბით, პატარა ბიჭიც კი ცხვირაწეულით ამბობდა ტოლებში:

— მამა დელეგატია და კი ვეტყვი შენ რომ მცემე, და გაყურებიებს სერს-ო...

— აბა შენ იცი რას მომიტან ქალაქიდან. სირცხვილია—დელეგატი კაცი რომ ხელცარიელი დაბრუნდე სახლში!—ეუბნებოდა ცოლი ქიშვარდის, რომელიც წასასვლელად ემზადებოდა.

— თუ რამეს მომცემენ, ჩავაფრინდები და ხელიდან არ გაუშვებ, თუ არა-და, რა უნდა მოგიტანო?—აბა ამიტომ ასისხლებდი თავს, რომ დელეგატად აერჩიე?

— ქალო, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქალაქის ნახვას გამოვრჩები მაინც. სახარჯო ფულს რასაც მომცემენ, კაპიკს არ დავხარჯავ. ქალაქში ბევრი მყავს აქაური მეზობლები და თითო დღეს ყველას დავეპატიუები. ისე რავა წავხდები, რომ ერთი გამონაცვალი პალტო არ მოგიტანო.

— გამონაცვალი და ძველი რად მინდა!?. ახალი უნდა მიყიდო!

— შენ ნუ მომიკვდე, არ აკადრებ!.

ქიშვარდის ძალიან მოეწონა ქალაქი.

— დღეს ყრილობის გახსნას არ დავესწრები. ქალაქს დავათვალიერებ და ხვალიდან დავიწყებ ყრილობაზე სიარულს!—გაიფიქრა მან და წავიდა ნაცნობებთან.

— შენ დელეგატი კაცი ხარ და ერთს ლაზათიანად გვასადილებ!—გამოურია ლაპარაკში ქიშვარდის მეზობელმა, რომელიც ქალაქში მსახურობს.—დღიურებს ხომ გაძლევენ სახარჯოთ?

— არაფერსაც არ მაძლევენ. იციან, რომ თქვენისანა კარგი მეზობლები და ამხანაგები მყევხართ ქალაქში და ფული არაფერზე არ დამეხარჯება, რადგან ყველაფერზე თქვენ დამპატიუებთ!—იხუმრა ქიშვარდიმ და ამ ლაპარაკით ავეტიკას სარდაფში ჩავიდენ.

მეორე დღეს ქიშვარდის ამხანაგს გვიან გამოეღვიძა.

თავი საშინლად სტკივოდა.

— რაფერ მალე დამათვრა იმ ღვინომ! რა ყოფილა ეს თქვენი კახური? ჩვენი ადგილა ორი ფუთი დამილევია ერთად, მარა არც ფეხი შემშლია და არც ენა!—ამბობდა ქიშვარდი.

—:—

— შე ოხერო, თუ ქალაქში ჩამოდი, ჩემთან ვერ მოდი!— დანახვისთანავე სალამის უმალ მიაძახა სერგომ ქიშვარდის.

— რა იცი არ მოვალ?!. დღეს სადილზე შენსას მოვდივარ!—გაეხუმრა ქიშვარდი სერგოს და...

მესამე დღეს ქიშვარდის უნდოდა ყრილობას დასწრებოდა, მაგრამ როცა ქუჩაში შიდიოდა, თვალი მოჰკრა ფუნიკულიორს ოოცა ტრამვაი ადიოდ-ჩამოდიოდა.

— იმის ნახვა ჭკ მინდა, მარა ყრილობა როგორ დავტოვო...

— ჯერ ადრეა... წავიდეთ, ვინახულოთ ფუნიკულიორი და საღამოსაც მოესწრები ყრილობას. შენ კი არა, უცხოელები, რომლებიც აქ ჩამოდიან, ისე არ წავლენ რომ ფუნიკულიორი არ ინახულონ...

— იქ რა არის?— ხელი გაიშვირა სამხრეთ აღმოსავლეთისაკენ ქიშვარდიმ.

თანამედროვე იანუსი

ნახ. მარიაშინ

სოციალ-დემოკრატი —ანუ მუშებთან და ბურჟუაზიასთან „ზრასტი-პრაშჩაი“.

— ბოტანიკური ბაღია! იმის გამოღმა აქეთ შაითან ბაზარი.

— ამერიკული ბაზარი სად არის?

—აი, იქ!

— დეზერტირის?

— აი, იქ!

მეორე დღეს— ზაჰესი და საღამოს კინო...

მეხუთე დღეს—ისევ დაპატიუება მოყვარებისაგან.

— არა უშავს რა! მართალია, ყრილობას არ ვესწრობი და არ ვიცნობ მის მუშაობას, მარა ქალაქი კარგად გავიცანი. ფულიც არ მეხარჯება, მპატიჟობენ. ცოლს პალტოს კი ვუყიდი მგონი... ყრილობას წვალ დავესწრობი და მაინც ყველაფერს გავიგებ. ნუ გეშინია კი უყვართ ზოგ ორატორებს ათასჯერ ერთიდაიგივეს და თქმულის განმეორება!— ანუგეშებდა სუფრაზე თავის თავს ქიშვარდი და კახურს ეხლა უფრო უშიშრად ულაპავდა.

მეექვსე დღეს ქიშვარდი მონახეს ქალაქის „მეგობრებმა“ და „თავი ისე შეუხვიეს“, რომ რესტორან „სიცოცხლე“-ში წავიდეთ „თითო თითო*) დასალევათ.

— კი ყოფილა მართა სიცოცხლე!—ამბობდა ქიშვარდი, როცა ეს მოდა მუსიკა.

— თქვენ არ მომიკვდეთ! მართლა ის კი არ არი?! დღეს ყველანი ჩემი დაპატიუებული ხართ!—და ქიშვარდიმ ხელი გაიკრა ჯიბეზე.

მეშვიდე დღეს ქიშვარდი ყრილობაზე დასასწრებად მიდიოდა და ფიქრობდა:— ტყვილად ვაგროვე ამდენანს ფული ცოლის პალტოს საყიდლად; წუხელის წირვა გამოუყვანე... „სიცოცხლე“ კი არა, სიკვდილი ყოფილა იგი რესტორანი!

— ამ ფიქრებით ის მიადგა ყრილობის დარბაზის კარებს.

— ვერა ხედავთ, რომ კარები დაეტილია!?.—შემოუტია დარაჯმა.—რას ეჯაბუნებით!

— უკაცრავად, მარა მე დელეგატი გახლავარ!—და ქიშვარდიმ იშვიშლა ჯიბიდან მანდატი.

— ჰმ! ყრილობა გუშინ საღამოს დახრულდა და დელეგატები უკვე წავიდნენ პროვინციებში!

„ერკმან-შატრიან“.

*) „თითო - ჭიქა“.

ბალში

ნახ. ნადარეიშვილის.

დღე უკლებლივ და მუდამ დღე
ამ ჩვენს ბალში
მე ოცნებით ვნავარდობ ამ
„ყოფილ ხალხში“,
მაღლა ხიდან ყვავებიც რომ
თავთ დასჩხავის:
„ცრემლი ცრემლზე“ მარგალიტებრ
ცვივა ყვავის!..
და ეფრქვევა ეს იმათ შუბლს,
იმათ ქოჩრებს...
რაღაც ფიქრი გულს უმძიშებს
ამ ხალხს „ოჩენ“!..

თუ სჩივიან წარსულ დღეთა
სიამეთა?
თუ მომავალ ზამთარს გრძნობენ
ყიამეთად,
და შეშისთვის ჯიბეში რომ არ
ჰყავის ფული,
ტკბილ ოცნებათ ეხატვისთ წინ
გაზაფხული,
და ზრახვებიც გულს უტოკებსთ,
საესავი?!.,
მაშ, ყვავები?-.. რათ დასჩხავის
მათ თავს ყვავი?-..

ო—ი.

ვაი, შენს ანდუყაფარს...

ქე ვიყავი ჩემთვის მშვიდათ:
ვაბეუტებდი ღამით ლამფას,
ვინ უშლიდა მის სინათლეს
და მის ბოლს შენს ანდუყაფარს?!

რომ ამიტყდა ჩემი ცოლი
და საშველი არ გამართვა:
„ელექტრონი რომ არა გვაქვს,
როგორ ფიქრობ, კაცო მართლა?!

აი, რა ბედნიერია,
მაგალითად, სიკოს ცოლი,
ქმარი მყავსო, მან უნდა სთქვას,
არ გეგონოს შენი ტოლი!

ყოველ ფეხის გადადგმაზე
ის შენსავით არ კანკალებს,
გადის წელი, რაც ბინაში
ელექტრონი უბრეშყვიალებს!..

შენზედ მეტი ჯამაგირი
სიკოს, აბა, სად ჰქონია?
მხოლოთ, სჩანს, რომ იგი შენზე
ცოლის უფრო გამგონია!

ამიტომაც მიჰყავს საქმე
ასე ჭკუით, ასე ლაღათ...
შენისთანა ქმარის ხელში
რაღათ მინდა თავი, რაღათ!

და ატირდა!.. „ცრემლი ცრემლზე
მარგალიტებრ დაეკიდა“,
თითქოს ჩემზედ ცოლად არა,
ვინმეს ის ყმად გაეყიდა...

და დაურთო: „აი, კიდევ,
მაგალითად, გიგოს ცოლი,
მის ბინაში შესვლას რა სჯობს!
რა დგამი ან რა საწოლი?

ელექტრონი მათაცა აქვთ,
გიგომ ის წელს გაიყვანა;
გიგოც ცოლის დამჯერია,
არ გეგონოს შენისთანა!..

აი, კიდევ ჩვენი კოტეს
ცოლი, ქერა ირინია,
ნეტავ, ყველა—ჩემს მოკეთეს,
რაც ყოფაში იგინია!..

გეგონებათ ტახტზე სხედან
ბატონი და ქალბატონი,
მათ ბინაშიც, თითქოს მზეა,
ისე ბდრღვინავს ელექტრონი!..

აი, ცოლი! აი ქმარიც,
ერთმანეთის შესაფერი!..
ერთი სიტყვით, მე შენს ხელში
აღარ მქვია არაფერი!

არც „ზაჰესი“ რასმე მშველის
მე შენს ხელში, არც „ტელასი“,
ვგდივარ ისე, როგორც მორგვი,
უარესი ვარ ყველასი!“.

ამიტყდა და აღარ მომცა,
ამის შემდეგ, გასაქანი,
სანამ „ტელასს“ ბე არ მივი
ბე, ელჭესელის გასაყვანი!



ბე თუმც რა ბე? თითო „ტოჩკა“
ჩამითვალეს რაღაც თუმნად,
ხდაც—მთელის წლით, ნაწილ-ნაწილ,
ესეც დამრჩა საამურად,

და იმავ წამს დავუწერე
პირობა და ხელწერილი...
რა ვიცოდი, თუ „ტელასს“ მე
ვყავდი ამით „შეკერილი“?...

ხელწერილით განსაზღვრული
ხუთი თუმნის მაგიერად,
თუთხმეტ თუმანს მაწაპნის და,
მაინც არ მყავს მადლიერად!

ხან „პენებით“ შემიკაზმავს,
ზურგს მომადგამს უნაგირად,
ხან მანეთს თუ ხან მეტ-ნაკლებს
მადებს „სათვალავის“ ქირად!

და მთელელი—მოანგარიშეც,
ალბათ, ხარჯავთ მე მაწვება;
ბინაა თუ ფეხის ქირა,
მისი ჩაცმა, მისი კვება...

მოსდგა ახლა „სახლის დავთარს“:
ხან უკლო და ხან უმატა,
ყველას ფასი მე დამადო,
სჩანს, ჯამაში მოსდის მადა!

კვლავ პორტფელიც მოიგონა,
ვერც აქა სძლებს, სჩანს, უმისოდ;
თვით ჩემს კედელს მიაკიდა,
ფასს კი მე მთხოვს უსინდისოდ!

მართალია, კონვერტივით
ქალალდია, რაღაც მქისი,
მაგრამ ჩემთვის არ უკითხავს
არც ყიდვა, არც კიდვა მისი,

და, მაშ, მე ფასს რისთვის მივცემ?
შუქის ფასსაც ვერ ავდივარ!..
ერთი სიტყვით, მე ტელასმა
ჯერ დამჩაგრა ქონებრივად,

შემდეგ ესეც არ მაკმარა,
გონებრივიც მომდო ქანგი:
სად ვიშოვო ეს ფულები,
მე ხომ არ ვარ, ვსთქვათ, „გოსბანკი“?

მასთან, ვიცი: შარს კვლავც მომ-
დებს,
კვლავ რაღაცებს მოიგონებს,
განათებას ვინ-ღა ჩივის,
დამაბნელებს, დამიმონებს!..

ვაჰ, შენ, ბოძო ელექტრონის,
ვინც შენ ასე დაგაყუდა,
ჩემებრ შენგან თავის დახსნას
ის „ტელასი“ დანატრულდა!

რომ გაგიბამს ეგ სინები,
სულ დავწყვეტ, თუ შევიძელი,
რა ყრია მათ, სინათლეში,
თუ ამდენი მოსდევს ბნელი?!

ქე ვიყავი ჩემთვის მშვიდათ:
ვაბეუტებდი ღამით ლამფას,
დღეს, ვაი, რომ მის შუქს ვნატრობ...
დღეს ვაი, შენს ანდუყაფარს!..

ანდუყაფარ ჰაზირაძე.

„ძველი ღვინო ახალ ტიკში“

ნახ. ნადარეიშვილის

თუ იკადრება, „ეადრი“ სახკინმრეწვის მომა ვალ დადგმისათვის.

კულტმუშაობა ზოგიერთ სოფლებში

იმ სოფელში, სადაც მე ვცხოვრობ, უმეტესობა გლეხობაა, არის თუმცა „ჩოხა დახეული“ ნაზნაურალი ხალხიც ბლომად მოიპოვება.

ეს სოფელი, სხვათა შორის, სკოლებით ძალიან მდიდარია, ხოლო სათითაოდ თვითეული სკოლა ძალიან სიღარიბეს განიცდის.

არ იფიქროთ თითქოს მასწავლებლების მხრივ. ამა რა სათქმელია— ყოველ წელიწადს თითო სკოლას თითო მასწავლებელი მაინც ემატება და თუ მომავალშიაც ასე გაგრძელდა, მოწაფეთა რიცხვი ბევრით ველარ გაუსწრებს მასწავლებელთა რიცხვს.

რაც შეეხება სწავლის მეთოდს, იშვიათადაა დაყენებული: დილას არცერთი სკოლაში არ სწარმოებს მეცადინეობა. სწავლა იწყება თორმეტი საათიდგან. ეს მეთოდი ამით არის ხელსაყრელი, რომ მოწაფეთა დადგიანებას ადგილი აღარ აქვს; გარდა ამისა დილიდან შუადღემდე მოწაფეები თამაშობენ და როცა სწავლა იწყება, სრულიად მოღლილნი არიან და გაკვეთილების დროს სმენას თავიც კი აღარ აქვთ, არამც თუ ცელქობისა.

მასწავლებელთა სკოლის გარეშე მუშაობა კულტურულ დარგში მეტად დიდია. ყველა მთგანს აქვს საკუთარი ვენახი, სადაც, თავის გარდა, მოწაფეებსაც ამუშავებენ. ვენახი კი, როგორც ვიცით, კულტურული მცენარეა და მუშაობას საჭიროებს.

სოფელში არსებობს ერთი ქოხ-სამკითხველო, (უკეთ რომ ვსთქვათ, გაზეთების საწყობი). სამკითხველო მართლაც ქოხშია მოთავსებული და ამით ამართლებს სახელწოდებას. უკეთეს ბინისთვის არავინ ფიქრობს. ჯერ-ჯერობით მისი „მუშაობა“ დამაკმაყოფილებელზედაც მეტია, იგივე ასრულებს კლუბის დანიშნულებას და ნამდვილ გასართობს წარმოადგენს.

სამკითხველოში დაწყობილ გაზეთებსაც მალე თავის „დანიშნულებას“ ასრულებინებენ. უქმე დღეობით სამკითხველოში დგას (უკეთ რომ ვსთქვათ ზის) ხმამაღლა მოლაპარაკე „აპარატები“ და ერთმანეთს ეჯიბრებიან ლაზღანდარობაში.

წრეების მუშაობას არა უშავს რა. ქაღალდზე არსებობს სხვადასხვა წრეები: ლიტერატურული, ახალგაზრდა, ფიზკულტურის და სხვა. დრამწრის ჩამოყალიბება ვერ მოხერხდა; მთელი სოფელი რომანიულად არის განწყობილი და მათი დრამატიულ წრეში შეკავშირება, შეუძლებელია. ყველა ამ წრეების მუშაობა პირველად მიძინებული გვეგონა, მაგრამ რა კი ამდენხანს აღარ გამოიღვიძა, დავრწმუნდით, რომ მიცვალებული ყოფილა.

ავიაქიმის უჯრედი ჩამოყალიბდა ამ სამი წლის წინად. წელს უკვე მანდატები დაურიგდათ წევრებს და ამ ორ-სამ წელში ალბად ორგანიზაციულ მუშაობასაც დაიწყებს. რემედასის კრება მოხდა 1927 წ. და ზოგიერთი საკითხები გადაიდო შემდეგი კრებისთვის, რომელიც ალბად მოხდება ამ 1930 წელს. გეგმა არც მათ ხელმძღვანელებს აქვთ და არც უჯრედებს.

უღმერთოთა-კავშირს ყველაზე მეტი წევრი ჰყავს. მოკლე ხანში, ფიქრობენ, რომ კონსტანტინე მღვდელიც გახდება ამ ორგანიზაციის წევრი.

ძგმუნტი.

სტილის საკითხი

ნახ. დონიხ



— ეარგი რამ არის ეს ახალი შენობა, მაგრამ რაღაცა მაინც აკლია!
— ჯვარი აკლია თორემ ეკლესია იქნება!

ჩოხა ცინცაძეთ ტაური

საჯავახური ხუმრობა

— ამხანაგო, აქ აღმასკომის თავმჯდომარე ვინ არის?—შეეკითხე აღმასკომის კარებთან დაყუდებულ დარაჯს.

— კოსტა ცინცაძე გახლავთ!— მიპასუხა მან.

— ამხანაგო კოსტა, თუ შეიძლება მომეცით დაბადების მოწმობა?

— კი, მარა გიორგი ფოლარესთან ბიდი და გაიგე: გადახდილი გაქვს თუ არა სასოფლო - სამეურნეო დაბეგვითმყოფოს გადასახადი.

ფოლარემ მომცა ცნობა, რომ გადახდილი მქონდა აღნიშნული გადასახადები. ცნობის ქვეშ წითელი მელანით ეწერა: „ფოლარე: გ. ცინცაძე.

— მაშ დაუწერე დაბადების ქაღალდი! — გასცა განკარგულება აღმასკომის თავმჯდომარემ.

— რაო, რა სთქვა? რა გინდა შენ? — შემეკითხა ლრმა მოხუცი 80 წლის მდივანი. — ყურს მაკლია და ვერ გავიგონე?

— დაბადების მოწმობა უნდა მომეცე, ჩემო დარისპან! — ვუთხარი და დავუმატე: — კაცო, აწი შენ პენსია მოგეცემა და რატომ არ ანებებ თავს სამსახურს?

გამოირკვა, რომ —ცინცაძეებში დარისპან ცინცაძის მეტი არავინ ყოფილა ჯერ-ჯერობით, რომ შეეძლოს აღმასკომის მდივნის თანამდებობის შესრულება. კოსტა ცინცაძის ვაჟი გიორგი ჯერ ათი წლის არის და სანამ მას ვდივნობა არ შეეძლება, მანამდე დარისპან ცინცაძე უნდა იყოს მდივნად. ხოლო, როცა გაიზრდება, შემდეგ შესცვლის დარისპანს.

— აქ ყველა ცინცაძე ყოფილა!— გავიფიქრე და შევიარე გლეხკომში.

— გლეხკომის თავმჯდომარე ვინ არის აქ? — ვიკითხე ვე.

— ისიდორე ცინცაძე.

— მდივანი?

— სანდრო ცინცაძე.

— ის ყმაწვილიც ცინცაძეა იქ რომ რაღაცას სწერს?

— დიახ, ისიც ცინცაძეა.

— თქვენი გვარი?

— მეც ცინცაძე გახლავარ! ფული მაქვს ასაღები გლეხკომში. აი ეს გლეხებიც ცინცაძეებია; მათაც ფული აქვთ ასაღები.

— გლეხკომი კი არა, „ცინცკომი" ყოფილა აქ? — გავიფიქრე ჩემთვის და „ეპო"-სკენ ვქენი პირი.

კიბეზე კაცი შემხვდა.

— გამგეობის თავმჯდომარე ვინ არის აქ? — შევეკითხე მას

— მე გახლავარ.

— თქვენი ვინაობა?

— სეფე ცინცაძე.

— ალბად აქაც ცინცაძეებია და ისევ სჯობია ცენტრალურ მაღაზიაში შევიდე! — გავიფიქრე და უკან გამოვბრუნდი.

— თქვენი სახელი და გვარი, ამხანაგო? — შევეკითხე ნოქარს.

— სანდრო ცინცაძე! — იყო პასუხი. აქედან კოოპერატივში შევედი და გამოვკითხე ნოქრებს მათი სახელი და გვარი.

— შერმანდი ცინცაძე... ნიკიფორე ცინცაძე... პლატონ ცინცაძე';;— იყო მათი პასუხი.

სახლში წასვლა დავაპირე, მაგრამ ამ დროს სკოლა მომაგონდა.

— აქაც შევიარ ბარემ!—ესთქვი ჩემთვის საკმაოდ ხმამაღლა...

დასვენება იყო... შევეკითხე მასწავლებელს:

— თქვენი გვარი?

— ცინცაძე;

— თქვენი?

— ცინცაძე.

— თქვენი?

— ცინცაძე...

ამდენ ხეტიალში კიდეც მომშივდა და წითელ სასადილოში შევიარე.

— თქვენი გვარი? — შევეკითხე ფულის გადახდის დროს მოლარე ქალს.

— ქეთო ცინცაძე! — მომიგო მან.

— ჩვს საქმეს საშველი მაინც არ ჰქონია! — გავიფიქრე ჩემთვის და სახლში წავედი.

დავსწერე ეს წერილი და წავიღე ფოსტაში.

— თქვენ რა გვარი ხართ, ამხანაგო? — შევეკითხე ფოსტის მოხელეს.

— მე ცინცაძე გახლავარ- რა გნებავთ?

— არაფერი... ისე.., ამ წერილის გაგზავნა მინდოდა, მაგრამ რაკი ცინცაძე ყოფილხარ ეერ განდობ... ისევ სჯობია — ხიდისთავიდან გავგზავნო...

და ამ წერილს, ტარტაროზო, ხიდისთავიდან გიგზავნი.

ციგანი.

საიდუმლო გარათი

1.

ერთ საღამოს ტრესტის გამგემ
კოხტა ქალი გააცილა
და როდესაც შორდებოდენ,
ხელზე კოცნით უთხრა ტკბილად:

— როდის ვნახორ ერთმანეთი?
— ახ, არ ვიცი... გეტყვი მერე...
— არა, ეხლა გავარკვიოთ:
— გინახულებთ, დამიჯერე...

ამ სიტყვებზე გამგის ბაგეს
კვლავ მიეკრა ქალის ხელი,
და სხეულში ათამაშდა
ტკბილი ვნების ერუპტელი...

2.

წუწკი კაცის სახელი აქვს.
ტრესტის გამგეს ამირინდოს,
ვის ეტრფის და ვის რას ეტყვის,
აღარ ახსოვს ხშირათ თვითონ,
რადგან საქმის კაციც არის:
იქ - თათბირი,
აგერ - სხდომა,
სხვაგან კიდევ მოხსენება,
საზოგადო საქმე, შრომა.
გუშინ სიტყვაც კი წარმოსთქვა:
გმობდა ვიღაც ბიუროკრატს,
და როცა ის მეტყველებდა,
ფილოსოფოსს გავდა სოკრატს...

3.

საქმეებიც ბრძნულად მიჰყავს,
მისი ტრესტი ნახეთ, აბა,—
ყავს მდივანი მას პირადი,
კოხტა ქალი, მოკლე-კაბა;
ყავს „ზამი და „ზამის“ ზამი“,
„ზავატდელი“ გარე ათი,
შემანქანე „მადონები“,
გულს მოხიბლავს ეშში მათი.
შემოსულებს მაიკო სწერს,
გასულ ქაღალდს—ტურფა მაკო,
ვინც „ზაკანციის“ გულსაკლავად
თვალებს ნაბავს, ვით „უმანკო“.
ერთი სიტყვით, „საბქალებიც“
აკეთებენ საქმეს გულით:
დუსი, ჰუდრი და პამადა
ყველას მოაქვს რედიკულით.
სწერენ გასულს და შემოსულს,
ბეჭვდენ საქმის ყოველ წუთში,
და ყოველ წამს იღებავენ
წამწამებს და წარბებს ტუშით.

4.

დიდი კაცი მუდამ დიდი
საქმით არის დატვირთული
და იტაცებს ათასგვარი
საკითხები ძნელი, რთული.

ტრესტის გამგეც დიდკაცია
და რომ ტრესტი „რიგზე“ მართოს,
ხშირად უყვარს კაბინეტში
„საქმეებზე“ ფიქრი მარტო.
ამ დროს მასთან ვერვინ მივა,
კაბინეტის კეტავს კარებს,
დიდ ბლოკნოტზე ხაზავს ციფრებს
და არავის არ იკარებს.

და ასეთ დროს მის შიკრიკთან
გამოცხადდა ვიღაც ქალი,
მოკლე-კაბა, თმაკულულა,
ტან-ალვა და ბროლ-ფიქალი.

5.

ქალის ნაზი მეტყველება
სირინოზის გავდა ჰანგებს,
კაბინეტთან შიკრიკს კითხა:
— შეიძლება ვნახო გამგე?
— არ ღებულობს!
— უნდა ვნახო!
— ჯერ მე უნდა მოვახსენო
— აბა, ჩქარა...
.....
— არ სცალია.
— ჩტო მნე დელატ?
ღმერთო ჩემო...
ია პო დელუ... მეჩქარება,
სთქვა და რაკი ვერას გახდა,
შიკრიკს ხელი გაუწოდა
და ამ სიტყვით მას მიმართა
— ჰა, კონვერტი, გამომართვი,
გამგეს მისცემ შენ ამ ბარათს...
თან უთხარი, მინახულოს
ან და პასუხს ვუცდი ჩქარა.

6.

ხელად მოლბა შიკრიკიც და
ბევრი აღარ დაახანა
და ბარათი ტრესტის გამგეს
კაბინეტში შეიტანა.
— პასუხს გთხოვენ...
— არ მცალია.
წადი, მმართველს გადაეცი.
— თქვენს სახელზე გადმოგზავნეს...
— ვოტ ჩუდაკ. ხეპრე, ბეცი,
გეუბნება: არ მცალია.
შიშით ეცა შიკრიკს ელდა
და ბარათით უხმოდ ხელად
მიირბინა „უპრავდელთან“.

7.

ვინ არ იცნობს „უპრავდელებს“,
რომ წეს-რიგის არის ხალხი,
და როდესაც გამოართვა,
რომ არ ქონდა ბარათს დაღი
შემოსავლის, არც ნომერი,—
აიჩეჩა ბრაზით მხრები
და შიკრიკი „ნაჩკანციკენ“
გაამგზავრა დამუქრებით.
„ნაჩკანცი“ კი-თვალშუქურა,
ახალგაზრდა, ქვრივი მერი—
ამ დროს რომანს კითხულობდა
გატაცებით, გულის ძგერით.
— თქვენთან საქმის ქალალია
და მიბრძანეს გაატარო;
— წადი, საქმის მწარმოებელს
მიუტანე-მეგობარო.

8.

მსწრაფლ შიკრიკმა „საქმე“ საქმის
მწარმოებელს მიუტანა
—არც რიცხვი აქვს, არც ნომერი,
დაიძახა წყრომით მანა:
დო სიხ პორ ნე ნაუჩილსა
ნუ მოგიეა ახლა გული...
მიუტანე რეგისტრატორს.
სთქვა და გახსნა რედიკული.
რეგისტრატორს, კოპწიაძეს
ყველას ეტრფის ყველა ამბობს,
რომ მას გამგე „ეხუმრება“
თან დასდევს და „სუხარს ახმობს“.
ქალიც ფიქრობს: „მე გახლავარ
კოპწიაძე კოხტა ლილი,
მალე მითხოვს ცოლად გამგე
და მეჭნება ბედი ტკბილი.
გამგე მე არ მიღალატებს...
ის არ არის სხვისებრ თარსა“.
და ჩასწერა ამ დროს წიგნში
შემოსულის შინაარსი:
ტრესტის გამგეს-ამირანდოს.
„მოგიკითხავ, ჩემო გერიტო,
სულიკო და საყვარელო,
ჩემი გულის მარგალიტო.
ამ საღამოს შვიდ საათზე
ალექსანდრეს ბაღთან გელი,
გკოცნი კოკობ ულვაშებში,
„ბენი ტურფა“, „შენი ლელი“.

10.

აკანკალდა, ვით ფოთოლი,
გამწარებულ ლილის ხელი...
რას იზამდა?.. წესისამებრ
დააწერა რიცხვი, წელი,
ნომერი და, სამსახურში
როგორც იყო, შემდეგ წესი,
გადავიდა ეს ქალალდი
ლილისაგან მერის ხელში;
მერიმ პავლეს გადუგზავნა,
პავლემ-პეტრეს,
პეტრემ-ლიას,
ლიამ-თინას
და ბოლოს ძღვნად
გამგის ხელშიც მიაღწია.
სახტად დარჩა ამირინდო...
ყველგან გახდა მოდებული
ამბავი, რომ დღეს მას ქონდა
პაემანი დანიშნული.

მედუზა.

ხულოს კლუბში

2

დაკეტვენ და არ იღება,
კვირაში არცა ორჯერა.
მას თუ კარები ჰკიდია,
ეს აქ არავის არ სჯერა.
ამბობენ: „კლუბი გამგემა
დაჰკეტა იმისათვისო,
რომ ამ ზამთარში დარბაზი
ვირთხებმა მიითვისაო“.
გაზეთები და წიგნები
მათვე სჭირდებათ ლოგინად.
სამკითხველოში ცანწორამ
ეხლახან მოიღოგინა.



პიანინოზე უკრავენ
მემუსიკენი ვირთხები...
თუ ვის ეკუთვნის გაჯორვა,
ტარტაროზ თვითონ მიხვდები.

ვასმახ.

სამგლოვიარო განცხადება

ერთ საღამოს ვარლამ სულგუნაშვილის ფართოდ და მდიდრულად მორთულ ბინაში სრულიად მოულოდნელად ჩამორეკა გლოვისა და მწუხარების ზარმა.

ვარლამ სულგუნაშვილს გარდაეცვალა ერთად ერთი ცოლისძმა და წარსულში მისი არა ერთხელ განსაცდელისაგან მხსნელი და მფარველი ახლო ნათესავი.

ქაიხოსრო კოსროშვილი ანუ გენერალი კოსროევი, ეს ყოფილი რუსეთის იმპერიის მთელი ერთი კუთხის რისხვაც იყო და ამომავალი მზეც. ადმინისტრატიული ძალა-უფლების სათავეში მდგომი, ის მთელი ოფიციალური ცხოვრების წარმომადგენელიც იყო იმავე დროს. არა ოფიციალური, არალეგალური ცხოვრების ყველა ძაფებიც ხომ მის ხელში იყრიდა თავს. ერთი სიტყვით, იდგა კაცი ისეთ მაღალ საფეხურზე, რომლის ზევითაც შესაძლოა კიბის ერთი თუ ორი საფეხური კიდევ არსებობდა, მაგრამ გზა იმათკენ დანარჩენებისათვის უკვე ყველასათვის იყო მოჭრილი და გენერალ კოსროევის ელვარებით დახშულ-დაბნელებული.

ვარლამ სულგუნაშვილი სრულიად მოულოდნელად გახდა კოსროევის სიძე. ამ უკანასკნელის და, რიფსიმე, და სულგუნაშვილი ცხოვრებამ სწორედ ცხოვრების იმ მეორე პოლიუსზე შეახვედრა ერთმანეთს, რომლის პირისპირ საწინააღმდეგო მხარეზედაც კოსროევები იყვნენ გაჯგიმულნი. არალეგალურ პირობებში რიფსიმე და ვარლამი ერთმანეთს დაუახლოვდენ და კიდეც შეუღლდენ. წარჩინებულ ცოლისძმას ბევრი უსიამოვნება ჰქონდა გამონაცადი მოუსვენარი სიძისა და „უწბილარი“ დისაგან, მაგრამ რაღა გაეწყობოდა? უნდა ეთმინა... პირველ ხანებში ანუ უკეთ ერთ-ორ შემთხვევაში მაინც თავისი ყოვლის შემძლე ხელიც კი უნდა გაეწვდინა მათთვის, განსაკუთრებით — სიძისათვის. და ეს ასე უნდა ჩაედინა „ქვეყნის“ დასანასავად მაინც, სახელისა და ელვარების კიდევ უფრო მოხვეჭისათვის...

მაგრამ ადამიანს, მუდამ „ხაჭაპურის ჭამაც კი მოსწყინდებაო“, ნათქვამია. გენერალ კოსროევსაც მოსწყინდა და მობეზრდა მუდამ ვიგინდარა სიძის შოწყალისა და მოსარჩლის როლში გამოსვლა. მან ერთ შშვენიერ დღეს ხელი ჩაიქნია და განაცხადა: „ტილი რომ ჩექმის ყელზე დაისვა, უეჭველად თავის კოსრომდე აცოცებას და იქ წამოჯღომას მოინდომებსო“. და თავისი პატიოსანი კოსროს „ფაქიზად შემონახულება“ ამჯობინა უპატიოსნო სიძის მესამედ თუ მეოთხედ დახსნას. გენერალის „ამბიცია“ მოითხოვდა ამას და კოსროევმაც არ უღალატა თავის ბრწყინვალე კარიერას.

მაგრამ ყველა კარიერას ხომ თავისი ბოლო აქვს. კოსროევის კარიერაც ჯერ ჩეკის სარდაფისა და შემდეგ მეტეხის ციხით დასრულდა.

რამოდენიმედ ბედსა და უფრო მეტს კიდევ თავის „ულირს“ სიძეს უმადლიდა კოსროევი იმას, რომ ყოველ შემთხვევაში მაინც ასე იოლად გადარჩა. თავი მამისეულ სოფელსა და იქ ჯერ კიდევ დარჩენილ კერას შეაფარა და მითაც მადლიერი იყო თავისი დისა და განსაკუთრებით — სიძის, რომელსაც საკმაოდ მაღალი ადგილი ეჭირა ახალს წყობილებაში და იქიდან უწევდა ახლა სამაგიერო მფარველობას. განსაკუთრებით კი — და სწყალობდა ძმას.

ამის შემდეგ სიძე — ცოლისძმის ვითომ თითქმის ერთნაირი შერიგებაც კი მოხდა. ერთნაირ დათმობასა და ძველ ცოდვათა დავიწყებასაც კი მიეცა ადგილი და ნათესავიზაციის გზით პირველმა უკანასკნელის რეაბილიტაციაც კი სცადა. მაგრამ ყოველივე ამან, რა თქმა უნდა, ჩაილულის წყალი დალია, ერთ საღამოს სიძის ოჯახში ცოლის ძმის მიერ მირთმეულ ჩაის შემდეგ, როცა სულგუნაშვილის ამხანაგებთან საუბარში ძველი ტრადიციების ერთგულმა კოსროევმა თავი ვეღარ შეიკავა და უნე-

სოკო თუ კულაკი

ნახ. დონის.

რადგან ძნელია ამ სოკოს გან „ამის“ გარჩევა, ორივეს შვენის წიხლის კვრა და ისე წაქცევა.

მეგობრული შარჟი

კ. ფოცხვერაშვილზე

ნახ. კანის



ძველი კოტე (ახალ კოტეს):—აღარ ვიცი, „მე" ვარ „შენ", თუ „შენ" ხარ „მე".

ბლიეთ წამოაყრანტალა ზოგი რამ თანამედროვე თვალსაზრისით მიუღებელი ცნებანი.

სარისტიანმა სიძემ იგრძნო მოსალოდნელი „უსიამოვნება" და კოსროეეიც, რომელმაც ამ უკანასკნელ ხანებში უხშირა სიძის სახლში სიარულს, თანდათან თავიდან ჩამოიშორა. ცოლი ერთხანს ეწინააღმდეგებოდა ამაში ქმარს, მაგრამ ოჯახისაა და „კეთილი ცხოვრების" ინტერესები ბოლოს სძლიეს ძმის სიყვარულსა მისი დაცვის განზრახვაში წინწამძღვანებულ ნაძალადევი სირაინდის გრძნობებს და „ყოფილი ადამიანიც" დაივიწყა სულგუნაშვილის ოჯახმა.

და აი, დღეს ამ უკანასკნელის ასეთმა მოულოდნელმა სიკვდილმა უცბათ ისევ გააღვიძა სულგუნაშვილების მეხსიერებაში ვიჩქმალული სსოვნა „ყოფილი კაცის" და ახლო ნათესავისა.

დიდ მწუხარებაში ჩავარდნილ რიფსიმეს დიდის დაუვაებითა და დიპლომატიური ხერხებით: თუ დარცხვენით თუ დაშინებით ძლივს აჩერებდა და აშოშმინებდა თანამგრძნობი ქმარი.

გაზეთში კი უნდა გამოეცხადოთ მაინც, აი!... გულ ამოსკვნილი ზლუქუნითა და ცრემლების ღაპა-ღუპით მოითხოვდა რიფსიმე ქმრისაგან ამას, როგორც ყველა დათმობათა უეჭვო საზღაურს, როგორც თითქმის უმნაშვნელო კომპენსაციას.

მაგრამ სწორედ ეს გაზეთში გამოცხადება იყო, რაც იყო! სწორედ ამისი ეშინოდა და, ეფიქრებოდა ფრთხილსა და დაკვირვებულ სულგუნაშვილს,

— ყოველად შეუძლებელია, რიფსიმე!... რას იტყვიან ამხანაგები? დავიღუპებით... ბავშვები მაინც შეიცოდე... ხუთი ერთი ვეორის შიმდევნო ქალ-ვაჟი ჰყავდათ სულგუნაშვილებს;გვრიტებივით მოვლილები, დაპურებულ - დამოსილები, ყველა სწავლასა და წარმატებაში მყოფნი, თითქმის ნებივრობაში შესულნი...

და რიფსიმესაც ძალაუნებურად მოუხდა ბოლოს და ბოლოს დათმობაზე წასვლა... დარდი და თავმოყვარეობის შელახვით გამწვეული სინანულში ქალმა მეორე დილით მთელ წინა ღამის განმავლობაში ჩუმად მისაცილო ოთახში დაღვრილ ცრემლთა ნიაღვარს გაატანა თან..,

გავიდა ის დღე... მეორე..; მესამე და სულგუნაშვილები არც დაკრძალვის დღეს ფიქრობდენ თავიანთ ბინიდან დაძვრას. ყოფილი გენერალი და ადამიანი სასაფლაომდე მისაცილებლად ისევ ყოფილ ადამიანებს რჩებოდა.

მაგრამ სწორედ იმ საღამოს, როცა ვარლამ სულგუნაშვილი რაღაც ცოტა აღელვებული და ამდენადვე შეშფოთებული დაბრუნდა სახლში, უცბათ მიუბრუნდა თავის ჯერ კიდევ გლოვის ცხოველი გავლენის ქვეშ მყოფ ცოლს, მხარზე ხელი დაჰკრა და თვალებიდან რაღაც უჩვეულო ელვარების დაკვესებით დასძახა:

— თანახმა ვარ, რიფსიმე, გამოვაცხადოთ გაზეთში!... — მაგრამ დაგვიანებული რომ არის?... ან რით აიხსნება ის, რომ..;

— არა უშავს... მე უკვე მზად ვარ, რათა სამგლოვიაროო განცხადებას ბელი მოვაწერო... გამოსვენებასაც დავესწროთ...

და ვარლამ სულგუნაშვილს, სახალხო კვების კავშირის პასუხისმგებელ მუშაკს, ამ სიტყვებზე ერთი ისეთი ოხვრა აღმოხდა მკერდიდან, თითქოს „დაშორებული" ცოლის ძმა და „ყოფილი ადამიანი კი არა, მკვიდრი ძმა და ერთგული ამხანაგი მოჰკვდომოდეს...

რა თქმა უნდა, სამგლოვიაროო განცხადების რედაქციაში მიტანაზე თავიც კი არავის შეუწუხებია. არც დაკრძალვის დღეს დაძრულან და და სიძე ადგილიდან;ქმარში მომხდარ საბედისწეროო გარდატეხას წონასწორობა ისევ ცოლის მიერ შემოკრებილმა კეთილგონიერებამ შეარჩინა. რადგან ყოველივე ეს დამატებით მართლაც რომ მოეხდარიყო, მაშინ, უკვე სულგუნაშვილს მარტო თანამდებობიდან გადაყენებას კი აღარ აკმარებდენ, თავისი ოდესმე მაღალ ხარისხოვანი ცოლის ძმის გამო, არამედ კიდევ უფრო „უსიამოვნო" და საშუხარო სხვა ახალ სამგლოვიაროო განცხადებას მისცემდენ, ალბათ, მათ ცხოვრებაში ადგილს.

ონისიმე.

მოთმინების ფიალა ოომ აივსო...

ნახ. ხურსკაიასი

ესე იგი, რომ ვერ ეღირსა ახალ მალაროს მუშათა სამრეცხავოს გახსნას, აიღო და დაზოგილ თეთრეულს გადაუძახა წყლით სავსე ვარცლში.

მტრეგის კარებთან

ვატოს გულის ნეტარება, მისი სათაყვანო;
მეტეხში ზის დარცხვენილი გამფლანგველი ვანო!
დიდი ხნიდან კატოს და მას უყვართ ერთმანეთი,
ისევ ახსოვთ კოცნა, ხვევნა, ღამეები თეთრი.
ვანო გამგედ მსახურობდა და მოლარეთ კატო,
ხშირად ორივე მტკვრის პირად დაუნახავთ მარტო.
მუშტაიდშიც ქონდათ ჩუმად პაემანი ხშირი,
და ამრიგად სალაროს ჩუმად გაუთხარეს ძირი.
მაგრამ ეხლა ციხეში ზის გამფლანგველი ვანო,
ვატოს გულის ნეტარება, მისი სათაყვანო.
ვატო კრძალვით კარებთან დგას, უნდა ნახოს იგი,
და ღრმად სწამს რომ დღეს მასაც ხვდება ნახვის რიგი.
აგერ მოდის აკვირინე, ვანოს ნაღდი ცოლი,
შვენის შავი წამწამები და თვალები ბროლი.
მასაც უნდა ნახოს ვანო, ახალგაზრდა ქმარი,
ის ციხეში ეგულება, არ ასვენებს ჯავრი.
უცებ კატოს მოკრა თვალი... გააჟუროლა ტანში,
ზურგზე ჭოლგამ გაიელვა... ხელი გაჩნდა თმაში.
— შენ ოჯახი დამიქციე... დამიღუპე ქმარი,
შავმა ჭირმა ამოგაგდოს... ცხვირით გენგრეს ძმარი.
ამ სიტყვებით იგი კატოს ებდღვნა, როგორც ქორი,
მიეშველენ... გააშველეს.. მოჩხუბარი ორი;
ემატება ტუსაღებს და მზეც იცინის ცაზე;
ნეტა, ვანოს ახლაც ხიბლავს ვატოს სილამაზე?!

იანო.

„ახალი ვეფხვის ტუაოსანი"

(საბურთალოდან)

ტარტაროზ, ესე უსტარი არს ჩემგან მონაღვაწები,
ამბავი ბევრი გაუწყო, გული სომართლეს ვაწები.
მრავალფერია ცხოვრება, ამასაც დამემოწმები.
ბევრის რამის ვარ მნახველი და უფრო მეტის მომსწრები.
საბურთალოსა ამბები არს შენგან საცოდნარია,
კულტმუშაობა მის კლუბში რაღაცამ არივ-დარია.
ხშირად გაისმის უმიზნო „რომ და რომ და-დადარია",
— „ძმაო, გადაჰკარ, დალიე ღვინოა, არა ძმარია"—
დავითს პორტფელი უპყრია, ბიჭია შვენის კარგადა,
თუ იმას შიგან რა უძევს, ვინ უწყის ეს ამ ჟამადა.
ხშირად გულბოყვსა იტკივებს, ვაი თუ არის ავადა
კრიალოსანი კარგია გასართობ და საagადა...
მისტერ კოტეს ვხედავ ხშირად, მიდის, მოდის გზას მგზავ-
— — — —

ბუხგალტერი ბალანსიძე

მე გახლავართ, ბუხგალტერი ბალანსიძე.
ვმსახურობ ოცდაათი წელიწადი და ყოველ დღე პრაქ-
ტიკას ვიძენ.
საქმე მაქვს პატიოსან ციფრებთან, დებეტ-კრედიტთან.
(ტვინში მაზოლები მაქვს და გონება გამოკრეტინდა)
ვმსახურობ ოცდაათი წელიწადი ამ დარგზე,
(„სჩოტზე", როცა ვარახუნებ, მგონია, უკრავ თარზე,
რა ვქნა, არა მწამს კულტურა, ხელოვნება, პოლიტ-ეკო-
ნომია.
(ბუხგალტერი და ასეთი საქმე, ვის გაუგონია?..)
ან და მუსიკა, ოპერა, თეატრი,
(ციმბ ფიქრებს კალკულაციის ურემი მიათრევს)
მე გახლავართ, ბუხგალტერი ბალანსიძე.
არ შემეშლება ანგარიში, რაზედაც გინდა, დამაფიცე.
ჩემს სიცოცხლეში შემომივლია ასიათასი დეპარტამენტი
და უფრო ბევრი, უფრო მეტი
ბანკი და ხაზინა.
(ცხოვრებამ ბევრი მწარე მასვა, ბევრიც მაცინა)
დღემდე არავის არ მოუთხოვია კითხვა ჟურნალის, წიგ-
ნის,
ჩემი ცხოვრება იყო ოთახში და დავთრების შიგნით.
იანვარი დგება ძალით უნდა გამომაწერინონ გაზეთი
(გინახავთ, კაცო, ახირება ასეთი?-
გაზეთს მოპყვება „ტარტაროზი" ყოველი კვირით,
სადაც ათასი ოხერი ჰყვირის:
ბიუროკრატიზმი. პროტექციონიზმი და ათასგვარი
„იზმი"
(გარეცხეს ტვინი ამდენი კლიზმით).
მე გახლავარო ბუხგალტერი ბალანსიძე.
ორმოცდა ხუთი წლის ვარ და ეხლა გავხდი ნაღდი სიძე.
მართალია, თმაში შემეპარა ჭაღარა,
წლები, სიმრავლემაც წელში ცხრანაირად გამხარა,
მაგრამ . სპეციალიკვეთით ვიღებ ჯამაგირს
(ჩემი უმაწვილი ცოლიც დაეჩვია ჩემთან ჭამას დიდს)
ფული, ფული და ფული, ეს სამი რამეა კაცისთვის სა-
ჭირო.
ჩემთვის საკმარისია, კაბინეტში კნოპკას ხელი დავაჭირო,
რომ წინ მომერთვას ხელად ავანსები!
და მეც ხომ კნოპკას ხელით ხშირად დავაწვები!..
ასე ვცხოვრობ მე, ბუჰგალტერი ბალანსიძე,
ენა მაქვს გამგის საალერსოთ მაგიდის სიგრძე.
მემორიალის წიგნების გადაშლას, „გლავბუხი" როცა
ვინებებ,
აცეკვდებიან ციფრები, როგორც ოპერაში ტანშიშველი
ბალერინები
იცით, რა არის ცხოვრება, ან დრო, ან სივრცე?
მე გახლავთ ბუჰგალტერი ბ—ა—ლ—ა—ნ—ს—ი—ძ—ე!.

ზორბა.

ზესტაფონის სასადილოებში

ნახ. დონის.



ძალლი (მოსადილეს):—სადილი ისე სჭამე, რომ ფეხი
არ შემოსდგა მაგიდის ქვეშ და ბინის ფართობი არ შემიმ-
ცირო, თორემ ფეხებს მოგჭამ!

გამოიცანით

(ბასილეთი, გურია)

ძედროვეა, გაიძვერა,
ჩარჩობაში გამოწვრთნილი.
ვერ მოსძებნით — კაცი იყოს
ვინმე მისი კმაყოფილი.
უყვარს სხვისი დამცირება
„ტარიელად" მოაქვს თავი;
მას რომ ჰკითხოთ, — არვინ არი
მისებრ კარგი სანახავი.
თუ დასჭირდა, სხვა კაცია,
ტკბილი სიტყვით დაგამშვენებს,
თან ლაქუცით მოგზვევს ხელებს
ქებით აღარ მოგასვენებს..
და ამგვარი მოქნილობით
შეაბრალა ხალხს მან თავი.
ბოლოს მოსდგა და სუყველას
მთლად გააძრო ზურგზე ტყავი.
ლობე-ყორე ძრომაც უყვარს,
სხვის ბინაზე სიარული.
(ერთ საწყალ გლეხს თვის ოჯახზ
აუცრუა კიდეც გული).
„მაგრამ მუდამ ვის შერჩება"
ანდაზაა ერთობ ძველი.
მიჩიხეს და შესდგენ ზურგზე,
დაუყეყეს მაგრად წელი.

„პომპოლიკი".

სტუდენტთა სასადილო

ნახ. დონის



პირველი კერძი მაშინ მოუტანეს, როცა იგი პირველ
ცურზე იყო.

ხოლო მეორე კერძი—როცა უნივერსიტეტი დაამ-
თავრა.

ჯოჯოხეთის კუთხე

ეს სოფელი მატანი პევრის არის ამტანი

იტყვიან: „ვაი გლახა თავის პატრონის ფეხებს, თორემ თავს რა უშირს“ო.

სწორედ ასე ითქმის სოფ. მატანსა (კახეთი) და მისი აღმასკომის თავმჯდომარეზე. (თავად იგულისხმება აღმასკომის თავმჯდომარე, ხოლო ფეხებათ — სოფელი).

„ამოდენა სოფელში არ არის ექიმი. (სამაგიეროდ, არიან ექიმბაშები და ქადაგები). არ არის კლუბი, რომლის მაგიერობას არსულებს ბოსელი, (სადაც იმართება, ისიც იშვიათად, წარმოდგენა)... გზებზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია“. (ბნელხეველი).

რას შვრება აღმასკომის თავმჯდომარე?

სძინავს?



ლეხები: — გაიღვიძე, კაცო და...

ბალლინჯო: — სსს! ჩუმად. მე გავაღვიძებ ჩვენი აღმასკომის თავმჯდომარეს, თორემ თქვენ გაგიჯავრდებათ!

ალბად მაშინ გაიღვიძებს, როცა საბჭოთა გადარჩენები მოხდება... ცოტა დრო დარჩენია!

ოზურგეთის ხანძარი — ცხენი ვეღარ დავსძარი

ოზურგეთის ცეცხლის მქრობელ რაზმს ჰყავს ცხენი, რომელმაც ისეთი გულგრილობა და შეუგნებლობა გამოიჩინა ელსადგურის ხანძრის დროს, რომ გაჯიუტდა:



— ფეხსაც არ მოვიცვლი, სანამ არ გამაძღებთ!..

მართალია, ასეთ გაჭირვების დროს ასეთი საქციელი დაუშვებელია და გასაკიცხი. მაგრამ მოთხოვნილება სამართლიანია.

დაუკეტეს წყალი, ყველა არის მთვრალი

ჩაქვის მიკიტნები ღმერთს ევედრებიან, რომ დიდხანს არ გაისსნას წყლის ონკანი, რომელსაც ბოქლომი ადევს.

რესტორანში შევლენ, გადაჭკრავენ ღვინოს...
სმაში მოდის ხოში — ფართოდ მოილხინოს.

(ბ. ზაქაროველი.)

ჩვენს შეკითხვაზე: „რატომ თვრებით?“ — გვიპასუხეს:



— გაგვიხსენით წყალი, არ ვიქნებით მთვრალი.

მოთხოვნილება სამართლიანია.

შვილი კონტროლიორი... აქ ვინ სჭამა ნიორი?

სიხარულის გამოსასატავად ერთ-ერთი კარგი საშუალებაა ცეკვა.

ერთი უცნობი პროფესორი-ბიოლოგი—არავინ (გვარია) ამბობს: **„სიხარულის დროს ძაღლიც კი ცეკვობს“.**

ძაღლი კი არა, ქმარშვილიანი მანდილოსანიც კი აცეკვდება, როცა მას ქმარი საკაბეს უყიდის.

ბავშვების აცეკვება ხომ ორკაპიკიან ირისითაც შეიძლება.

ასე და ამგვარად სიხარულს დიდი მნიშვნელობა აქვს ცეკვის აღორძინებასა, წინმსვლელობასა, გაუმჯობესებასა და ერთი სიტყვით, პროგრესის საქმეში.

სწორედ ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა (ალბად) განსასჯომის ხელოვნების მთავარი სამმართველო, როცა „დედასა, მამასა და ნათლიმამასა*) კონტროლიორად უნიშნავდა ფერდინანდ ინოჩენცის“.

ჩვენებური ძველი თქმულება ამბობს: „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე“.

ხელოვნების სამმართველო კიდევ უფრო შორს წავიდა. ის არც ისე იოლად ეკიდება საქმეს. მარტო დედისა და მამის ნახვა არ კმარა... საჭიროა ნათლიმამას ნახვაც.. და ძველ თქმულებაში ასეთი ცვლილება შეიტანა: „დედა ნახე, მამა ნახე, ნათლიმამა ნახე და მათ კანტროლიორად მათი შვილი გამონახე.

საზოგადოდ, კონტროლი და რევიზორი არასასურველი სტუმარია და მათი სტუმრობა ყოველთვის უსიამოვნებას იწვევს.

და „ცეკვის ტრესტის“ მესვეურთათვის რომ ნამდვილი კონტროლიორი დაენიშნათ, ხომ წაუხდებოდათ „დედასა, მამასა და ნათლიმამასა“ ცეკვის მადა (ხოში)?! განა ისინი მაშინ ცეკვის ხალისზე იქნებოდენ? ეს კი გამოი-

*) დედა — პერინ, ბალეტის სტუდია აქვს; მამა—ინოჩენცი, ცეკვის სკოლის ხელმძღვანელი, ნათლიმამა—ალექსიძე, ცეკვის სკოლის გამგე.

წვეულ ცეკვის ხელოვნების დაქვეითებას, დაწინებას. ეხლა კი... „დედა, მამა ნათლიმამა“ გახარებული კონტროლიორით ისეთ დავლურს უვლიან, რომ ხელოვნების სამმართველოს მესვეურნენიც აჰყვებიან.

შვილი რომ კონტროლიორად დაუნიშნოთ, არა თუ ცეკვის მცოდნენი, დახელოვნებული მოცეკვავენი აცეკვდებიან სიხარულის გამო, — არამედ უშნო, ულაზათო და მოუხეშავი გამფლანგველიც იცეკვებს ფოკსტროტსა და ლეკურს შვილის აკომპონიმენტზე, თუმცაღა **„თამაშობას ხერხი უნდა დათვმაც იცის ძუნძულიო“.**

„ბუხრის თავი“..—უხურს თავი

გასამხედროება სავლეს (სოფ. ფუთი, შორაპნის მაზრა) ისე იტაცებს, რომ სოფელში არ არის ისეთი ბუხარი, რომელსაც თავში არ მოხვდენოდეს მისი რევოლვერის ტყვია.

როცა სავლეს ტყვიით განგმირული ბუხრის თავი სახლის სახურავზე ინგრევა და მტვერს აყენებს, აღტაცებული და გამარჯვებული სავლე სიამოვნებითა და სიამაყით ამბობს:



— **დედას ვუტირებ ჩემბერლენს!**

ჩემბერლენის რა მოგახსენოთ... ხოლო შეშინებული ბავშვები რომ სტირიან, ეს კარგად ვიცით.

„მკვდარი სულები“... ბლომად ფულები

გოგოლის გმირი ჩიჩიკოვი, რომელიც მკვდარ სულებს ყიდულობდა (გოგოლის: „მკვდარი სულები), ბევრს ჰგონია, რომ შეთხზულია პოეტის ფანტაზიით და ის (ჩიჩიკოვი) სინამდვილეში არ არსებობდა.

ჩიჩიკოვები გოგოლის დროს კი არა, ეხლაც არიან. ნება გვიბოძეთ წარმოგიდგინოთ გასაცნობათ ნარაზენელი (ზუგდიდის მაზრა) ჩიჩიკოვი, ყოფილი „მოსე მწერალი“, ხოლო არსებული—შვიდწლედის გამგე.

„მეშვიდე ჯგუფში ცხრა კაცი
მას უზის, თითქოს ოცია.
ინსპექციაში ოცს ადგენს, —
ეს არის გასაოცია,
ჟურნალში ჩაუწერია
თერთმეტი „მკვდარი სულია“,
რომ ამით ჩვენსა მთავრობას
მეტი დააძროს ფულია.

(ლომკაცი).



მაგრამ ყველაზე უფრო საკვირველი ის არის. რომ სკოლაში **„ნაბდით, ცხენითა და თოფით მობრძანდება“.** (ბეტავი რაზე ნადირობს? ალბად „მკვდარ სულებზე“!).

არც მეორე (აბასთუმნის) შვიდწლედია უკეთეს მდგომარეობაში, მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ აკლია ლოცვა-კურთხევა მისი გამგისაგან, (ბუცესია).

თვითკრიტიკა

ამას წინედ ფოთის ნავთსადგურის ადმინისტრაციამ მოაწყო შემოქმედებითი საღამო, რომელზედაც გამოვიდენ თვით ადმინისტრაციის მესვეურნი და თავისთავზე წაიკითხეს ლექსები.

ივანე ფირცხალავა

სიხარულის მთები, ვარსკვლავების ზეცა
მომეფინა გულზე, ამათრთოლა პეცა.
ბევრი უსახლკარო თავებს ლოდებს ახდის:
მე კი თბილად მფარავს სახელმწიფო სახლი.
მე ჩემს სახლსა ვყიდი, (მთავრობის მაქეს ბინა).
ფულით ვერ გავძღები მე და ჩემი წინა.

ეკვთიმე გაგუა

გედთან დაუნდობელი გაგუა ვარ ეკვთიმე.
მუშა ტყვილად მიჩივის: „გადმომხედე ერთი მე!“
ქონი მაკრავს მუცელზე, როგორც თეთრი ტყლაპია
სამსახურსა მას ვაძლევ, ვინც მაღირსა ყლაპია.

გრიგოლ გოჩილეიშვილი

გედაური გრიგოლი კაპიტანი პორტისა
მოყვასი ვარ: მუშტ-ტკრივის და ასეთ ხლაფორთისა.
ახალ სახლებს „ვდარაჯობ“—არ ჩასახლდენ მუშები.
(ჰმ! ეგებ თქვენ გეგონათ—რომ არ გატყდეს შუშები!).

შიგ მუშების მაგივრ ჩავასახლებ ჩვენებსა,
და ყურსაც არ ვათხოვებ ხალხის „ბოროტ ენებსა“.
სხლს ჰქვია მუშის სახელი, სხვა რა უნდათ ნეტავი?!
კარგს სახლს ვერ შეეწყობა შავი ვუშა“ მხვეტავი.

კოწია ცინცაძე

ასე დიდი კაცი ვარ—კანცუფროსი, მმართველი...
უვიცია, ურზოდელი, ჩვენი მუშა ქართველი.
„აბჯანაგოს“ მეტყვიან... გაგონილა ასეთი?!
თუ ზრდილობა „ვასწავლე“, ეზად აქვთ კედლის გაზეთი.

კოწია ჩიკვაიძე

კოწიაზე უარესი რატომ ვიყო კოწია?
მასზე უფრო მე მიყვარს ლამაზები კოპწია.
ჩვენ სახელი ერთი გვაქვს... მე ვარ „ნარალნიკია“
მუშა როცა არ ვომწონს მზად მაქეს მისთვის ხრიკია...

ფოთელი.

ჯოჯოხეთის კუთხე

ეს სოფელი მატანი ბევრის არის ამტანი

იტყვიან: „ვაი გლახა თავის პატრონის ფეხებს, თორემ თავს რა უქირს“ო.

სწორედ ასე ითქმის სოფ. მატანსა (კახეთი) და მისი ალმასკომის თავმჯდომარეზე. (თავად იგულისხმება ალმასკომის თავმჯდომარე, ხოლო ფეხებათ — სოფელი).

„ამოდენა სოფელში არ არის ექიმი. (სამაგიეროდ, არიან ექიმბაშები და ქადაგები). არ არის კლუბი, რომლის მაგიერობას არსულებს ბოსელი, (სადაც იმართება, ისიც იშვიათად, წარმოდგენა).. გზებზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია“. (ბნელხეველი).

რას შვრება ალმასკომის თავმჯდომარე? სძინავს?



ლლეხები: — გაიღვიძე, კაცო და...

ბალლინჯო: — სსს! ჩუმად. მე გავალვიძებ ჩვენი ალმასკომის თავმჯდომარეს, თორემ თქვენ გაგიჯავრდებათ!

ალბად მაშინ გაიღვიძებს, როცა საბჭოთა გადარჩენები მოხდება... ცოტა დრო დარჩენია!

ოზურგეთის ხანძარი — ცხენი ველარ დავსძარი

ოზურგეთის ცეცხლის მქრობელ რაზმს ჰყავს ცხენი, რომელმაც ისეთი გულგრილობა და შეუგნებლობა გამოიჩინა ელსადგურის ხანძრის დროს, რომ გაჯიუტდა:



— ფეხსაც არ მოვიცვლი, სანამ არ გამაძღებთ!..

მართალია, ასეთ გაპირვების დროს ასეთი საქციელი დაუშვებელია და გასაკიცხი. მაგრამ მოთხოვნილება სამართლიანია.

დაუკეტეს წყალი, ყველა არის მთვრალი

ჩაქვის მიკიტნები ღმერთს ევედრებიან, რომ დიდ-ხანს არ გაიხსნას წყლის ონკანი, რომელსაც ბოქლომი ადევს.

რესტორანში შევლენ, გადაჰკრავენ ღვინოს...
სმაში მოდის ხოში — ფართოდ მოილხინოს.
(ბ. ზაქაროველი.)

ჩვენს შეკითხვაზე: „რატომ თვრებით?“ — გვიპასუხეს:



— გაგვიხსენით წყალი, არ ვიქნებით მთვრალი.

მოთხოვნილება სამართლიანია.

შვილი კონტროლიორი... აქ ვინ სჯამა ნიორი?

სიხარულის გამოსახატავად ერთ-ერთი კარგი საშუალებაა ცეკვა.

ერთი უცნობი პროფესორი-ბიოლოგი—არავინ (გვარია) ამბობს: **„სიხარულის დროს ძაღლიც კი ცეკვობს“.**

ძაღლი კი არა, ქმარშვილიანი მანდილოსანიც კი აცეკვდება, როცა მას ქმარი საკაბეს უყიდის.

ბავშვების აცეკვება ხომ ორკაპიკიან ირისითაც შეიძლება.

ასე და ამგვარად სიხარულს დიდი მნიშვნელობა აქვს ცეკვის აღორძინებასა, წინმსვლელობასა, გაუმჯობესებასა და ერთი სიტყვით, პროგრესის საქმეში.

სწორედ ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა (ალბად) განსახკომის ხელოვნების მთავარი სამმართველო, როცა „დედასა, მამასა და ნათლიმამასა*) კონტროლიორად უნიშნავდა ფერდინანდ ინოჩენცის“.

ჩვენებური ძველი თქმულება ამბობს: „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე“.

ხელოვნების სამმართველო კიდევ უფრო შორს წავიდა. ის არც ისე იოლად ეკიდება საქმეს. მარტო დედისა და მამის ნახვა არ კმარა... საჭიროა ნათლიმამას ნახვაც.. და ძველ თქმულებაში ასეთი ცვლილება შეიტანა: „დედა ნახე, მამა ნახე, ნათლიმამა ნახე და მათ კანტროლიორად მათი შვილი გამონახე.

საზოგადოდ, კონტროლი და რევიზორი არასასურველი სტუმარია და მათი სტუმრობა ყოველთვის უსიამოვნებას იწვევს.

და „ცეკვის ტრესტის“ მესვეურთათვის რომ ნამდვილი კონტროლიორი დაენიშნათ, ხომ წაუხდებოდათ „დედასა, მამასა და ნათლიმამასა“ ცეკვის მადა (ხოში)?! განსინი მაშინ ცეკვის ხალისზე იქნებოდენ? ეს კი გამოი-

*) დედა — პერინ, ბალეტის სტუდია აქვს; მამა—ინოჩენცი, ცეკვის სკოლის ხელმძღვანელი, ნათლიმამა—ალექსიძე, ცეკვის სკოლის გამგე.

წვევდა ცეკვის ხელოვნების დაქვეითებას, დაკნინებას. ეხლა კი... „დედა, მამა ნათლიმამა“ გახარებულნი კონტროლიორით ისეთ დაელურს უვლიან, რომ ხელოვნების სამმართველოს მესვეურნენიც აჰყვებიან.

შვილი რომ კონტროლიორად დაუნიშნოთ, არა თუ ცეკვის მცოდნენი, დახელოვნებული მოცეკვავენი აცეკვდებიან სიხარულის გამო, — არამედ უშნო, ულაზათო და მოუხეშავი გამფლანგველიც იცეკვებს ფოკსტროტსა და ლეკურს შვილის აკომპონიმენტზე, თუმცაღა „თამაშობას ხერხი უნდა დათვმაც იცის ძუნძულიო“.

„ბუხრის თავი“..—უხურს თავი

გასამხედროება სავლეს (სოფ. ფუთი, შორაპნის მაზრა) ისე იტაცებს, რომ სოფელში არ არის ისეთი ბუსარი, რომელსაც თავში არ მოხვდენოდეს მისი რევოლვერის ტყვია.

როცა სავლეს ტყვიით განგმირული ბუხრის თავი სახლის სახურავზე ინგრევა და მტვერს აყენებს, აღტაცებული და გამარჯვებული სავლე სიამოვნებითა და სიამაყით ამბობს:



— დედას ვუტირებ ჩემბერლენს!

ჩემბერლენის რა მოგახსენოთ... ხოლო შეშინებული ბავშვები რომ სტირიან, ეს კარგად ვიცით.

„მკვდარი სულები“... ბლოკად ფულები

გოგოლის გმირი ჩიჩიკოვი, რომელიც მკვდარ სულებს ყიდულობდა (გოგოლის: „მკვდარი სულები), ბევრს ჰგონია, რომ შეთხზულია პოეტის ფანტაზიით და ის (ჩიჩიკოვი) სინამდვილეში არ არსებობდა.

ჩიჩიკოვები გოგოლის დროს კი არა, ეხლაც არიან. ნება გვიბოძეთ წარმოგიდგინოთ გასაცნობათ ნარაზენელი (ზუგდიდის მაზრა) ჩიჩიკოვი, ყოფილი „მოსე მწერალი“, ხოლო არსებული—შვიდწლედის გამგე.

„მეშვიდე ჯგუფში ცხრა კაცი
მას უზის, თითქოს ოცია.
ინსპექციაში ოცს ადგენს, —
ეს არის გასაოცია.
ჟურნალში ჩაუწერია
თერთმეტი „მკვდარი სულია“,
რომ ამით ჩვენსა მთავრობას
მეტი დააძროს ფულია.

(ლომკაცი).



მაგრამ ყველაზე უფრო საკვირველი ის არის, რომ სკოლაში „ნაბდით, ცხენითა და თოფით მობრძანდება“. (ბეტავი რაზე ნადირობს? ალბად „მკვდარ სულებზე“!).

არც მეორე (აბასთუმნის) შვიდწლედია უკეთეს მდგომარეობაში, მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ აკლია ლოცვა-კურთხევა მისი გამგისაგან, (ხუცესია).

თვითკრიტიკა

ამას წინედ ფოთის ნავთსადგურის ადმინისტრაციამ მოაწყო შემოქმედებითი საღამო, რომელზედაც გამოვიდენ თვით ადმინისტრაციის მესვეურნი და თავისთავზე წაიკითხეს ლექსები.

ივანე ფირცხალავა

სიხარულის მთები, ვარსკვლავების ზეცა
მომეფინა გულზე, ამათრთოლა ეფეცა.
ბევრი უსახლკარო თავებს ლოდებს ახლიან.
მე კი თბილად მფარავს სახელმწიფო სახლი.
მე ჩემს სახლსა ვყიდი, (მთავრობის მაქვს ბინა).
ფულით ვერ გავძღები მე და ჩემი ნინა.

ეკვთიმე ბაბუა

ბედთან დაუნდობელი გაგუა ვარ ეკვთიმე.
მუშა ტყვილად მიჩივის: „გადმომბეჯდე ერთი მე!“
ქონი მაკრავს მუცელზე, როგორც თეთრი ტყლაპია
სამსახურსა მას ვაძლევ, ვინც მაღირსა ყლაპია.

გრიგოლ გოჩილეიშვილი

ბედაური გრიგოლი კაპიტანი პორტისა
მოყვასი ვარ: მუშტ-ტკრივის და ასეთ ხლაფორთისა.
ახალ სახლებს „ვდარაჯობ“—არ ჩასახლდენ მუშები.
(ჰმ! ეგებ თქვენ გეგონათ—რომ არ გატყდეს შუშები!).

შიგ მუშების მაგივრ ჩავასახლებ ჩვენებსა,
და ყურსაც არ ვათხოვებ ხალხის „ბოროტ ენებსა“.
სახლს ჰქვია მუშის სახელი, სხვა რა უნდათ ნეტავი?!
კარგს სახლს ვერ შეეწყობა შავი ვუშა“ მხვეტავი.

კოწია ცინცაძე

ასე დიდი კაცი ვარ—კანცუფროსი, მმართველი...
უვიცია, ულზრდელი, ჩვენი მუშა ქართველი.
„ამხანაგოს“ მეტყვიან... გაგონილა ასეთი?!
თუ ზრდილობა „ვასწავლე“, მზად აქვთ კედლის გაზეთი.

კოწია ჩიკვაიძე

კოწიაზე უარესი რატომ ვიყო კოწია?
მასზე უფრო მე მიყვარს ლამაზები კოპწია.
ჩვენ სახელი ერთი გვაქვს... მე ვარ „ნაჩალნიკია“
მუშა როცა არ ვომწონს მზად მაქვს მისთვის ხრიკია...

ფოთელი.

კომუნარის ჩიბუხი

მომავალი კინო-დადგმა მარჯანიშვილისა

ნახ. ჭანკოტაძის

— ისე ქაჩავს ეს წყეული კომუნარი ამ ჩემს თავს, რომ, მგონი ნაცარიც აღარ ჩასტოვოს შიგ.

ჰაი გიდი, ნიკოლაი ვტოროი

ჩემმა მზემ, ასკარბლენიით რომ არ ვთქო, ამ ქვეყნის აბაროტის ვერაფერი შამიტყვია. ჰამა! ეს ფინთი, პრედჩუსტვნი სიზმრები რომ ტოჩნათ მისრულდება, რა იქნებოდა, რომა ისლუჩენია მამხდარიყო და ვეჩნათ სანატრულათ დარჩენილი გუშინდელი სიზმარი. ბესპრიკასნოვნათ ავსრულებოდა, ჰა!... ჰაი გიდი, ნიკალაი ვტაროი, ვორონცოვ დაშკოვ, როგორ ტოჩნათ იყავით! ჩემმა მზემ, გუშინდელი სიზმრის პრედსტავლენიას რომ ვშვრები, ვასტორენი ვხდები, ჯიგარი ყალყზე მიდგება და სიხარულისაგან, ჰამ ჭელეთ მელეთი მამდის... გინდა დაიჯერეთ, გიდა არა. ჰამა, როგორი ვიიძურწებოდენ, ნაბლუდენია, რომ მექნა, გადატანილი ასკარბლენიები სულ დაგავიწყდებოდა და ვასტორენი ტრევოგით, მუცელში ბესპერეროვნი რასტვორი მაგიგიდოდა. ჩემა მზემ, კლატვა რათ გინდათ, ნაინტერესნი რამე იყო; ჰამა, კინოში გადაღებული მაინც რომ იყოს, რისიანოტნიკები, რისი ფლანი, რისი ფსტანი, ერთი კარტინა კანკურენცას ვერ უზამდა. ჰამა, ყოველ კვირაში პავტარენია მექნა, ბესპეროვნი ფროტელი ვიქნებოდი და ჩემისთანა გეურქები, თიფლის ქალაქში, ბესჩოტნათ გამოჩენებოდა, თორემა სავეცკი ვლასტზე ხომ რაზგოვორი ლიშნია... ჰაი გიდიჰ, ჰალალი არ არი ასეთი ისტორეცკი იავლენიის სიზმრათ დარჩენა! ჰამა, თქვენთვინაც იასნი რომ გახდეს, ყველაფერს თავიდან პადრობნათ ვთქომ და რასუდენია თქვენ უყავით.

— სუბოტნი დღე იყო, გუშინ რაღა. სალდაცკი ბაზარში, ფართე დაზგაზე ჰამ ზელენი გაზლილი მქონდა და ჰამ მე ვაკრობდი, ჰამ მეზობლებს ვებნებოდი სავეცკი ვლასტის პიატი გადიჩნი ტიაეოლი ტრიალიზაციის და ელეკტროფიკაცი ტეხნიჩესკი რაზვიტიის პლანებს. ვხედამ, ბაზარში ტრევოჟნი პანიკა ატყდა, ჰამ ხალხი გარბიგამორბის, შეთხელდა. გავიხედოთ, ნიკალაი ვტაროი ბაზარში შამოვარდა, ჰამ შიშტოკით მაგრათ დაუფშტენა, ენახოთ, ვინცხა, სერ მუნდირში გამოხტა; არ იკითხამთ, ვინა? არ იკითხამთ? ბეპურაზი ვიყო, ვასპამინანიას რომ ვშვები, ჰამ მაზგავლი პარალიჩი მამდის. ხალხნო, ვორონცოვ დაშკოვი, ნიკალაი ვტაროის შიშტოკზე ჰამ კაპაკას ტანცაობდა და რაღაცას გრომკათ, ჰამ ნერაზბორჩვათ პავტარენიას უშვებოდა. ჰამ თლა სლუხათ გადავიქეც. მესმის: „კამუნისტი ულრალი“-ო... ჰაპ ულრალეო, რომ გავიგონე, მომენტალნათ შავხტი ჩემს დაზგაზე და, ჩემმა მზემ, ნაინტერესი ლეზგინკა დაუარე. ჰამ ვყვირით, ჰაპ ვცეკვავთ. იქეთ ვორონცოვ დაშკოვი კაპაკას, ჰამ აქეთ, მე ლეზგინკას. ვხედავ გადალმა ქუჩაში კამუნისტები ბარგ მოკიდებული მიიძურწებიან. ასეთ ვასტოენი მომენტში რო ვარ, ვინცხა ნეზნაკომი ლიცო უკნიდან მამდგომია და ტრეოენათ ყვირის: — ყველანი წავიდნენ, ვიდიან და შენ რაღას უხტუნავო. ჰამაც მიქაჩავებს, — მიშველეთ წამაყვანინეთო. ვხედავ, რომ შუტკები არ არის, მეც კამუნისტებს უნდა გამაყოლონთქო, მამენტალნათ მივატოვე ნიკალაიც, ვარანცოვ დაშკოვიც, ლეზგინკაც და მოვყევი აბიასნენიას: ძმებო, ნუ დაუჯერებთ ლოენი სლუხებს, გეორქას საბლაზნენიას ვერავინ უზამს და კიდევ უნდა ვეთქო: კამუნისტიჩეკი უკლონს ვერავინ დასწამებსთქო, რომა ვიღაც ბეპურაზმა ვედრო წყალი ფათრეთში მამასხა. ჰამ თვალი რო გავაღე, ვხედავ ხალხი შამამხვევია, ცოლი ფეფელო, ჭირისუფლები, ჰამ გრომკათ ტირიან, ჰაპ კრუგომ ნაბლუდენიას ვშვრები, ჰამ იმათ დავეძებ, მაგრამ ბან ჩუნეს? არავინა სჩანს. თურმე, ნუ იკითხავთ, დაზგასთან ჩამძინებია და სიზმარს მივცემივარ. მილიციელი, როველსაც ბაზრის ასალაგებლად შიშტოკი მიუცია, წამამხტარვარ და ნიკოლოზათ მამჩვენებია, ჰამ კარაპეტას კოვლი ბიჭი, რომელიც პილიციას კარმანჩიკობისათვის დაუჭირავს და ტუჟურკის ვარატნიკით მიათრევდა, ვორონცოვ დაშკოვათ მიმიღია. ჩემი მეზობლები თავიანთ ბარგ-ბარხარანას რომ მიზიდავდენ, კამუნისტებათ მამჩვენებია და ამ ვასტორენი კარტინაზე, ჰამ მეც რამეები დამიმატებია და სუფრაზე დაწყობილი წვანილეულობა ფეხით სულ დაგმასრესია.

ზარალს ვინ ჩივა, სირცხვილ-ნამუსი სად მახსოვს, ისეთი რაპეები მომიჩმახავს სავეტსკი ვლასტზე, რომა თუ დღეს არა, ხვალ ჩეკაში მაკრევინებენ თავს. ამ იავლენიას ასეთი აკანჩანია, რომ არა ჰქონდეს, ყოველდღე ჩავიძინებდი სალდაცკი ბაზარში და ცხადში თუ არა, სიზმარში მაინც გავისტუმრებდი ამ ბეპურზ კამუნისტებს, მაგრამ რას ვიქ, როცა დადებულ ვადაზე გადაცილება აქაც არ შაიძლება..

უჩა ვალურია.

ყ უ ლ ე ვ ი

ცნობათა მიღება

ჯიჯის, (ბათომი):—თუ კი ჩვენ ყოველიევ ნაგავს სარედაქციო კალათში ვყრით, რატომ გაუჭირდა ბათომის სანიტკომისიას ქუჩის გასუფთავება?

ბ. ზაქარიაველს, (ჩაქვი):—ჯერ-ჯერობით მხოლოდ ეს:

> აქ ზოგი კომკავშირელი
> ედება ალთა-ბალთასა,
> თავსა აფარებს რესტორანს,
> (ზოგიც — ქალისა კალთასა).

(მაგრამ უჯრედი, რომ არ შეიფერებს ასეთებს?!).

ქედმაღლიშვილს, (ბათომი): რომაული თქმულება ამბობს: „ყველა გზები რომში მიდიან“... ამიტომ არც გასაკვირია, რომ ყველა გამფლანგველის გზა გაჩსახლში მიდის. სწორედ ამიტომ ამოჰყო იქ თავი ილ. ელენტმა.

გთხოვთ, მოვათავსოთ მისი ლიღინი:

> სანამ მქონდა ფულები,
> ვჭამე მოხრაკულები
> ბევრი ლამაზ ქალების
> მოვიმონე გულები...

ჩვენ არა გვგონია, რომ ილარიონ ეხლა ლიღინის ხასიათზე იყოს!

შემდეგ გვწერთ სკოლის შესახებ (შმიდტის ქუჩაზე), რომ

> შურამ ქვა გლიჯა იმ სკოლას,
> დაფშვნა მინები იმისა;
> ეს ჰქნა მიტომ, რომ შიგ იჯდა
> ყოფილი დუშკა იმისა.

ამ ამბავმა ჩვენ მოგვაგონა ერთი ეპიზოდი ლევარსი რობროზაძის ცხოვრებიდან: ერთხელ ლევარსიმ დაინახა ედუკი, რომელსაც მხარზე დოქით წყალი მიჰქონდა. ლევარსის უნდოდა ედუკისათვის გაარშიყება, წაეპარა, ეს-როლა ქვა და დოქი გაუტეხა.

ჩვენ რა ჭკუა უნდა ვასწავლოთ, როცა მასწავლებელი არაფერს ეუბნება!

ხუშანდარეს. (ბერეჟოული, ჩოხატაურის თემი): ჩვენ რას გვეკითხებით? ადგილობრივ ხელისუფლებას შეეკითხეთ, თუ:

> გლეხკომისა თავმჯდომარემ
> მგონი ულინწა ჩვენი ფული,
> წარმოდგენის გამართვიდან
> საცოდავად შემოსული.

ფეხისშვილს. (გორდი, ქუთაისის მაზრა): მართალია, მადლობა და ქება კოლექტივს ეკუთვნის, რომ მის სასადილოში

> დათვრებიან და რევოლვერს
> გაისვრიან მაღლა ჰერში, —მაგრამ

მაგრამ მაინც მილიციას ვეუბნებით: ყოჩაღ! ასე უნდა სიფხიზლე და წესიერების დაცვა.

ჭიტას. (ბაღდადი. ცხემლის-ხიდი, ოზურ. მაზრა): ლეკრთმა მოგიცეთ ასეთი ბეგია:

> ყოსტა დუმბაძის ნინოსა
> ვერ შეედრება შხამია,
> თავისი ბოროტ ენითა,
> მოჭკლა მან ქალი სამია.
> ჰიკლო მთელი სოფელი,
> გაგიუდა, გადაირია.
> შეხედვა შეგეშინდებათ,
> აქვს ოცი მეტრო ცხვირია.

რას ერჩით მის ცხვირს? ენაზე უმოკლესი მაინც ყოფილა.

„ბარი პილს“, (ყვარელი): ტარტაროზს არ მოსწონს: არც ნინასა და მარუსიას საქციელი, არც თქვენი ჰროფკლუბი და მისი გამგე, არც ეს თქვენი წერილი და არც გარი ჰილი.

მარანჭაგნელს: — ქოხ - სამკითხველოსათვის პანაშვიდის გადახდას სჯობს—თქვენს შარადას გადაუხადოთ ასეთი.

ზიპლიკიტოს, (ზესტაფონი): — ახირებულია თქვენი მოთხოვნილება და საყვედური სინტკომისიის მისამართით. მაშ სად უნდა წავიდენ ძაღლები, თუ არც ქუჩაში გააჩერებთ და არც წითელ სასადილოში?

გთხოვთ „დაგვიხატოთ ასეთი კარიკატურა“: „სანიტკომისიას სძინავს და ძაღლები თავზე ახტებიან“. (ალბად იმიტომ არ იღვიძებს სანიტკომისია, რომ მისი ძილის მფარველი, ყარაული არის ძაღლი, რომელიც ახლოს არ აკარებს ღვიძილს.

ან და ასეთი: „სასადილოში მაგიდების ქვეშ ძაღლები. მუშტარი ეუბნება გამგეს:

— ეს ძაღლი მომაშორე, თორემ მიკბენს!

— ჯერ ჩვენთვის არ უკბენია, და ხომ არ იკადრებს!

შე კაი კაცო, ბინის კრიზისი ადვილად გადაუწყვეტია ძაღლს და რას ერჩი? (ჩვენ შეეასრულეთ თქვენი თხოვნა და მოვათავსეთ კარიკატურა. იხ. მე-11 გვერდი).

ალეშხი ლლოტს, (ს. დვაბზუ):— თქვენ თხოულობთ — ჩვენ უარვყოთ, რომ „ტარტაროზ“-ში მოთავსებული „კაუი“-ს წერილი ეჭიმბაშისა და ქალების შესახებ თქვენ არ გეკუთვნის. ვადასტურებთ, რომ თქვენ არა ხართ „კაუი“. (ეს ისედაც გასაგებია. „კაუს“ ასე როგორ დააშინებდა ეჭიმბაში?!).

ტარხუნას, (ოზურგეთი): — კიდევ და უფსკერო გოდორს თუ შეუძლია ამ წერილის ატანა, თორემ ... გვერდები ახლოსაც არ გაიკარებენ.

> სიბინძურის სავსე ბოჭკა
> ერთხელ ბაზრათ გაეტანათ,
> გაშსკვდარიყო მუშკოპის წინ...
> იქ ვიდექი მეც იმ ხანად.
> ეს რომ ნახა სანიტკომმა,
> გაიქცა და დასცხო ზარი
> და ჰყვიროდა: „მოგვეშველეთ,
> დაგვეხმარეთ, ჰქოთს ბაზარი“;

ასეთი სიყოჩაღის შემდეგ განა საყვედურია ღირსია ჩვენი სანიტკომისია?!

დედისერთა შტრიკაძეს. კიდევ კარგი, რომ დედისერთა ყოფილხართ, თორემ შენისანა ძმები, რომ გაეოლოდა, რა ეშველებოდა დედაშენს?!.

გიგზავნით დაკარგვის განცხადებას. მიუმატეთ: მათ რიცხვს ამ წერილის დაბეჭდის იმედი.

კიაზოს:—თქვენს შარადიდან გამოდის ჟენევა („ჟენია“ და ევა). მაგრამ რა საჭიროა ამისათვის დროს დაკარგვა? ჩვენ ხომ ვერ ვიგბაძავთ „ჟენეველ მოცეკეულებს“, რომლებიც ღელესაც უჭმად დროს კარგავენ ერთა ლიგის სესიაზე მშვიდობიანობაზე ლაყბობით.

მ. ბ—ციხა და ლიპაპისს: საქმე იმაშია, რომ სტუდენტების სასადილოს შესახებ ბევრჯერ იყო პრესაში აღნიშნული, მაგრამ ნაკლის გამოსწორება მაინც არ იქნება. ხოლო თუ კი თქვენ გგონიათ, რომ „ტარტაროზი“ გამოასწორებს მდგომარეობას: (იხილეთ მე-11 გვერდზე კარიკატურა).

წერილის ბლოში გვწერთ: „თუ არ დაიბეჭდება, გინდ მაცნობეთ, გინდ არა... ვეღარ მიხვდები ჟურნალში რომ არ იქნება?! რალა ცნობა უნდა?!.

სამწუხაროც ის არის, რომ ზოგი ვერ მიხვდება და გვაწუხებენ შეკითხვებით. ნეტავი თქვენსავით მიმხვდარი იყონ ჩვენი გოდრის გმირები! მაშინ რა გვიჭირდა?!

ცრემლს: (ლიხაური, ოზურგეთის მაზრა):— მართლაც სატირელია ეს თქვენი ლექსი:

> ინსტრუქტორი მოვიდეს,
> გააკეთოს რადიო,
> გულზე ეგვე გადამცილდე
> არ დამჭირდეს მეადიო.

უცხო „მწყალობელი ხელი“

„როგორც გამოირკვა ავღანისტანში ზოგიერთ ტომების აჯანყებებს საიდუმლოდ ხელმძღვანელობდენ ინგლისელები. აჯანყებულებმა დასწვეს ახალი სკოლები“.

ნახ. მარიაშიხ

ინგლისელი: — ფადიშახის სურვილია ამ ქვეყნის განათლება, მაგრამ რადგან ეს პროცესი დაგვიანდება, ამ. ჩვენ მოვედით და ქვეყანაც ხელად გავანათედ.

[illegible] ᲡᲢᲐᲛᲑᲐ.ᲐᲐᲛᲘᲜᲘᲡ [illegible]

ტარაბარა

წელიწადი მეცხრე

ფასი 15 კაპ.

კვირა, 23 დეკემბერი 1928 წ. № 184

ნახ. ნადარეიშვილის

მწყემსი:—რა იყო, რა გაღრიალებს?!

ვირი:—ამბობენ: აქ სადღაც ქრისტე, ჩაგრულთა მხსნელი და მფარველი დაიბადაო და აი, მეც მოვედი! ჩემზე უფრო ჩაგრული კიდევ ვინ უნდა იყვეს?!

ახალ მოდაზე.

(იხ. მე-16 გვერდი).

ვირი და ქრისტე

მართალია, უქკუო და
ტუტუცია ვითომც ვირი,
მაგრამ, მან რომ არ იცოდეს,
მსგავსს რას იტყვის ქვეყნის პირიზ

და თუ ხშირად მიამბობს,
ყიდეც ორნობს ზოგჯერ გზაში,
ვინც ხვედრს იცნობს სახედრისას,
ვინ დასძრახავს ვირს ამაში?

მე ბევრნი ხალხის ჯავრით
აღარა ვარ გულში მშვიდათ,
[illegible] ირებს, შმოწმობს ქრისტეც,
[illegible] ერთობ დიდათ!

[illegible] ბევრ მენახშირე,
ვხედავ, [illegible] სულ [illegible] საბრალ გზაში,
მზად ვარ სამსონს ძლიერისაც-კი
დავეცილო ვირის ყბაში,

[illegible] დიერ მენახშირეს,
ის [illegible] ბევრით დავაბეგერო
[illegible] ჯვარს მისი. ტლანქი,
სუკუნოდ შევიბერო!..

რატომ? ამის შიზეზი მაქვს,
საპატიო მეტის მეტად,
და ნუ გწყინთ, თუ არ დაგითმოთ,
ვირი წელში გასწყვიტად!

ვირს პატივს ვსცემ არა მარტო
მე, ღვთის მონა და მორჩილი,
ვირი მუდამ თვით ქრისტესაც
ლაჯში ჰყავდა ამორჩილი,

და უმისოდ ერთ ნაბიჯსაც
არ წასდგამდა გასაჭირში!..
ერთი სიტყვით ინტერესი
დიდი ჰქონდა ქრისტეს ვირში.

მაგალითად: მეფე იროდს,
ოუარა როს ხუხურმა.
ბრძანა ყრმათა ამოჟლეტა,
თითქოს იყო ინდოს ხურმა:

საკუთარი ტახტის ხვედრი
ფიქრს უძრავდა მეფეს თავში
და თოთხმეტი მან ათასი
ამოსწყვიტა ერთ დღეს ბავში, —

აი, ამ დროს ყრმა იესო
იოსებმა, მამამ მისმა,
შესვა ვირზე დედითურთ და
ეგვიპტისკენ თავი მისცა!..

განვლო დრომ და ვირიც ქრისტეს
ყველავ დასჭირდა ერთხელ მთაში,
თაბორის მთას ეძახიან,
უბჯენია წვერი ცაში,

და იმაზე ასვლა ერთხელ
მოესურვა რა იესოს,
მოციქულთაც ფიცხლავ ვირი
მოართვეს და მასზედ შესვეს...

და შეუდგენ ვირით აღმართს,
უკანალზე ჯოხის ცემით,
სახარება აქ სდუმს, მაგრამ
მე ეს ვიცი გარდმოცემით!

მერე რა ვქნათ? შემდეგ ფაქტზეც
სდუმს აგრეთვე სახარება:
როცა ქრისტეს უდაბნოსკენ
მოუწია გამგზავრება,

მან ქვეევითად გაიარა
ეს გზა მაშინ თუ აქლემით?
ვირზე იჯდა! მოციქულნიც
მირეკავდენ იმ ვირს ცემით...

და ამრიგად გაატარეს
აქეთ-აქეთ ქრისტე ვირით...
სახარება მალავს ფაქტს და
მე თვითონ ვამბობ ჩემის პირით...

და ამაში რომ არ ვსტყუი,
და ამაში რომ არ ვცდები,
ერთ მაგალითს კვლავაც მოვიყვან
და, მკითხველო, შენც მიხვდები,

რომ მიწევდეს ლაპარაკი
გამონაკლით მე ამჟამად,
ვირის ხედნის საკითხებში
თავს არა ვგრძნობ ისე ხამად!

რა თქმა უნდა, ქრისტეს შემდეგ
კვლავაც მოუნდა გზის წარება...
(ამ ფაქტს უკვე ესდენ ძლიერს
ვერ ფარავს ვერც სახარება),

რომ ბზობა დღეს ერთხელ ქრისტე
გაემგზავრა ერუსალიმს,
ებრაელთა პასექობის
რომ მისდევდა წესს და ყალიბს.

და რადგანაც ამ გზის, გრძელის,
უჩვეულო იყო ქრისტე,
დაფაცურდენ მოციქულნი:
მოართვეს და შესვეს ვირზე!

უკანაც თვით ჩამოუდგენ
და ურტყამდენ ჯოხებს კუდში,
როცა თავი ზედ „პასაჟირს"
არხეინად ჰქონდა ქუდში.

მხოლოთ, როცა ხალხი გზაში
მას ბზის ტოტებს წინ უფენდა,
ვირი ზლაზვნით ვლიდა გზას და
სიმძიმის ქვეშ მწარედ ჰკვნესდა...

ამბობენ, დუ სხვა პატივიც
ბევრი მისცა ქრისტეს ხალხმა,
და ვის ახსოვს, თუ ამ პატივს
ვირის ოფლიც ვით შეახმა...

ჰა, ორ ათას წელზე მეტი
ხალხი ქრისტეს კვლავაც ადიდებს,
მაგრამ ვირის ამაგზე კი
აქ არავინ ხმას არ იღებს...

იქნებ მცირე მაგალითით
დასაბუთდა ეს ამაგი?
იქნება ხალხს სხვა არ ახსოვს
ქრისტეს ვირის ამხანაგი?

ის ერთი-ღა იყო იქნებ,
რომ გადაშპა ზურგზე ტყავი,
თორემ ყველა სხვა ხსნილია
მსგავს შრომისგან „ვირის თავი"?

არ ვიცი, ეს ქრისტეს სჯულში
როგორ არის გადაჭრილი:
ჩითვლილი აქვს ვირს ამაგი,
თუა ფუჭედ გადაყრილი...

იმ უშორეს საკითხისგან
თავს ხსნილად ვგრძნობ თუშცა მეც
დღეს,
მაგრამ შემდგომ, ღვთის სახელით,
განა, ცოტა ვირი ხედნეს?!..

ჰაზირა.

თავი იმართლა

ნახ. დონის



— ეს რა არის რომ „შობის ხე“ გაგიწყვია?! აკი შენ „ურწმუნოთა კავშირი“-ს წევრი ხარ?!

— ვერა ხედავ როგორ არის გაწყობილი? ზედ სულ წმინდანები და ღმერთები ჰკიდია!

უცაბედი შემთხვევა

უდაბნოს გზის პირას გამოქვაბულში ზის მარიამი შეხვეულ ბავშვით და იოსები, ჭაღარა მოხუცი.

იოსები: — ეხლაც იტყვი, დედაკაცო, რომ პატიოსანი ხარ? ეს ბავში ვისია?

მარიამი: — აი დაგიდგეს თვალები. ხომ იცი, კაძახო, შენ ჩემთვის ხელიც არ გიხლია? სული წმინდა გადმოვიდა ჩემზე და ძე ჩამესახა მუცელში.

იოსები:— კაი სული წმინდაა შენმა სისულელემ! როდის იყო, დედაკაცო, რომ სული წმინდით ჩდებოდა კაცი? ამ გზაში რომ დაგემართა ეს უბედურება, ამას ვჩივი, თორემ, სახლში რომ ვიყოთ, ვინ იტყოდა რამეს. ვის სახელზე ჩავაწერიო ახალი დაბადებული? ჩემს სახელზე რომ ჩავაწერინო, ხომ გაუკვირდებათ და შემეკითხებიან: „ბებერო, რაფერ გაგაკეთე შვილიო?“.

მარიამი: — გეტყვის და შენც უთხარი: „სული წმინდის გაკეთებულიათქო.

იოსები: — აი ღმერთი გაგლეჯს შენს თავს. ვინ დაგიჯერებს, თორემ კი ეტყვი! ქალო, არ მეტყვი ვისია მაგი ბავშვი?..

მარიამი: — ხომ გეუბნები: სული წმინდამ ჩამისახა მეთქი?!

იოსები: — მოხუცი კაცი რომ ასეთ გოგოს მეიყვან ცოლად, სული წმინდაც კი გაგიჩდება და უწმინდურიც, არა, რა ჩემი საქმე იყო ამ თვარმეტი წლის გოგოს ცოლად შერთვა?!

მარიამი: — ვინ გეხვეწებოდა? მონასტრიდან წამომიყვანე, იქ ბერები მოატყუე: „ჩემი ნათესავიაო“! მერე კი ცოლად ამიყვანე. სული წმინდა რომ არ გამოჩენილიყო, ვეღარც ვე შევიქნებოდი დედა და ვერც შენ მამა.

იოსები: — დედაკაცო, მე მაგ ბუ'შის მამა არა ვარ! ეს ჩემი შვილი არ არის!

მარიამი: — აბა ვისი უნდა იყოს შენის აზრით?

იოსები: — ვისი და ის გაბერილი რომ დაეთრეოდა ყოველ დღე შენთან.

მარიამი: — ეი თვალი კი დამიდგეს! [illegible] ეს ამბობ შენ ასეთ, [illegible] ვიღაცებ[illegible]

[illegible]: — ვარსკვლავი ჩვენს ბაგას დაყუჩულ!

მწყემსი: — ბაგაში ვიღაც ქალია ზის!

მწყემსი: — ქალს კალთაში გაეეული ბავში ყავს.

მწყემსი: — ხალხნო, მესია ჩვენს ბაგაში იშვა...

ყველანი: — მესია!.. მესია!.. წავიდეთ... საჩუქრები და ძღვენი მოვართვათ და თაყვანი ვსცეთ!

მარიამი: — აკი გეუბნებოდი ჩვენი შვილი ღვთის ძეა მეთქი, ხომ ხედავ თაყვანს სცემენ. მას.

იოსები:—მე მაინც იმ გაბრიელა ბერი[illegible] შვილი მგონია შენთან რომ დადიოდა.

ჯეელი ბიჭია, 25 წლისაა, რაღაც საეჭვო მოქცევა აქვს.

მარიამი:—მერე რაა, რომ ჯეელია?! სამაგიეროთ ღვთის კაცია, სიბინძურეს ის არ ჩაიდენს, სწორეთ იმის წყალობითაა, რომ მე ღმერთთან კავშირი გავაბი და ღვთის ძე ვშობე.

იოსები:—ვაი იმას ვაუსკდეს ძიწა, მან ჩემი საწოლი შებილწა.

მარიამი: — არაფერიც არ შეუბილწავს. მან მხოლოთ მითხრა, რომ მე ვშობ ძეს, რომელიც იქნება ძე ღვთისა.

იოსები: — შენისთანა სულელს მასე მოატყუებენ, აბა, რომელი ღმერთი იბადება, ქალო, მუცლიდან?!

მარიამი: — შენ არ გჯერა, ხომ?! ძალიან კარგი, მალე გაიგებ, რომ ჩემი შვილი ღვთის ძეა და არა უბრალო მომაკვდავი.

იოსები: — ნუ გამომიყვან, ქალო, მოთმინებიდან ამ მოხუცებულ კაცს, თორემ მოვალ ხელს მაგ შენ ბაჭიას, შემოვაფერთხებ აგერ კლდეზე და ნახე მერე რაც ღვთის შვილი იქნება, შენ ვიღაცა ბერს თავი მოატყუებიე და ეხლა გინდა მეც მომატყუოთ? არა, ბიძია, მასეთებით ფოსს ვერ გახვალთ.

მარიამი: — ძალიან კარგი, მალე ნახავ, რომ ჩემმა ბიჭუნიამ მთელი ქვეყანა აალაპარაკოს და ღმერთის ადგილი დაიკავოს.

იოსები — (ამოიოხრებს): ვაი ასეთ მოსწრებას! ის დღე რად არ დაიქცა, როცა შენ მონასტრიდან წამოგიყვანე! განა არ ვიცოდი, რომ იმ გარყვნილების ბუდეა?! სად გავახალ აწი თვალი.

ბ. ობოლი

საპარიკმახეროში

ნახ. მარიაშის



ქრისტე ღმერთი ღვთისმშობელი

გოდება იოანე მღვდლისა

შეტი ფიქრისაგან ჭაღარა თმა ისევ გამიშავდა. წინად რა მიშავდა: ვიყავი, როგორც რომის პაპა, შემეძლო მთელი სოფელი გადამეყლაპა. ყველა პატივს მცემდა: გლეხი, აზნაური, თავადი; ყველაფერი მოდიოდა თავის თავადა. სუფრაზე ვიყავ ყველგან თამადა. ეხლა: დამიკეტეს ეკლესია. იმდენი, რამდენიც მე, იობსაც არ დაუკვნესია. მაგონდება საბრალო იერემია, მისი ცრემლი და გოდება. რამდენი ძვირფასი დღე და წუთი მომაგონდება: წამოვისკუპებდი ცხვირზე სათვალეებს და სასოებით ვკითხულობდი სახარებას, ბიბლიას; ეხლა ვზივარ ჩემს დანგრეულ აივანზე, როგორც საცოდავათ აბუზული ნიბლია. გამომიქროლებს ხოლმე ვიღაც „კომცომოლი“ სატანა (ერავის არ შეუძლია ჩემი ატანა) და ისეთი ზიზღით დამიწყებს მზერას, თითქოს ვიყო ყვავი ან ძერა.

ერთხელ გამიწყრა ღმერთი და ქალაქში წაველი; გავიარე, პროსპექტი რუსთაველის. ანაფორა მეცვა დაბეული. ვხედავ, მომვარდა **ტარტაროზი, ონისიმე** და **გადარეული. ტარტაროზმა** ჩანგალი მომიღერა, **ონისიმემ** უცნაური ლექსებით იწყო სიმღერა, **გადარეულმა** გრძელ წვერებში ჩამავლო ხელი და ჩამომატარეს პამპულობით ქუჩები გრძელი. ხალხი დამეხვია, როგორც ფუტკარი. საცოდაღის ხმით შებრალება ვისაც ვთხოვე, ვისაც უთხარი, ყველამ ერთბაშათ შომაყარა. ბრანწი და სტვენა, (წვერმა სათითაოდ შიშისაგან დაიწყო ცვენა). მაინც რა საშინელი ყოფილა ეს **ტარტაროზი** ან ეს ვიღაც **გადარეული** (ღვთისაგან იქნეს მუდამ წყეული)..

ეხლა აქ ვიმალები, სოფლად. დავჭვრეტდი დაკიდავარ ობლად. მოდის შობა და გული მიცემს უფრო გამალებით. ამდენ ულმერთოებს სად დავემალები? ჩავიკეტები ჩემს ბნელ ბინაში, ხატის წინაშე დავიწყებ ღაღადს, ეგებ გადურჩე ანთებას, სახადს. ჩემი ეკლესიის ეზოში აღარავინ დარეკავს გაბზარულ ზარებს, ჩემთან მოსელას ყველა დაიზარებს, ყველა დამიწყებს ზიზღით ყურებას; მხოლოდ მომილოცავს უბედურებას ახალ წლის დილით (ხახვით და მწვანილით) გაკოტრებული ვაჭარი გეო და უკბილო დიაკონი პავლე; მიმოავლებენ დამშეულ თვალებს ჩემს ქაჩალ სუფრას (ხელის გულივით სუფთას) და ნერწყვგამშრალნი უკანვე წავლენ.

ღონემიხდილი, როცა დავწვები, მძიმე ფიქრებში ცრემლით სვცდება თვალი, ღაწვები, ტანში მივლის ჟრუანტელი, ცხელი ანთება და ხელგაშვერილს მომელანდება. შემწვარი გოჭი, ცხვრის ბეკი და ღვინო კახური (ძლიერო ღმერთო! მფარველი კალთა გადამახურე!..) მომელანდება: თითქოს ღამდება, გაანათებენ კელაპტრები ჩემს ეკლესიას, (თუ დამთანხმდებით, ასეთი დრო უკეთესია) თითქოს იწყებენ გუგუნს ზარები (ამ დროს, ტუჩს ეკვრის ღიმილი სიამით და მეტ გახარებით) და ჩემი მრევლი (დატვირთული ტაბლებით ბევრით) მოაწყდება საყდრის გალავანს, და მიმელიან სასოებით, როგორც ფალავანს. აკიაფდება ჩემი ტრაპეზი, მელის შრიალით სახარება, ფეშსუმ-ოლარი და ღვთისმშობელი პაწა ბავშვით ნახად მწოლარე.

და როს შესწყდება რეკა ზარების, საყდარი ხალხით დაიფარება, ათასი ხელი კელაპტრებით იწყებს ნათებას, ელის ტრაპეზი ჩემს ღვთაებრივ გამოცხადებას, მსწრაფლ წამოვარდები სიხარულით სარეცელიდან, გავახელ თვალებს და... ჩემს ჩამტვრეულ ფანჯრის მინაში ვხედავ სიცხადეს, ჩემს თავს კი დახრილს საცოდავათ იმის წინაშე; ვხედავ ფანჯრიდან გარედ შარაში, კომსომოლებს გაუმართავთ საშობო თამაში.

ზორბა.

სინანული

ნახ. დონაძ

— აფსუს! ჩემი გაჩენილი ქვეყნის რა ცარგი და ზღარია ბაბერი დამეკარგა!

ყაისარ...

ყაისარის ნამდვილი გვარი გახლავთ მურაბიძე. იგი ჩემი კარგი ნაცნობია. თითქმის მეგობარი - ამხანაგიც. მარა რა ვქნა: სიმართლე და ქეშმარიტება ყველაფერს მირჩევნია, ვერ დავფარავ, რომ იგი ახლა მურაბიძე კი არა, ნამდვილი „ცრუპენტელაძეა“.

გადაჭარბებულათ გეჩვენებათ? მით უკეთესი: ამ შემთხვევაში სჯობია გადაჭარბება, ძლიერი ხაზების გასმა, ზედმეტი საღებავების დახარჯვა, ჩვენი ნაკლისა და დეფექტების გვერდის ახვევა, მისი უყურადღებოთ დატოვება უფრო მეტს ზიანს შოგვიტანს და გვავნებს.

ყაისარის შესახებ ეს ერთი ხანია ორი ერთმანეთს ისე ვერ დალაპარაკებია, რომ ხშირად არ გაიგონოთ შემდეგი კითხვა-პასუხები:

1. — ვინ გითხრა შენს ეს ამბავი?

— ყაისარმა.

— ვაი, მოგატყუებს, შენ უბედურო.

2.— დაგპირდა?

— ყაისარმა.

— მოგატყუებს, იცოდე.

3. — რა დროისთვის დაგბარა?

— ხვალ, 12 საათზე.

— მოგატყუებს უსათუოთ.

4. —როგორი შეხედულების ხართ თქვენ ყაისარზე?

— არა უშავს, მარა ტყუილი იცის იმ საწყალმა.

5. — ერთი ქენი. შენ, მიდი ყაისართან და მაშინ იქნება ეშველოს შენს საქმეს. ეს საკითხი მას ეხება, მისი მოვალეობა არის.

— ამაზე მეც ქე ვიფიქრე, სხვებმაც მირჩიეს, მარა ისიც დაუმატეს თუ რამეს დაგპირდა და გამოგისტუმრა აუცილებლად მოგატყუებსო.

ასეთია ხან ფარული და ხან აშკარა და ატესტაცია მრავალი პარტიული და უპარტიო მუშა - მოსამსახურეების მხრით ყაისარის შესახებ და, აბა, ერთი მითხარით: გინდა არ გინდა რით არ უნდა იყოს იგი „ცრუპენტელაძე“?

ყაისარი ცოდნა მინაღები პიროვნება არის. ინტელიგენტი, ერთ-ერთი ფრიად სერიოზული საბჭოთა დაწესებულების მთავარი განყოფილების უფროსი და ხელმძღვანელი.

განგებ დააკვირდით: თითქმის ყოველგან შეხვთებით მას, ყოველგან იცნობთ. სიმპატიური, შავგვრემანი, მოგრძო, სავსე გაპარსული პირისახით, საშუალოზე ცოტათი უფრო მაღალი ტანის, 30-35 წლის, ლაპარაკის უნარიანი ადამიანი, ენაც კარგათ უჭირს, ჭკუაც საკმაოთ მოეპოვება და სხვა.

მაგრამ, რაც უმთავრესია, ეს ის, რომ ყაისარი ბუნებით არც კარიერისტია, არც ინტრიგანი, არც ბოროტი, არც შურიანი და, წარმოიდგინეთ — არც ცრუი. მაგრამ, როგორც ხედავთ, იგი მაინც „ცრუპენტელაძეა“.

რისთვის? რატომ?

პირველ ყოვლისა ყაისარს „მოცლა არა აქვს“. ის ყოველთვის ან არ იმყოფება თავის დაწესებულებაში ან და, თუ იმყოფება, უსათოოთ „გარბის“ იქიდან.

ერთი სიტყვით, არის და არც არის, არსებობს და არც არსებობს.

ყაისარი დაასლოვებით შემდეგნაირათ ისტუმრებს ყველა მთხოვნელებს: ჰო, თქვენ მიდით მდივანთან და იმას მოელაპარაკეთ, — ეუბნება იგი ერთს. და აქ ყაისარი სავსებით დარწმუნებულია იმაში, რომ მდივანი აქ არაფერ შუაშია, არაფრის გაკეთება არ შეუძლია, მარა თავიდან იშორებს მთხოვნელს, ანუ, სხვანაირათ რომ ვსთქვათ, ატყუილებს, ხოლო ამას ნაკლებათ გრძნობს თვითონ ყაისარი, ნაკლებათ უწევს ანგარიშს, ვინაიდან მას „არა სცალია“.

თქვენ ხვალ მოდით დილის 10 საათზე, — აიმედებს იგი მეორეს. და აქაც ყაისარი თავის გულში დარწმუნებულია იმაში, რომ ხვალინდელი დილის 10 საათი არაფერ შუაშია, ხვალ შეიძლება ის სულ არ გამოცხადდეს დაწესებულებაში, ან და, ვინიცობაა, თუ გამოცხადდა, სულ ერთია, სხვა რამეს მოიგონებს, ვინაიდან მას „არა სცალია“.

დიდის სიამოვნებით... მე შევეცდები, რომ თქვენი თხოვნა დავაკმაყოფილო. თუმცა მარტო ჩემზეც არ არის დამოკიდებული. დარწმუნებული იყავით, მე თვითონ... დიახ, მე თვითონ...:, — ეუბნება იგი მესამეს: და აქაც მან იცის წინასწარ, რომ იგი თავს ნაკლებათ შეიწუხებს დაპირების შესასრულებლად.

ეს „იმ“ დაწესებულების საქმეა, მიმართეთ იქ, — ეუბნება იგი მეოთხეს. თუმცა კარგათ იცის, რომ საკითხი ნაწილობრივ მისი დაწესებულების ერთ-ერთ დარგსაც შეეხება და უიმისოთ მაინც არ გადაიჭრება.

„ალო“!.. ვინ ლაპარაკობს?.: ჰო, იყო ჩემთან... გუშინ... კი... კი... მოვიდეს კაცო, ჩემთან... მე მისთვის უარი არ მითქვამს... კარგი...: კი...: კი...: გამარჯვებით!:: — უპასუხებს ყაისარი ვიღაცას ტელეფონში და იცის, გაკრგა, ძალიან კარგათ იცის, რომ ის აქაც დაპირებას არ შეასრულებს, ტყუილი გამოუა, მარა რა გაეწყობა, მას საამისო „დრო არა აქვს“, უფრო სერიოზული საქმეებით არის დატვირთული.

გათავდა? არის კიდევ ვინმე? — კითხულობს ბოლოს ყაისარი და ემზადება პირდაპირ „გასაქცევად“.

რა დაემართა ყაისარს? რით არის იგი შეპყრობილი?

დაუსრულებელ სხდომებზე, თათბირებზე, კომისიებში და სადირექტივო ორგანოებში სირბილით! და სწორეთ ამიტომ დადის ყაისარი, მიდის ყაისარი და მოდის ყაისარი. მოძრაობენ ფეხები, მუშაობენ ფეხები. თავი? ყაისარმა არც იცის რას აკეთებს თავი. იქ ნამდვილი ქაოსი არის. მარა მაინც და მაინც თავზე ფიქრი არ აწუხებს ყაისარს. მას ნაკლებათ ეშინია მისი.

სამაგიეროთ, უფრო ეშინია და ერიდება ფეხების, (ავტომობილით იშვიათად დადის) რომლებითაც იგი დადის, მიდის და მოდის შესათანხმებლათ, მოსასმენათ და დასასწრებლად. ეს არის მთავარი. აქ თუ „კარგათ“ აქვს საქმე ყაისარს, მაშინ მისთვის ყველაფერი რიგზე, წესიერათ და კარგათ მიმდინარეობს.

დაწესებულებაშიც არა აქვს ისეცუდათ საქმე: ტაბილი ენით იმადლიერებს და ისტუმრებს ყველას და იოლათ მიდის თორემ რა ეშველებოდა?!

ასე გონია ყაისარს, ასე ფიქრობს იგი და არწმუნებს თავის თავს: მარა ის კი არ იცის, იმას კი ვერ მიმხვდარა ჯერ-ჯერობით, თუ რა ძვირად უჯდება მას ეს „იოლათ სვლა“: მურაბიძის მაგიერ — „ცრუპენტელაძე“. აი, შედეგი!

ყაისარი მართლაც გულწრფელათ ფიქრობს, რომ იგი ამ გვარათ თავს არომევს ყველა საქმეებს, რომ უამისოთ შეუძლებელი იქნებოდა მისი მუშაობა. გასაქანს აღარ მისცემენ, დაეხვეოდენ, უკან გამოუდგებოდენ, თავისუფლათ ამოსუნთქვის ნებასაც აღარ მისცემდენ, კაბინეტში ძალათ შეუარდებოდენ და, ვინ იცის, ეგება ვინმე თავხედს ერთი მაგრათაც კი მიებეგვა. არა, „იქ მიდი“, „აქ მოდი“, „ხვალ მოდი“ და „ზეგ მოდი“, რომ არ შველოდეს ყაისარს, აქამდის მართლაც ცუდათ წავიდოდა მისი საქმე. ახლა? ახლა კი კიდევ არა უშავს. ასე თუ ისე მუ-

სახკინმრეწვში „შეეიწროებული“

ნან. ტაბატაძე

ეს საშობაოთ სახკინმრეწვს
უნდა მივართვა ძღვენია;
(თუმცა ამ მცირე ძღვენისა
მირთმევა მეტად მცხვენია).
კომერციაწილის უფროსი
(აბრამოვიჩი გვარია)
მელა-კუდებსა მფარველობს...
ძველი დრო უკვარს გვარიან.

„ძიგანი რეკისორობხო“ —
ასეთი ხმაა ხალხშია.
„რეკთანაშემწე მასა ჰყავს
პირად მსახურად სახლშია“.

„გურჯანყმა“ ბევრი იმსხვერპლა...
მსხვერპლზე მეტი კი—ფულები.
მისი ჩვენების ლოდინში
ჩამოდნა ბევრის გულები.

სამხატვრო საბჭოს უკვე ჰყავს
დამრიგებელი ბებია...
მწერლები მოვიახლოვეთ:
ბიდოკნის მიღწევებია.

ჩაი, ყველ-პურით ნაზუქით
მან დარბაზობა ნახაო,
გულუხვი პურმარილითა
მგოსანთ აუვსო ხახაო.

ბათომის ექსპედიცია.
ქათამს ყიდულობს ხონშია.
(გემრიელ ქათმის შემმისა
ვის არ ექნება ხოშია?).

ექსპედიციას ამშვენებს:
თავადი, აზნაურია.
აქ ვინ არ არის? რომელი?
ვინ იცის სადაურია.

ტა[illegible]ოზ, ჯერ ეს იკმარე,
ასე [illegible]შაობ ცისმარა.
თუ აქ ტყუილი ერიოს,
მოგიკვდეს შენი

ცისკარა.

ლმერთი: — ის ოხრები თითქოს ჩემი მორწმუნენია, მაგრამ მომავალ ომისათვის ისე ემზადებიან, რომ მათი პაპროპლანი და ზარბაზანი აქედანაც ამარეკვინებს გუდა-ნაბადს.

შაობს, აგერ რამდენიმე წელიწადია ასრულებს ერთ და იმავე მოვალეობას, საქმეებს თავს ართმევს. არასოდეს არ გაწუხებადებია, თვითონ მას რაიმე უკმაყოფილება, არასოდეს არ გაუზარებია და უთქვამს ვისმესთვის მისი ასეთი რთული მუშაობისა და მდგომარეობის შესახებ. მისთვის ყველაფერი ეს ერთხელ და სამუდამოთ დაკანონებული სისტემა არის.

ასე ფიქრობს ყაისარი, ასე გონია მას და არ იცის, რომ მიმხვდარა და ვერ შეუგნია, რომ იგი თავისდა და სხვისდა უნებურათ თანდათანობით, ნელ-ნელა და შეუმჩნევლად „ცრუპენტელაძე“ გახთა. არ იცის ის, რაც უკვე უმეტესობამ კარგა ხანია გაიგო და მიხვდა.

არა, ეს აუტანელია, ეს ყველაფერზე უარესია. „ცრუი“, ფუ! რა საზიზღარი, დამამცირებელი, ადამიანის ცოცხლათ დამმარხველი სიტყვა არის!..

რაც უნდა კარგი შეხედულების იყო ადამიანზე, თუ ვან ეს სიტყვა დაიმსახურა, მორჩა: მისგან ამას შემდეგ წმინდა საქმეც კი პუჭყიანათ მოგეჩვენება.

და ამიტომ კი არ მძულს, არამედ გულ მოსული ვარ და თან მებრალება ყაისარი. მინდა როგორმე დავეხმარო. მინდა მე თვითონ ვუამბო და ვაცნობო მას მისი ასეთი მდგომარეობის შესახებ და ამ პატარა ამბავის მიზანიც სწორედ ეგ არის.

ჰო, მებრალება ყაისარი. არ არის იგი ბუნებით ცრუ და ორპირი. არ არის ურიგო „ბიჭი“. პირიქით კეთილი და გულუბრყვილოა.

მივეშველოთ, დავეხმაროთ, ვიხსნათ და გამოვასწოროთ ყაისარი!

და ამასთან ერთად, ძვირფასო ჩემო მეგობარ - ამხანაგებო, თვითეული ჩვენგანი სასტიკად უნდა ერიდოს და უფრთხილდეს ყაისარის ბედს.

ამისათვის ხანდახან უმჯობესია ვიყოთ ნაკლები გამგონე, მარა, სამაგიეროთ, მაგარი, პირდაპირი, გაუტეხელი და ამავე დროს წინ დახედული.

ოჰ, რა კარგი იქნებოდა, რომ სწორედ ეს თვისება არ აკლდეს ყაისარს! ი, რა უშლის მას ხელს.

ვისურვებ, რომ ყველას, ვისაც ასეთი ნაკლი აქვს გამოესწორებიოს ივი. მათ შორის ყაისარ... მურაბიძესაც.

იმედია, ამაში ჩვენ მას ყველანი გულწრფელათ დავეხმარებით.

ისმინე შენც ყველაფერი ეს, ჩემო ყაისარ.

და თუ მაინცა და მაინც გეწყინება ჩემი ეს მხილება, რა ვუყო, „გეწყინოს.

ანათემა

უკანასკნელი სხდომა

ლუგანოს ქალაქში, მინარეს ტბის პირად ელვარებს სასახლე.

გრძელ სუფრაზე დაგრძელებულან ერთა ლიგის დელეგატები.

ირგვლივ სარეებივით ჩამწკრივებულან ჟურნალისტები, ფოტოგრაფები, ლაქიები.

ქანდარაზე იხლად შეფარულნილ მამალივით წამოდგა ბრიანი სუფრის თავიდან და განაცხადა:

— ერთა ლიგის მეორმოცდაცამეტე სესიის უკანასკნელ სხდომას გასხნილად ვაცხადებ!

რომელლაც ამერიკელი დელეგატი გაუბედავათ ბუტბუტებს:

— რა ვქნა, დღეს აკი თავმჯდომარეთ სხვა უნდა ყოფილიყო?

ბრიანმა ყური მოჰკრა ამ ალმაშფოთებელ შენიშვნას:

—როგორ? ვერსალის წმიდა ხელშეკრულებით, განა, მე უფლება არა მაქვს თავმჯდომარე ვიყო ყველგან და ყოველთვის, როცა კი მოვისურვებ?

ზალესკის გმირული წინამძღოლობით ყველანი ტაშს უკრავენ. მხოლოდ შტრეზემანმა მოასერხა სიჩუმე, დიდი თავგანწირული ბრძოლის შემდეგ.

ბრიანი განაგრძობს პირისოფლის მოუწურავად:

— პატივცემულო დელეგატებო! ნება მომეცით დავლიო სადღეგრძელო... რაო? ვერსალის წმიდა ხელშეკრულებით მე შემიძლია თამადაც ვიყო, როცა მომუსრვება. უნდა მოგახსენოთ, ბატონებო, მე საუცხოოდ დავისვენე ამ ორი კვირის განმავლობაში. ეს მორიგი შვებულება რომ არა მქონდეს ხოლმე—ისე რა ჯანი შემრჩებოდა. ცოტაოდენ აქ გავატარებ ხოლმე დროებას შეხვედრაში, ტკბილ მასლაათში და სტუმრიანობაში. ამ გამომშვიდობების დროს მე მინდა დავლიო სადღეგრძელო ჩემი დაჩაგრული და საფრთხით გარშემორტყმული სამშობლოსი. მე მინდა ვადღეგრძელო მისი მშვიდობიანობის მოყვარული პატარა არმია. მიუხედავად ისეთი ძლიერი და საუკეთესოდ შეიარაღებული მეზობლისა, როგორც გერმანია, ჩემი სამშობლო სუგლრძელობას არა ღალატობს და საგარანტიოდ არ მიესწრაფის ბერლინისაკენ. ჩვენ მოკრძალებით ვჯერდებით რეინის ოლქსაც. სრულებით არ ავსდევთ ბოროტ ენებს, რომლებიც მოითხოვენ რეინის დაცლას, რადგან ამითი დაირღვევა კეთილმეზობლური გაწყობილება გერმანიასთან.

„პატივცემულო ბატონებო! ერთა ლიგის სესია — ეს ერთად ერთი შემთხვევაა ხოლმე, როცა ყოველგვარ ვალდებულობას მოწყვეტილია კაცი და თამამად შეუძლია ილაპარაკოს ყოველ განყენებულ საგანზე, მაგალითად: საერთო მშვიდობიანობა, განიარაღება და სხვა ასეთი გასართობი რამ. გულწრფელად გმადლობთ ამ ხანმოკლე დროების გატარებისთვის და ვისურვებ ჰუანკარეს დღეგრძელობას! მაშ, გაუმარჯოს საფრანგეთს! ალაფერდი—შტრეზემანთან!

ყველა აღტაცებით ტაშს უკრავს. მხოლოდ შტრეზემანი აფუჩეჩებს ტაშს ჭიქის გამორთმევაში.

შტრეზემანი. პატივცემულ ბრიანის ხელიდან ჭიქის მიღება შე მიმაჩნია საუკეთესო საბუთად, რომ გერმანიასა და საფრანგეთს შორის არსებობს სამშვიდობო ზავი. როცა მე ლუგანოსკენ მოვემგზავრებოდი, ყოველივე საქმეები ჩავეტე ბერლინში და ისე წამოვედი აქ თავისუფლად. სახელმძღვანელოთა და გზის გასარკვევად ვიმყოფინე მხოლოდ ლოკარნოს ხელშეკრულება. აგერ მაქვს უბეში, თუ არა გჯერათ. მხოლოდ არავის არ მოუკითხია და იმიტომ არ გამოვაჩინე. მართალია, ბერლინიდან დამაბარეს, რომ ერთხელ მაინც დამელია აქ სადღეგრძელო რეინის ოლქის დასაცლელად, მაგრამ თუ ეს სადღეგრძელო ეწინააღმდეგება ლოკარნოს ხელშეკრულებას—მაშინ ხმასაც არ ამოვიღებ. ბევრს არა სჯერა, რომ მე ჯიბეში უუმბარა და რევოლვერი არ მედოს. გეფიცებით ვერსალის ხელშეკრულებას, რომ თეთრი ხელსახოცის მეტი არაფერი მაქვს. ესეც იმ შემთხვევისათვის, რომ ყოველთვის შეშეძლოს მშვიდობიანობის დროშის აფრიალება. მაშ, გაუმარჯოს ვერსალისა და ლოკარნოს ხელშეკრულებას!

ყველანი ტაშს უკრავენ. მხოლოდ ზალესკი აფხორილა ინდაურიყით.

აჰა, ჩემბერლენიც წამოდგა მძიმეთ. მონოკლში გახედა ყველას და ღეერთი ასნენა:

— გაუმარჯოს ინგლისის პატარა ფლოტს, პატარა არმიას, პატარა საჰაერო ესკადრილიას! მე ვისურვებ, ყველა მოსულიყოთ ჭკუაზე და მიჰყოლოდით ინგლისის ლომნაჭერ დროშას ალმოსავლეთის ბარბაროსების დასამხობელად. მე ნაწყენი ვარ, ძალიან ნაწყენი ვარ, რომ არავის არ გინდათ ჯვაროსნული ომის გამოცხადება და ამითი მთელი ჩემი ამდენი ხნის მუშაობა ლამის უნაყოფოდ ჩატარდეს. ყველაზე მეტი საყვედური ამ მხრივ, ცხადია, ბატონ შტრეზემანს შეხვდება. ვენაცვალე ისევ პოლონეთსა და რუმინეთს, იქ რომ მიბია დაგეშილი ფინანსებივით (უკაცრავად! მაგრამ არა უშავს რა!). მე ბედნიერათ მიმაჩნია თავი, რომ ლიტვინოვს არ ვხედავ ჩვენ წვეულებაში და არ მეშხამება ეს დასვენების კვირეები. მაშ, უკანასკნელად ავსწევ ჭიქას და ვისურვებ საბჭოთა კავშირის აღგვას პირიდან დედამიწისა!

ბრიანი აღტაცებულია ჩემბერლენის გენიალური სიტყვით და მხურვალედ ართმევს ხელს. სხვებისაგან კი მოისმის აბნეული ტაშისცემა.

აქ რიხიანად წამოდგა იტალიელი გრანდი:

— ეხლა მეც მომისმინეთ! თუ არ ისურვებთ, ძალათი მოგასმენინებთ დიდი იტალიის ძლევამოსილ ნებისყოფას. ჩვენ დუჩე მუსოლინს არა სცალია დასასვენებლათ, თორემ ისიც აქ იქნებოდა. მაგრამ მე, ერთგული ქვეშევრდომი მისი, ხმალ ამოწვდით დავიცავ იმის სახელს და იტალიის დროშას! თქვენ რომ პატივისცემა გქონდეთ ჩვენი ქვეყნისა, ჩემი ასეთი თავგამოდების დროს უნდა უკრავდეთ ჯოვინეცცას, უკვდავ ფაშისტურ ჰიმნს, ჯოვინეცცას. მაგრამ ნეიტრალურ სახელმწიფოში მე ომს ვერ გამოვაცხადებ. მხოლოდ თავის დროზე ჯავრს კი ვიყრით სამხრეთ-სლავიაზე მაინც. აგრეთვე ერთ მაგარ პროტესტსაც ვაცხადებ, იცით, რაზე? (მიუბრუნდება ჩემბერლენს და ბრიანს) როცა თქვენ საყაჩაღოთ მიდიხართ ხოლმე გერმანიაში, ჩვენც უნდა დაგვიძახოთ ყოველთვის, თორემ თქვენისთანა მეგობარს ხელათ შევაქცევთ ზურგს. მე შენ გეტყვი და ღალატი არ გვეხერხება, თუ! მაშ, გაუმარჯოს მუსოლინს, მუსოლინს და კვლავ მუსოლინს! ალაფერდი ზალესკისთან!

ზალესკი მღელვარებით ართმევს ჭიქას.

— მაპატიეთ მღელვარება, მაგრამ მე არ შემიძლიან მშვიდათ ვიჯდე, როცა იქ, ჩვენ სილეზიაში გერმანელ მოღალატეებს ბოუკალათნიათ და აქ კი გვერდში მიზის შტრეზემანი...

გაშმაგებული შტრეზემანი წამოხტება და ზალესკის ზედიზედ ესვრის სათვალეებს, ჩიბუხს, პორთფელს, ლოკარნოს ხელშეკრულებასაც და თან იძახის:

— ვაი, რომ სხვა იარაღი აღარა მაქვს, თორემ შავ ღღეს დაგაყრიდი!

ყბადაღისსლიანებული ზალესკი საშველად უძახის ბრიანს, ჩემბერლენს, გრანდს. თან სიბრაზით ამტვრევს თეფშებს და ჭიქებს.

ყველაფერი აირია. ქუდმოგლეჯილი გარბიან ჟურნალისტები, ფოტოგრაფები, ლაქიები. დელეგატებმაც ყველამ გაუსწრეს ერთი ერთმანეთს.

ბოლოს დარბაზში დარჩა მიმტვრეულ-მომტვრეული ავეჯი, ღალეწილი ჭურჭელი, დაფხრეწილი ქალალდები და... ბრიანი, რომელიც ნაძალადევი დარბაისლობით აცხადებს:

— ერთა ლიგის მეორმოცდაცამეტე სესიას დახურულად ვაცხადებ.

ნადირი.

ნახ. ა.ვ. ჭუთათელაძის

— საშოგზოო საჩუქრად ეს ბეჭედი მაინც მიყიდე!
— ამდენს ერთად ვერ გავფლანგავ!

„მიმკრალი ფარავანდედი"

(ვ. ბარნოვის არ გეგონოთ!)

სასცენარო ლიბრეტო კინო-ოპერისათვის

რედაქციაში თანამშრომლებს თათბირი გვქონდა:

— ჩვენს პროფესორებს მივმართოთ, და მათ ეცოდინებათ, თუ როდის დაიბადა ქრისტე!

— პროფესორებიდან ხეირი არ იქნება. ქრისტეს დაბადება კი არა, შოთას დაბადების წელი არ იციან... ისინი უფრო დაგვაბნევენ!

— შოთას დაბადება უფრო ძველი ამბავია, ვიდრე ქრისტესი!—წამოიძახა ვილაცამ. (წარმოიდგინეთ ასეთიც გამოგვეჩია!).

— ეგებ ზაქარია ჭიჭინაძეს ახსოვს?!

— ზაქარიას როგორ ემახსოვრება! კაცი ქრისტეს დაბადების დროს უკვე შექალარებული იყო!

— ყველას სჯობია—რომელიმე მღვდელს ვკითხოთ!

— მართალია, მართალი!

და ქრისტეს დაბადების წელის გაგება მე მომანდვეს.

— მამაო, ნუ დაიზარებთ, გვითხარით: როდის დაიბადა ქრისტე?—მოკრძალებით შევეკითხე და ხელზე ვემთხვიე. (ვსტყუი, ხელზე არ მიკოცნია).

— ქრისტეს დაბადება კი არა, გუშინ რა ვსჭამე ის არ მახსოვს!—გაჯავრებით გამოიმეტა პასუხის გაცემა.

— ალბად არაფერი გიჭამიათ და ამიტომ დაგავიწყდათ რა ჭამეთ, თორემ ქრისტეს დაბადება როგორ არ გემახსოვრებათ?!

— რა ჩამაცივდი, კაცო?! ისე გამოჩეჩეტებული ვარ, რომ აღარაფერი აღარ მახსოვს.

ამ დროს მოისმა რეკა.

— ღმერთო მომხედე!—ჩაილაპარაკა მღვდელმა და პირჯვარი დაიწერა...—ფუი, ეშმაკს! აღმასკომის საათი ყოფილა; მე კი ეკლესიის ზარი მეგონა!—წააფურთხა და ბუზღუნით სვლას მოუჩქარა.

ვამეცინა და საათის რეკაზე მომაგონდა:

— აღმასკომის სტატისტიკურ განყოფილებას ეცოდინება... კარგად მახსოვს, რომ ქრისტე დაიბადა რომელიღაც აღწერის დროს.

ამ გაფიქრების შემდეგ არ გასულიყო ხუთი წუთიც, რომ აღმასკომის სტატისტიკურ განყოფილების გამგის კაბინეტში ამხ. შ. გომართელი, რათა თავიდან მალე მოვეშორებინე, მკვახედ და მოკლედ მეუბნებოდა:

— ქრისტეს დაბადების დროს მე აქ არ ვმუშაობდი... ჯერ ჩვენ ვამუშავებთ ძველ მასალებს, რომლებიც ეხებიან ქრისტემდე არსებულ ხანას. შენ თუ დაჩქარებით გინდა გაიგო ქრისტეს დაბადების წელი, ამის შესახებ მიმართე არჩილ რუხაძეს.

ის იყო აღმასკომიდან გამოვედი და გუმბათში საათს ავხედე დროს გასაგებად, რომ არჩილი იქვე შემხვდა.

— შენ სტატისტიკაში ხლაფორთიანი კაცი ხარ და გეცოდინება, თუ როდის დაიბადა ქრისტე?

— ჰმ! ნუ გიყვარს შენ უშნო ხუმრობა!

— კაცო, მე მართლა გეკითხები, ის კი ვიცი, რომ რომელიღაც აღწერის დროს დაიბადა, მაგრამ როდის, ეს არ ვიცი.

— ეხლა რომელი წელია?—უცბად მკითხა არჩილმა.

— 1928 წელი.

— აი სწორედ 1928 წლის წინედ დაიბადა ქრისტე!

ეხლა მივხვდი ჩვენს უგუნურებას: რა თქმა უნდა ქრისტე დაიბადა 1928 წლის წინედ. მაგრამ მე მაინც არ შევიფერე და ხუმრობაში ჩავატარე:

— ყოჩაღ არჩილ! კარგად გცოდნია სტატისტიკა! — ვუთხარი დარცხვენით და „პირი-რედაქციისაკენ" ვქენი.

— მე არ წავალ საიქიოს. გინდათ იქაც გამაბითუურონ?!—უარზე ვიდექი.

— ჰა უხილავი გადასაცმელი და ამ წუთშივე გაქრი! — იყო ტარტაროზის მრისხანე ბრძანება.

ათი წუთის შემდეგ მე მთვარეს მივუახლოვდი და მარცხნივ უნდა შემეხვია სამოთხისაკენ, რომ თვალი მოვკარი მიცვალებულთა სულებს, რომლებიც გარშემო ეხვეოდენ ცალფრთა დაზიანებულ და პროპელერ-მიმტვრეულ ჰაეროპლანს, რომლის მფრინავს ოქმს უყენებდენ.

— რა ამბავია? რა მოხდა?—შევეკითხე ერთ სულს.

— ჩვეულებრივი ამბავი. ამ მფრინავებისანა თავხედ ხალხს ვერსად შეხვდებით.

— ჰმ! ჩვენს შოფერებს თქვენ ვერ იცნობთ, თორემ მფრინავებზე ასე არ იტყვით!

— ეიცნობ თქვენს შოფერებსაც, ჩემო კარგო! თვითონ მე შოფერმა მომსხვერპლა, თორემ ასე ადრე რა მინდოდა აქ?! ჰო-და იმას ვამბობდი, რომ ამ მფრინავებისანა თავხედი ხალხი არსად მინახავს. დღე ერთია და, მიწიდან საიქიოსკენ მომავალი ორი-სამი სული აუცილებლად უნდა გასრისონ. როცა კაცი კვდება, ეს არაფერია, რადგან სული ცოცხალია; ხოლო თუ სული მოკვდა, მეორე ადამიანი სულ ისპობა, აღარაფერი აღარ რჩება. აი ამაშია უბედურება... არის მფრინავებისათვის სივრცეში მიმჩნეული გზა, მაგრამ ეს ოხრები არ ემორჩილებიან მოძრაობის შესახებ სავალდებულო დადგენილებას, რომელიც ყველგან არის ჰაერში გამოკრული.

— უბედურებაც ეს არის, რომ ჰაერშია გამოკრული და...

— თქვენ მგონი ახალ მიცვალებულის სული ხართ და ეხლა მოფრინავთ მიწიდან?—შემეკითხა თანამოსაუბრე სული.

— დიახ!.. აქაურობას არ ვიცნობ.

— მომყევით; მე გაგაცნობ ყველაფერს.

ბევრი ვიარეთ, თუ ცოტა ვიარეთ, შევედით ღმერთის საცხოვრებელ ბინაში და მირმას ამოვეფარეთ.

ავადმყოფი და მომაკვდავი ღმერთი ლოგინზე წამომჯდარიყო, ყავარჯენს დაყრდნობოდა და საზარელი ხმით მღეროდა (უფრო სწორედ, სტიროდა):

დავრდომილი, სნეული
უნუგეშოთ ვსტირი მე.
რა ვქნა, რა ვქნა მითხარი,
რა ვქნა თქვენი ჭირი მე.
სანამ მქონდა ძალღონე,
სევდას ვკლავდი მე მალე,—
მაგრამ ეხლა სიბერეს
ვერსად ვერ დავემალე.

— საწყალი! ნუ თუ არავინ ჰყავს მომვლელი?—შევეკითხე თანამგზავრ სულს.

— ვისლა ახსოვს?! ყველას თავისი თავი აქვს საპატრონო!

ბნელ სარდაფში იოსების სადურგლო. სინესტის საშინელი სუნი. მარიამ, ახალგაზრდა ლამაზი ქალი აკვანს ურწევს. იოსები იქვე ცნობას აძლევს ვიღაც აღმწერს, რომელიც კითხვებს ერთი მეორეზე ისვრის:

— რამდენი წლის იყო რომ დაიბადა? რა ჰქვიოდა დაბადების დროს? რას შვრებოდა დაბადებამდე? დაბადების შემდეგ? სად დაიბადა?

— ბეთლემში.

— პირველი საეჭიმო დახმარება რა სახით ჰქონდა აღმოჩენილი?

— ბაგაში ჩავაწვინეთ... ეს იყო, სხვა არაფერი!

— ატყუილებს!—გავიფიქრე ჩემთვის.—საბავშო ბაგები მაშინ კი არა, ზოგიერთ ჩვენს ქალაქებში ადმინისტრაციის დაუდეგრობით, ეხლაც არ არის!

— რატომ გვეკითხებით ასე დაწვრილებით ყველაფერს? თქვენ მიწიერი ფინინსპექტორის აგენტი ხომ არა ხართ?—შეეკითხა ღვთისმშობელი.

— ისე, ტყუილად. მე, როცა მიწაზე ვცხოვრობდი, ასეთ სამუშაოს ვასრულებდი. ანკეტები ისე შემიყვარდა, რომ აქაც ვერ ვისვენებ უიმისოდ და, თუმცა-ღა არავინ მეკითხება და მავალებს, მაგრამ მაინც ვავსებ... ტყვილად ყოფნა არ შეძიძლია!—იყო პასუხი აღმწერისაგან.

— რას ნიშნავს მიჩვევა! ამ საწყალს იმისი შნოც კი არა აქვს, რომ სიკვდილის შემდეგ მაინც დაისვენოს!—

აღმწერის წასვლის შემდეგ, იოსები მწარედ ამოიოხრებს და დაღვრემილი დაჯდება. მარიამ ეალერსება. იოსები სასოწარკვეთილებით მღერის:

სანამ ვიყავ ახალგაზრდა
და სიამით ძგერდა გული,
ვნატრობდი და არ მეღირსა
ბედუკულმართს სიყვარული.
როს დავბერდი, დავუძლურდი
სახე დაჭკნა, დამეღარა,—
აწინდელი სიყვარული
გინდ იყოს და გინდ აღარა.

ქრისტე გამაკში უდარდელად ქანაობს და ღიღინებს:

აზუზუნდი ფუტკარო, წადი მაროს*) უთხარო:
შენს საყვარელს ეძინება, მოდი, ნანა უთხარო!

*) მარიამ მაგდალელი.

— ნანა იჭნება, რომ მოგკბეს ამ კეტს თავში!—ეუბნება დედა, რომელიც მოულოდნელად წამოადგება თავზე.

— ბიჭო, შენ გადირიე, თუ რა გემართება?! რა გინდა შენ იმ აშარ დედაკაცთან? ამიერიდან არ დაგინახო მასთან, თორემ ჩემი დედ-მამის, იაკიმესა და ანნას სულს ეფიცავარ, რომ თავს გაგიტეხ.

— სწორედ, რომ ყოჩაღი ბებია და ბაბუა მყოლია. ამ ბებრუხანებმა, როგორ გშობეს ასეთი მშვენიერი შვილი?!

— შენ მასხრობ, მაგრამ მე სრულიად არ ვარ მასხრობის გუნებაზე. იმ გარყვნილ ქალთან არ დაგინახო, თორემ...

— ნუ შეურაცხყოფ რძალს!

— რძალი კი არა, ღვთის ძალი გაუწყრეს მას! ნუ სულელობ. წადი და მამაშენს მიეხმარე, ის გირჩევნია მაგ სულელურ ღლაბუცს. ბიჭო, ამოდენა შვილი მოგვესწარი და არაფერში არ გვარგიხარ. მთელი კვირა აღმა-დაღმა დადიხარ... ჰო, მართლა, ეაჟბატონო, ირუსალიმში რომ ვირით „წაბრძანებულხარ", იმ ვირის პატრონი გუშინ მოგვივარდა სახლში და ვაი უშველებელი დაგვაყენა:

— მინდვრად მყავდა ვირი გაშვებული საბალახოზე. მოსულა თქვენი შვილი, შემჯდარა ზედ და იერუსალიმში წაუყვანია. ვირი ავად არის და თუ მოკვდა, უნდა გადამიხადოთ, ჯეელი ვირი იყო-ო!

— ჯეელი კი არა, ძლიეს დახოხავდა; ამ ჩვენს იოსებისავით უკბილო იყო!

— ყოჩაღ, ბიჭო, მამაშენი ვირს შეადარე! შვილი მოგესწრო სიბერის ჟამსო, სწორედ ამას ჰქვია!

ბაღში ტბის ნაპირას ქვიშაზე გაწოლილა მარიამ მაგდალელი და ოცნებობს ქრისტეზე, თანაც გიტარაზე მღერის:

შორი გზიდან სატრფოს ველი
სხვა მოდის და ის კი არა;
ვაი თუ გზაში დაიღალა,
ხუხტია და ვერ იარა.

ამ დროს მოულოდნელად წაადგება ქრისტე და დარდიმანდულად სტენებს ბარიტონის ხმაზე:

მუხას ცული შემოვკარი,
მე მეგონა წიფელაო;
ქალო, ერთი მაკოცნიე,
ჩემო ლოყებ-წითელაო.

დიაფრაგმა: ქრისტე და მარიამ მაგდანინელი ერთმანეთს ჩაეხვევიან.

ქრისტე დატუსაღებულია. ციხის რკინის ხლართულიდან იცქირება და ოცნებაში ეზმანება მარიამ მაგდანინელი, რომელსაც უმღერის:

ჩამოირბინე ჩემსა საფლავზე,
იქვე ჩამოჯექ ქვაზე მახლობლად
და ჩამომძახე შენის ნაზი ხმით:
რისთვის მოკვდი და დამტოვე ობლად.

ზმუკი.

კონკურსის შედეგი

ჟიურიმ ჯილდოს ღირსად სცნო შემდეგი ავტორები:
პირველი (პრიზა) **გრიგოლ ზაქარიას-ძე თადუმაძე**, გლეხი, მცხოვრები სოფ. ხუნ-ჯულოური სამტრედიის რაიონი
მეორე (ლექსი)— **ლიდა შენგელია-ზარიძაძისა**, უმუშევარი, მცხოვრები სოფ. ღებში ქ. ონი.
ჩვენი ჟურნალ-გაზეთი იანვრიდან ერთი წლით გეგზავნებათ აღნიშნულ მისამართით.

„სიტყვით ბარაქალა, საქმით არაფერა"
შეფი სოფლად

1

— ვერ წარმოიდგენ როგორ მინდოდა ჩვენი საშეფო სოფლის ნახვა, მაგრამ საქმეების გამო, თავისუფალი დრო დღემდე ვერ ვნახე. სოფელს უპირს, ყოველ მხრივ დახმარება უნდა გავუწიოთ!—ეუბნებოდა ერთი შეფი მეორეს, როცა ისინი ქალაქიდან სოფლისაკენ მისრიალობდენ ავტოთი. (გ. თადუმაძე).

მიფრინავს ავტო სოფლისკენ,
მიფრინავს როგორც ქორია.
არ ერიდება უხეშ გზებს,
რადგან უბრძანებს ორია. (ლ. შენგელია).

2

— ეს რა ველირსეთ თქვენს მობრძანებას!—აღტაცებით გლეხები.—გვიშველეთ რამე. ბევრი რამ არის სოფელში გასაკეთებელი. ჩვენ დიდი იმედი გვაქვს თქვენი! (გ. თადუმაძე).

მოვიდა შეფი სოფელში,
სად თემი იყრის თავსაო.
ეხვევა მთელი სოფელი—
თქვენ მოგვაშორებთ ავსაო.
(ლ. შენგელია)

3

— წავიდეთ! იქ ხალხი გველოდება. ცოტა ნასვამი ვართ, მაგრამ არა უშავს. ასეთი ძვირფასი სტუმრები მე იშვიათად მყავს! ეუბნებოდა შეფს თემალმასკომის თავმჯდომარე.

— არც ისე ღარიბი ყოფილა თქვენი სოფელი, რომლის შეფიც ჩვენა ვართ. ღარიბი რომ იყოს, ამდენი გოჯი და ქათმები ჩვენ რომ შევსჭამეთ სად ექნებოდა! — ამბობდენ შეფები. (გ. თადუმაძე).

რას ვხედავთ? იმათ სტუმრობას
მოუტანია ნაყოფი:
ღვინო შეუსვამთ წყეულებს
დიდი ხნის ჭურში ნამყოფი. (ლ. შენგელია).



4

— ჩვენ მუდამ თქვენთან ვართ, როგორც ლხინში, ისე ჭირში. სრული დარწმუნებული იყავით, რომ არასოდეს დაგვავიწყდებით. საახალწლოდ კიდევ ვინახულებთ თქვენს სოფელს!—ასეთი დაპირებებით დაემშვიდობა შეფი. (გ. თადუმაძე).

შოფერს კიდეც ეცინება
ჩვენი შეფის თქმული სიტყვა.
ჯერ ერთხელაც არ ამხდარა,
რაც შეფისგან ბევრჯერ ითქვა.
(ლ. შენგელია).

სასადილო „გემო“-ში

ნახ. მარიაშის

მილიციელი: გამიშვი, თუ საჩქაროდ არ გავაშველე ეს ვერანები, ერთმანეთს დახოცავენ!

გამვლელი:— ადროვე, ვერა ხედავ: გემოში არიან?!

„ღმერთების კომუნაში“

(რადიო საიქიოდან)

...და, რა მე-1928 შობა მოახლოვდა, იესო იოსებისძე ნაზარაშვილმა გამართა თავის დაბადების აღსანიშნავი დღეობა, სადაც დაპატიჟებული ყავდა მეზობლები.

სუფრა გაშალა თვით იესოს კაბინეთში, რადგან სასადილო ოთახი ბინის კრიზისის გამო წინა დღით ჩამოართვეს „შემქიდროების“ მიზნით, სადაც „წმიდა გრიშკა რასპუტინი“ მოათავსეს, რომელიც უპინაობის გამო ეს მეთერთხმეტე წელი იყო სამოთხის ბაღის ბოლოში ათევდა; საწოლ ოთახში სომ ისეოს მეუღლე იწვა, მაგდანაანთ მარო, რომელიც წინა ღამით მიწვეული იყო თეთრაძიანთ გიორგის (რომელზედაც ბოროტი ენები ამბობენ, რომ თეთრ გვარდიელთა ჯარის აფიცერი იყოო, საიდანაც წარმოსდგა იმისი შემოკლებითი სახელ-გვარი „წმიდა (ანუ თეთრი) გიორგი“) მიერ გამართულ „ვეჩერში“ და გიორგისთან ფოქსტროტის ცეკვის დროს გაცივდა; უქეიფოდ შეიქნა და, ეხლა დედამთილი მარიამი თავზე ადგა, უვლიდა; ამიტომ იყო, რომ ეს ორივე მარიამი ვერ დაესწრო სუფრას.

ყოველ შემთხვევისათვის კარის მცველად დააყენეს მთავრიანთ მიხა (ფსევდონიმით: მთავარ ანგელოზი მიხეილი), რომელსაც ხელში ეჭირა თემურლენგის ნოქარი მოკაუჭებული ხმალი, და თუ ვინიცობაა ვინმე შემოვიდოდა დაუკითხავად, უმალ ყასერზე აეთამაშებინა ისე, რომ ჩინელ ჯალათებსაც კი შერცხვენოდათ მაქნეევში.

თამადად ერთხმად არჩეულ იქნა მამა ღმერთი, რომელმაც ჩამოისვა რა თეთრ თიეთიკ წვერზე ხელი და ჩაახველა აიღო ყანწი და...

— ჩემ „პოპოშნიკათ“ ვნიშნავ ჩემ უფროს შვილს, მოსეს და მერიქიფედ იყოს ბუდა, მისი მომდევნო,—განაცადა მან და დაულოცავად გამოცალა ყანწი, ყელის გასასველებლად...

— ამ კუტს რომ ნიშნავ მერიქიფედ, როგორ უნდა მოიტანოს მარნიდან ღვინო, ან გოზაურიდან რით დაასხას, როცა ადგილიდან ვერ ძრულა და მუდამ გულხელდაკრეფილი ზის, ქვრივი დედაკაცივით?!— ჩაერია უხეროსი შვილი, მამედა და დაცინვით გადახედა ბუდას.

— რა გინდა შე მოუსვენარო, რომ გადამეკიდები ხოლმე?!— წყრომით მიუგო ბუდამ და ზურგი შეაქცია.

— ჰა, ჰა, გასწყეტი თორემ, მე ვიცი ტყვილია აი!..—დაატანა კნიაინა ნინამ, რომელმაც ის იყო ახალად შემწვარი გოჭი მოიტანა „კუხნიდან“ და ბარკალი მამედას გაუწოდა.

— შენა, ე, გაუმაძღარო, ის მაროც ასეთ ფაფა ნინას თავი დაანებე, თორემ!— გადაულაპარაკა მამედამ იესოს და ხანჯალი ოდნავ ამოსწია ქარქაშიდან მუქარით.

— აქ იყვნენ შუშანიკა— მეტეხიდან, ქეთევანი —ავლაბრიდან, კატერინა—პეტერბურგიდან, ფრანცისკა— ვატიკანიდან და სხვები. კაცებიდან სჩანდენ დურგალი იოსები, რომელიც ბუხართან იჯდა და ობებოდა, გრიქოლა ლუსავორჩიანცი — ვაღარშაპატიდან, ვლადიმერა კიევიდან, იოანე ფორდანიდან და ვინ მოსთვლის კიდევ ვინ!.. დაეთი თავის ქნარზე დალილინებდა ტკბილად „თავო ჩემო ბედი არ გიწერია“-ს და ხანდახან თუ ჩაუკრავდა ხოლმე თვალს „ლამაზების და ლონიერ ვაჟკაცების მოყვარულ“ კატერინას.

— შვილებო, ბატონებო და ქალბატონებო— დაიწყო „კომუნის“ თავმა და, მამასახლისმა, მამა იეოვამ (ღმერთმა)— დღეს შეუსრულდა ჩემ საყვარელ იოსკას 1928 წელი და, კარგად ხედავთ, რომ ჯერ კიდევ არ შეპარვია ამის წაბლისფერი წვერულვაშს ჭაღარა, მაგრამ რატომღაც სულ მაინც მოწყენილია, ეს ალბად იმიტომ თუ რომ ეს რამოდენიმე ხანია შრომის ბირჟაშია ჩაწერილი და ადგილი კი ჯერ ვერ იშოვნა...

— ეგ იმიტომ, რომ კავშირის წევრი არ არის.— ჩაერია აბრაამი და რატომღაც ნიშნის მოგებით შეხედა „იუბილიარს“.

— კავშირის წევრი რომ გახდეს, ამისათვის საჭიროა ადგილი იშოვნოს და იქ ერთი სამიოდე თვე მაინც უნდა იმსახუროს, სამსახურს კი არაკინ მისცემს, თუ კავშირის წევრი არაა...—სცადა გამოსარჩლება ნინამ.

— ეგ შენი საქმე არაა, დედაკაცო, შენ ვინ გეკითხება ვინ არი ამი შაურჯო? რა ქალის საქმეა საქვეყნო საქმეებში ჩარევა?- შენ ის გირჩევნია რომ თავის დროზე მოხვიდე ხოლმე პაემანზე, იქ, ხეივანში... თორემ წუხელის რომ იმდენხანს მალოდინე, ისიც გეყოფა შენ!..—ჩაურტყა მამედამ.

— მოშორდი ერთი და, მეხი შენც დაგაყარე!.. შენ ეგრე ნუ იცი ხოლმე, თორემა თუ ჩვენ „ყენადელში“ გაჩივლე, ნახავ შენ... შენ ისიც შეგიჩეს, რომ იმ ბავშის აღსაზრდელ ალიმენტს არ მაძლევ!..— გეებუტა ნინა და იოსკას მოუჯდა ფეხთ...

— ნუ მაწყეტინებთ, თორემა, დედას გიტირებთ ყველას!— გაცხარდა თამადა— ჰო და, იმას ვამბობდი... ამ ჩემ შვილს იოსკას შეუსრულდა მეთქი ამდენი წელი...

— უკაცრავად კი ვარ ბატონო თამადა და, ვერაფერი გამიგია... იქ, ქვეყნით ხლი მე მთვლის მამად, რაც ნამდვილად ასეცაა და შენ რაზე ჩიჩეგ? მაგის აღზრდაზე მოგსვლია ძალა, ჩაცმაზე, ჭამაზე თუ ღმანაზიაში სწავლაზე?.—ჭკადრა დურგალმა.

— ვის უბედავ მაგას შე ვირო?!— იუკადრისა თამადამ და ღვინით სავსე ყანწი ეცროლა ოსებს.

— ვირს ნუ ხმარობ, მამა, არ გეკადრება ეგეთი სიტყვები.— გადაუჩურჩულა მოსამ.

— არა, როგორ ვერ მიხვდა ეგ გამიყეყეჩებული, რომ ეს ამბავი მხოლოდ იმ ტუტუც ხალხისთვის იყო გამოგონილი, რომელთა დასაჯერებლადაც იქ, დაბლა ჩვენი გზირები— მოკაკლები ქადაგებენ?!— არ იშლიდა თამადა— ან მაგას როგორ შეეძლო, უბრალო დურგალს მიჰკარებოდა, ჩემ მარიკას! განა მაგის გლეხურ სისხლი ჩვენს, თავადურ სისხლს შეედრება? აბა შესეთ იოსკას თუ სულ მე არა მგავს!..

— რა ვიცი, მიეკარებიკარ თუ არა, ეგ თვით მარიამს ჰკითხეთ... ბეთლემის „გასტინიცაში“ რომ არ წამომყვა და რიყეზე შეეათრიე, ბაკში, მალაკნების „კანუშნაში“—არ იშლიდა დურგალი.

— მართალია განა, რასაც ეს მუტრუკა ამბობს?!— მიმართა თამადამ ამ დროს კარში რომ მარიამი გამოჩნდა, რომელსაც ჩხუბის ხმაური გაეგო და გამოსულიყო კაცების „დასაშშვიდებლად“...

— აბა რა ვიცი... იმ დროს ისე აღელვებული ვიყავი და გამოუცდელი, რომ...— ეს სთქვა მარიამმა და მოლბენად თავი ჩაღუნა...

ქალებმა ერთმანეთს გადახედეს და სიცილი ასტეხეს; ვაჟებმა ულვაშებში ჩაიცინეს. ამ დროს მოისმა გიორგის თეთრი ცხენის ჭიხვინი და მარდათ რომ არ აეკრა ხანჯალი მიხას მიერ მოქნეულ ხმლისათვის, დაუკითხავად რომ შემოვიდა, ნამდვილად თავს გაადებინებდა საშობაო ბურვაკიკით.

— შენ ვის უბედავ მაგას?!— შეუბღვირა მან მიხას და თვალები დაუ-

— მაპატიე, ბატონო ლეიტენანტო, მე ვიღაც კომკომოლა მეგონე, და...— მოიბოდიშა მიხამ.

— სუქინსინ!.. ჰიფრთხილდი!!!— ლაპარაკობს გიორგი და „ჩესტით“ წარუდგა თამადას, რომელსაც გული მოსდიოდა, დურგალთან შეტაკების გამო და „კაპლებით“ აბრუნებდენ,—მან „რაპორტი“ მისცა, როგორც „კომუნის კომენდანტმა“— ბატონო გენერალო, ჩვენს „კომუნაში“ თუმცა ორიფერი მომხდარა, სიწყნარე იყო,— თუ არ ბივიღებთ მხედველობაში ილიას მიერ ქუჩებში —სელის წესრიგის დარღვევას, „ფაიტონი“ რომ „კონკის“ გზაზე გაატარა, რისთვისაც დაჯარიმებულ იქნა ალმასკომის მიერ,—მაგრამ ქვევიდან ისმის რაღაც საშინელი გუგუნი, და როგორც ჩემმა კონტრაზვედკის აგენტმა, ნოემ შემატყობინა თავისი კიდობნიდან, იქ ეგონებ შორს მსროლი ზარბაზნები დაუდგიათ და ტუ-

ჩები აქეთ ყოფილა მოშვერილი, რომლითაც საცაა დაიწყებენ თურმე დაშენას ტეხნიერების და მეცნიკის უკანასკნელ მიღწევის ანტირელიგიურ ყუმბარებითა!.. ამ საქმეს თურმე მეთაურობს უღმერთოთა კავშირი და მათი შტაბი მოთავსებულია ნამდვილ კომუნაშიო, როგორც ისინი ეძახიანო...—ჯერ არც კი დაემთავრებინა, რომ მოისმა საშინელი გუგუნი და ყუმბარამ კაბინეტის კედელი შეანგრია; მტრედის ფერი ლამპოჩკაც ჩაქრა, რადგანაც ზაჰეისის კაბელი გაწყვიტა იქ ყუმბარის ნამსხვრევმა... ქალები და ვაჟები ერთმანეთს მიეკვრენ შიშით...

აქ კი ატმოსფერული პირობების გამო რადიო-გადმოცემა შესწყდა...

ტარზანი.

ᲖᲚᲘᲡ

(მოგონებიდან)

მღვთის სამსახური და წირვა-ლოცვა ბაღნობიდანვე შემაყვარა განსვენებულმა ბებიამ.

გათენდებოდა თუ არა კვირა, დამადგებოდა თავზე ჯალათივით

— აბა, ჩქარა ადექი, ჩაიცვი, ცისკრის რამდენი ხანია დარეკეს, ელოგია მინდა ავიღო და, თუ დამაგვიანდა, აღარ მერგებაო,—მეუბნებოდა ხოლმე ბებია.

როგორ არ გერგება, ბებია, ყოველთვის აუარებელი რჩება ხოლმე მღვდელს სეფისკვერები.

რას ამბობ, ბიჭო, შე ურწმუნო; შემომიტევდა ხოლმე ბებია: საქმე დარჩენაზე კი არ არის, ვინც ცისკარს არ მოისმენს, იმას ელოგია რომ არ ერგება, ჯერ კიდევ არ იცი?..

— არა, ბებიკო, ჯერ კიდევ ცოტას წევიძინებ ვემუდარებოდი მე

მახსოვს: ერთხელ ზამთარში ცივი წყალიც კი გადამასხა მძინარეს, რომ უფრო ადრე გამომეღვიძა (მაშინ ანთება და „აპენდენციტი“ არ იყო მოდაში, თორემ, შენი მტერია, მე არ გადავრჩებოდი).

შობა იყო. 25 დეკემბერი. მშვენიერი ზამთრის დილა. კუდრაჭა დილის მზის სხივები ვერცხლის ფერად აცელქევებდენ ხეების ტოტებზე ახლად ჩამოფიფქულ ბამბასავით თეთრ თოვლს. ბუნება ზეიმობდა, მე და ბებიაც მხიარულად მივბაკუნებდით ეკლესიისაკენ. ცისკარის ველარ მიუსწარით, მაგრამ ბებია ჩემმა, მეტანიების სახით, მიართვა ღმერთს კონპესაცია და ამით გათავდა მისი ტრაღედია. „მამა“ მიხეილ აზარტში იყო შესული. ხმა უფრო ლამაზი და ბოხი ჰქონდა, ვინემ ჩვენი საოპერო თეატრის გამგის „პოპოშნიკს“.

— ი-ს-მ-ი-ნ-ე-თ წ-მ-ი-ნ-დ-ა სახარება მ-ა-თ-ე-ს-ი!— დაიღრიალა მან დიდის ხმით. მე შიშით გული გადამიტრიალდა. სხვებმა კი მაშინვე დაიჩოქეს და სულ- განაბული უსმენდენ ყურს მღვდლის მეტყველებას.

— „პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო მღვთისა „განაგრძო“ „სულიერმა მამამ“ მიხეილმა და გადმოვიდა სული წმინდა მარიამზე და მან შვა გამოქვაბულში იოსეფოო“, გააგრძელა ხმა როლში შესულმა მღვდელმა.

ეხლა მიხეილმა დაიწყო ზეპირი ქადაგება და წაკითხულის განმარტება:

— „სულიერო შვილებო და მართლმადიდებელნონ ქრისტიანებო!—დაიწყო მან აკანკალებულის ხმით.— დღეს დაიბადა ქრისტე გამოქვაბულში, სწორედ იმ ადგილას, სადაც ცუდი ამინდის დროს მწყემსები ცხვრებს რეკავდენ. დაიბადა მარიამის გვერდიდგან, პირველ ხანებში ბავშის მომვლელ-პატრონი დურგალი იოსები იყო, შემდეგ კი მას პატრონობა აღარ დასჭირვებიაო“. და მოყვა შემდეგ თუ, როცა დავაჟკაცდა ქრისტე, როგორ გადააქცია კანას-გალილეიას წყალი ღვინოთ—და დაახასიათა სხვა მრავალი გმირობა ქრისტესი.

საკურთხით პირჩაგემრიელებული მე და ბებია მაშინათვე სახლისაკენ გავეშურეთ.

ცნობის მოყვარეობა თავიდანვე დიდი მქონდა, მაგრამ იმ დღეს პირდაპირ ფიქრებმა გამაფრინეს; ვფიქრობდი: რატომ დაიბადა ქრისტე მარიამი ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲘᲐᲜ? ვინ იყო ეს დურგალი იოსები, რომ ასე მფარველობდა თავიდანვე ქალწულ მარიამს და ახლად დაბადებულს ყრმას იოსეს? რატომ ეხლა ვერავინ აცოცხლებს მკვდრებს და აქცევს წყალს ღვინოთ? (რა თქმა უნდა, აქ მხედველობაში მისაღები არ არის ზოგიერთ რესტორნებში, რომ „აქცევენ ხოლმე ღვინოს წყლად“). აი, ასე კითხვები თავიდანვე ამეკვიატა, მაგრამ იმ ეპოქაში, რომელშიც ბებია ჩემი ცხოვრობდა, ასეთ კითხვებზე პასუხის გაცემას ვერავინ კისრულობდა.

გავიდა ხანი. მოხდა ფაქტები, არც ჩვენი მღვდლები გამოდგენ ბატები. მაგალითად, როცა მოხდა საქართველოს გასაბჭოების ფაქტი, მათ მღვდლობას „უჩიტლობა“ არჩიეს, თმები შეიმოკლეს, და ანაფორასაც „საკრაშენიე“ გაუკეთეს. ზოგი მათგანი „კომსომოლობაზედაც“ კი ოცნებობს დღეს. ზოგი საბჭოებში გაძროლასაც ფიქრობს; მიხეილ კი, ჩვენი სოფლის ყოფილი მღვდელი, წელს მასწავლებელთა უკანასკნელ ყრილობაზე ვნახე დელეგატად.

რაც შეეხება ზემოთ აღნიშნულ საკითხებს, რომელიც მე ასე მაწუხებდა, ამის შესახებ ამომწურავ პასუხს წაიკითხავთ დეკემბერ ბედნის „სახარებაში“, რომელიც დადასტურებულია სილია თოდრიას მიერ.

ᲫᲕᲔᲚᲘ.

ჯოჯოხეთის კუთხე



პერე ვისა.. პერევისა.. ტყეს აძლევ და მერე — ვისა?!..

კაი სოფელია პერევისა. უფრო კარგია, ამ სოფელს რომ ტყე აკრავს, ისა. აქვს თუ არა ვისმე უფლება მისი გაჩეხისა? მით უმეტეს ისეთებს, ვისაც არაფერი არ ესაქიროებათ რამ ფონდისა; ასეთები, რა თქმა უნდა, ტყეს არ ინაღვლებენ, სანამ მას სრულიად მუსრს არ გაიგლებენ, ვნახოთ, ვინ უწყობს ასეთ საქმეს ხელს? მოვესმინოთ კ—შვილს, პერევისელს:

„პერევისის თემაღმასკომის **ყოფილი** თავმჯდომარე, ვანიჩკა **გრიგოლისძე** წერეთელი, დღიდან მისი თავმჯდომარეგ**ად** არჩევისა, ეწეოდა სხვადასხვა ბოროტ მოქმედ**ებას**: მან შეასია ხალხი პერევისის საფონდო **ტყეებს და** გაანადგურებია ისეთებს, რომელთაც ფონ**დის არაფერი** ესაჭიროებოდათ-ო.

ჩვენ არ ვიცით, რა სოციალური მდგომარეობისაა ეს წერეთელი, თუმცა კორესპონდენტი იწერება, რომ ის ღარიბია და სხვა. ერთი მაინც ცხადია: ვანიჩკამ გაამართლა გვარით დაკისრებული ვალდებულება, ზოლო ულალატა საბჭოთა ხელისუფლებით დაკისრებულ ვალდებულებებს!

ეს გარემობა ვანიჩკას საქმეს ველარ გამასწორებს, ის უკვე ზის გამასწორებელ სახლში. მაგრამ მომავალ საბჭოთა არჩევნებში კი ის გამოგვადგება ერთგვარ ხახელმძღვანელო გაკვეთილად.

მარელისის ფაბრიკასა, მის მოლარეს თავრიკასა

განა, მისთვის ეძახიან მოლარეს ანდროსა, რომ მის ფაბრიკამ სალარო ანდოსა? ნდობაც არის და ნდობაც, მაგრამ, რასაც მოლარე ანდრო შობა, დაუშვებულია ჩვენს დროში: ქალებს აძლიოს ავანსი, ზოლო მუშებს კი არც ხვედრი გროში„ „შეუძლებელია ამის ატანა— ამბობს სატანა!

და თანახმად კორესპონდენტ „ვნების“ აზრისა, ურჩევს ფაბრიკის დირექტორს:

„სჯობია, თუ რომ მონახავ მოლარეს, ანდროზე სანდოსა, თორემ ფაბრიკას ზარალი არ ასცილდება ამ დროსა!.. ინდუსტრიალიზაციის დროსა!—დავსძენთ ჩვენ.

ლელვან-მარელისის კუნძტში შეხტი ცხენო, შეკუნტრუშდი

რადგან უცხენოთ თქვენ არ შეგიძლიათ პუნქტის გაშგე კიკნაძეს ავადმყოფი უჩვენოთ, მას თავი აქვს „ხლაფორთისა“ მოხელეა „აბორტისა“, უშვილო ქალს თუ სჭირდება, შვილისა ყოლას ჰპირდება, რაღა უჭირს, თუ მსგავსი ექიმი თემს არ დაუძვირდება!.. ამას **ვეწერს** ვინმე **ხუზარა**, გასაკვირია, თუმცა რა?!

იჟვე აგრონომ ბრეგაძეს: „კაცი უსმელად ვერ გასძლებს“!..

ამისი თქმა-ღა მოასწრო პატივცემულმა აგრონომმა, როცა ვიღაცამ წამოიძახა: „მატარებელი მოვიდაო“.. და მომხსენებელმაც მყის მიატოვა შეკრებილი გლეხობა, რადგანაც აგრონომი, როგორც სჩანს, სწრაფ მიმოსვლას ემხრობა. როგორც მისი მოხსენებიდან ირკვევა, თუ ღვინო ტკბილია, უფრო ისმევა, ხოლო თუ ღვინო მჟავეა, რაც იქავეა, სადაც იყო მოხსენება, ვინ**ახს** **უნდა** შეწყვეტა, ხოლო ყურძნიდან დაწურულ სითხეს **უნდა** უქნათ შაჭარი!..

ასე გადმოგვცემს ამ ამბავს **კორესპონდენტი ბაბარი.**

შროშის ბიჩეჟის საგარანტიო სექცია, ხადაც პრ იციენ: რაა პროტექცია.

ბრის ხოლმე ეკაი აკარაკაშვილი—სინამდვილეში კ—ლაპარაკაშვილი, **რადგან** აქვს ენის **ბოძრაობის** საშერეული **აშლილა. უნდა შემოიტანოს** დაწესებულებაში **ინსპიროკენტანი „დემოკრატიზმი“**, **ბოლოთ** **უნაყოფოა** ყველა ცდა იმისი: გამოცხადებენ. **ბისთან** სოფიო, ელენე და „წითელქუდა“, (ალბათ, ტარტაროზსაც რომ ეს **უნდა**!). მაშინვე **დაიწყებს** ლაპარაკაშვილი **დარბაზს: ქალებს** ავანსად **უცხადებს** ნდობას, ბოლო იქვე მდგომი **მბაკაცები** კი ავიწყდება; ამის **შემსწრეს** ძოძინების **ძაფები** თითქმის ყველას **უწყდება** და **ეკითხება** ერთი **მდგანი** მშვიდათ, როგორც ბატკანი: „ამხანაგო გიორგი, **არ** შეიძლება ჩვენი ამ ზედმეტი ლოდინის თავიდან აშორება და თქვენს ყურადღებაზე უფლებით ქალებთან ჩვენც გათანასწორება?!“

ამ საკითხის ამოწურვა, თუ გრიგორმაც მოისურვა, შეი**ძლება** იმავ წამზე, თუ დაჯდება ერთ-ერთ სკამზე, ახლა **რომ** ორი უდგია... ესმას, ვისაც ჯერ კიდევ **არ** გაუგია!..

ელსადგურს — ახალი წესი, კვანტალიანს — ურგებჰესი!

მიკვიოს ამ ნასწავლ ინჟენერების საქმე, მდინარის სიმასვილე თუ კი ნახეს სადმე, მაშინვე დაჰკრავენ საყვირს (სწორეთ სიუტიფრე იმათი გამკვირს!): „ეს ისეო, ეს ასეო: **უნდა** გაკეთდეს ქვის ტინი წყალზეო, მერე და ისე მაგრათო, რკინით და დუღაბით **უნდა** გაკრათო, მივაშველოთ ფოლადი და თუჯიო, ისეთი **უნდა** გაკეთდეს ბურჯიო, რომ წყლის მოწოლას გაუმკლავდესო, თუნდაც არაჩვეულებრივ ლანქერსაც კი ზურგი აუქავდესო. **არა**, **რა** საჭიროა ამდენი ტანჯვა?! საკმაოა სულ ორიოდ ას თუმნის ხარჯვა: წყალში ხის **უბრალო** ბარჯგების ჩაყრა, ბარჯგებზე სულ **უბრალო** ფიცრების გაკვრა, **რომ** ასეთ ტინს წყალი სულ დასილავს და შემდეგ **ალგებო** ელსადგურსაც ადვილად!

არ გეჯერათ? დაგიმტკიცებთ ხელათ!

ეი, **რას** იწერება ტყიბულის მაღაროებიდან კორესპონდენტი ზურ-ნა:

„კვანტ-ლიანმა **არ** დაუჯერა არც ტეხნიკურ **პერსონალს**, არც კავშირს, არც მუშათა **ხმას**, მიაყენა **ქალას** **ეუერებელი** მუშა-ხელი, მიზიდა **ურიცხვი** ფიცრები, **ბარბალები**, ბიჯგები, სინა, ჩაასო წყალში ბიჯგები, მიაყედა ცხრა-ცხრა არშინიანი ფიცრები და **უნდოდა** **წყლის** შეკავება, რათა შემდეგ წყალს მიესლა ეს **ადგილი**. მაგრამ მოვარდა ნიაღვარი და 2.000 მანეთად ღირებული ეს ნაგებობა გაასუფთავა. წყალმა მაღაროსაც კაი გვარიანი ზარალი მიაყენა!..

სმენა!

რა თქმა **უნდა**, „ვისაც აქვს **ყურნი** **სმენად!**“.. **ხოლო** მუშებმა კი იმ თავითვე დაჭმეს **კვანტალიანის** **მიერ** გამოგონებული **ელსადგურის** **გაყვანის** **წესი** და **დაარქვეს** **მას**: „**ურგებჰესი**“!..

ტარტაროზმა კი **კვანტალიანის** **პროექტის** ეს **სათაური** **გადაასწორა**: „**მავნებჰესად**“!

ნ.ბ. ბადრეულიძის

ვირი:—ეეეჰ. სჩანს ტუუილად გამიხარდა მაგისი დაბადება; მცოდნოდა რომ მთელ სიცოცხლეში სათრევად მარტო მე მომიწევდა, ვინ ოხერი კრინტს დასძრავდა!